

ესპანური ენის ლექსიკოლოგია
(სასწავლო კურსი)
მარინე კობეშავიძე

შესავალი

ლექსიკოლოგიის საგანი და მისი დარგები

ლექსიკოლოგია (lexicología) ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ლექსიკას (léxico), ანუ ენის სიტყვობრივ (ლექსიკურ) შედგენილობას. მაგრამ სიტყვას, როგორც მნიშვნელობის მქონე ძირითად ენობრივ ერთეულს, შეისწავლის სხვა სამეცნიერო დისციპლინებიც. სიტყვის მატერიალურ მხარეს განიხილავს ფონეტიკა, ფონოლოგია, დამწერლობის ისტორია, პელოგრაფია. სიტყვის შინაარსობრივ მხარეს ანალიზებს ფილოსოფია, ლოგიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანის თეორია, ფსიქოლოგია. სიტყვის სტრუქტურა, მისი კატეგორიები და ფორმები გრამატიკის შესწავლის საგანია.

ლექსიკოგრაფები ამუშავებენ სხვადასხვა ლექსიკონების შედგენის საკითხებს, განმარტავენ და სისტემაში მოჰყავთ სიტყვები. სტილისტიკა აფასებს სიტყვის ექსპრესიულ და ემოციურ შესაძლებლობებს. ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვა ენის მეტად რთული, მრავალმხრივი და მრავალი ფუნქციის მქონე ერთეულია.

როგორ უნდა განვსაზღვროთ ამ შემთხვევაში საკუთრივ ლექსიკოლოგიის მიჯნა, თუკი უკვე ცნობილია, რომ სიტყვას შეისწავლის ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგები და სხვადასხვა მეცნიერებები? მართლაც, ამის დადგენა დიდი სირთულეს წარმოადგენს. სიტყვაში ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აზრობრივი, გრამატიკული, სტილისტური მნიშვნელობები და ფორმები.

ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების აზრობრივ შინაარსს, მათი გამოყენების სფეროს და ექსპრესიულ-სტილისტურ დახასიათებას, მათ ისტორიასა და ადგილს ენის ლექსიკურ სისტემაში, რადგან ლექსიკა სიტყვების უბრალო ნაკრები კი არ არის, არამედ კონკრეტული ენის ლექსიკური ფონდის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სისტემაა. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექსიკოლოგია წარმოადგენს მეცნიერების დარგს ენების ლექსიკურ სისტემებზე და სიტყვებზე, როგორც ამ სისტემას ელემენტებზე.

ლექსიკოლოგია არაერთგვაროვანია. ის შედგება რამდენიმე განშტობისაგან და შედარებით დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინებისაგან. უწინარეს ყოვლისა, ის შეიძლება დაგვით სემასიოლოგიად (semasiología) და ონომასიოლოგიად (onomasiología). პირველი შეისწავლის სიტყვის შინაარსობრივ მხარეს, სიტყვობრივი ერთეულების მნიშვნელობას, ლექსიკური მნიშვნელობის ტიპებს, სიტყვის სემანტიკურ განვითარებას და ა.შ. ეს სემასიოლოგიის ვიწრო ანუ ლექსიკოლოგიური გაგებაა. ფართო გაგებით კი სემასიოლოგია (ანუ სემანტიკა) მეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას (საგნობრივ მიმართებას), მის აგებულებას და დროში ცვალებადობას. სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, მნიშვნელობათა კლასიფიკაციას, სიტყვის შინაარსობრივი მხარის აგებულებას, ენობრივი ნიშნის ბუნებას და მისი კვლევის მეთოდებს. ონომასიოლოგია სიტყვებს შეისწავლის, როგორც საგანთა (და მოვლენათა) სახელწოდებებს, აგრეთვე, საგნებისა და ცნებების ლექსიკური საშუალებებით აღნიშვნის კანონზომიერებებს და სიტყვობრივი ერთეულების ტიპებს. კონკრეტული სიტყვის სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური დახასიათება და ერთგვაროვანი ლექსიკური პლასტები განუყოფელია და კანონზომიერ ურთიერთკავშირშია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანწილად რუსი ლინგვისტების მეშვეობით, ჩამოყალიბდა ლექსიკოლოგიის ახალი განშტოება, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ფრაზეოლოგიას (fraseología). ის შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, რომლებიც მარტივი სიტყვების მსგავსად იწარმოება მეტყველებაში და თავისი მნიშვნელობით შეიძლება წარმოადგენდეს ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულის ეკვივალენტს. საუბარია ისეთ გამონათქვამებზე, როგორიცაა cabeza de turco (განტყვევის ვაცი), echar de menos (მონატრება), estar de monos (იყო ნახუბარი), a gatas (ოთხფეხზე) და ა.შ. ფრაზეოლოგია ფართოდ განვითარდა და პრეტენზიას აცხადებს დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის სტატუსზე.

ონომასტიკა (onomástica) იკვლევს ყოველგვარ საკუთარ სახელებს. ის განიხილავს სახელებს (როგორც ადამიანების, ისე ცხოველების), გვარებს, მამის სახელებს, მეტსახელებს და გეოგრაფიულ დასახელებებს.

ლექსიკის შესწავლა ხდება ორგვარად: სინქრონიულად და დიაქრონიულად. პირველ შემთხვევაში სისტემა განიხილება თანამედროვე მდგომარეობაში (აუცილებლობის შემთხვევაში განიხილება ისტორიული მონაცემებიც). მეორე მდგომარეობა დაკავშირებულია სიტყვების სემანტიკურ და სტრუქტურულ ცვლილებებთან მათი ისტორიული განვითარების პროცესში. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა სპეციალური

ლექსიკოლოგიური დისციპლინა ეტიმოლოგია (etimología), რომელიც შეისწავლის სიტყვის წარმომავლობას.

განსაკუთრებული ადგილია უკავია ლექსიკოგრაფიას (lexicografía) - ენათმეცნიერების დარგს, რომელიც აღრიცხავს ლექსიკონთა ტიპებს, ავლენს მათ მსგავსება-განსხვავებას და აყალიბებს მათი შედგენის პრინციპებს.

ამგვარი მრავალასპექტიანი შინაარსი გააჩნია ლექსიკოლოგიას, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთ დისციპლინას.

განხილული პრობლემების ხასიათისა და კვლევითი მიდგომის მიხედვით ლექსიკოლოგიაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ხუთ ძირითად ნაწილს: **ზოგადი ლექსიკოლოგია**, რომელიც განსაზღვრავს ლექსიკის არსებობისა და განვითარების შედარებით არსებით სტრუქტურულ-სემანტიკურ და ფუნქციონალურ კანონზომიერებებს; **კერძო ლექსიკოლოგია**, რომელიც იკვლევს კონკრეტული ენის სიტყვობრივ შედგენილობას (მოცემული დამხმარე სახელმძღვანელო ამ ასპექტშია დაწერილი); **ისტორიული ლექსიკოლოგია**, რომელიც განიხილავს სიტყვების ისტორიას მათ მიერ დასახელებულ საგნებთან და მოვლენებთან კავშირში; **შედარებითი (შეპირისპირებული) ლექსიკოლოგია**, რომელშიც შედარებულია (შეპირისპირებულია) ლექსიკის ერთეულები და ცნებები, ან სტრუქტურულად მსგავსი სიტყვების ჯგუფები, ენების ნათესაობისა და ენების სისტემაში დამთხვევა- განსხვავების განსაზღვრისათვის; **გამოყენებითი ლექსიკოლოგია**, რომელიც დაკავშირებულია ლექსიკოგრაფიასთან, მეტყველების კულტურასთან, პედაგოგიკასთან, თარგმანის თეორიასა და პრაქტიკასთან.

აღნიშნულ ნაშრომში დაშუქებულია ლექსიკოლოგიის ძირითადი პრობლემები, ცნებები და კატეგორიები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხება პრაქტიკულად ყველა მის დარგებსა და განშტოებებს. ესპანური ენის მასალაზე განიხილება სიტყვის, როგორც ძირითადი ენობრივი ერთეულის, არსებითი დახასიათება და სოციალური, პროფესიული, ისტორიული, დროებითი, მზარდი, ემოციონალურ-ექსპრესიული და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ლექსიკური მნიშვნელობის ტიპებისა და ლექსიკური პლასტების ფორმირებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებები.

თავი I. ესპანური ლექსიკის ძირითადი სემანტიკური დახასიათებები

§ 2. სიტყვის დახასიათება და დეფინიცია

სიტყვა – მატერიალური ერთეულია, რომელიც განუყოფელ კავშირშია აზროვნებასთან. ის შედგება ბგერებისაგან, რომელიც წერილობით ასოებით გამოისახება. ჩვენი გრძნობების ორგანოები, სმენა და მხედველობა აღიქვამენ სიტყვის ამ მატერიალურ გარსს, მის ნივთიერად არსებულ რეალურ ფორმას, მის ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურას.


მაგრამ სიტყვაში არის რაღაც იდეალურიც. მასში, როგორც წესი, მატერიალიზებულია, “განივთებულია” ცნება, რომელიც სამყაროს ასახვის ერთ-ერთი ფორმათაგანია. სიტყვის შინაარსში, მის სემანტიკურ სტრუქტურაში განმტკიცებულია აგრეთვე ადამიანის შეგრძნებების, აღქმებისა და წარმოდგენების განზოგადებული გამოცდილება. სხვაგვარად რომ თქვათ, სიტყვაში მატერიალიზებულია ადამიანის ცნობიერების, მათ შორის აზროვნების შედეგები. სიტყვაში შემონახულია კაცობრიობის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ყველაფერ არსებითზე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიტყვას, წარმოადგენს რა ენის ძირითად ნაწილს, გააჩნია მნიშვნელობისა (რომელიც სიტყვაში განსაზღვრავს სიტყვის ფუნქციასა და სპეციფიკას) და მეტყველების მატერიალური ერთეულები, აგრეთვე სიტყვის ურთიერთკავშირის თვისება ენის სხვა ერთეულებთან. სიტყვის გრამატიკულ სტრუქტურაში დამკვიდრებულია ფორმები, რომელიც მას მეტყველებაში საშუალებას აძლევს ურთიერთიმოქმედოს სხვა სიტყვებთან და გამოხატოს განსხვავებული კატეგორიული, დროებითი, შეფასებითი, ემოციონალური და სხვა მნიშვნელობები. სიტყვის აფიქსებში გამოხატულია აგრეთვე ენის ნორმები და კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ თვითონ სიტყვის, სიტყვაშეერთებების და წინადადებების წარმოქმნისა და მიღების ხერხებს.

სიტყვა წარმოადგენს ფორმისა და შინაარსის, ანუ გამოსახვისა და შინაარსის ხერხების ერთიანობას. ადამიანის ცნობიერების საშუალებით ის დაკავშირებულია სინამდვილესთან და კონკრეტული ენის სისტემაში შედის როგორც მისი ძირითადი მნიშვნელობის ერთეული. სინამდვილე, ცნება, სიტყვა, ენა წარმოქმნის თავისებური დამოკიდებულების სიტემას, რომელშიც ურთიერთიმოქმედებენ ლინგვისტური (ენის) და ექსტრალინგვისტური (ენის გარეშე) ფაქტორები.

სიტყვას, ცნებასა და საგანს შორის სემანტიკურ დამოკიდებულებას ჩვეულებრივ გამოსახავენ ოგდენისა და რიჩარდსის ე.წ. სამკუთხედის სახით, რომელიც მოცემულია მათ ცნობილ წიგნში “მნიშვნელობის მნიშვნელობა”. შემდგომში, ლინგვისტები მხოლოდ სამკუთხედის წვეროების ტერმინებს ცვლიდნენ და ქმნიდნენ დეფინაციების ინტერპრეტაციის და ამ სქემის სამ ერთეულს შორის დამოკიდებულების სხვადასხვა ვარიაციებს. ქვემოთ მოყვანილ სამკუთხედში წვეროები აღნიშნულია უფრო მეტად

გავრცელებული დასახელებებით. დიაგრამის შემდეგ კი, მოცემულია სხვადასხვა შრომებში გამოყენებული სინონიმური ტერმინები.



ცნება, შინაარსი, კონცეპტი, აღმნიშვნელი, სიგნიფიკატი, დესიგნატი – concepto, pensamiento, significado, sentido, designación, referencia, noción.

სიტყვა, სიმბოლო, სახელი, აღმნიშვნელი, გამოსახვა – palabra, símbolo, nombre, significante.

საგანი, რეფერენტი, დენოტატი – cosa, referente, realidad.

რასაკვირველია, მსგავსი სინონიმის, რომელიც ასე ჩვეულებრივი გახდა ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში, ხშირად არ ასახელებს მეცნიერული ნაშრომების ზუსტ აღქმას. საქმეს ისიც ართულებს, თუ ტერმინი ამასთან ერთად მრავალმნიშვნელოვანიცაა. მაგალითად, დენოტატი შეესატყვისება არა მარტო ცნება რეფერენტს ან საგანს, არამედ ასახელებს მნიშვნელობის შემეცნებით ბირთვს, “ექსტენსიონალის ელემენტს” (ანუ მრავალი ობიექტი, რომელსაც გააჩნია უნარი გამოიხატოს აღნიშნული ენობრივი ერთეულით) და ცნების მოცულობასაც.

აშკარაა, რომ დამოკიდებულება ცნებასა და მის გამომხატველ სიტყვას შორის ატარებს კერძო ლინგვისტურ, შიდაენობრივ ხასიათს და მათ შეიძლება ვუწოდოთ სიგნიფიკატურები.

უფრო რთული კავშირებია ცნებასა და საგანს შორის. ამ დამოკიდებულებას ზოგჯერ განსაზღვრავენ როგორც დენოტატიურს. აზრის საგანი მიეკუთვნება ექსტრალინგვისტურ სფეროს, ის ადამიანის აზროვნების ობიექტური სინამდვილის ნაწილია, რეალურის ან ირეალურის. ის მატერიალური, სოციალური ან სულიერი სამყაროს ნაწილია. ცნება ამ საგანზე ფორმირდება ან მოტივირდება საზოგადოებრივი

ყოფის პროცესში, აქტიური ადამიანური შემეცნების და შეგრძნებების გამოცდილების შედეგად. სიტყვა თანაფარდობაშია საგანთან მხოლოდ თვით სიტყვაში მატერიალიზებული ცნებით. ამიტომ სამკუთხედში კავშირი სიტყვა-ცნება-საგანი წარმოდგენილია სწორი უწყვეტი ხაზებით.

დამოკიდებულება სიტყვასა და საგანს შორის აღნიშნულია წყვეტილი ხაზებით, რადგან სიტყვასა და მის მიერ დასახელებულ ობიექტს შორის არ არის პირდაპირი კავშირი და ეს დამოკიდებულებები წარმოადგენს არამოტივირებულს. სიტყვა, როგორც წესი (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ბერამიმსგავსებული სიტყვები) წარმოადგენს საგნის ნებისმიერ ნიშანს, რადგან საგანი არ აპირობებს სიტყვის არც ქდერადობას და არც მათ დაწერას.

მაგრამ სიტყვა ყოველთვის მოტივირებულია იმ თვალსაზრისით, რომ მუდმივად არსებობს შეგნებული კავშირი ენასა და ცნებას შორის და აქედან დასახელებულ საგანთან, სიტყვა მოტივირებულია შიდაენობრივ სისტემაშიც, რადგად ის ექვემდებარება სიტყვაშეერთებების, სიტყვაცვალებადობის და სიტყვაგამოყენების კანონებს.

განხილულ სისტემაში გამოხატულია სიტყვის ნიშნების ხასიათი, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს აზრის ნიშან-სიგნალს და ამასთან ერთად, საგნის ნიშან-სიგნალსაც. ეს ეთანხმება ი. პ. პავლოვის სწავლებას მეორე, ანუ სიტყვიერ სასიგნალო სისტემაზე. გამოჩენილი ფიზიოლოგი წერდა: “ადამიანისათვის სიტყვა არის ისეთივე რეალური პირობითი გამღიზიანებელი, როგორც ცხოველებთან საერთო მისი სხვა დანარჩენი გამღიზიანებელი, მაგრამ, ამასთან ერთად, ისეთი მრავლისმომცველიც, როგორც არცერთი სხვა, რომელსაც ამ მხრივ ვერ შეედრება ვერც რაოდენობრივად და ვერც ხარისხობრივად ცხოველების პირობითი გამღიზიანებლები”. სიტყვის განსაკუთრებული უნიკალური ნიშნის ბუნება არ ეწინააღმდეგება ენის ცნებას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას და როგორც რეალურ და პრაქტიკულ ცნობიერებას. “თუ ჩვენთვის ნიშანი – ორმხრივი, მატერიალურ-იდეალური ერთეული – სოციალური ინფორმაციის მატარებელია და თუ ნიშნის იდეალური მხარე სხვა არაფერია, თუ არ სინამდვილის ასახვა ადამიანის ცნობიერებაში – ენის ნიშნების აღიარება არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის დიალექტურ-მატერიალისტურ გაგებასთან.”

სიტყვაში მატერიალიზებულია ცნება. მაგრამ ცნება არა წმინდა ლინგვისტური, არამედ ენასთან დაკავშირებული ფილოსოფიური და ლოგიკური კატეგორიაა. ენათმეცნიერები სიტყვაში გამოყოფენ მეორე, საკუთრივ ლინგვისტურ კატეგორიას – ლექსიკურ მნიშვნელობას, რომელიც გამოხატავს როგორც ცნების შინაარსს, ისე ემოციონალურს და შეფასებისას. ცნებასა და მნიშვნელობას შორის ურთიერთკავშირზე

უფრო დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ. ამჟამად კი მისი მოხსენიება დაკავშირებულია ლექსიკოლოგიის ძირითადი ობიექტის – სიტყვის განსაზღვრასთან.

ყოველდღიურ პრაქტიკაში ნებისმიერი ადამიანი იყენებს მშობლიური ენის სიტყვებს და შეუცდომლად ანსხვავებს მას სხვა ენობრივი ერთეულებისაგან. მაგრამ სიტყვას არ გააჩნია მეცნიერული განსაზღვრება, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების ლინგვისტებისათვის. სიტყვის დეტერმინაციის სირთულე გამოწვეულია მისი ბუნებით, მისი დიალექტიკურად წინააღმდეგობრივი არსით. სიტყვაში ერთმანეთშია შერწყმული საკუთრივ ენობრივი ერთეულები - კატეგორიები, ფორმები, დამოკიდებულებები – და ექსტრალინგვისტური სოციალური მნიშვნელობები, რომლებშიც ასახულია საზოგადოებრივი ყოფის ფაქტები და ყველაფერი ის, რაც შეიცნო ადამიანმა ბუნებისა და საზოგადოების სამყაროში. თანამედროვე ლინგვისტიკაში სიტყვის განსაზღვრისათვის არსებობს რვა ათეული კრიტერიუმი. მათგან შეიძლება გამოვყოთ სიტყვის არსის აღწერისა და მისი დეფინაციის სამი ძირითადი მიდგომა: 1. სიტყვა, ლინგვისტიკის თვალსაზრისით განიხილება მხოლოდ ნაწილობრივ მაშინ, როცა პრობლემის გადაწყვეტა მთლიანობაში გადადის მომიჯნავე მეცნიერების – ფილოსოფიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა სფეროში. 2. სიტყვა განიხილება მხოლოდ ერთისმხრივ. ამის შესაბამისად, მას აძლევენ განსაზღვრებას როგორც ფონეტიკურ ერთეულს, მორფოლოგიურის, ფუნქციონალურს და სხვ. 3. სიტყვა განიხილება მრავალმხრივად, მაგრამ ცალკე აღებული ენისათვის ძირითადი დაყრდნობა ხდება მის თავისებურებზე.

სიტყვის, როგორც ლექსიკური ერთეულის განსაზღვრისას, გარდა ზემოთაღნიშნული დახასიათებებისა, საჭიროა გავითვალისწინოთ სიტყვის განსხვავება მორფემისაგან, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მნიშვნელობის ერთეულს, მაგრამ სხვა დონისას. ლექსიკურ მნიშვნელობებში გამოსახულია რეალური სამყაროს და ადამიანის ცოდნა მთელი კონტინუუმის მატერიალური და სოციალური ობიექტები. მორფემის შინაარს წარმოადგენს გრამატიკული კატეგორიები და სხვადასხვა რაოდენობრივი, დროებითი, ნიშან-თვისობრივი, მოდალური და ა.შ. აბსტრაქციები. მორფემა არ ფლობს ავტონომიურობას, ის ჩვეულებრივ გამოიყენება სიტყვის შემადგენლობაში.

ა. ი. სმირნიცკი სამართლიანად უსვავდა ხაზს, “რომ არაღექსიკური მორფემა საერთოდ არ შეიძლება იყოს, რადგან ყოველი ერთეული (მხედველობაშია მიღებული მორფოლოგიური) . . . არის რაიმე სიტყვის რეალური შემადგენელი ნაწილი.” ამიტომ, მორფემებიც კი, რომელთაც გააჩნიათ გრამატიკული მნიშვნელობები, წარმოადგენენ არა გრამატიკულებს, არამედ ლექსიკოგრაფულებს, ანუ თავისთავში მოიცავენ ლექსიკურ და გრამატიკულ მომენტებს.” სიტყვა არის ენი ავტონომიური, დამოუკიდებელი ერთეული,

თუმცა მისი ავტონომიურობა შეიძლება შეზღუდული იყოს სიტყვის სხვა სიტყვებთან შეერთების არსებული კანონზომიერებებით.

სიტყვის დამოუკიდებლობის ან განცალკევების ნიშან-თვისება იმაში ვლინდება, რომ სიტყვა ყოველთვის გრამატიკულად გაფორმებული ლექსიკური ერთეულია, რომელიც მიეკუთვნება სიტყვების კონკრეტულ ლექსიკო-გრამატიკულ კლასს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ყოველთვის მეტყველების გარკვეული ნაწილია. როგორც მეტყველების ნაწილს, სიტყვას გააჩნია თავისი გრამატიკული კატეგორიების ნაკრები და მათი შესაბამისი ცვლადი ან სტაბილური ფორმები და ექვემდებარება სიტყვაშეერთების წესებს. მისი ლექსიკური მნიშვნელობა თითქოს “ჩაკეტილია” განსაზღვრულ გრამატიკულ ჩარჩოებში. უფრო ხშირად სიტყვის, როგორც მეტყველების ნაწილის “გამფორმებლები” არიან მორფემები.

“ამგვარად, ამა თუ იმ სიტყვის ინდივიდუალური, კერძოდ, ლექსიკური კონკრეტული მნიშვნელობა თითქოს ხდება აღჭურვილი უფრო ზოგადად ცნობილი, უფრო აბსტრაქტული, ობიექტურად გამოსატლელი დამატებითი მნიშვნელობებით. ამასთან დაკავშირებით, ენის გრამატიკულ წყობასთან მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით განსხვავებულ სიტყვებს თითქოსდა გამოეყოფა განსაზღვრული ადგილი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ეს ნიშნავს, რომ სიტყვები ხდებიან გრამატიკულად (როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსურად) გაფორმებულები, განსაზღვრული წესით შეგუებულები მათი ერთობლივ ფუნქციონირებასთან გამართულ, გააზრებულ მეტყველებაში. სწორედ ამ გაფორმებით სიტყვას ეძლევა გარკვეული სისრულე, რომელიც საშუალებას გვაძლევს საკმაოდ ადვილად და მკაფიოდ გამოვყოთ იგი მეტყველებიდან.

სიტყვას გააჩნია მთლიანადგაფორმების ნიშან-თვისება, რაც განსხვავებს მას სიტყვაშეერთებისაგან. მთლიანად გაფორმება წარმოიქმნება მისი აზრის სისრულისაგან და მისი განსაზღვრული მეტყველების ნაწილისათვის მიკუთვნებისაგან, სიტყვის შინაგანი მორფოლოგიური შერწყმისა და სიტყვაშეერთებების სიტყვებად დაყოფის მსგავსად მისი ორ ან მეტ სხვადასხვა მნიშვნელობად დანაწევრების შეუძლებლობისა. თუ *limpiadientes* (კბილის ჯაგრისი) -ის ან *guardacabras* (თხის მწყემსი)-ის მაგივრად დავწერთ, შესაბამისად, *limpia dientes* და *guarda cabras*, მაშინ ეს იქნება უკვე არა არს. სახელები, არამედ შემდეგი მნიშვნელობის ფრაზი: “ის იხეხავს კბილებს” და “ის მწყემსავს თხებს”. მ შეერთებებში სიტყვებს შეუძლიათ თავისი ფორმის შეცვლა (*limpian, limpiaron, limpiaba, ha limpiado, etc.;* *dientes* ან *guarda una cabra, guardan cabras, había guardado cabras, guardarán cabras, etc.* და სხვ.).

ეს მარტივი მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებენ სიტყვაშეერთებების ცალ-ცალკე გაფორმებასა და სიტყვის მთლიანადგაფორმებას.

მაგრამ სიტყვა მეტყველებაში შეთანხმებულია სხვა სიტყვებთან და როგორც უკვე აღინიშნა, გადმოგვცემს დროებით, რაოდენობრივ, მოდალურ და სხვა გრამატიკულ ინფორმაციას. ესპანურ ენაში ის ჩვეულებრივ გადმოიცემა სიტყვის დაბოლოებების ან ბოლო ფორმანტების მეშვეობით. ასე წარმოიქმნება სიტყვის იგივეობის პრობლემა ანუ, გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაში, მისი ფორმის ცვლილებისას ერთი და იგივე სიტყვის უცვლელობა. სიტყვის იგივეობა - ეს არის შესაძლებლობა მისი კვლავწარმოებისა, განმეორებისა მეტყველების ურცხვ ასპექტებში იმ შინაარსის დაუკარგავად, რომელიც მის მიმართ ცნობიერებაში გააჩნიათ ამ ენის მატარებლებს. სიტყვის კვლავ წარმოება და იგივეობა - ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების არსებობის აუცილებელი პირობაა. “რომ გავიგოთ სხვისი მეტყველება - წერდა სმირნიცკი - აუცილებელია წინასწარ ვიცოდეთ ყველაფერი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი შემადგენელი ნაწილების უმრავლესობა მაინც, ანუ აღვიქვათ მისი შემადგენელი ნაწილები, როგორც უკვე ცნობილი კვლავწარმოებული ერთეულები. სხვადავად რომ ვთქვათ, აუცილებელია მათი გაიგივება განსაზღვრულ ცნობილ ერთეულებთან.

სიტყვა იდენტიფიცირდება როგორც თავისი თავის მსგავსი, ყველა საკუთარ ფორმებში, ნაირსახეობებსა და ვარიანტებში. მაგ: ჩვეულებრივ ესპანურ ზმნას გააჩნია 115-მდე განსხვავებული გრამატიკული ფორმა (ვნებითი გვარის ფორმების ჩათვლელად, რომლებიც თეორიულად კიდევ უფრო მეტია): trabajo, trabajas, trabaja, etc., trabajab, trabajabas, trabajaba, etc., he trabajado, has trabajado, ha trabajado და სხვ. ყველა ეს სიტყვაფორმები წარმოებულია ძირითადი ზმნა trabajar-ის ძირეული ფორმიდან, რომელსაც გააჩნია I უღლების ზმნებისათვის დამახასიათებელი ერთიანი გრამატიკული პარადიგმა (ანუ ერთი სიტყვის სისტემის ფორმა). სხვადასხვა ლექსიკო-გრამატიკულ კლასებს თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული უღლების, ბრუნვის, რიცხვის მიხედვით ცვლილების და ა.შ. პარადიგმები გააჩნიათ. გრამატიკული მნიშვნელობები არ არღვევენ ლექსიკური ერთეულის შინაარსს, ხოლო სიტყვის განსხვავებული გრამატიკული ფორმები არ კარგავენ მის თავისთავადობას.

ამასთან დაკავშირებით, უნდა მოვიხსენიოთ ტერმინი “ლექსემა”, რომელიც გამოიყენება ზოგიერთ ლინგვისტურ შრომებში. მასში იგულისხმება, რომ “სიტყვა განიხილება, როგორც თავის კონკრეტულ გრამატიკულ ფორმასთან შერწყმული ენის ლექსიკური შედგენილობის ერთეული, მათი ფლექსიის და აგრეთვე შესაძლო აზრობრივი ვარიანტების გამომხატველი.” სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფლექციურ ენებში ლექსემას წარმოადგენს სიტყვაფორმების მთელი სისტემა, სიტყვის გრამატიკული პარადიგმის ყველა რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში, თანდებული en და კავშირი pero წარმოადგენენ სიტყვებს

და არა ლექსემებს, რადგან მათ არ გააჩნიათ არანაირი სხვა სიტყვაფორმები, არა აქვთ პარადიგმები. Trabajo და trabajas – არის ორი მარტივი სიტყვა, მაგრამ ერთი ლექსემა. Mujer და კინობითი mujercita – აქაც ორი სიტყვა და ერთი ლექსემა გვაქვს. მტკიცე შეთანხმება niño mimado (ნებიერა, გამორჩეულად საყვარელი) წარმოადგენს ორი სიტყვისაგან წარმოქმნილ ერთ ლექსემას, უფრო სწორად, ორი ლექსემიდან, რადგან ამ გრამატიკული კონსტრუქციის ორივე კომპონენტს შენარჩუნებული აქვს მრავლობით რიცხვში გამოყენების უნარი: *niños mimados*.

ტერმინი “ლექსემა” შეიძლება სხვაგვარადაც იქნეს გაგებული. ფრანგი ფილოლოგის მარტინეს ლინგვისტური თვალსაზრისის მიმდევრები ლექსემას უპირისპირებენ მორფემას, პრაქტიკულად უტოლებენ სიტყვის ძირის ცნებას და წარმოადგენენ მთელი სიტყვაწარმოქმნის ბუდეს სახით. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში ლექსემა შედის ისეთი ტერმინების ცნებების ჯაჭვში, როგორცაა გრამემა – *gramema* (გრამატ. კატეგორიის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც მიეკუთვნება მას როგორც სახეობრივი ცნება გვართან მიმართებაში), სემა – *sema* (შინაარსის მინიმალური ერთეული, სემემის კომპონენტი), სემემა – *semema* (სიტყვის ელემენტალური მნიშვნელობა; სხვაგვარად: სიტყვის ლექსიკო-სემანტიკური ვარიანტი), ლექსია – *lexia* (ნებისმიერი წარმოებული და არა ორგანიზებული ლექსიკური ერთეული მეტყველებაში) და ა.შ. ტერმინებს “ლექსემა”, “ლექსია”, პრაქტიკულად მიჟვევართ ტერმინი “სიტყვის” გაუქმებამდე და მისი მეშვეობით გამოხატული ცნებაც, ისევე როგორც “სემემა”, აუქმებს ლექსიკური მნიშვნელობის ცნებას, აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელი დაწერილია ტრადიციულ ტერმილოგიურ სისტემაზე დაყრდნობით.

სიტყვას შეიძლება გააჩნდეს თავისებური სახეცვლილებები. ეს ერთი და იგივე სიტყვის ე.წ. ვარიანტებია, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ საერთო ძირეული ნაწილი და ერთნაირი სემანტიკური შინაარსი. ასეთი ვარიაციებისას აგრეთვე შენარჩუნებულია სიტყვის იგივეობა.

ესპანური ენის ტერიტორიალურმა ვარიანტობამ ხელი შეუწყო ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნას. ლათინური ამერიკის ესპანურენოვან ქვეყნებში გავრცელებულია seseo-ს მოვლენა, რომელიც პრაქტიკულად იქცა ფონეტიკურ “პანამერიკანიზმად”. მისი დედაარსი მდგომარეობს ენისწინა კბილებსშორის ნაპრაღის თანხმოვანი თ-ს მონაცვლეობაში ენისწინა ალვეოლარული ნაპრაღის თანხმოვან s-ით. ამ მოვლენამ ზოგადესპანურ ენობრივ დონეზე წარმოქმნა სიტყვის ვარიანტები, როლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ბგერით: *cero [θero] – cero [sero], cerveza - servesa, zumo - sumo* **გვ.12.**

მეორე ფონეტიკური მოვლენაა yeísmo (ენისშუა გვერდითი სონანტის ჯ-ს, დამწერლობაში გამოსახული ll-ით, შენაცვლება ენისშუა ნაპრალოვანი სონანტით y), რომელმაც გავლენა მოახდინა ისეთი სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტებზე, როგორიცაა **llamar [ɫamar], llamar [yamar], გვ.12.**

არგენტინის, ურუგვაისა და ზოგიერთი სხვა რეგიონისათვის დამახასიათებელია žeísmo, როცა სიტყვებში გვერდითი ენისშუა სონანტის (ლ) მაგივრად წარმოითქმება მჟღერი ნაპრალოვანი ენისწინა ბგერა: **llamar [ɫamar] – llamar [žamar], გვ.12.**

ამგვარად, yeísmo და zeísmo-ს მოქმედებით წარმოიქმნება სიტყვის სამი ფონეტიკური ვარიანტი: **llamar- [ɫamar], llamar- [yamar] გვ.12.**

ესპანურ ენაში არის სიტყვები, რომლებიც არსებობს ორ ფონეტიკო-ორთოგრაფიულ ვარიანტში და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ მახვილით. ესპანური აკადემია მათ ნორმის შესაბამისად მიიჩნევს, თუმცა უპირატესობას აძლევს იმ ფორმებს, რომლებიც ქვემოთ მოყვანილ მოკლე ცხრილშია მეორე. **გვ.12. áloe – aloe - ალოე (ასწლოვანა).**

პრინციპში, შეიძლება გამოვყოთ წმინდა ორთოგრაფიული ვარიანტები, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოიქმნება ნასესხები სიტყვების წერისას. ასე მაგ: ლათინური ანბანის უკანასკნელი ასო შეილება დაიწეროს ceta, zeta, და zeda; სიტყვა ზენიტი იწერება cenit და zenit. არსებობს სიტყვა ბიშტექსის დაწერის სამი შესაძლო ვარიანტი: biftek, bifstek, beefsteak. სნობი იწერება როგორც snob ან esnob, ვისკი – whiskey, whisky, güisky. პ.ი. ჩაიკოვსკის გვარი დაგმოიცემა ხან როგორც chaicovski, ხან როგორც tchaikowsky და ა.შ.

სიტყვის მორფოლოგიური ვარიანტები წარმოიქმნებიან განსხვავებული გრამატიკული ფორმებით. ამასთან, შენარჩუნებულია მათი საერთო გრამატიკული მნიშვნელობა. ასე მაგალითად, ზოგიერთ ლათინოამერიკულ რეგიონებში წარმოიქმნა არს. სახელთან გრამატიკულად ურთიერთსაწინააღმდეგო ვარიანტები: columpio (საქანელა) - columpia, vuelva (ჩაბარება) – vuelto, porción (f. ნაწილი) – porción (m.), sarten (f. ტაფა) – sarten (m.), bombilla (ელ. ნათურა) – bombillo და სხვ.

დაბოლოება s-ს ჩამოცილების შედეგად გაჩნდა ლათინოამერიკული ვარიანტები ისეთი ტიპის რთულ სიტყვებში, როგორიცაა guardacostas (საგუშაგო გემი), el paraguas – (el) paragua (ქოლგა წვიმისათვის), el sacacorchos – sacacorcho (შტოპორი, კორპსადრობი), el sacaclavos – sacaclavo (ღურსმნისსადრობი) და სხვ.

მორფოლოგიურ ვარიანტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. voseo-ს (ნაცვალსახელი vos-ის გამოყენება tú-ს ნაცვლად) გავლენით წარმოქმნილი ზმნები II პირის მრ. რიცხვში,

რომლებიც განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ. ეს ფორმები გავრცელებულია არგენტინაში, ურუგვაიში, პარაგვაის დიდ ნაწილში, გვატემალაში, გონდურასსა და სხვა ზონებში. ვარიანტული ფორმები გახდნენ: *cantas - cantás, comes –comés, vives –vivís, cantes – cantés, comas – comás, vivas – vivás* და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს შემდეგი სამუშაო განსაზღვრება მიეცეთ სიტყვას: სიტყვა - ენის ძირითადი დამოუკიდებელი, ლექსიკო-გრამატიკულ კლასთან თანაფარდი ერთეულია, რომელიც შეიცავს ტრადიციულად განმტკიცებულ ლექსიკური მნიშვნელობების ნაკრებს და ემსახურება წინადადებაში აზრის ფორმირებასა და ცნობების გადაცემას.

სიტყვის ზემოთმოყვანილი სამუშაო განსაზღვრება საჭიროებს მცირეოდენ კომენტარებს სიტყვის დამოუკიდებელი ცნების მიმართ. სიტყვის სრულად გამფორმებლობა და მისი თვისება განსხვავებული მეტყველების პირობებში შეინარჩუნოს იგივეობა აძლევს მას გარკვეულ ავტონომიურობას, დამოუკიდებლობას, რომელიც ვლინდება პოზიტიურად და სინტაქსურად. პოზიტიური დამოუკიდებლობა “მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვას მეტყველების ჯაჭვში არ გააჩნია “შკაცრი”

სწორხაზოვანი კავშირი მეზობელ სიტყვებთან, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებლადანელია მისი გამოყოფა “მეზობლებიდან” სხვა სიტყვის ან სიტყვების ჩართვით, ფართო (მაგრამ არააბსოლუტური) მოძრაობისა და წინადადებაში სიტყვის გადანაცვლების უნარი”. მართლაც, მაგალითად ფრაზაში: *Un ómnibus se detuvo junto al edificio* შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მსგავსი ტრანსფორმაციები: *El ómnibus lleno de gente se detuvo junto a nuestro instituto; Se detuvo un ómnibus junto al edificio del instituto; Un ómnibus, me parece, se detuvo junto a este instituto.*

სინტაქსური დამოუკიდებლობა იმაში მედგანდება, რომ მეტყველებაში სიტყვა ასრულებს რაღაც სინტაქსურ ფუნქციას, ან წარმოადგენს წინადადების წევრს, ან თვითონ შეადგენს ერთსიტყვიან წინადადებას. მაგრამ, ენაში არის რიგი სიტყვებისა, რომლებსაც არ გააჩნიათ სინტაქსური დამოუკიდებლობა. ესაა თანდებულები, კავშირები, არტიკლები, ნაწილაკები, ანუ ის სიტყვები, რომლებსაც ჩვეულებრივ უწოდებენ დამხმარეს (*palabras auxiliares, dependientes*) და რომლებიც სემანტიკურად და სინტაქსურად დაპირისპირებული არიან სრულმნიშვნელოვანი სიტყვების კლასთან (*palabras significativas, independientes*).

ნებისმიერ განვითარებულ ენაში ასე ათასეულობით სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა. ესპანურ ენაში მათ მიეკუთვნება არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნები და ზმნიზედები. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები აღნიშნავენ სულიერ და უსულო ობიექტებს, მოქმედებებს, ხარისხებს, მდგომარეობებს,

მეცნიერულ ცნებებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ შეცნობილ ყველა გააზრებულ საგანს. არსებითი სახელი გამოხატავს საგნის გააზრებულ კატეგორიებს და სუბსტანციებს; ზედსართავი სახელი – ხარისხს და ნიშან-თვისებებს; ზმნაში შეთანხმებულია მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის პრედიკაციების კატეგორიები; მზნიზედა გამოხატავს ხარისხის, დროისა და სივრცის კატეგორიებს; რიცხვით სახელებში გამოხატულია რიცხვის, რიგის და ჯერადობის კატეგორიალური მნიშვნელობები.

დამხმარე სიტყვები სხვაგვარია. ისინი დაგმოგვცემენ სინამდვილის მოვლენებს შორის დამოკიდებულებას, ენის თვალსაზრისით კი – დამოკიდებულებას მეტყველების ნაწილებს შორის, ანუ მნიშვნელოვან სიტყვებსა და წინადადებებს შორის და ანიჭებენ გარკვეულ ელფერს. დამხმარე სიტყვების რაოდენობა ვერ შეედრება სრულმნიშვნელოვან სიტყვებს. დამხმარე სიტყვები მხოლოდ რამდენიმე ათეულია. ესპანურ ენაში მხოლოდ 18 მარტივი თანდებული და რამდენიმე ათეული წინდებულებიანი გრამატიკული კონსტრუქციაა, სამი არტიკლი (თავის საწყის ფორმაში), ორმოცდაათზე მეტი კავშირი (და კავშირშეთანხმებები) და რამდენიმე ნაწილაკია. თუმცა, დამხმარე სიტყვების კომინუკაბელური როლი დიდია.

დამხმარე სიტყვები მთლიანობაში არ არიან მოკლებულნი ექსტრალინგვისტურ შინაარსს. მათი ნაწილი გამოხატავს რეალურად არსებულ განსაზღვრულ ობიექტურ, სივრცობრივ, დროებით და სხვ მდგომარეობით დამოკიდებულებებს (*estoy en la estación, voy a la estación, vengo de la estación. Dibujo con lápices. He visto a Marta.*)

ზოგიერთები აწარმოებენ მოდალურ ელფერს, რაც განმარტავს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამთან და განსაზღვრავს გამონათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილესთან (“*Fue una gran alegría*” - არტიკლი გამოხატავს ემოციურ-შეფასებით ელფერს; “*Sí, yo lo sé*” - ნაწილაკი ადასტურებს გამოთქმულ აზრს; “*Ahora si podré hacerlo*” – ნაწილაკი აზლიერებს აზრს; “*José no es rebelde sino dócil*” – კავშირი ერთი ცნებას უპირისპირებს მეორეს და ა.შ.)

სინტაქსური დამოუკიდებლობა არც შორისდებულებს (*interjecciones*) გააჩნიათ, რომლებიც წარმოადგენენ თავისებურ უცვლელ მეტყველების ნაწილს და გამოხატავენ გრძნობებს, ემოციებს ისე, რომ არ ასახელებენ არც მათ და არც რაიმე საგნებს ან სინამდვილის მოვლენებს (*¡ah!, ¡ay!, ¡hola!, ¡hurra!* და სხვ.).

“შორისდებული – ემოციონალური განცდების ან ნება-სურვილის მოთხოვნის სიგნალების მხოლოდ სიმპტომებია (ნიშან-თვისებები).”

როგორც ვხედავთ, დამხმარე სიტყვებში მთავარია მათი გრამატიკული მნიშვნელობა, ხოლო შორისდებულები გადმოგვცემენ მხოლოდ ადამიანის ემოციონალურ, ნება-

სურვილის, შეუგრძნობელ სპონტანურ რეაქციას. ამიტომ, ლექსიკოლოგიაში მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცევა დამხმარე სიტყვებსა და შორისდებულებს, ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანია სრულმნიშვნელოვანი სიტყვები.

§ 3 ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება

უფრო დეტალურად განვიხილოთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა და მისი კავშირი ცნებასთან.

ლექსიკურ მნიშვნელობას ხშირად სიტყვის აზრობრივი შინაარსის ინტერპრეტაციას აძლევენ. რა თქმა უნდა, ეს განსაზღვრება ძალიან ზოგადია, მაგრამ ზუსტი. ფილოსოფოსები და ლოგიკოსები ცნებას განსაზღვრავენ, როგორც აზროვნების კატეგორიას, სამყაროს ასახვის ფორმას, რომელიც დაფუძნებულია საგნებისა და ობიექტური სინამდვილის მოვლენების არსებითი ნიშან-თვისებების განზოგადებასთან. ცნებები წარმოადგენენ ცოდნის, აზრობრივი ინფორმაციის ერთეულს. მაგრამ ცნება მატერიალიზდება და მტკიცდება ენობრივ ფორმებში და უწინარეს ყოვლისა, სიტყვის მნიშვნელობაში. მისი შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ენობრივი გამოხატულებით.

ცნებასთან შედარებით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა თავისი მოცულობით, ანუ რეალური სინამდვილის ობიექტებთან თავისი შეფარდებით, როგორც წესი, უფრო ვიწროა, ხოლო თავისი შინაარსით – უფრო ფართო. აქედან გამომდინარეობს, რომ რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობაში შეიძლება დაფიქსირდეს ერთი და იგივე ცნება, მაგრამ თითოეულ ამ მნიშვნელობათაგანს გააჩნია დამატებითი აზრობრივი და სტილისტური იერი. მაგალითად სიტყვები: *mentira, embuste, falsedad, araña, paparucha*.

შეიცავს ცნებას “არართალი, განზრახ გამახინჯებული ჭეშმარიტება”. მაგრამ ლექსიკური მნიშვნელობის თითოეულ მოყვანილ ერთეულს გააჩნია თავისი დამატებითი სემანტიკური და ექსპრესიული იერი. თუკი მენტირა ნიშნავს სიტყვებში ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას და თვითონ ამ სიტყვას, *embuste* – ეს არა მარტო ტყუილი მეტყველებაა, არამედ შეცდომაში შეყვანის მოქმედება და საქციელი; *falsedad* – ნიშნავს ყველაფერს, რაც სიმართლეს მოკლებულია, ამასთან ამ სიტყვას დაკარგავს წიგნიერების ელფერი, *araña* ნიშნავს მოტყეებას, ტყუილს რაღაც ხრიკს, თაღლითობის მიზნით, ხოლო *embeleco* – ცუდლუტობას, ეშმაკობას ნიშნავს, დაბოლოს *paparrucha* – უხეში ტუილი, რომელიც განკუთვნილია გულუბვილობისთვის და თავად სიტყვაც მხოლოდ სასაუბრო მეტყველებაში გამოიყენება. ამგვარად, ცნება “განზრახ დამახინჯებული ჭეშმარიტება” *mentira, embuste, falsedad* და სხვ. სიტყვების საშუალებით შეფარდებულია უამრავ კონკრეტულ ფაქტთან, მოვლენასთან, რეალური სამყაროს მოქმედებასთან, ხოლო

თითოეული ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა – ასეთი ფაქტებისა და მოვლენების გაცილებით უფრო შეზღუდულ რიცხვთან. სამაგიეროდ თვითონ ლექსიკური მნიშვნელობის შინაარსი უფრო ფართოა, რადგან მასში, თვითონ ცნების გარდა, ფიქსირდება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აკონკრეტებს გამოხატული ცნებას და გადმოგვცემს სიტყვის სტილისტურ, ემოციურ და სხვა მსგავსს თვისებებს. ეს მაზუსტებლები არ შედიან თვითონ ცნებაში, მაგრამ შეადგენენ მნიშვნელობის ძირითად ნაწილს. ამიტომაც ამბობენ, რომ სიტყვის მნიშვნელობა თავისი შინაარსითაც და მოცულობითაც ცნებაზე ფართოა.

ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა მაგალითად: cara, faz, jeta (სახე, მოყვანილობა, დრუჩი) ადამიანთან მიმართებაში გამოხატავენ ერთსა და იგივე ცნებას – “თავის წინა ნაწილს”, მაგრამ faz სიტყვის მნიშვნელობაში არის ემოციურ – ექსპრესიული, სახეიმო ელფერი, ხოლო jeta – ში უპატივისცემლობისა და რაღაც ვულგარულის. ისეთ ჩვეულებრივ სიტყვებს, როგორიცაა casa და edificio (სახლი, შენობა), რომლებიც გადმოგვცემენ ცნებას “საცხოვრებელი და სამუშაო ნაგებობა”, გააჩნიათ თავისი აზრობრივი ელფერი. სიტყვა casa ძირითადად გამოხატავს საცხოვრებელს, ხოლო edificio – დაწესებულებას, კანტორას, საწარმოს. როგორც ვხედავთ ცნებები გამოხატავენ საგნების, მოქმედების, მოვლემების მხოლოდ არსებით ნიშან-თვისებას, მხოლოდ იმას, რაც შეადგენს მათ არსს და ზოგად სახეობრივს. ცნების ფუძემდებელი ნიშან-თვისებები ლექსიკურ მნიშვნელობებშიც არის შენარჩუნებული, მაგრამ მათ დამატებული აქვს ნაკლებად არსებითი, თუმცა არანაკლები მნიშვნელობის მქონე ნიშან-თვისებები, რომელიც ფორმირებულია ადამიანის ცნობიერებაში და დაკავშირებულია მის გრძნობებთან და ენასთან.

ამგვარად, აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში ლექსიკური მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება სიტყვის ინფორმატიული (აზრობრივი) შინაარსი, რომელიც ფორმირებულია ცნების საფუძველზე და ამ ენაზე მოსაუბრეთა ცნობიერებაში ზოგადად გამოხატავს განსაზღვრული კლასის ობიექტს, ამასთან სახვადასხვა ემოციურ-ექსპრესიულ, შეფასებით და სხვა სემანტიკურ ნიშნებს (კონოტაციებს).

კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ენის მკვიდრთა ცნობიერებაში ლექსიკურ მნიშვნელობასთან ერთად გამტკიცებულია მისი ცნების ბირთვიც, მაგრამ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხედველობაში მიღებულია ზუსტი მეცნიერული ცნება, რომელიც დამახასიათებელია ტერმინისათვის და რომლითაც სარგებლობენ მეცნიერულ სფეროში. საუბარია ე. წ. ყოფით ცნებებზე. ისინი მეცნიერულთან შედარებით გამარტივებულია და წარმოადგენენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ და საყოველთაოდ აღიარებულ ცნებებს კონკრეტული კლასის არსებებზე, საგნებსა და მოვლენებზე. მაგალითად, რიგითი ესპანელი

ჩვეულებრივ სიტყვა azucena (შროშანი) აღიქვამს, როგორც ცნებას “მცენარე ზარისმაგვარი, დიდი ყვავილებით”, ხოლო სპეციალისტი – ბოტანიკოსი ამ სიტყვას აკავშირებს მეცნიერულ ცნებასთან – “მრავალწლიანი, ბოლქვიანი მცენარე, შროშანისებოთა ოჯახიდან”. ექიმს და პაციენტს განსხვავებული ცნება, აღქმა აქვთ ისეთ ავადმყოფობაზე, როგორიცაა escarlatina (ქუნთრუშა); პირველმა იცის, რომ მას იწვევს ჰემოლიტური სტრეპტოკოკი და თან სდევს ანგინა, ციება, გამონაყარი, კანის შემდგომი აქერცვლით, ხოლო მეორე კმაყოფილდება იმ ცნებით, რომ ეს მწვავე გადამდები დაავადებაა და ზოგიერთი მისი სიმპტომების ცოდნით.

ლექსიკური მნიშვნელობების მდგრადობას დიდად განაპირობებს მასიური ურთიერთობები ცნობიერების დონეზე, ყოფითი ცნებების სიიმარტივე, ხელმისაწვდომობა, აზრთა სიზუსტე. ურთიერთობების მოთხოვნილების, სოციალური, კულტურული-ისტორიული, ფსიქოლოგიური, საკუთრივ ენობრივი და სხვა ფაქტორების გავლენა იწვევს სიტყვების მნიშვნელობების და ენის ლექსიკური სისტემების ცვლილებებს, მნიშვნელობების გაფართოებასა და დავიწროებას, პოლისემიისა და სინონიმის განვითარებას, არქაიზაციას, ომონიმების წარმოქმნას და ა. შ. მეტყველებაში წარმოქმნილი ახალი სიტყვების გამოყენება შეიძლება საფუძველი გახდეს ახალი მნიშვნელობების მქონე სიტყვების განვითარებისა.

ვუპასუხებთ კიდევ ერთ კითხვას: ყველა სიტყვას გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა? ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ენათმეცნიერი ამტკიცებს, რომ საკუთარ სახელებს, ნაცვალსახელებს, დამხმარე სახელებს და შორისდებულებს ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვთ. თუმცა, ჯერ კიდევ სახარებაში მათქვამი იყო: “რამდენი, მაგალითად განსხვავებული სიტყვაა მსოფლიოში და არს ერთი მათგანი არ არის მნიშვნელობის გარეშე” (პირველი ეპისტოლე კორინთელებთან, 14, 10). ლინგვისტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ნებისმიერ სიტყვას გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა, თუმცა ამ მნიშვნელობის ნიშან-თვისებები ერთი სიტყვის შიგნითაც ღი და მითუმეტეს მეტყველების სახვადასხვა ნაწილებში, შეიძლება განსხვავებული იყოს. სრულმნიშვნელოვანი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის ნაწილს რეალიზაციის დროს გააჩნია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მაღალი ხარისხის უნარი. ნაწილის თავისუფლება კი შეზღუდულია მეტყველებაში სიტყვების შეთანხმების წესების გამო. ლექსიკურ მნიშვნელობებს თანდებულებში და კავშირებში გააჩნიათ განსაკუთრებული აბსტრაქტული დონე და მოკიდებულია სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან და ფრაზებთან შეთანხმებაზე. როგორც განსაკუთრებული სიტყვების კლასი-საკუთარი სახელების მნიშვნელობები გადმოგვცემენ ინფორმაციას სახელების ფუნქციაზე და მათ ნაციონალურ მიკუთვნებას.

ნაცვალსახელებში მნიშვნელობებს გააჩნიათ განზოგადების მაღალი ხარისხი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კონკრეტულ კონტექსტში ან სიტუაციაში მეტყველების სხვადასხვა ობიექტებზე ჩვენების, მითითების ხასიათზე. შორისდებულები მოკლებულია ცნების ბირთვის და მათი ლექსიკური მნიშვნელობა დაყვანილია განსაზღვრული სპონტანური ემოციების გამოსატვასთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკურ მნიშვნელობას, ისევე როგორც სიტყვას, გააჩნია მრავალი დეფინიციები. ნ. გ. კომლევა, რომელიც დაწვრილებით იკვლევდა სიტყვის მნიშვნელობის ყველა არსებულ განსაზღვრებას, გამოჰყო ძირითადი მიდგომა, რომლის გარშემოც შეიძლება დავაჯგუფოთ ეს განსაზღვრებები. მნიშვნელობის ძირითადი კონცეფციები შემდეგია: მნიშვნელობა = საგნობრივ-ნივთიერ შინაარსს, მნიშვნელობა=დამოკიდებულებას ნიშანსა და საგანს შორის, მნიშვნელობა=დამოკიდებულება ნიშანსა და წარმოდგენას შორის, მნიშვნელობა= დამოკიდებულება ნიშანსა და ცნებას შორის, მნიშვნელობა= დამოკიდებულებას ნიშნებსა და მოქმედებას შორის, მნიშვნელობა = დამოკიდებულებას ნიშნების შორის, მნიშვნელობა = სიტყვა=ნიშნის ფუნქციას, მნიშვნელობა = ინფორმაციის ინვარიანტს, მნიშვნელობა = სინამდვილის ასახვას (გამოსატვლებას).

ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება იყოს მოტივირებული და არამოტივირებული. ეს დამოკიდებულია სიტყვის ე. წ. შინაგანი ფორმის თავისებურებაზე, რომელსაც კერ კიდევ ვ. ჰუმბოლტი განმარტავდა, როგორც სიტყვის მნიშვნელობის წარმოსახვის ხერხს, ხოლო ა. ა. პოტებნია უწოდებდა მნიშვნელობას ნიშანს: “გრამატიკული ფორმები და ენობრივი სისტემის ელემენტებს შორის დამოკიდებულება განსაზღვრავენ იმ მიჯნას, რომელიც თავისუფალი, არამოტივირებული ნიშნით წარმოდგენილ სიტყვას გამოჰყოფს იმ სიტყვებისაგან, რომელთა მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად მოტივირებულია.

სიტყვების მოტივირებული მნიშვნელობა დაკავშირებულია ნათი წყობის გაგებასთან, ენობრივი სისტემის სიტყვიერ ელემენტებს შორის სემანტიკური დამოკიდებულების ცოცხალ გააზრებასთან.”

მაგალითად, სიტყვები mesa, sol, azul, oir, bosque და სხვ. წარმოადგენენ არამოტივირებულებს, რადგან მათი ჟრერადობიდან და დამწერლობიდან გამომდინარე, არ შეიძლება აიხსნას, რატომ არის mesa – მაგიდა, ხოლო bosque – ტყე. შესაძლოა, ენის ისტორიულ განვითარებაში მათი “სემანტიკური დასაბუტება”, რომელიც ალბათ ამ სიტყვების წარმოქმნის მომენტში გასაგები იყო, დაიკარგა. სხვაგვარადაა სსაქმე ისეთ სიტყვებში, როგორიცაა მესეტა – ზეგანი, სობრემესა - სუფრა, სოლარ – მზიური, აზულეარ – გაცისფრება, გალურჯება, აზულარ – ლურჯად შეღებვამ გალილავება,

ოყენტე – მსმენელი, ბოსცაჯე – უღრანი, დაბურული ტყე, ბოსცაჯეარ – ტყის ხატვა, წერა, გუარდაბოსქუე – მეტყევე, გალლინა – ლაჩარი, მოსცა – მომაბეზრებელი, მახეზარი, ჰაზმერერი – ქვეყნის სასაცილო, მასხარა, ლაზდანდარა; პირდ. თარგმანი “მაიქუდე-მე-გამაცინო”), ცორრევეიდილე – ჭორიკანა, დამბეზღებელი; პირდ. თარგმანი: გაიქეცი-ნახე-და უთხარი –მას) და ა.შ. ყველა ამ სიტყვებში შემონახულია იმ პირველადი ნიშნის გაგება, რომელიც საფუძვლად დაედო წარმოქმნილ ცნებას. სიტყვის ძირი, სუფიქსები და პრეფიქსები ხდებიან “მოლაპარაკეები”. მათ მიერ გადმოცემული აზრი სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. თუმცა, შინაგან ფორმასა და ლექსიკურ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულება არ გვაძლევს ზუსტ ცნებას ამ უკანასკნელზე. შინაგან ფორმაში შემორჩენილია მხოლოდ სიტყვის მეტ-ნაკლებად ქარაგმული მნიშვნელობა.

სიტყვების შინაგანი ფორმა გამოხატავს ენის ნაციონალურ თავისებურებას. ეს ადვილად შესამჩნევია, თუ შევადარებთ რამდენიმე სემანტიკურ ექვივალენტურ ესპანურ და რუსულ სიტყვებს, რომლის წარმოქმნის ნომინაციის საფუძვლად აღებული იყო სხვადასხვა ნიშნები: avión (ave - ფრინველი) – თვითმფრინავი, invernader (invierno – ზამთარი) – სათბური; gatillo (gato-კატა) – ჩახმახის ფეხი (სასხლეტი); tinta (tinta – საღებავი) – მელანი; girasol (girar და sol – ტრიალი და მზე) – მზესუმზირა, atasco (atasco – დანაგვიანება, დაცობა, დახსობა), embotellamiento (botella - ბოთლი) – საცობი (მანქანების); vapor (vapor – ორთქლი – თბომავალი და სხვ. იმ სიტყვებშიც კი, რომლებიც წარმოქმნილია მიბადვით ქრედალობის საფუძველზე და თვით მიბადვით ქრედალობს სიტყვებში (onomatopeyas) ჩვეულებრივ შინაგანი ფორმა არ თანხვდება: mugir – ბლავილი, ზმუილი, graznar – ჩხავილი, balar – ბლავილი (ცხვრის), კიკინი, quiquiriqui – ყიყლიყო, pit – pit (pita – pita, tita-tita) – წიპ-წიპ, mis-mis – კის-კის და სხვ.

სიტყვის “შინაგანი ფორმა”, სახე, რომელიც მისი მნიშვნელობის საფუძველში ან სიტყვის გამოყენებაში დევს, შეიძლება გაირკვეს მხოლოდ იმ მატერიალური და სულიერი კულტურის ფონზე, ენის იმ სისტემაში, რომლის კონტექსტშიდაც წარმოიქმნება და გარდაიქმნა აღნიშნული სიტყვა ან სიტყვაშენაერთი”.

სასაუბრო ენაში (დიალექტში) გვხვდება შემთხვევები, როცა სიტყვის არამოტივირებული შინაგანი ფორმა შეცდომით გაიზრდება. ასეთი მოტივაციები ხდება, როცა არ ითვალისწინებენ სიტყვის ისტორიულ განვითარებას, ფონეტიკური წესების ცოდას, გრამატიკულ კანონზომიერებებს და მნიშვნელობების სეცვლის ხერხებს. ამ მოვლენას უწოდებენ ხალხურ ეტიმოლოგიას (etimologia popular). მაგალითად, ზოგიერთ ენის მატარებლებში (ამ ენაზე მოსაუბრეთა, ენის მკვიდრთა) sandalias (სანდლები) გადაიქცა “andalias-ში” (andar – “სიარული”), სიტყვა lagartija (ხვლიკი) მოტივირებულია, როგორც

“malenconia” (მაღ - ავადმყოფობა” და ენცონო - “სიბრაზე”), vagabundo (უქნარა, მოხეტიალე, ავარა) გაიაზრება, როგორც “ვაგაბუნდო (vagar - ხეტიალი, უსაქმურობა” და mundo - “დედამიწა, მსოფლიო”), ამასთან ვაგამუნდო დროთა განმავლობაში შევიდა ხალხურ სასაუბრო ენაში და გახდა vagabundo-ს თანასწორი სინონიმი. მწერლები ხშირად იყენებენ ხალხურ ეტიმოლოგიას, როგორც მხატვრული შემოქმედების ხერხს.

რადგანაც უკვე ვიცით, რომ ენათმეცნიერებაში განასხვავებენ ენას, როგორც საზოგადოების ბუნებრივ კომუნიკაციურ სისტემას და მეტყველებას, როგორც ენის ფუნქციონირებას და როგორც კომუნიკაციის პროცესს, უნდა განვასხვაოთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა და სიტყვის აზრი, რომელიც საუბრისას წარმოიქმნება. მეტყველებაში სიტყვა აკონკრეტებს თავის მნიშვნელობას, ამცირებს მასში შემავალ ინფორმაციას კომუნიკაციურ მინიმუმამდე. ჩვეულებისამებრ, ეს მინიმუმი შეადგენს ერთ ლექსიკურ მნიშვნელობას და ღნიშნული სიტყვისათვის დამახასიათებელ ერთ გრამატიკულ მნიშვნელობას თითოეული გრამატიკული კატეგორიისათვის (მაგ. ზმნის პირის ფორმის რეალიზაციისას მითითებულია ერთი პირი, ერთი დრო, ერთი კილო, ერთი გვარი და სხვ.). მნიშვნელოვანია ის, რომ ინდივიდუალურ მეტყველებაში სიტყვამ შეიძლება შეიცვალოს თავისი მნიშვნელობა და გადმოსცეს ინდივიდის მიერ წარმოქმნილი ახალი ინფორმატული ნიშნები, რადგან სიტყვა ამავედროულად წარმოადგენს მოსაუბრის აზრის ნიშანთვისებასაც და ყველა სხვა ფსიქოლოგიური განწყობილებების ნიშანსაც, რომელიც გამონათქვამის ამოცანასა და განზრახვას შეადგენს. ეს აის სიტყვის გამოყენების სფერო. მნიშვნელობა მყარია და ათვისებულია ენის მკვიდრთა მიერ. ის წარმოადგენს ლექსიკოლოგიურ ცნებას, აზრი, რომელიც მეტყველებაში შეიძლება შეიძინოს სიტყვამ, სტილისტური ცნებაა. ”აზრის ახალი ინდივიდუალურ-სტილისტური იერია, ის ინტელექსტუალური და ემოციური ობიექტების განუმეორებელი ატმოსფეროა, რომელშიც ინმოსება სიტყვა აღნიშნულ ფრაზაში და აღნიშნულ კონტექსტში, ის სიბიექტური გამოყენებაა, რომელიც იღებს სიტყვა, როდესაც ჩართულია მეტყველების სხვადასხვა კონტექსტში და რეალობაში”.

თუმცა აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ინდივიდუალური აზრი, რომელიც სიტყვას მიეცება მეტაფიზიკურად ან რაიმე სხვა ხერხით, ყოველთვის დაკავშირებულია სიტყვის ამა თუ იმ ლექსიკურ მნიშვნელობასთან.

როცა მიგელ ერნანდესი ერთ-ერთ თავის სონეტში წერს: “mis ojos sin tus ojos no son ojos, que son dos hormigueros.”

მაშინ, უჩვეულოდ გამოყენებული სიტყვის hormigueros (ჭიანჭველების ბუდეები) მრავალფეროვნება მაინც დაკავშირებულია მის ძირითად მნიშვნელობასთან.

პოეტის ლექსში “ ეგროს ოჯოს ნეგროს” თითოეული სიტყვა ინარჩუნებს თავის ძირითად მნიშვნელობას, მკითხველს წარუდგენს ახალ სემანტიკური ელფერის არეალს და პოეტურ აზრებს:

Negros ojos negros – შავი თვალები
El mundo se abría, - თენდებოდა ერა
Sobre tus pestañas – წამწამებზე შენსა
de negras distancias – შავი სიდიდვა.
Dorada mirada.
El mundo se cierra
sobre tus pestañas
lluviosas y negras.

§ 4. პოლისემია და ლექსიკური მნიშვნელობის ტიპები

წინა პარაგრაფებში საუბარი იყო ლექსიკურ მნიშვნელობაზე ისე, თითქოს სიტყვაში იგი მხოლოდ ერთია. თუმცა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთ მნიშვნელობას რომ გამოხატავდეს, ლექსიკონი ასტრონომიურ ზონას მიაღწევდა. ენა – ადამიანთა ურთიერთობის მიზანდასახულად ორგანიზებული, ჰარმონიული და ეკონომიური საშუალებაა. ადამიანის თავის ტვინის მეორე სასიგნალო სისტემის ნეიროფიზიოლოგიური კანონზომიერების ფუნქციონირებამ და მეხსიერებს მექანიზმმა, რომლის მოცულობაც შეზღუდულია, გამოიმუშავეს უმაღლესი ხარისხის რაციონალური სისტემა – განსხვავებული შინაარსის გამოხატვა ერთ მატერიალურ ფორმაში. ფორმის მრავალმნიშვნელოვნება –ენის არსებობის ობიექტური კანონზომიერებაა.

I. ერთ სიტყვაში რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობების არსებობას **პოლისემია** (polisemia) ანუ მრავალმნიშვნელოვნება ეწოდება.

მონოსემია (monosemia), ანუ ლექსიკურ ერთეულში ერთი მნიშვნელობის არსებობა, ბევრი სიტყვისათვის არ არის ტიპური. ტერმინოლოგიაშიც კი, სადაც ერთმნიშვნელოვნება ფართოდაა გავრცელებული. მისი მდგომარეობა არამყარია. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ტერმინები აგრეთვე მრავალმნიშვნელოვნებია, ამასთან ზოგჯერ ერთი და იგივე ტერმინოლოგიურ სისტემაშიც კი. ერთ ლექსიკურ ერთეულში რამდენიმე მნიშვნელობის არსებობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი სემანტიკური ვარიანტების

ნაკრები. უფრო ხშირად გამოყენებულ ზოგიერთ სიტყვებს გააჩნიათ მნიშვნელობების მეტად დიდი რიცხვი, რომლებიც მუდმივად რეალიზდება მეტყველებაში.

სიტყვაში ახალი აზრის გამოჩენის მიზეზი ჩვეულებრივ უნდა ვეძებოთ არა ენობრივ სისტემაში, არამედ ექსტრალინგვისტურ იმპულსში, იმის მოთხოვნილებაში, რომ სახელი მისცენ ახალ ობიექტს ან აზრს-ელფერს. თუმცა, სიტყვის ახალი მნიშვნელობა არ შეიძლება წარმოიქმნას სიტყვაში უკვე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელობის საფუძვლის გარეშე. ის ჩნდება მისი განვითარების, სახეცვლილების შედეგად. ეს, როგორც წესი, არა ერთმნიშვნელოვანი აქტია, არამედ პროცესია, ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივიც.

პოლისემიის წარმოქმნაში არსებით როლს ადამინის წარმოდგენა ასრულებს, რადგან მნიშვნელობა უკვე არსებულის, ძველის მეტაფორიზაციით წარმოიქმნება გააზრების საფუძველზე. სინამდვილის ერთი ობიექტის სახელი, რომელიც რაიმე ნიშნებით მსგავსია, ან კონტრასტული იმ ობიექტთან, რომელიც საჭიროებს ნომინაციას, გადაიტანება ამ უკანასკნელზე. ასეთი გადატანითი გამოყენება წარმოებს მეტყველების აქტებში, იძენს მასიურ ხასიათს და საბოლოოდ შეეწეობა ენის ლექსიკო-გრამატიკულ სისტემას. მეტყველების სფეროდან მისი გამოყენება გადადის ენის სფეროში და განიხილება როგორც მნიშვნელობა – ნეოლოგიზმი. დროთა განმავლობაში სიასლის შეგრძნება იკარგება და სიტყვის ეს მნიშვნელობა აღიქმება ჩვეულებრივი სახით.

სიტყვებში ბევრი მნიშვნელობა წარმოიქმნა ისეთი ტროპების საშუალებით, როგორია:

II. **მეტაფორა** (metáfora), როცა ერთი ობიექტის სახელის მეორეზე გადატანა ხდება ამ ობიექტზე რაიმე მსგავსების საფუძველზე. მსგავსება შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათისა. ისინი იმდენად მრავალგვარია, რომ მათი სისტემატიზირება ძალიან რთულია. შედარებით ზოგადად მათი დაყოფა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

- **ნიშნების მსგავსება:** ხატოვანი ასოციაციები, რომლებიც საფუძველად უდევს ახალ ნომინაციას, წარმოიქმნება დაპირისპირებული არსებების, საგნებისა და მოვლენების ფორმების, მათი გარეგანი ხასიათის, შთაბეჭდილებების, ადგილმდებარეობის, მათი ქდერადობის და ა.შ. მსგავსებების გამო. იგივე ხატოვან საფუძველზე ხდება უსულო ბუნების სახელების გადატანა სულიერი არსებების თვისებებზე, ხასიათსა და მოქმედებაზე და პირიქით. მსგავსი ასოციაციების საშუალებით წარმოიქმნება მნიშვნელობების უზარმაზარი რიცხვი. მაგ: არსებით სახელს ala (ფრინველის ფრთა) გაუჩნდა მნიშვნელობები: ფარფლები (ქუდის), გადმონაშვერი (შენობის), ფრთა (თვითმფრინავის); Pala-ს (ნიჩაბი) – ჩოგანის მნიშვნელობა; სიტყვა mesa-ს (მაგიდა) –

პლატო, ზეგანი; Sol-ს (მზე) – (მზეთუნახავი, მზიანი მხარე); ზმნა poner-ს (დადება, დაწობა) გაუჩნდა მნიშვნელობები: ჩართვა (რადიოს და სხვ.), ჩვენება, დადგმა (სპექტაკლის, ფილმის); Empolvare-ს (მტვერით დაფარვა, იმტვერება) – პუდრის წასმის მნიშვნელობა; Meter-ს (მოთავსება, შეტანა) – ჩაჭედვა, ჩახრახვნა (ღურსმნის, ჭანჭიკის და სხვ.), მოთავსება, შეტანა (ფულის), მოწყობა, გაგზავნა (სამსახურში); ზედსართავ სახელს claro (ნათელი) გაუჩნდა მნიშვნელობები – იშვიათი, არახშირი (ტყეზე), თხელი, სუსტი (სასმელებზე), ხოლო verde-ს (მწვანე) მნიშვნელობები – მკვახე, უმწიფარი, გამოუცდელი, ნორჩი, ნედლი (შეშაზე, მერქანზე) და სხვ.

- **ემოციონალური ხასიათის მსგავსება:** ასეთი სახის სემანტიკური დაახლოება დაფუძნებულია ემოციურ რეაქციასა და დაპირისპირებული საგნების თუ მოვლენების ექსპრესიულ შეფასებაზე. ემოციონალურ-შეფასებითი წარმოდგენა თან ახლდა შაკიკისა და კოჟრის მნიშვნელობების წარმოქმნას სიტყვაში clavo (ღურსმანი); გასწორება, შესწორება (ხელნაწერის) არსებით სახელ castigo-ში (დასჯა, ტანჯვა); ყველაფრისმცოდნე licenciado (ლიცენციატი); ავადმყოფი, უბედური ზედსართავ სახელ cautivo-ში (ტყვე); შესანიშნავი, გადასარევი formidable-ში (საშინელი, საზარელი); პლაგიატო, საკუთრად გასაღება ზმნაში fusilar (დახვრეტა) და ა.შ.
- **ფუნქციების მსგავსება.** ამ დაპირისპირების საფუძველზე განვითარდა მნიშვნელობები: ხორთუმი – არს. სახელში mano (ხელი); ჩახმახი (ცეცხლსასროლი იარაღის დეტალი) სიტყვაში disparador (მსროლელი); ფეხი (ავეჯის) – სიტყვაში pata (თათი, ცხოველის ფეხი); თანამგზავრი (პლანეტის) luna-ში (მთვარე); დღის განათების ლამპა sol-ში; მმართველი, მეთაური, უფროსი cabeza-ში (თავი); დირიჟორიბა dirigir-ში (მართვა, ხელმძღვანელობა); მფარველობა ayudar-ში (დახმარება); გაჩანაგება destruir-ში (ნგრევა, განადგურება); მიღება (სხვისი იდეების და სხვ.) prohijar-ში (შელად აყვანა) და ა.შ. შედარებული ობიექტების მსგავსების საფუძველზე ახალი მნიშვნელობების

წარმოქმნის აღნიშნული გზები არ ამოწურავენ მონიმაციის ყველა შესაძლებლობას. გადატანითი მნიშვნელობების წარმოქმნა ყოველთვის არ არის სწორხაზოვანი. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რამდენიმე მეტაფორული ნიშნების შერწყმა.

III. **მეტონიმია (metonimia),** როცა სახელის შეცვლა ხორციელდება მოსაზღვრეობის საფუძველზე, ანუ შესადარებელ ობიექტებს შორის სივრცობრივ, დროებით, მიზეზ-შედეგობრივ ან რაიმე სხვა ხასიათის კავშირებზე. მნიშვნელობების შეცვლა ასეთი ტიპის ასევე მეტად მრავალფეროვანია. ის შეიძლება ეფუძნებოდეს ფორმასა და შინაარს შორის,

მასალასა და მის ნაკეთობას, ნაწილსა და მთელს, მთელსა და ნაწილს, მოქმედებასა და შედეგს, შემქმნელსა და მის ნაწარმოებს, მნიშვნელობების შევიწროება-გაფართოების და სხვა შორის კავშირებზე. ამასთან, მეტონიმია, რომელიც ეფუძნება მთელსა და ნაწილს შორის და პირიქით კავშირებს, გააჩნია თავისი საკუთარი სახელი – სინეკდოქე (sinécdoque). მეტონიმური შეცვლით სიტყვიდან café (ყავის ხის მარცვლები) წარმოიქმნა მნიშვნელობები “სასმელი” და “ყავა”. არს. სახელიდან mate (პარაგვაის ჩაი) – მნიშვნელობა: “ამ ნაყენის სასმელი” და “ჭურჭელი მატეს დასალევად”; Compra-დამ (ნაყიდი, ყიდვა, როგორც პროცესი) – მნიშვნელობა ყიდვა, როგორც ნაყიდი საგანი; Lienzo-დან (ტილო) – მნიშვნელობა “სურათი, ნახატი”; Canto-დან (მღერა) – “სიმღერა”; Casa-დან (სახლი) – “კერა, ოჯახი”; Cabeza-დან (თავი) – მნიშვნელობა “საქონლის დათვლის ერთეული, თავი”; ზმნა comer-დან (ჭამა) – მნიშვნელობა “სადილობა” და სხვ.

ამგვარია მრავალმნიშვნელოვანი სიტყვების წარმოქმნის ძირითადი ერთეულები. მეტაფორა და მეტონიმია წარმოადგენენ საშუალებას, ინსტრუმენტს ენის ლექსიკურ სისტემაში შემაჯავლი ახალი სიტყვიერი მნიშვნელობების წარმოსაქმნელად, ამიტომ მოყვანილ მაგალითებში გადატანითი მნიშვნელობები მეტაფორისა და მეტონიმის ენობრივი არსია. ეს გადატანითი მნიშვნელობები უკვე განზოგადებულია, ისინი ყველა ენის მატარებლების საკუთრებაა. ისინი არ უნდა აგვერიოს მეტყველების მეტაფორასა და მეტონიმიაში, რომლებსაც განსაზღვრულ კონტექსტებში ქმნიან ინდივიდუუმები სტილისტური მიზნით. მათ გარეშე ვერ იარსებებს ლიტერატურული შემოქმედება. სასაუბრო ენაში მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. ტროპები – მეტაფორა, მეტონიმია, მათი სახეები – ენის ხატოვანი გამოსატყულების უმთავრესი საშუალებებია, რომლებიც ასრულებენ შემეცნებით, ინდივიდუალიზებულ და სუბიექტურ-შეფასებით როლს. მაგრამ მეტყველების ასეთი ტროპების შინაარსი – სიტყვების მნიშვნელობა კი არ არის, არამედ მათი გამოყენებაა. ეს ცალკე თემაა, რომელიც თხოულობს სპეციალურ ანალიზს.

პოლისემია არსებობს ენის დონეზე. სიტყვას უმტკიცდება მნიშვნელობების ნაკრები, რომელიც ამა თუ იმ მოცულობით ფიქსირდება ენის მატარებლის მესიერებაში. მეტყველებაში კი ჩვეულებრივ ხორციელდება სიტყვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, რომელიც აუცილებელია მოსაუბრის აზრის გამოსახატავად. პოლისემიას ხსნის კონტექსტი და დამოკიდებულების სიტუაცია. მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა ხდება ერთმნიშვნელოვანი და ამით უზრუნველყოფილია მოსაუბრეთა შორის ურთიერთგაგება.

პოლისემია – მრავალმნიშვნელობა უნდა განვასხვაოთ “ფართომნიშვნელობისაგან” (ევრისემია), ანუ ისეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან (ძირითადად არსებითი სახელები), რომლებიც გამოხატავენ სემანტიკური რეფერენციის განსაკუთრებული სიფართოვებით განსხვავებულ ცნებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნარით თანაფარდობაში იყოს აზროვნების განსხვავებულ ობიექტთან. ფართო მნიშვნელობისათვის დამახასიათებელია ცნების მოცულობის ტევადობა და ვიწრო, კონკრეტული შინაარსი. საუბარია არა არს. სახელების ზოგადად სახეობრივ ისეთი ტიპის მნიშვნელობებზე, როგორცაა: arbol (ხე), flor (ყვავილი), mueble (ავეჯი), animal (ცხოველი) და ა.შ., არამედ ისეთ სიტყვებზე, როგორცაა cosa, caso, pieza, barbaridad, chisme, trasto, cacharro და სხვ.

მათ გააჩნიათ ფართო მნიშვნელობა (შესაბამისად, ნივთი, შემთხვევა, ცალი, ძველმანი, ურიცხვი, ნაყარნუყარი, ხარახურა), რომლებიც ენის დონეზე არ გვაძლევენ ობიექტის ზუსტ დასახელებას. მაგრამ სიტყვები, რომლებიც მეტყველებაში ახორციელებენ ამ მნიშვნელობებს, ავიწროვებენ თავის ცნებით “ყოველისმომცველობას” და მიუთითებენ კონკრეტულ საგანზე, მოვლენაზე, ფაქტზე. ისინი ასრულებენ სიტყვა-მოადგილეების როლს, რომელთაც უკავიათ შუალედი მდგომარეობა ნომინატურ (დამსახელებელ) ნიშნებსა და მიმითებელ (დეიქტურ) ნიშნებს შორის. თუ ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა თანაფარდობაშია ერთი სახეობის, გვარის ან კლასის საგნებთან (arbol – abedul, pino, roble, abeto, serbal, manzano, naranjo, peral, limonero...).

ფართო მნიშვნელობის სიტყვა მეტყველებაში მიუთითებს სინამდვილის მეტად განსხვავებულ ობიექტებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა ცნების კლასებსა და ტიპებს. ამაში ვლინდება მათი დეიქტური ფუნქცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში უმთავრესია. მაგ: არს. სახელი cosa შეიძლება ნიშნავდეს პრაქტიკულად ნებისმიერ საგანსა და მოვლენას ფრაზაში: Pon cada cosa en su sitio (M. Moliner).

კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით სიტყვა cosa-ს უნარი აქვს თანაფარდობაში იყოს წიგნთან, ფანქართან, პერანგთან, ჩაქუჩთან და ა.შ. წინადადებაში: Eso es una cosa de la que no quiero acordarme (M. Moliner).

Cosa შეიძლება იყოს რეფერენტი ნებისმიერი მოვლენისა და შემთხვევისა: ელვის, ქორწილის, ომის, ტყვეობის, მფრინავი თევზის, გამოცდების, მოხსენების, შეხვედრის, ნაცნობობის და ა.შ. მაგ: Este vestido negro es una cosa para ti.

სიტყვა caso მეტყველებაში ხდება პრაქტიკულად ნებისმიერი სიტუაციის, ნებისმიერი შექმნილი მდგომარეობის აღმნიშვნელი: Puedes obrar en cada caso como te parezca conveniente.

მოყვანილ მაგალითებში შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ის რეალური შემთხვევა, სიტუაცია, მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დაეკონკრეტებინა სიტყვა caso-ს. მაგ: aunque vengas tarde, el caso es que vengas.

ფართო მნიშვნელობა ისეთი ლექსიკური ერთეულებისა, როგორცაა cosa ან caso მოკლებულია ექსპრესიულ კონოტაციებს. ისინი ნეიტრალურები არიან. თუმცა, ფართო მნიშვნელობის სიტყვების უმრავლესობა სტილისტურად შეფერილია და დამახასიათებელია სალაპარაკო მეტყველებისათვის. ისინი არა მარტო მიუთითებენ ამა თუ იმ საგანსა ან მოვლენაზე, არამედ გარკვეულ წილად აფასებენ მათ. მაგ: არს. სახელი chisme ჩვეულებრივად ცვლის მცირე ზომის საგნებს, ყოფით ხელსაწყოებს და სხვ. და ამავდროულად, გამოხატავს ამ ობიექტების ხუმრობანარევი-ირონიულ შეფასებას მოსაუბრეთა მიერ. ასევე მოდალური იერი აქვს სიტყვას chirimbolo-ს, რომელიც ასახელებს რაღაც ვეებერთელას, უზარმაზარს, რთულადნაგებს ან cachorro, რომელიც განმსაზღვრელია ნებისმიერი ცუდადმოქმედი მექანიზმის, უაზრო ნაგებობის, გადაადგილების მოძველებული საშუალების და სხვ. (ხარახურა, ძველმანი, ნაყარ-ნუყარი). ირონიის ელფერი დაკრავს სიტყვებს jaleo და bulla, რომლებიც აღნიშნავენ უაზრო, არეულ სიტუაციებს და სხვადასხვა მოუსვენარ, უაზრო მოქმედებებს (აღიაქოთი, აურზაური, შფოთი და სხვ.).

ფართო მნიშვნელობის არს. სახელები არაერთგვაროვანია. უწინარეს ყოვლისა, ისინი იყოფა ორ ძირითად ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფად: საგნობრივი და არასაგნობრივი, განყენებული სემანტიკის მქონე ფართო მნიშვნელობის სიტყვები. პირველს მიეკუთვნება cosa, pieza, chisme, cacharro, cachivache, mamarracho, rollo, porquería-ს ტიპის სიტყვები, რომლებიც ისწრაფიან მეტყველებაში მიუთითონ საგნებზე, მატერიალურ ობიექტებზე. მეორეს – caso, historia, barbaridad, embrollo, lío, rollo, enredo jaleo, bulla-ს ტიპის სიტყვები. დენოტატად ჩვეულებრივად გამოდიან სიტუაციები, მოვლენები, მოქმედებები, ქმედებები. ზეპირ ან წერით კონტექსტზე დაყრდნობით ზოგიერთი ამგვარი სიტყვა შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფს: porquería, rollo, enredo და სხვ.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პოლისემია წარმოადგენს განცალკევებული და განყენებული მნიშვნელობების ერთიანობას. ის წარმოადგენს თავისებურ სემანტიკურ მინისისტემას, რომელშიც სიტყვის ყველა მნიშვნელობა მჭიდრო კავშირშია. მათი გულდასმით შედარებისას, ენის მატარებლებს შეუძლიათ მათში აღმოაჩინონ მსგავსებები და დამოკიდებულებები, რომლებიც საშუალებას იძლევა ყველა მნიშვნელობა აღიქვას, როგორც ერთი და იგივე სიტყვის ვარიანტები. როცა სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობასა და მის დანარჩენ მნიშვნელობების შორის ასეთი კავშირი წყდება, როცა

ერთი მნიშვნელობა არ გამომდინარებს მეორიდან, მაშინ გვიხდება საუბარი თავისებურ სემანტიკურ დეკტიმოლოგიზაციაზე, აზრობრივი მოტივაციის დაკარგვასა და ორი ომონიმის წარმოქმნაზე, ანუ ერთნაირი ელერადობის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვაზე.

პოლისემანტიკურ სიტყვაში ყველა მნიშვნელობა არ არის ერთგვაროვანი და ერთი ტიპის. მათ გააჩნიათ თავისი ლექსიკო-გრამატიკული თავისებურებები, თავისი წარმოქმნის ზეობი, დროში და ხასიათით განსხვავება, ენის მატარებლის მიერ მათი ათვისების საკუთარი სპეციფიკა.

არსებობს ლექსიკური მნიშვნელობების რამდენიმე ტიპი, განსაზღვრული კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე.

1. თავისუფალი და ურთიერთდაკავშირებული (ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული) მნიშვნელობები. მეტყველებაში გამოიყოფიან ლექსიკური მნიშვნელობის აქტუალიზაციის კანონზომიერებებზე დამოკიდებულების მიხედვით, ანუ სიტყვების შეთანხმების თავისებურებების გათვალისწინებით. მათგან პირველის ფუნქციონირება, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია რეალურ სამყაროში არსებული ურთიერთდამოკიდებულებებით საგნებს შორის, მოვლენებს, მოქმედებებს შორის და ა.შ. მეტყველებაში ამგვარი მნიშვნელობის მქონე კავშირებს თვითონ სინამდვილე ზღუდავს. ასეთი მნიშვნელობების გამოყენების არე თითქმის ყოველთვის შეესაბამება თვითონ საგნების, პროცესებისა და მოვლენების კავშირ-ურთიერთობებს რეალურ სინამდვილეში. მაგ: ზმნა andar (სიარული, სვლა) თავისი ძირითადი მნიშვნელობით გამოხატავს მოქმედებას, რომლის უნარიც გააჩნია ნებისმიერ მოსიარულე არსებას. ამიტომ, პრედიკატ andar-თან სუბიექტად შეიძლება გამოვიდეს hormiga (ჭიანჭველა), hombre (ადამიანი), grajo (ჭილყვავი), caballo (ცხენი), oso (დათვი), pavo real (ფარშევანგი) ა ა.შ. ხოლო ზედსართავი სახელი verde (მწვანე) განსაზღვრავს ნებისმიერ არსებით სახელს, რომელიც ასახელებს მწვანე ფერის მქონე ობიექტს. მოკლედ რომ ვთქვათ, ზმნა andar-ის და ზედსართავ verde-ს მეტყველების კავშირების ძირითადი შემზღუდველი მათ თავისუფალ მნიშვნელობებში მდებარეობს ენის ზღვარს იქით. ამიტომაც უწოდეს ამგვარი სახის მნიშვნელობებს თავისუფალი. ბუნებრივია, რომ მათი რეალიზაცია, როგორც წესი, თავისუფალ (ცვლად) სიყვაშეერთებებში, რასაკვირველია ენის მიერ დადგენილი სიტყვაშეერთებების ყველა წესის დაცვით.

მაგრამ ენაში არის აგრეთვე ისეთი მნიშვნელობები, რომელთა სემანტიკური თანაფარდობის ზღვარს თვითონ ენა განსაზღვრავს და არა რეალური სინამდვილე. საუბარია ურთიერთდაკავშირებულ (ფრაზეოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულ)

მნიშვნელობებზე. მათ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს შეთანხმებას მეტყველებაში უკვე განსაზღვრულ, ენაში ტრადიციულად, მჭიდროდ არსებულ სიტყვებთან, წარმოქმნიან რა მათთან აზრით შერწყმულ კონსტრუქციას, რომელიც გადმოგვცემს ერთიან, თუმცა, დანაწევრებულ ცნებას. ამ ტიპის მნიშვნელობები სინამდვილეს გამოსახავენ ისტორიულად ჩამოყალიბებული სიტყვების ჯგუფების კავშირების გზით. ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა – ეს არის სიტყვის აზრობრივი და ფუნქციონალური შინაარსი, რომელიც ურთიერთობის მიზნით, შეიძლება გამოვლინეს და გამოიყენებოდეს ტრადიციულ, ისტორიულად დადგენილ კონტექსტებში, ანუ განსაზღვრულ სიტყვებთან შეერთების პირობით. ასეთ კონტექსტებს ფრაზეოლოგიური სიტყვაშეთანხმებები (შესიტყვებები) ეწოდებათ. მაგალითად, ზმნა dar-ის (შთაგონება, ჩაგონება, რაიმე გრძნობის გამოწვევა) დაკავშირებული მნიშვნელობის რეალიზება ხდება dar miedo, espanto, susto და სხვა შეთანხმებებში: Andaba por las calles con su espada y rodela antigua y daba miedo de verle (B. Pérez Galdós) – ის მახვილით და ძველებური ფარით დადიოდა ქუჩებში, მის შემხედვარეს შიში მოგიცავდა.

ზმნა poner-ს გააჩნია ფრაზეოლოგიურად დამაკავშირებელი მნიშვნელობა შეიყვანოს შეთანხმებები “რაიმე მდგომარეობაში, წვთარებაში”: poner en olvido (დავიწყება), poner en duda (ეჭვის შეტანა, ეჭვი), poner en práctica (განხორციელება, ცხოვრებაში გატარება), poner en ejecución (შესრულება, განხორციელება), poner en marcha (მსვლელობის მიცემა), poner en libertad (გათავისუფლება, გაშვება) და სხვ. ზედსართავი bestial ამჟღავნებს დამაკავშირებელ მნიშვნელობას “უზარმაზარი, დიდი, ვეება” შეთანხმებაში, talento (დიდი ტალანტი), apetito (მხეცური მადა) და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა მოკლებულია ღრმა და მყარი ცნების ცენტრს. ზოგადი საგნობრივ-ლოგიკური ბირთვი მასში ისე რელიეფურად არ ჩანს, როგორც თავისუფალ მნიშვნელობაში. ეს მნიშვნელობა არ მომდინარეობს . . . რეალურ სინამდვილესთან, ამ სიტყვის შეფარდებიდან. ამგვარი “გაფანტული” სახის მნიშვნელობას მიდრეკილება გააჩნია ცალკეული ფრაზეოლოგიურ შეთანხმებებთან დამოკიდებულებაში დანაწილდეს, მიიღოს რიგი შეფერილობები.

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობას შეიძლება დაემატოს კონსტრუქციული განპირობება, ანუ რეალიზდეს მხოლოდ განსაზღვრულ სინტაქსურ კონსტრუქციებში. მაგალითად, ზმნა echar და romper აქტუალურს ხდიან ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობას – “მოულოდნელად, უეცრად რაიმე მოქმედების დაწყება”, არა მარტო ინფინიტივების განსაზღვრული რიცხვით, არამედ

მოცემულ ზმნურ კონსტრუქციაშიც “echar, romper + a + inf.” კონსტრუქციული შეპირობება, რომელიც უპირატესად ზმნებს ეხება, მათ ფრაზოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობებს აძლევს გრამატიზირებულის ნიშანს. ამგვარი მნიშვნელობები ემსგავსებიან ნაწილობრივ მეშველი ზმნების მნიშვნელობებს. კონსტრუქციული შეპირობება შეიძლება დამახასიათებელი იყოს მნიშვნელობის სხვა სახეებისთვისაც. ეს განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც სპეციალურ ანალიზს მოითხოვს.

აკადემიკოსი ვ. ვ. ვინაგრადოვი რუსულ ენაში გამოყოფდა ლექსიკური მნიშვნელობების კიდევ ერთ ტიპს და უწოდებდა მათ პრედიკატულ მახასიათებლებს, ანუ ფუნქციონალურ-სინტაქსურად შეზღუდულებს. საუბარია მნიშვნელობებზე, რომელთაც შეუძლიათ რეალიზება. როცა ამ მნიშვნელობის ქონე სიტყვა მეტყველებაში ასრულებს მკაცრად განსაზღვრულ სინტაქსურ ფუნქციას და როცა სიტყვის “როგორც წინადადების წევრის სინტაქსური თვისება აქ თითქოსდა ჩართულია მის სემანტიკურ დახასიათებაში”.

ამგვარი მნიშვნელობის განპირობება ვლინდება წინადადების დონეზე, მაშინ, როცა ფრაზოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის შეზღუდულობა მჟღავნდება სიტყვაშეთანხმებების დონეზე. ვინაგრადოვის აზრით, მაგალითად, სიტყვა “მამლაყინწაში” არის “ჩხუბისთავის, შფოთისთავის” მნიშვნელობა, რომელიც უნდა განიხილებოდეს როგორც ფუნქციონალურ-სინტაქსურად შეზღუდული. მსგავსი მნიშვნელობები უმთავრესად დამახასიათებელია არს. სახელებისათვის და რეალიზდება, როცა სიტყვა შედის პრედიკატის შემადგენლობაში ან უფრო იშვიათად, წარმოადგენს მიმართვას, განკერძოებული განსაზღვრებით ან დანართით (ეს მამლაყინწა ყოველთვის ყველას გვიფუჭებს ხასიათს, სხვა ასეთ მამლაყინწას ვერსად ვერ ნახავ, ესეც შენი მამლაყინწა - Вот так петух). ვინაგრადოვის მიერ ჩამოთვლილი ამგვარი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებიდან უმთავრესს წარმოადგენს მელა, ყვაფი, ვირი, ბატი, ბაიბაკი, ჩიქვი და სხვა ტიპის სიტყვები.

ესპანურ ენაშიც არსებობს მსგავსი სემანტიკის სიტყვები. მაგალითად, gallo (მოთავე, წამომწყები, თაოსანი; ამერიკულ ვარიანტებში გულადი, გამბედავი), oso (მიუკარებელი, კუშტი, პირქუში, უქმური; კუბაში – შფოთისთავი, ჩხუბისთავი), asno (სულელი, ჩერჩეტი, შტერი), pavo (დონდლო, უგერგილი), grajo (ყბედი, ენატარტარა), cardo (უკარება, პირქუში, გესლიანი), canela (ტურფა, მშვენიერი, მომხიბლავი), granuja (თაღლითი, გაიძვერა, გაქნილი და სხვ.). თუმცა, საფუძველს არის მოკლებული მივაკუთვნოთ ესპანური სიტყვების ეს მნიშვნელობები ფუნქციონალურ-სინტაქსურად შეზღუდულ სახეობებს. მაგრამ, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ნაკლებად არის შესწავლილი. საქმე იმაშია, რომ პირველ რიგში მათი სინტაქსური რეპერტუარი საკმაოდ

ფართოა (María es una canela, Esta canela puede cautivar a cualquier hombre; Por primera vez veo tan canela; ¡Quién será esta canela?; Que canela!)

თუმცა, მსგავსი მნიშვნელობის მარეალიზებელ სიტყვებს, ამა თუ იმ წინადადების წევრის ფუნქციაში გამოყენების სიხშირე ძალიან განსხვავებულია და არ თანხვედება იმავე სიტყვების მათ ძირითად მნიშვნელობაში გამოყენების შესაბამის სიხშირეს. მაგრამ ფუნქციონალური უპირატესობა არ უდრის ფუნქციონალურ შეპირობებას, თუგინდ იმიტომ, რომ ის გავლენას არ ახდენს ლექსიკური მნიშვნელობების ფორმირებაზე. პირიქით, ლექსიკური მნიშვნელობა სიტყვაში განსაზღვრავს მეტყველებაში ამა თუ იმ სინტაქსური ფუნქციის შესრულების მიდრეკილებას.

მეორე რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ განხილული მნიშვნელობები წარმოიქმნა ადამიანის მიერ ხატოვანი ნომინაციის მოთხოვნილების გამო, ადამიანის ქცევის, იერსახის, სულიერი თვისებების შესაფასებლად გამოიყენებოდა მეტაფორები, დაკავშირებული ცხოველების, მცენარეების, ზოგიერთი საგნების და ხვატიპურ ნიშნებზე წარმოდგენით. ახალ გამოყენებებს თანდათან შეეძლოთ ლექსიკალიზირება, სიტყვების მნიშვნელობებად გახდომა და მათში პოლისემიას ანვითარებდნენ. ნომინაციის მექანიზმი სინტაქსური ფუნქციებით არ განისაზღვრება, თუმცა, შესაძლებელია, რომ მათ ხელი შეუწყვეს მეტაფორის ლექსიკალიზაციას, რადგან მეტაფორაში საერთოდ შეიმჩნევა პრედიკატის პოზიციისადმი მიდრეკილება. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პოზიციაში მეტაფორა ერთგვარად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებების სისტემაში, როგორც ნებისმიერი ენობრივი ერთეული. “მეტაფორა შემასმენელში აწყდება შეზღუდვებს, განპირობებულს მორფოლოგიური და ლექსიკოსემანტიკური ფაქტორებით” – სამართლიანად აღნიშნავს ნ.დ. არუტინოვა.

2. სიტყვის პირდაპირი ანუ ძირითადი ნომინატური და წარმოებული ანუ გადატანითი მნიშვნელობები.

ჩვეულებრივ გამოიყოფა ლექსიკური მნიშვნელობების დაყოფისას, პოლისემანტიკურ სიტყვაში მათი ურთიერთკავშირებითა და აღსანიშნავი სინამდვილის ობიექტებთან დამოკიდებულების მიხედვით.

პირდაპირი მნიშვნელობა თითქოს უშუალოდ არის მიმართული სინამდვილის კონკრეტულ ფაქტებთან, ნომინაციის ობიექტზე. ეს ის მნიშვნელობებია, რომლებიც ენის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ლექსიკურ სტატიებში მითითებულია პირველად და რომლებიც პირველად მოსდით აზრად ენის მატარებლებს, როცა მათ ესმით იზოლირებული სიტყვა. ასე მაგალითად, mesa-ს ძირითადი მნიშვნელობაა, რა თქმა უნდა, იქნება მაგიდა, rayo – სხივი, rojo – წითელი, aquí- აქ. ასეთი მნიშვნელობები მეტად მყარია.

ისინი ენის “დღეგრძელებია”. აკადემიკოს ვ.ვ. ვინაგრადოვის განსაზღვრებით სიტყვის ძირითადი ნომინატური მნიშვნელობა ეს არის “ყველა სხვა მისი მნიშვნელობებისა და გამოყენების საყრდენი და საზოგადოებრივად გაცნობიერებული ფუნდამენტი”.

წარმოებული (გადატანითი) მნიშვნელობები მეორეულია. ისინი მომდინარეობენ უშუალოდ ძირითადი მნიშვნელობებიდან, ან ერთ-ერთი წარმოებულიდან. ისინი უფრო სპეციალიზირებულები და ვიწრო გაგებისანი არიან, ვიდრე ძირითადი მნიშვნელობები. ზემომოყვანილ ესპანურ სიტყვებში წარმოებული მნიშვნელობებია:

Mesa – ჭამა, კვება; პრეზიდიუმი; პლატო, ზეგანი და ა.შ.

Rayo – ელვა; თვლის მანა-სპიცა; გაქნილი, გაიძვერა; მწვავე ტივილი და სხვ.

Rojo – წითური (თმის ფერზე); ქერათმიანი; მემარცხენე (პოლიტიკური მრწამსით), რევოლუციური და ა.შ.

Aquí – აქეთ (აქ): aquí no se puede decir nada – აქ უკვე მას არაფრის თქმა არ შეეძლო; ეს, ეგ: aquí está la dificultad – ამაშია მთელი სირთულე.

გადატანითი მნიშვნელობები გამოხატავენ ჩვენი სამყაროს შემადგენელი მატერიის მრავალფეროვანი ფორმების ურთიერთკავშირების რეალურ სიმდიდრეს. მოვლენების, პროცესების, საგნების, მათი თავისებურებებისა და ხარისხების მსგავსება, აგრეთვე მიზანდასახული მისწრაფება შემოიფარგლო არსებული ენობრივი მასალით, ანუ ძველი ფორმების გამოყენება ახალი მნიშვნელობის გადმოსაცემად – ყველაფერი ეს გვაძლევს საშუალებას სიტყვები გამოვიყენოთ გადატანითი მნიშვნელობებით.

3. კონკრეტული, აბსტრაქტული, ექსპრესიულ-ემოციონალური და ტერმინოლოგიური (მეცნიერული) მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ლექსიკური მნიშვნელობების განმაზოგადებელი სემანტიკური თავისებურებები, ყველასათვის გასაგები, მათ მიერ გამოხატული მნიშვნელობის ხასიათი.

კონკრეტული მნიშვნელობები ეფარდება მრავალფეროვანი რეალურად არსებული მატერიალური სამყაროს ერთეულ საგნებსა და მოვლენებს. Hombre, cosa, árbol, pino, perro, zul, rojo, nadar, gritar და ა.შ. – ეს არის სიტყვები, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტული ძირითადი ნომინატური მნიშვნელობები. მათ საგნობრივიც შეიძლება ვუწოდოთ იმ შემთხვევაში, თუ საგნის ქვეშ ვიგულისხმებთ ნებისმიერ მატერიალურად განსაზღვრულ და შედარებით დამოუკიდებელ მთლიანობას, იქნება ეს კონკრეტული საგანი, მოვლენა, ხარისხი, მოქმედება თუ მდგომარეობა.

აბსტრაქტული მნიშვნელობები გამოხატავენ განყენებულ ცნებას, შეფარდებულს სინამდვილის იდეალურ ობიექტებთან (ანუ აზრობრივი, სულიერი, ფსიქოლოგიური). ასეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს უწოდებენ აზროვნების “პროდუქტებს”, ისინი

აღნიშნავენ შემეცნების შედეგებს, რომლებიც მიღებულია ადამიანის ცნობიერების აბსტრაგირებული მოქმედების მეშვეობით. მაგალითად, აბსტრაქტულია ისეთი სიტყვების პირდაპირი ნომინატური მნიშვნელობები, როგორიცაა hermosura, bondad, natural, astucia, categoría, mentalidad, malicioso, constante, lógic o, natural, cuirosear, generalizar, existir, ser, ocasionar, etc.

ექსპრესიულ-ემოციონალური მნიშვნელობები დაკავშირებულია ადამიანის გრძნობების, შეგრძნებებს, განცდების სფეროსთან, გამოხატავენ ემოციონალურად შეფერილ ცნებებს და აძლევენ სხვადასხვა ობიექტებსა და მოვლენებს ემოციონალურ შეფასებას. უმეტესად ემოციუნალურ-ექსპრესიული მნიშვნელობები, თუ მათ შევეუფარდებთ წინა კლასიფიკაციებს, მიეკუთვნებიან წარმოებულ ტიპებს და ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობებს. მაგალითად, rayo (გაიძვერა, გაქნილი, კვაჭი ← ეღვა), ratonera (პაწია ოთახი, სენა ← სათაგური), pirata (ბოროტმოქმედი, ყაჩაღი ← მეკობრე), pastel (არეულ-დარეულობა, დახლართულობა ← ღვეზელი, ნამცხვარი), espichar (კედომა ცხოველის, გაწყდომა ← გაჩხვლეტა, გარჭობა), zampar (შესანსვლა, შეხეთქვა ← ჩატენა, ჩაჩრა, სწრაფად რაღაცის დამალვა), raspar (მოპარვა, ამოცლა, აწაპნა ← ამოფხეკა, ფხეკა), doblar (მოღუნვა, გატეხვა სასოწარკვეთილებისაგან, მწუხარებისაგან ← გადაღუნვა, მოხრა), tragar (რაღაცის ატანა, გადაყლაპვა, წყენის ატანა და სხვ. ← ყლაპვა, გადაყლაპვა), bestial (გასაოცარი, ამაღელვებელი, შესაზარი, განსაცვიფრებელი, მხეცური ← მხეცური, ცხოველური), formidable (არაჩვეულებრივი, შესანიშნავი ← საშინელი, საზარელი) და სხვ.

აღრე განხილული ისეთი სიტყვების მნიშვნელობები, როგორიცაა pavo (ზოზინა, დონდლო), canela (ტურფა) ან topo (დოყლაპია, ბოთე), საჭიროა აგრეთვე მივაკუთვნოთ ემოციუნალურ-ექსპრესიულს და აღვნიშნავთ, რომ მსგავს სახელებში აღინიშნება ასიმეტრია შეფასების უარყოფითის მხარეზე გადახრით.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ექსპრესიული მნიშვნელობების მქონე სიტყვების შინაგან ფორმას, პირველ რიგში, იგივე სიტყვების ძირითადი ნომინატური მნიშვნელობები წარმოადგენენ. სწორედ ეს ახლებურად გააზრებული მნიშვნელობები აძლევენ ახლადწარმოქმნილ ფუძეს ემოციონალურ დატვირთვას.

თუმცა, ყველა ექსპრესიულ-ემოციონალური მნიშვნელობები არ წარმოადგენენ წარმოებულებს და არ შედიან პოლისემანტიკური სიტყვების შემადგენლობაში. არის სიტყვები, რომლებსთვისაც ეს მნიშვნელობებო მთავარია და შესაძლოა ერთადერთიც. მაგალითად, ზმნა jamar-ს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს - ჩახეთქვა (ჭამის აზრით),

არს. სახელს mamaron – დაუპატიჟებელი სტუმარი, ზმნა palmar-ში მთავარი მნიშვნელობა ჩაკეტვაა ანუ “კვდომა, მიცვალება”.

ენაში არის ექსპრესიული მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებსაც შესწევთ უნარი თანაფარდობაში იყვნენ სინამდვილესთან იმ ცნებების საშუალებით, რომლებიც საკუთრივ მათში კი არ არის, არამედ სხვა სიტყვებში - შესატყვის ნეიტრალურ სინონიმებშია. ცნება თითქოს ამოღებულია ერთი მატერიალური სიტყვიერი ფორმიდან და დელეგირებულია სხვით. გამოდის, რომ ლექსიკური მნიშვნელობის ბირთვი, ცნება შენახულია ერთ სიტყვაში, ხოლო ამ სიტყვასთან დაკავშირებული ექსპრესიულ-ემოციონალური კონოტაციები მოთავსებულია მის სინონიმებში. ჩვენი აზრით, სრულმნიშვნელოვან სიტყვაში მსგავსი ცნებების უკმარისობა ეწინააღმდეგება ფორმისა და შინაარსის ერთიანობის კანონებს, ენობრივი ეკონომიისა და რაციონალობის კანონზომიერებებს, წინააღმდეგობაშია ლექსიკური მნიშვნელობის ცნებასთან, ისეთ შინაარსობრივ ენობრივ სუბსტანციასთან, რომლის საფუძველსაც ცნება წარმოადგენს.

ამგვარად, ნომინაციის ობიექტებთან და სიტყვაში სემანტიკური დამოკიდებულების თვალსაზრისით, ექსპრესიულ-ემოციონალური მნიშვნელობები შეიძლება იყვნენ არა მარტო წარმოებული ნომინატური მნიშვნელობისა (თუმცა, ისინი ძირითადია), არამედ ძირითადი ნომინატური და ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობები.

ტერმინოლოგიური (სამეცნიერო) ლექსიკური მნიშვნელობები დამახასიათებელია ტერმინებისათვის, ანუ სიტყვებისათვის, რომლებიც ეკუთვნიან ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონზომიერებების ცოდნის სპეციალურ სფეროებს. თითოეულ სფეროს გააჩნია თავისი გარკვეული ტერმინების სისტემა, რომლის ადეკვატური გააზრება შეიძლება მხოლოდ მისსავე სისტემაში. აღნიშნულ განაკვეთში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ტერმინოლოგიური მნიშვნელობების ზოგად ნიშნებს.

პრაქტიკულად, ტერმინოლოგიურ მნიშვნელობასა და ცნებებს შორის შეიძლება დავსვათ ტოლობის ნიშანი, თავისი სემანტიკური შინაარსით ისინი თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს. ასეთი შეთანხმებულობა გამოწვეულია იმით, რომ ტერმინები ენასა და მეტყველებაში გამოხატავენ მეცნიერულ და არა ყოფით ცნებებს და იმიტომაც, რომ ტერმინები მოკლებულია ემოციონალურ-სტილისტურ კონოტაციებს. ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობის ცნების არსი წარმოადგენს თვითკმარ სიდიდეს.

ტერმინოლოგიური მნიშვნელობები შეიძლება წარმოადგინენ ძირითადი ნომინატური მნიშვნელობებით, თუ ტერმინი ახალი, სპეციალურად შექმნილი სიტყვაა. მაგალითების სახით მოვიყვანოთ რამდენიმე გეოფიზიკურ ტერმინს, რომლებიც წარმოქმნიან ტერმინოლოგიურ ბუდეებს: *espectroscopia* (სპექტროსკოპია), *espectroscópico*

(სპექტროსკოპული), espectrometría (სპექტრომეტრია), espectrofotometría (სპექტროფოტომეტრია), espectrofotométrico (სპექტროფოტომეტრული), espectrografía (სპექტოგრაფია), espectrográfico (სპექტოგრაფული) და სხვ. ამავე ბუდეს უნდა მივაკუთვნოთ ე.წ. ნომენკლატურული სახელები, რომლებიც მეცნიერული ცნებებისა და კატეგორიების გამომხატველი “წმინდა” ტერმინებისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ აღნიშნული მეცნიერების მატერიალური ობიექტების, ინსტრუმენტების, ხელსაწყოებისა და სპეციალური საგნების სახელებს: espectroscopio (სპექტროსკოპი), espectrógrafo (სპექტოგრაფი), espectrograma (სპექტოგრამა), espectroheliógrafo (სპექტროპელიოსკოპი), espectrobolometro (სპექტრობოლომეტრი) და სხვ. შემდეგი მაგალითებია: absorbencia, absorción (აბსორცია, შესრუტვა, შეწოვა), absorbente (აღბსორმბირებელი, შემწოვი), absorbible (აღბსორბირებული, შეწოვილი), absorber (აღბსორბირებს, შეიწოვს), absorber (აღბსორმენტი, მშანთქმელი), და სხვ. თანამედროვე ენაში, მაგალითად, ზმნა absorber “შეწოვა, შესრუტვის” მნიშვნელობით სასაუბრო ენაშიც გვხვდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტერმინოლოგიური მნიშვნელობები, გამარტივებული სახით შეიძლება გამოვიდნენ თავისი ტერმინოლოგიიდან და შეავსონ ენის წერილობითი და სასაუბრო ლექსიკა.

სამეცნიერო ენისათვის შეიქმნა ისეთი სიტყვები, როგორცაა: conductibilidad (გამტარობა), deselectrizar (განმუხტვა), dispersión (დისპერსია, გაფანტვა, დაბნევა), cumulonimbo (კუმულონიმბუსი, კოკისპირული წვიმის ღრუბელი), etilacetoclorhidrina (ეთილენაცეტონქლორიდრინი) და სხვა მრავალი სპეციალური ტერმინები, რომელთა რიცხვი ხულოს კასარესის სამართლიანი შენიშვნით “წარმოუდგენლად უზარმაზარია”.

სხვადასხვა მეცნიერებებში და მათ ტერმინოლოგიულ სტრუქტურებში არსებობს სიტყვაწარმოქმნის თავისი უპირატესი მეთოდები, სიტყვაწარმოქმნელი ფორმანტების სპეციალიზაცია და თავისი თავისებურებები ტერმინის შინაგანი ფორმის ამორჩევისას.

მაგ: ზემოთმოყვანილი ქიმიური ნაერთის სახელწოდებაში სიტყვის შინაგანი ფორმა სპეციალისტისათვის “ლაპარაკობს”. ეს უბრალოდ ნაერთის სახელია კი არა, თითქოს და მისი სიტყვიერი ფორმულაა. მისი ნაწილების მიხედვით ცხადი ხდება ნაერთის ქიმიური შემადგენლობა.

ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება აგრეთვე იყოს ჩვეულებრივი პოლისემანტიკური სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობათაგანი. მაგ: rebeldía- სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდება (იურ.), acción - სარჩელის უფლება (იურ.), aire – რიტმი, ტემპი (მუს.), campo - ველი (ფიზ.), capacidad – ტევადობა (ელექტრ.) ან უფლებამოსილება (იურ.), aspecto – ასპექტი, სახე (ლინგ.), difusivo, difuso - დიფუზური (ფიზ.), aceptar – აქცეპტირება (კომ.) centellar – სცინტილირება, ციმციმი (ასტ.) და სხვ.

ასეთ შემთხვევებში ტერმინოლოგიური მნიშვნელობები ერთდროულად წარმოადგენენ ნომინატურ-წარმოებულებსაც. მისი შინაგანი ფორმა მიმართებაშია პოლისემანტიკური სიტყვის ძირითად ან სხვა წარმოებულ ნომინატურ მნიშვნელობებთან.

§ 5 საკუთარი სახელების ადგილი ლექსიკურ სისტემაში

ენას გააჩნია თავისებური და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სიტყვების ჯგუფი-საკუთარი სახელები (*nombres propios*), რომლებიც განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებენ. სინამდვილის ფაქტების აღნიშვნის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ ორი ტიპის არსებით სახელებს: საზოგადოს (*nombres comunes o apelativos*) – *mesa, sol, valor, alegría, etc.*, და საკუთარ სახელებს – *Juan, Madrid, Martínez, La Mancha, Costa Rica, Mar Negro, Sierra Nevada*.

საზოგადო სახელები ობიექტს აღნიშნავენ მსგავსს, ერთნაირი ნიშან'თვისებების მქონე ობიექტის განსაზღვრულ კლასთან მიმართებაში. რაც შეეხება საკუთარ სახელს, რომელიც შეიძლება იყოს არა მარტო სიტყვა, არამედ სიტყვაშეთანხმებაცმ იგი განსხვავდება ზოგადისგან, მაშინაც კი, როცა წარმოქმნილია კონვერსიით ჩვეულებრივი არსებითი სახელისაგან ან სახელების სიტყვაშეთანხმებისაგან. საკუთარი სახელის ზოგადი თეორიის წიგნის ავტორი ა. ვ. სუპერანსკაია მიიძღნებს, რომ "საკუთარ სახელს გააჩნია შემდეგი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები 1. იგი ეკუთვნის მხოლოდ ინდივიდუალურ ობიექტს და არა იბიექტების კლასს, რომელთა ნიშან'თვისებებიც დამახასიატებელია ამ კლასში შემავალ ყველა ინდივიდისათვის 2. საკუთარი სახელით აღნიშნული ობიექტი ყოველთვის ზისტად განსაზღვრულია, შემოფარგლულია 3. სახელი არ არის უშუალო კავშირში ცნებასთან და ანის დონეზე არ გააჩნია ზუსტი და ურთიერთმნიშვნელოვანი კონოტაცია". სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი სახელი არ გამოხატავს რაიმე კლასის აზრითი საგნების ნიშან-თვისებებს და თავისებურებებს. ის მხოლოდ მიუთითებს ინდივიდუალურ ობიექტზე. ამასთან, საკუთარი სახეკუს ერთ'ერთ ძირითად თვისებას მისი ფუნქცია წარმოადგენს, რომლის არსიც სწორეს ინდივიდუალური ობიექტის მარკირებაშია.

დიდი კამათს იწვევს საკითხი საკუთარი სახელის ნების შინაარსის შესახებ. მკვლევარების ნაწილი თვლის, რომ საკუთარი სახელები არ გამოხატავენ არავითარ ცნებას, რომ ისინი სემანტიკურად ცარიელია. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ივანის ან ხუანის ტიპის საკუთარი სახელები მიმართებაშია ცნების განსაკუთრებულ სახეობასთან, რომელთაც თავდაპირველად არ გააჩნიათ საკმარისი მოცულობის შინაარსი და ამიტომაც ისინი საჭიროებენ აუცილებელ დაკონკრეტებას, ვერავინ გაიგებს, რომელ კონკრეტულ

ივანეზე ან ხუანზე საუბარი, მაგრამ ყველა მიხვდება, რომ წარმოთქმულია ორი საკუთარი სახელი, რუსული და ესპანური, ამასთან, ორივე მამრობითი სქესისაა და არა მდედრობითი. ასეტი სხელები ობიექტების დიდი მასიდან აღნიშნავენ მხოლოდ ზოგად ნიშან-თვისებებს. ისინი შემონახულია ენაში სპეციალური დანიშნულების მზა ნომინატური ერთეულების სახით. ამგვარად, Juan, María, Pedro ტიპის საკუთარ სახელებს, უკვე ენის დონეზე გააჩნიათ თავისი განზოგადებული ცნების შინაარსი, ჩამოყალიბებული ამ სახელების ფუნქციის და მათი ეროვნებასთან მიკუთვნებით. როცა პირის სახელი განსაზღვრულ ინდივიდს ეკუთვნის, მაშინ ის დასახელებული პირის შინაარსის მახასიათებელის ხარჯზე განავრცობს სემანტიკურ ინფორმაციას. ამიტომ, ლექსიკური თვალსაზრისიდან გამდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ საკუთარი სახელებით გამოხატული ცნების მოცულობა ფართოა ენობრივად და გაცილებით ვიწრო- მეტყველებაში, რომელშიც ის დაყვანილია ერთ ინდივიდამდე, ხოლო ცნების შინაარსი, პირიქით – ფართოა მეტყველებაში და გაცილებით ვიწრო - ენაში.

სხვაგვარადაა საქმე Mar Negro, Buenos Aires ტიპის საკუთარ სახელებში. ეს დასახელებები არ იყო არებული იმ სიტყვების განსაკუთრებული რეესტრიდან, რომელთაც მიეკუთვნება საკუთარი სახელები. ისინი, მათი წარმოქმნის მომენტამდე ენობრივად არ არსებობდნენ როგორც საკუთარი სახელები, ისინი ჩამოყალიბდნენ ჩვეულებრივი ზოგადი სიტყვებისაგან. ამიტომ, ასეთი სათარი სახელების ცნების შინაარსი მთლიანად განსაზღვრულია იმ ინდივიდუალური ობიექტით, რმელსაც ისინი ასახელებენ.

საკუთარი სახელები წარმოიქმნა ურთიერთობის გასაადვილებლად ადა არა როგორც ადამიანის შემეცნებითი მოქმედების აუცილებელი პირობა.

საკუთარი სახელი – ყოველთვის რეალიაა, რადგან ის მიმართებაშია კონკრეტულ ინდივიდუალურ ობიექტთან და თითქოს ინვენტარიზებას უკეთებს მას, უსვამს მას პირობით იარღიეს. ის ასახელებს ერთადერთ და განუმეორებელ ობიექტს და მოიცავს ინფორმაციას მისით აღნიშნული ობიექტის ლოკალურ და ნაციონალურ მიკუთვნებაზე. დაბოლოს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საკუთარი სახელები თავისი წარმომავლობივ არ წარმოადგენენ პირველად ლექსიკურ ერთეულებს, რადგან ისინი წარმოქმნილებია საზოგადო სიტყვების საფუძველზე. ეს მტკიცება ეკუთვნის აგრეთვე პირის სახელებსაც (ეტიმოლოგიურად ისინი ასევე მომდინარეობენ საზოგადო არსებითი სახელებიდან).

საკუთარ სახელებს სწავლობს მეცნიერული ლინგვისტური დისციპლინა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გამოეყო ლექსიკოლოგიას. მას ონომასტიკა ეწოდება და იკვლევს საკუთარი სახელების ფუნქციონირების ძირითად კანონზომიერებებს. ტერმინ ონომასტიკას გაჩნია მეორე მნიშვნელობაც – არა თუ იმ ენის კერძო სახელების

ერთობლიობა. სამწუხაროდ, როგორც ეს ხშირად ხდება ენათმეცნიერებაში, ერთ ტერმინში შეთავსებულია მეცნიერული დისციპლინის სახელწოდებაც და იმ ობიექტის სახელიც, რომელსაც ის სწავლობს.

ონომასტიკაში სრულიად განსხვავებული მეთოდებით განიხილება საკუთარი სახელების ტიპები და სახელები, ნათი გრამატიკული სტრუქტურა და სემანტიკა, მათი სოციალური და იურდიული სტატუსი, ონომასტიკური სივრცე, მათი ეტიმოლოგია, ექსპრესული შესაძლებლობები, გამოყენებითი ონომასტიკური პრობლემები და სხვ. ონომასტიკა დაკავშირებულია მთელ რის მეცნიერულ დისციპლინებთან – ისტორიასთან, ლიტერატურამცოდნეობასთან, მხარეთმცოდნეობასთან და ა.შ.

საკუთარი სახელები თავისი ფუნქციონალური და სიტყვა წარმოქმნის თავისებურებების გამო, მეტად განსხვავებული და მრავალგვარია. პირველ რიგში გამოიყოფა ორი ტიპის საკუთარი სახელები სულიერი არსებების და უსულო საგნების სახელები.

სულიერი არსებების სახელების ძირითადი ჯგუფია – ანტროპონიმები (antroponimos), ადამიანთა კერძო სახელები (nombres personales). მათ ეკუთვნის სახელები, გვარები, მამის სახელები, ფსევდონიმები და მეტსახელები. მეორე ჯგუფს შეადგენენ ზოონიმები (zoónimos), ცხოველების, ფრინველების და სხვათა სახელები და მეტსახელები. განსაკუთრებული ადგილი უკავია მიტონიმებს (მიტონიმოს), რომლებიც წარმოადგენენ ღმერთების, მითოლოგიური არსებების ალეგორიული ფიგურების და ა.შ. სახელებს, ანუ ობიექტის სახელები, რომლებიც ადამიანის მიერ განსახიერებული და გასულიერებული ფანტაზიის ნაყოფია.

აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში განვიხილავტ ესპანური ანტროპონიმების მხოლოდ ზოგიერთ თავისებურებას. ესპანურ ანტროპონიმიკას არ გააჩნია მამის სახელები (-ძე, -ასული). მამრობითი და მდედრობითი სახელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან:

- გრამატიკული სქესით: Juan-Juana, Paulo –Paula, ramón – Rammona, Alejandro-Alejandra, Carmelo – Carmela, Claudio – Claudia, Manuel – Manuela,
- Rolando, Santiago, Gustavo – მამრ. სქ.
- Elisa, Cora, Rita, Sofía – მდედრ. სქ.
- ტრადიციულად განმტკიცებული სქესით: Beltrán, Benjamín, Antón, Hector, Jaime, Cosme – მამაკაცის სახელები; Belén, Beatriz, Carmen, Piedad, Caridad, Dolores, Natividad, Luz, Remedios, etc. – ქალის სახელები.

არსებობს რიგი სახელებისა, რომელთა სქესის გრამატიკული მახვენებელი ურთიერთსაპირისპიროა დასახელებული ადამიანის ბიოლოგიური სქესისა: Agripa, Agricola, Águila, Bachila, Fonsa, Tulga, alba, Numa, Sica, etc. (მამრ. სქ)

Consuelo, sSapo, Teano, Clío - (მდედრ. სქ)

ზოგიერთი საკუჭთარი სახელი შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც კაცს, ისე ქალს: Dulce, Flor, Pilar, Ventura, Sacramento, Nieves.

ესპანურ ენაში არის რტული ანტროპონიმებიც, რომლებიც შედგება ორი სახელისაგან. მაგალითად, მამაკაცებში არის სახელები: Antonio María, Alejandro MARIÍA, Jesús María, Juan María, etc.

ქალებში რთული ანტროპონიმები უმეტესად შედგება მდედრ. სქესის ორი სახელისაგან: Cándida María, Cañndida Rosa, Ana Luisa, María Dolores, María Josefa, María Elena, და სხვ.

ესპანური ენაში, ისევე როგორც სხვა ევროპულ ენებში, ადამიანის სახელებს შეიძლება გაააღწეოთ სრული და შემოკლებლი ფორმები, რომლებიც ზოგჯერ უღერადლობითა და დამწერლობით მეტად განსხვავებულია. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი შემოკლებული სახელების სია: Pepe=Jose; Cristi=Cristina, Nuri =Nuria, Lina = Adelina.

ესპანური ენის ადამიანთა სახელების მრავალრიცხოვანი ფონდი ძირითადად ჩამოყალიბებულია ძველ-ებრაული, ბერძნული, ლათინური, გერმანული და ინდური ენებიდან.

უსულო საგნების სახელწოდებებიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ გეოგრაფიული სახელებუ ანუ ტოპონიმები (toponimos). ა. ვ. სუპერანსკაია ამტკიცებს, რომ ტოპონიმების უზარმაზარი რიცხვი, “მოელი მათი მრავალრიცხვნება შეიძლება დაყვანილ იქნას სედარებით მცირერიცხოვან ტიპებად”. მთებისა და მარლობების სახელები გაერთიანებულია ორონიმებში (oronimos). მდინარეების, ტბების, ზღვების, ოკეანეებისა და აკვატორიუმების სახელები მიეკუთვნება ჰიდრონიმებს (hidronimos), რომლის ქვედანაოფებია: პელაგონიმები (pelagonimos), ანუ ოკეანეებისა და ზღვების სახელები; ლიმონიმები (ლიმონიმოს),- გზების სახელები; პოტამონიმები (potamonimos), - მდინარეების სახელები; ჰელონიმები (helonimos), - ჭაობებისა და საფლობების სახელები. გამოიყოფა აგრეტვე სახელების ზოგიერთი სხვა ჯგუფები.

ლანდშაფტების ბუნებრივი ფორმების გარდა, არსებობს მრავალი გეოლოგიკტი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ქმედებასთან. მაგალითად, დასახელებული პუნქტები. მათი კლასში, რომლებიც აგრეტვე იყოფა კიდევ უფრო შეზღუდულ

ჯგუფად: ასტრონიმები (astronimos) – ქალაქების სახელები, ქორიონიმები ანუ კომონიმები (jorionimos o comonimos) – დაბებისა და ოლქების სახელები. არსებობს ტოპონიმების უფრო მცირე ქვედანაყოფებიც.

ონომასტიკის სხვა დარგებში ისწავლება ფიტონიმები (fitonimos), ანუ მცენარეთა სახელები; ასტროპონიმები (astroponimos), ანუ ცალკეული ციური სხეულების სახელები. ონომასტიკის შესაბამის განყოფილებებში ისწავლება გადაადგილების საშუალებათა სახელები, დაწესებულებების, საწარმოების, საზოგადოებების, კავშირების, გაერთიანებების, ბეჭდვითი ორგანოების, ლით. ნაწარმოებებისა სხვა ობიექტების სახელები.

როგორც ვხედავთ, ონომასტიკა წარმოადგენს სახელების სხვადასხვა ტიპების მეტად დიდი მოცულობის ერთობას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ქმედების ყველა სფეროსთან. ყველგან, სადაც იდენტიფიკაციის ან ინდივიდუალიზაციის საჭიროებაა, ადამიანი იყენებს საკუთარ სახელებს, როგორც ობიექტის გამოყოფის უფრო მოხერხებული მეთოდს... საკუთარი სახელების გამოყენება საყოველთაო და უნივერსალურია.”

ესპანურენოვანი ტოპონიმოკა მეტად მდიდარია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლათინოამერიკული ტოპონიმოკა. მასში შედის სახელების საკმაოდ დიდი რიცხვი, რომლებიც ნასესხებია სხვადასხვა ინდური ენებიდან და აღნიშნულ სახელმძღვანელოსი სწორეს ამ მაგალითებს მოვიყვანო ტოპონიმების ძირითადი თავისებურებების საილუსტრაციოდ.

ტოპონიმებს არ გააჩნიათ ადამიანის სახელების მსგავსი სპეციალური ლექსიკური პლასტი (ფენა, შერ). ნებისმიერი ტოპონიმური სახელი ნაწარმოებია საზოგადო არსებითი სახელიდან ან ნასესხებია საკუთარი სახელებიდან.

გეოობიექტების საკუთარი სახელების რიცხვი შეზღუდულია. ძირითადად ეს არის წმინდანთა, ისტორიული პიროვნებების, საზოგადო მოღვაწეების და სხვა რეგიონებში ადრე უკვე გამოყენებული გეოგრაფიული სახელები.

რაც სეესება საზოგადო სახელებს, რომლებიც წარმოადგენენ ტოპონიმების საფუძველს. მათში პირველ რიგში გამოიყოფა გეოგრაფიული მნიშვნელობის მქონე სიტყვები. “სიტყვების ამ კატეგორიას ტოპონიმოკურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ უწოდებენ გეოგრაფიულ ტერმინებს, ზოგჯერ –ადგილობრივ გეოგრაფიულ ტერმინებს, ადრე უწოდებდნენ ნომენკლატურულ ტერმინებს, ამჟამად უფრო ხშირად –ნომენებს. ეს სიტყვები ჩვეულებრივ გამოიყოფა სხვა დანარჩენი ტოპონიმოკური ლექსიკიდან, ანუ უჭირავ განსაკუთრებული ადგილი ნებისმიერ ტოპონიმოკურ სისტემაში. თავისი

სემანტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, საზოგადო ლექსიკის ეს კატეგორია წარმოადგენს ტოპონიმიკური სახელები უშრეტ არსენალს”. ი. პ. ლიტვინა, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ლათინური ამერიკის ტოპონიმიკური ლექსიკა, წერს, რომ Cerro de Pasco, Rio de Janeiro, Barrancabermeja, Montelíbano, Santa Cruz de la Sierra ტიპის დასახელებ უღი პუნქტების ურიცხვი სახელები, სადაც cerro, monte, barranca, sierra, río გეოგრაფიული ტერმინებია, რომლებიც გახდნენ ტოპონიმების ნაწილები. იგივე ხდება ბუნებრივი ობიექტების სახელებშიც: Lagunas sin Fondo (ზეგანი არგენტინაში), Monte Lindo (მდინარე ურუგვაისი), Hermoso Compo (ვაკე აგენტინაში), Bahía dde Cadiz (პატარა კუნძული, რომელიც ეკუთვნის კუბას), Sierra de Valle Fertil (ქედი არგენტინაში). მათში გეოგრაფიული ტერმინები laguna, monte, campo, bahía, valle წარმოადგენენ საკუთარი სახელის საფუძველს ან ელემენტს (კომპონენტს).

გეოგრაფიული ტერმინები ტოპონიმიკაში გამოიყენება თავისი პირდაპირი მნიშვნელობითაც: ისინი თან ახლავს ბუნებრივი ობიექტის სახელებს და მიუთითებს დასახელებული ობიექტის გვარსა და სახეობაზე, ანუ ტოპონიმების თანაფარდობაზე რეალური სამყაროს განსაზღვრულ რეფერენტებთან, ნიჭებენ სახელს ამა თუ იმ ობიექტს და ამასთან ფორმალურად არ შედიან საკუთარი სახელის შედგენილობაში, მაგ, გვ. 40.

ტოპონიმების მაფორმირებელ, მეორე ლექსიკურ ფენას (პლასტს) მიეკუთვნება მათი შემადგენელი ნებისმიერი სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები. ამგვარი ლექსიკა მეტად განსხვავებულია. ი. პ. ლიტვინა შეეცადა ჩაეტარებინა მათი სემანტიკური სისტემატიზაცია და მოაგლინა შემდეგი სემანტიკური ველები:

- ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ობიექტის ხარისხობრივ, ემოციურ და რაოდენობრივ შეფასებას ან მათ ადგილ-მდებარეობას: bahía, inútil, isla redonda, laguna Superior.
- ლექსიკა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასთან და საეკლესიო ატრიბუტიკასთან: Santa Fe, Santa Cruz, La Virgen.
- ლექსიკა, რომელიც გამოსახავს ლათინურ-ამერიკული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას: La Libertad, Independencia, Constitución, Fraternidad;
- ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ადამიანის გრძნობებსა და სულიერ მდგომარეობას: Tristeza, Soledad, Destino, Buenaventura (დასხლებული პუნქტებია);

რასაკვირველია, ცნების ეს ჯგუფები არ ამოწურავენ ტოპონიმიკური სახელების შემადგენლობაში შემავალ ლექსიკას. აუცილებელია ამ ჩამონთვალში შევიდეს ინდიური ლექსიკა, რომელიც განსაკუთრებულ თავისებურებას აძლევს ლათინო-ამერიკულ ტოპონიმიკას. ტოპონიმიკის ჩამოყალიბებაში ინდიური ენების ლექსიკა

პროექტიულობით ზოგჯერ ესპანურ-პორტუგალიურზე მეტიცაა. ზოგადო სახელების ეს ჯგუფი შედის ტოპონიმების ურიცხვ შემადგენლობაში. აბორიგენული გეოგრაფიული ტოპონიმების უმრავლესობამ დაკარგა თავისი აპელატიური გამოყენება და ამჟამად ნაწევრდება მხოლოდ როგორც საკუთარი სახელების ელემენტები.

ი. პ. ლიტვინი გამოყოფს ასეთი ლექსიკის რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფს

- როგორც წინა შემთხვევაში, ეს არის შეფასებითი ლექსიკა. ტოპონიმების შემადგენლობაში შედიან ზედსართავი სახელები *caja* (კეჩუას ენაზე – ცივი), *challo* (აიმარაზე – ქვიშიანი), *picun* (არაუკანულზე – ჩრდილოეთის), *quiac* (კიჩეს ენაზე – წიტელი), *quimsa* (კეჩუა, აიმარაზე – სამი), *pisca* (კეჩუაზე – მესუთე), *quiacu* (ტუპი – გუარანიზე – დიდ) და სხვ. მაგალითად: *cerro Caja* (გვატემალაში), *rio Challasuyu* (ბოლივიაში), *rio Picunelo* (არგენტინაში), *rio Iguazu* (არგენტინაში) და სხვ.;

- ფლორისა და ფაუნის სახეობათა სახელები, რომლებიც აღნიშნავენ დასახლებულ პუნქტებს. მაგ. *Amatepec* (ნაუაზეხის სახეობა), *Abancay* (კეჩუაზე – შროშანი), *Bejucal* (მაიაზე – ლიანები), *Curitiba* (ტუპი – გუარანაზე- ფიჭვი), *Jacare*, *Jacaretinda* (ტუპიზე – ნიანგი), *Tehuantepec* (ნაუაზე – ველური ცხოველების ზოგადი სახელი და სხვ.

- სახელები, დაკავშირებული რელიგიურ რწმენასთან და საკულტო მიმდინარეობებთან. მაგალითებად შეიძლება კვლავ ოიკონიმები იყოს: *Coatepec* (სოიადან – ფრთოსანი გველი, მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ინდიელების კულტი), *Quetzaltenango* (*quetzal*–დან – საღვთო ფრინველი ცენტრალური ამერიკის ნაიას ენაზე), *Ayahuaca*, *Humahuaca* (*huaca*, *huanca* –დან – აკლდამა, საღვთო ქვა, ტოტემი ინკებთან), *Quellupacheta* (*apacheta* –დან – ქვების რიტუალური გროვა), *Apurimac* (კეჩუაზე აპუ – კეთილი სულების სახელები) და სხვ.

- ეთნიკური ჯგუფებისა და ტომების სახელები ბევრი ტოპონიმის საფუძველია, მათ შორის ისეთი ოიკონიმებისა, როგორიცაა. *Xochimilco*, *Zacatecas*, *México*, *Siboney*, *Nahuatlán*, *El Quiché*, *Choluteca*, *Guajira*, *Caracas*, *El Tupí* და სხვ.

ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობას.

ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობას. მის საფუძველზე წარმოიქმნა მაგალითად დასახლებული პუნქტების სახელები: *Sicabe*, *Texolbe* (კიჩეს ენაზე *be* – გზას ნიშნავს), *Chimaltenango* (ნაუას ენაზე *chimal* – ფარი), *Michoacan* (ნაუაზე *michi* – თევზი), *Las Chacritas* (კეჩუაზე *chacra* – დამუშავებული მიწა),

Las Pircas (კეჩუაზე pilca, pirca –ჭვის ღობე), Rucanelo (არაუკანულიზე ruca – სახელი, საცხოვრებელი) და სხვ.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც მოყვანილია აბორიგენების ენებიდან ნასესხები, მხოლოდ ძალიან გავრცელებული ტოპონიმური ფუძეები. საკუთრივე ესპანური და ინდიური ტოპონიმური ფუძეების შედარებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ მათშიბევრი სემანტიკური თანხვედრისას ერთი არსებითი განსხვავებაა: ესპანური ტოპონიმური ფუძეები ძირითადად გამოხატავენ აბსტრაქტული სახელები უმეტესად დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობის სიტყვებთან.

განხილული ტიპონიმები იმაზე მეტყველებენ, რომ მათი წარმოქმნის ძირითად წყაროს საზოგადო სახელები წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ბევრი საზოგადო სახელებია, რომლებიც წარმოიქმნა საკუთარი სახელიდან. ტოპონიმებიდან ეწარმოიქმნენ სიტყვა avellana (ტყის თხილი) – იტალიური პროვინცია Campania-ს ადგილიდან Abella, რომელიც ცნობილი იყო თავისი თხილნარით; campana (ზარი) – ზემოთნახსენები იტალიური პროვინციის სახელიდან, სადაც იწარმოებოდა მაღალი ხარისხის ბრინჯაო; corbata პალსტუხი, ყელსახვევი) – Cracia-დან (ხორვატია), ხორვატელი კავალერისტები ატარებდნენ აბრეშუმის ყელსახვევებს; cobre (სპილენძი) – ბერძნული Kypros-იდან, კუნძულ კიპრის სახელიდან, სადაც სპილენძის დიდ საბადოები იყო; faro (შუქურა) – კუნძული Pharo-ის სახელიდან, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიქურით; palacio (სასახლე) – რომის ბორცვის (გორაკის) Monte Palatino de Roma-ს სახელიდან, სადაც იდგა კეისართა დიდებული სასახლე; academia (აკადემია, სკოლა), სიტყვა, რომელიც სათავეს ირებს ბერძნული Akademia-დან, ბადის სახელი, სადაც ასწავლიდა პლატონი; cheviot (შევიოტი) – შოტლანდიის ადგილის სახელი, სადაც აწარმოებდნენ ამ შალს და სხვ.

პირის სახელები წარმოადგებენ ზოფგიერთი საზოგადო სახელების უძეებს, როგორცაა cereal (პურეული, მარცვლივანი) ზედსართავი სახელი, რომელიც მომდინარეობს მიწათმოქმედთა მფარველი ღმერთქალის სახელი Ceres – იდან; magnolia (მაგნოლია), ეს სახელი უწოდა ლე ინეილ ხეს, ფრანგი ბოტანიკოსი მაგნოლიას პატივსაცემად; batista (ბატისტი) – Baptiste – დან, ამ ქსოვილის შემქმნელი პირველი ფაბრიკანტის სახელია; silueta – ფრანგული ხაზინის მცველის გვარიდან – Silhouette (კორონიმაზის აზრით, თავდაპირველად სილუეტს უწოდებდნენ სწრაფად შესრულებულ ნახატს, რომელიც დიდ შრომას არ მოითხოვდა a la solhouette – სილუეტის მანერაში – ამ გამოთქმაში იყო მინიშნება სილუეტის იოლ

თანამდებობაზე); panico – ტყის სული პანას სახელიდან; niquel – გერმანული Nickel-იდან, სკანდინავურ ქვეყნებში მთის ღვთაების სახელი და სხვ.

საკუთარი სახელების გადასვლა საზოგადოში და პირიქით, ყველა ენაში მეტას გავრცელებულია.

§ 6. იდეოგრაფიული დაყოფა და ლექსიკის სისტემატიზაცია

ნებისმიერი ენის სიტყვები შეიძლება გავაერთიანოთ მათ მიერ გამოხატული აზრის მიხედვით და დავაჯგუფოთ ისინი რაიმე ცნებების საფუძველზე. სიტყვების ასეთი დაყოფა ცნებების, ჯგუფებისა და ლექსიკო-სემანტიკური ველების მიხედვით დიდი ხნიდან არის ცნობილი. ლექსიკონებს, რომლებშიც ლექსიკური ერთეულები სისტემატიზირებულია განსაზღვრული თემების მიხედვით უწოდებენ იდეოგრაფიულს (თემატურს), ესპანური ტრადიციით – “diccionarios ideológicos”.

აზრობრივი ლექსიკური ურთიერთკავშირების შესწავლისას საყრდენს წარმოადგენს სემანტიკური ანუ ლექსიკური ველის ცნება, რომელშიც იგულისხმება კონკრეტული ენის ლექსიკური ერთეულების ერთიანობა, საერთო ინვარიანტული ცნებით (მნიშვნელობით). ასეთ ველში გამოსახულია ჩვენი სამყაროს განსაზღვრული “მონაკვეთი” და მეტად რელიეფურადაა გაშლილი ლექსიკური ერთეულების აზრობრივი თავისებურებები.

განზოგადებული ცნება (სემანტიკური უნიფიკატორი) ანუ ველის სახელი¹ მკვლევარების მიერ განისაზღვრება პრაგმატულ და სამეცნიერო მიზნებთან დამოკიდებულებით. ამიტომ ველების სახელები და მოცულობები განსხვავებულ სახელმძღვანელოებში შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, ხოლო ველების დამჯგუფებელ უნიფიკატორებს გააჩნდეთ განზოგადების განსხვავებული უნარი. მოცულობით დიდი ველი (მაკროველი) შეიძლება აერთიანებდეს რიგ მიკროველებს. ასე მაგალითად, მაკროველი alimentación (კვება), რომელშიც შედის კვების პროდუქტების სახელები (pan, carne, leche, salmón, manzana, zanahoria და სხვ.), საჭმელების (sopa, olla, asado, biftec, guisado, tortilla და სხვ.), სასმელების (agua, té, vino, jugo, gaseosa და ა.შ.), სასადილო მოწყობილობები (tenedor, cuchillo, vaso, taza და ა.შ.), ჭამასთან დაკავშირებული ქმედებების

¹ ველს აგრეთვე უწოდებენ: არქილექსემას, საკვანძო სიტყვას, ველის ცნებით ბირთვს, დეკომპოზიტს და სხვ.

(comer, beber, tomar, desayunar, cenar, probar, masticar, almorzar, digerir და ა.შ.) სხვ. შეიძლება მინი ველებად დაიყოს უფრო ვიწრო ცნებების ნიშნების მიხედვით. მაგალითად, გამოვეყნოთ bebidas (სასმელები): agua, vino, cerveza, sidra, jugo, zumo, licor, gaseosa, vodka, crema და ა.შ.), ხოლო მათგან გამოვეყნოთ ქვეჯგუფები: bebidas alcohólicas (vino, cerveza, champaña, sangría, vodka, orujo, aguardiente, pacharán, chinchón, coñac, guarapo, grog, chicha, etc.) და bebidas inalcohólicas (gaseosa, limonada, horchata, chocolate, café, té, mate, zumo, naranjada, sorbete, etc).

ზემოთხამოთვლილი სიტყვებიდან ბევრ მათგანს გააჩნია უნარი თავის მხრივ გახდეს ცნებების ველის კიდევ ერთი ბირთვი. მაგალითად, ისეთ ჩვეულებრივ სიტყვასთან, როგორცაა chocolate (სასმელი, კაკაო) შეიძლება სემანტიკურად დავაკავშიროთ ლექსიკური ერთეულები: chocolatero, molendero, chocolsmillar, molino, metate, refiandera, rollo, hataca, molinillo, etc., ხოლო chocolate-სთან (შოკოლადი) – caracas, pastilaa de chocolate, ladrillo de chocolate, cacao, teobroma, teobromina, Guayaquil, piñole, bombón, etc.

სულიო კასარესის იდეოგრაფიულ ლექსიკონში alimentación-ის მაკროველში გამოყოფილია კიდევ 58 საკვანძო სიტყვა, რომელთა ირგვლივ ჯგუფდება საკუთარი მიკროველები.

მოყვანილი მარტივი მაგალითებიც კი გვარწმუნებს იმაში, რომ ლექსიკური ველები წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ სემანტიკურ სივრცეებს. ისინი წარმოქმნიან რთულ, განშტოებული, ენის ლექსიკური ერთეულის ცნებითი კავშირების ურთიერთშედწევად სისტემათა სისტემებს, რომლებიც განპირობებულია რეალური დამოკიდებულებებითა და მატერიალურ ობიექტებსა და სულიერ ყოფას შორის ერთობით. “ლექსიკონის ერთადერთი დანაწევრება სემანტიკურ ველებად არ არსებობს. ნებისმიერი სემანტიკური ველიდან, მეტ-ნაკლებად გრძელი ჯაჭვის შუალედური რგოლიდან, შეიძლება მოვხვდეთ ნებისმიერ სხვა ველში, ასე რომ ენის სემანტიკური სივრცე ამ მხრივ უწყვეტია”. ამით შეიძლება აიხსნას სიტყვის უნარი თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით შევიდეს სხვადასხვა სემანტიკური იერარქიის რამდენიმე ლექსიკურ ველში. უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები პოლისემანტიკურია და ამიტომ თავისი განსხვავებული მნიშვნელობებით ისინი შეიძლება განლაგდეს ერთმანეთისაგან მეტად დაცილებული ცნებით ველებში.

სემანტიკური ველი ინარჩუნებს თავის ფარდობით ერთობას და მთლიანობას, პირველ რიგში იმიტომ, რომ მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებს გააჩნიათ რაღაც ცნებითი ჯაჭვი, რაღაც საერთო სემანტიკური კომპონენტი. ზემოთმოყვანილ მაგალითებში ასეთ უნიფიკატორს წარმოადგენდნენ ფარდობითობა კვებისა და სმის იდეასთან. თუმცა, ველების ერთობას აგრეთვე ხელს უწყობს შიდაენობრივი ურთიერთობები, სინონიმური, ანტონიმური და სხვა კორელაციები. მათ შორის ე.წ. ჰიპონიმური (hiponímico) და

ჰიპერონიმური (hiperónimo) კავშირები - სწორედ ისინი წარმოადგენენ სემანტიკურ ველში სისტემური (პარადიგმატული) ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად ტიპებს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სიტყვის მნიშვნელობებს შორის - სახეობა-გვარი და გვარი-სახეობა - ურთიერთობები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერი სემანტიკური ველის ფორმირებაში.

ჰიპონიმები (hipónimo)¹ ეწოდება სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ სახეობრივ ცნებას ჰიპერონიმთან (hiperónimo), ანუ გვარის ცნების აღმნიშვნელ სიტყვასთან მიმართებაში: pino, abeto, roble, sauce, encina, abedul, alcornoque, serbal, manzano, peral, etc.

ყველა ესენი ჰიპონიმებია ჰიპერონიმ árbol-ის მიმართ. რასაკვირველია, დაპირისპირების ცნების დონის დამოკიდებულების მიხედვით, სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ჰიპერონიმს რომელიმე ცნების რიგის ჰიპონიმების მიმართ (თანაჰიპონები), შეიძლება თვითონ გახდეს ჰიპონიმი სხვა უფრო მაღალი სემანტიკური იერარქიის მქონეს მიმართ. მაგალითად, თითოეული თანაჰიპონიმიდან, რომელიც მიეკუთვნება ჰიპერონიმ ciencia-ს და ასახლებს სხვადასხვა მეცნიერულ დარგებს – matemáticas, astronomía, lingüística, filosofía, química, botánica, etc.

შეიძლება გახდეს ჰიპერონიმი სხვა სემანტიკურ ჯაჭვში. მაგალითად, lingüística – ჰიპერონიმია, ისეთი მეცნიერული დარგების მიმართ, როგორცაა: gramática, fonética, fonología, lexicología, estilística, etimología, semasiología, etc.

ნებისმიერი სემანტიკური ველის ფარდობით ერთობას აგრეთვე ხელს უწყობს სიტყვის ლექსიკო-სემანტიკური განსაზღვრულობა, რომელიც შეუცვლელად ინარჩუნებს საკუთარ ლექსიკურ მნიშვნელობას და გრამატიკულ ხასიათს. სემანტიკური ველის სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია თავისი განზომილება, ცენტრი და პერიფერია, თავისი კავშირები მომიჯნავე ველებთან, საშუალებას იძლევა სემანტიკურ ველში ჩაერთოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილების სიტყვები, რომლებიც თავისი ნიშან-თვისებების შეუცვლელად ერთიანდებიან საერთო აზრობრივი კონპონენტის საფუძველზე.

გარე სამყაროს ურიცხვი ბუნებრივი და სოციალური ობიექტები, რომლებიც დაქვემდებარებულები არიან განსხვავებულ ურთიერკავშირებსა და ურთიერდამოკიდებულებებზე, შეიძლება დაჯგუფდნენ და სისტემატიზაციაში მოვიდნენ მიცნიერებასა და ყოფა-ცხოვრებაში განსხვავებული თვალსაზრისითა და განსხვავებული მიზნებისათვის. ამიტომ იდეოგრაფიული (ლექსიკო-სემანტიკური, ლექსიკო-წარმოდგენითი)

¹ ჰიპონიმო და ჰიპერონიმი – ბერძნული წარმოშობის სიტყვებია. პირველი მათგანი ბერძნ. hypo – ქვემოთ, ქვეშ და onyma – სახელი, მეორე – hyper-დან - ზე, ზემოთ და onyma.

კლასიფიკაციები და დაყოფები არაერთგვაროვანია. მსგავს კლასიფიკაციებში სიტყვების ცნებით სისტემატიზაციას თან ახლავს დიდი სირთულეები: სიტყვისა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრება, ცნებასა და ლექსიკურ მნიშვნელობას შორის კავშირების გააზრება, პოლისემიის, ომონიმის, სინონიმის ხასიათი და ა.შ. ენის ლექსიკური შედგენილობის დაყოფის მეთოდოლოგიაზე არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე სისტემატიზატორების მეთოდოლოგიური შეხედულებები, მათი მსოფლმხედველობა, მეცნიერული თვალთახედვა. ამიტომ ი.ნ. კარაულოვი მართებულად წერდა, “რომ საკითხები, დაკავშირებული იდეოგრაფიული ლექსიკონის სტრუქტურასთან - ლექსიკის კლასიფიკაციაზე, სიტყვების დეფინაციაზე, ლექსიკონის ერთეულებს შორის სემანტიკურ კავშირებზე, - სცილდებიან ლექსიკოგრაფიის საზღვრებს, წარმოადგენენ წმინდა ლექსიკოლოგიურებს ანუ თვითონ ობიექტის სისტემურობის საკითხებს.”

ლექსიკაში ცნებითი და სემანტიკური ველების არსებობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ სემანტიკური ველების ინტერპრეტაციები და განსაზღვრებები მეტად განსხვავებულია.

სემანტიკური ველების შესწავლის ინტერესმა გარკვეულ წილად განსაზღვრეს ი. ტრირის შრომები. მაგრამ პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მისი “სემანტიკური ველის თეორია” ვერ გამოდგება ენის ლექსიკური შედგენილობის კონკრეტული კვლევისათვის, რადგან ის არ ითვალისწინებს ძირითად ლექსიკურ ერთეულს - სიტყვას. ამ ნეოჰუმბოლდტურ თეორიას სხვა არსებითი ნაკლოვანებების აქვს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ი. ტრირი სუბიექტურად აშუქებდა ენის შინაგან ფორმას და მის კონკრეტულ ველებს.

ლექსიკა სისტემურია, მაგრამ მისი სისტემურობა განსხვავდება მორფოლოგიისა და სინტაქტის სისტემურობისაგან. ლექსიკის სისტემატიზაციას ახდენს ორი სახის ფაქტორი: გარეგანი (ექსტრალინგვისტური) და შინაგანი (ლინგვისტური, შიდაენობრივი). ამჟამად, ჩვენს ინტერესს პირველი ფაქტორი წარმოადგენს. ბუნებისა და საზოგადოების ყველა მოვლენას, რომელიც ადამიანის მიერაა გაცნობიერებული, გააჩნია თავისი სიტყვიერი სახელები. ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ რეალურ სამყაროში არსებული კავშირების, გაერთიანებების, შეუღლებებისა და ა.შ. მიხედვით. ცხოველთა და მცენარეების, ბუნებრივი მოვლენებისა და არაორგანული სამყაროს, ადამიანის მოქმედებებისა და საზოგადოებრივი მოწყობის სახელები, ნივთიერებების და მათი თვისებების, ყოფის საგნებისა და ტექნიკური ნაწარმის, აბსტრაქტული ცნებებისა და მითოლოგიური ობიექტების დასახელებები, ბიოლოგიის, ქიმიის, არქიტექტურის, ლინგვისტიკის და ა.შ. ტერმინები და სხვ. -

ვეელაფერი ეს შესაძლო ლექსიკური დაჯგუფებებია, რომლებიც გამოხატავენ სინამდვილის სისტემურობას.

ამიტომ აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში იდეოგრაფიული (სემანტიკური, ენობრივი) ველების ქვეშ იგულისხმება სიტყვების ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან მათი ლექსიკური მნიშვნელობების რაიმე ზოგად ცნებასთან კავშირის საფუძველზე, რომელიც გამოსახავს რეალური სინამდვილის ობიექტებისა და მოვლენების კავშირს. ყოველი ასეთი ველი მოიცავს და ასახავს ჩვენი სამყაროს განსაზღვრულ “მონაკვეთს”.

როგორც უკვე ითქვა, იდეოგრაფიულ კლასიფიკაციაში გამოსახება არსებული ობიექტებისა და მოვლენების არა მარტო რეალური კავშირები და დამოკიდებულებები, არამედ სიტყვების შემოთავაზებული ჯგუფების ავტორთა სუბიექტური თვალსაზრისიც, მათი სამყაროს ფილოსოფიური ხედვა. ამ დაჯგუფებებში ვლინდება კონკრეტული ენების სპეციფიკური თავისებურებებიც. თუმცა, “სამყაროს სურათები”, თითქოს აწყობილი ენის ლექსიკის კუბებისაგან, ძირითადად ემთხვევიან ერთმანეთს, რადგან მათ საფუძველში უდევთ ჩვენი გარემომცველი მსგავსი სინამდვილე, მაინც თითოეულ ენას სამყაროს დანაწევრებაში გააჩნია თავისი თავისებურებები. მაგ: სიტყვები ლურჯი და ცისფერი “ფარავენ” სინათლის სპექტრის იმავე ნაწილს, რასაც სიტყვა azul. ესპანურში ეს “სინამდვილის მონაკვეთი” სიტყვიერად არ დიფერენცირდება.

სიტყვაში დღე-ღამე გამოხატული ცნება ესპანურ ენაში გადმოიცემა veinticuatro horas სიტყვაშეერთებით, სიტყვა სოფელი გამოხატავს გლეხების პატარა დასახლებას, სიტყვა დაბა – დიდს. ესპანურში ასეთი დანაწევრება არ არის, სიტყვა aldea ეწოდება ნებისმიერ სასოფლო დასახლებას. ყოველ ენაში არის სიტყვების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ასახლებეს რეალიებს, ანუ მატერიალური და სულიერი კულტურის საგნებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ განსაზღვრული ერისათვის: torero, banderilla, paella, gazpacho, fallas და სხვ. – ესპანურში; სამოვარი, მატრიოშკა, შჩი, ბურახი, კოლმეურნობა და ა.შ. – რუსულში; ჩოხა-ახალუხი, სალამური, ხარჩო და ა.შ. – ქართულში და ა.შ. ასეთი სიტყვები კონკრეტული ენების ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფებს ანიჭებენ რაღაც თავისებურებას. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეცნობილი სამყაროს ლექსიკური დანაწევრების ნაციონალური თავისებურებების გაზვიადება. ასეთ გაზვიადებებს უკვე ჰქონდა ადგილი ლინგვისტიკაში, რასაც არასწორი შედეგები გამოუწვევია. საკმარისია გავისხენოთ ლ. ვაისგერბერის თვალსაზრისი ცნებაზე “ველი”, სეპირასა და უორფის ჰიპოთეზა და სხვა ნეოჰუმბოლდტიანების დოქტრინები. აღნიშნული ენათმეცნიერები თვლიდნენ, რომ არა მარტო ენის გარეგანი მხარე (ანუ მისი ფორმალური, ზეპირი და წერილობითი ორგანიზაცია) უნდა განიხილებოდეს როგორც უადრესად


ნაციონარული მოვლენა, არამედ მისი შინაგანი მხარეც, მისი სემანტიკური შინაარსი. ამასთან, კონკრეტული ენის სემანტიკა - მათი აზრით, განსაზღვრავს ან ენის მატარებლის აზროვნებასაც, მისი რეალობის აღქმას და ქმნის “სამყაროს სურათს” ამ ადამიანის შეგნებაში.

ვაისგერბერი განასხვავებდა ორ ცნებას: სამყარო და სინამდვილე. სინამდვილე - ეს არის ის, რაც არსებობს ჩვენი შეგნების გარეთ. სამყარო - ეს არის ენაში გამოხატული სინამდვილის სუბიექტურ-ნაციონალური სახე. თითოეულ ნაციონალურ ერთობას - თავისი სამყარო გააჩნია. სწორედ ის წარმოადგენს ამა თუ იმ ეროვნული ენის მატარებლისათვის ჭეშმარიტ რეალობას. ამ ენობრივ სამყაროშია თვითმყოფადობა. ენაზე მსგავსი ფილოსოფიური წარმოდგენა ჰქონდარ ამერიკელ ლინგვისტებსაც - ე. სეპირს და ბ. უორფს. სამამულო ენათმეცნიერება გამოდის იქიდან, რომ ენა არის პრაქტიკული, ჭეშმარიტი შეგნება. აზროვნების ფიზიოლოგიური და ლოგიკური კანონები მთელი კაცობრიობისათვის საერთოა. მაგრამ, ენა არსებობის კონკრეტული (და არა აბსტრაქტული) მატერიალური ფორმაა და აზროვნების გამოხატვა ეროვნული საკუთრებაა. აზროვნების პროცესში (ცნებებში, თეორიებში, მსჯელობებში და ა.შ.) სრულად ასახული ობიექტური სამყარო, განსხვავებულ ხალხებში “სამყაროს ეს სურათი” უმეტესწილად დაემთხვა ერთმანეთს. შეიძლება ვთქვათ, რომ აზროვნება შინაარსით ზოგადსაკაცობრიოა, ფორმით კი - ეროვნული.

მატერიალური სამყაროს ერთიანობა და ადამიანების საზოგადოებრივ პრაქტიკაში მსგავსება მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ იდეოგრაფიული ლექსიკონების ზოგადი და კერძო სემანტიკური მოდელების შექმნაში. მაგალითების სახით მოვიყვანოთ სამყაროს სურათის ცნების ორ ზოგად სქემას. მათგან ერთ-ერთის შემქმნელია მაიერი და ასახულია კარაულოვის გამოკვლევებში, მეორე შემოთავაზებულია ვ. ვ. მორკოვიჩის მიერ.

გ. მაიერის სქემა: I - არაორგანული სამყარო, ნივთიერება; II - მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ადამიანი (ფიზიკური არსი); III - სივრცე, მდგომარეობა სივრცეში, ფორმა; IV - სიდიდე, მასა, რიცხვი, ხარისხი; V - არსებობა, დამოკიდებულება, მიზეზობრიობა; VI - დრო; VII - სინათლე, ფერი, ბგერა, ტემპერატურა, წონა, მდგომარეობა, ენოსვა, გემო (ანუ ის, რაც შეიძლება შევიგრძნოთ, ხილული და ცხადი); VIII - მოძრაობა; IX - სურვილები და ქცევები; X - შეგრძნებები; XI - გრძნობები, აფექტები, ხასიათის თვისებები; XII - აზროვნება; XIII - ნიშნები, ცნებები, ენა; XIV - დამწერლობა, ცოდნა (მეცნიერება); XV - ხელოვნება; XVI - საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობები; XVII - ხელსაწყოები (ინსტრუმენტები), ტექნიკა; XVIII - მეურნეობა; XIX - სამართალი, ეთიკა; XX - რელიგია, ზებუნებრიობა.

ვ. ვ. მარკოვიჩის სქემა



მოყვანილი სქემები მოიცავს სრულ აზრობრივ კონტინუუმს, გაცნობიერებულს ადამიანის მიერ და დაფიქსირებულს ენების ლექსიკაში. სგავსი სქემების ანალიზს დაეუბრუნდებით ხ.კასარესის და მ. მოლინერის ესაპნრუი ლექსიკონების განილვისას.

დანიშნულების მიხედვით იდეოგრაფიული ლექსიკონების ჩვეულებრივ სამი ტიპის ქვედანაყოფად იყოფა: 1. იდეოგრაფიული ტეზაურუსები, რომლის შემდგენლებიც ამოცანად ისახავენ იდენტიფიკაციას და ენის ლექსიკაში წარმოდგენილ ცნებათა ჯგუფების შემდგომ რაციონალურ კლასიფიკაციას; 2. ანალოგიური ლექსიკონები, რომლებშიც “სიტყვა-ცენტრების” (არქილექსემები) ანბანის რიგის მიხედვით გაერთიანებულია ლექსიკოსემანტიკური ჯგუფები; 3. სასწავლო თემატიკური ლექსიკონები, რომლებიც კონკრეტული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, სემანტიკური მსგავსების მიხედვით აჯგუფებს ლექსიკურ ერთულებს.

ამჟამად, დადგა საკითხი შეიქმნას სინთეტური ლექსიკონი, რომელშიც გამოხატულებას ჰპოვებს ერთის მხრივ, სიტყვების პრაგმატიკული დაჯგუფებები, ხოლო მეორეს მხრივ, საკმაოდ რთული ინფორმაცია მათი შეთანხმებების თავისებურებების შესახებ. ამგვარ ლექსიკონში გაერთიანდებოდა ლექსიკის ცნებითი დაყოფა ლექსიკოსემანტიკური სიტყვაშეთანხმებების განმარტებით.

თუმცა, სიტყვების თემატიკური კლასიფიკაციები ჯერ კიდევ II საუკუნეში არსებობდა. პირველ მეცნიერულ დასაბუთებულ მსგავსი ტიპის ლექსიკონად მიჩნეულია ინგლისელი ლინგვისტის პიტერ მარკი როუეს ტეზაურუსი. მან შეადგინა ინგლისური სიტყვების ცნებითი შინაარსის თავისი ლოგიკო-ფილოსოფიური სქემა. ის თვლიდა, რომ სიტყვების კლასიფიკაციაში მოყვანა მნიშვნელობის მიხედვით შეუძლებელია მანამ, სანამ

საკმარისად არ იქნება შესწავლილი და ორგანიზებული ამ სიტყვებით დასახელებული სინამდვილის ობიექტები. ამიტომ, პირველ რიგში მან ინგლისური ენის ცნებითი ველი დაანაწევრა ოთხ დიდი კლასად: აბსტრაქტული დამოკიდებულებები, სივრცე, მატერია და სული (გონება, ნებისყოფა, გრძნობები). შემდგომში ეს კლასები იყოფა მთელ რიგ გვარებად, რომლებიც თავის მხრივ იყოფა განსაზღვრული რიცხვის სახეობებად. თითოეულ სახეობაში შედის დანომრილი ჯგუფები. ეს ჯგუფები (სულ მათი რაონემობა 100-ია) აღინიშნება საკმაოდ ფართო სემანტიკის მქონე სიტყვებით, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მათში გაერთიანდეს ანალოგიური მნიშვნელობების მქონე სიტყვების მთელი სერია.

როჟეს ნაშრომმა სტიმული მისცა იდეოგრაფიული ლექსიკონების შედგენას სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, ესპანეთში. როჟეს სქემის საფუძველზე ესპანელებმა ედუარდო ბენოტმა (1889 წ.) და შემდგომში, ნ. სამპერამ (1912 წ.) შეადგინეს და გამოსცეს განხილული ტიპის ლექსიკონები. თუმცა, ესპანური იდეოგრაფიის მწვერვალად მაინც ხელით კასარესის “იდეოლოგიური ლექსიკონი” ითვლება. ცნობილი ესპანელი ლინგვისტის ეს ნაშრომი გამოდის ნაციონალური ჩარჩოებიდან და შეაქვს დიდი წვლილი მსოფლიო ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში. ხელით კასარესმა შეადგინა ლექსიკონის ასახული მოდელი, რომელშიც შეთავსებულია ორი ლექსიკოგრაფიული პრინციპი: “ცნებიდან სიტყვისაკენ” და “სიტყვიდან ცნებისაკენ”. მან ლექსიკონი სამ ნაწილად დაჰყო: სინოპტიკური, ანალოგიკური და ანბანური. პირველ მათგანში მოცემულია ესპანური ლექსიკონის ზოგადი კლასიფიკაცია ცნებით კლასებად. ხელით კასარესის იდეოგრაფიული “სამყაროს სურათი” წარმოდგენილია სქემაზე (იხ. გვ. 50-51).

როგორც ვხედავთ, ხ. კასარესი მიზანშეწონილად თვლის გამოყოს 38 ცნებითი კლასი. თავის მხრივ, თითოეულ კლასს იგი ჰყოფს ცნებით ჯგუფებად, რომლებიც დასათაურებულია საკვანძო სიტყვა-ცნებით. სულ ასეთი 2 000 ჯგუფია. მათი სია (ჩამონათვალი) მოჰყვება იდეოგრაფიული კლასიფიკაციის ზოგად სქემას. მაგალითად, № 18 ცნებით კლას “forma”-ში შედის შემდეგი მნიშვნელობის ჯგუფები: გვ. 52-53

Forma, figura, deformidad

Aspecto

Proporción – desproporción

Belleza- fealdad

Elegancia –inelegancia

ანალოგიკურ ნაწილში ანბანის მიხედვით მოცემულია ყველა 2 000 ცნებითი ჯგუფის სასათაურო სიტყვა, ფრჩხილებში კი მითითებულია ცნებითი კლასის ნომერი. თითოეული სასათაურო სიტყვის ქვეშ მოყვანილია ესპანურ ენაში ამ ცნებით დომინანტს

მიკუთვნილი სიტყვები. მაგ: სასათაურო სიტყვა *derechura*-ს ქვეშ მოყვანილი იქნება *derechura, derecha*, გვ. 53

და კიდევ 43 სიტყვა და გამოთქმა. ხოლო დომინანტი *curvatura*-ს ქვეშ მოყვანილია – *curvatura, redondez, esfera* გვ. 53

და კიდევ 177 სიტყვა და 7 სიტყვაშეთანხმება.


ანბანური ნაწილი (დაახლოებით 80 000-მდე სიტყვა) წარმოადგენს თანამედროვე ესპანური ენის განმარტებით ლექსიკონს, რომელსაც დამატებული აქვს მითითებები იდეოლოგიური ლექსიკონის ანალოგიური ნაწილის სასათაურო სიტყვებზე.

რასაკვირველია, ხ. კასარესის ლექსიკონიც არ არის უნაკლო. მის სინოპტიკურ ნაწილში, გ. ვ. სტეპანოვის მართებული შენიშვნით, “სიტყვები განლაგებულია არა იმდენამ საგნებისა და მოვლენების კავშირების მიხედვით, რამდენადაც ინდივიდისათვის დამახასიათებელი ჩვეული ასოციაციებისა და წარმოდგენების პრინციპით, რაც წინააღმდეგობაში მოდის მეცნიერულ წარმოდგენასთან საგნებისა და მოვლენების კავშირებსა და ურთიერთმოქმედებასთან”. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ კასარესის კლასიფიკაციაში პირველი ადგილი უჭირავს ცნებას “ღმერთი”. ამაში ვლინდება ესპანელი მეცნიერის მსოფლმხედველობა, მისი კათოლიკურ სოციალურ წრესთან მიკუთვნიება. მაგრამ საინტერესოა, რომ რეალური სინამდვილე მეცნიერის რელიგიურ რწმენაზე ძლიერი აღმოჩნდა. ცნება “საწყისის საწყისი წარმოქმნის განშტოებას, რომელიც ობიექტურად აღარ ვითარდება ლექსიკონის დანაწევრების სქემით. ობიექტური ცენტრალური ადგილი კასარესის სქემაში უჭირავს ცნება “ადამიანს”. ხ. კასარესთან სწორედ “ადამიანია მოთავსებული გარე სამყაროს ცენტრში და მასთან დაპირისპირებული, ჰყოფს მის გარემომცველ “ნივთიერ” სამყაროს რამდენიმე შედარებით ჰომოგენურ ზონებად”.

ესპანურ ფილოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარია მოლინერის ორტომეულ ლექსიკონს. მისი ნაშრომი ნამდვილად იმსახურებს შექებას. მან შეადგინა ახალი ტიპის ფუნდამენტალური ლექსიკონი, რომელიც “წარმოადგენს განმარტებითი ლექსიკონის ორიგინალურ შერწყმას იდეოგრაფიულთან”. ანბანის მიხედვით დალაგებული სტატიები შეიცავენ არა მხოლოდ ლექსიკურ დეფინაციებს და ლექსიკური ერთეულების გრამატიკულ, სტილისტურ და ეტიმოლოგიურ დახასიათებებს, არამედ გვაძლევენ ცნობებს მთავრულ სიტყვაშეერთებაზე, მათი სინონიმებისა და მასთან წარმოქმნილი ფრაზეოლოგიზმების სიას, აგრეთვე სემანტიკურად მომიჯნავე სიტყვების ჩამონათვალს, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ მთავრული სიტყვის ცნების მიკრო სივრცეს.

მარია მოლინერს არ მოჰყავს ლექსიკური “სამყაროს სურათის” გამომხატველი სინოპტიკური სქემა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ცნების სახეობრივი და გვარობრივი ურთიერთკავშირების მექანიზმის განსაზღვრა, ზოგადის, თავისებურისა და კერძოს შეფარდება. მისი აზრით, ამ პარამეტრების ცოდნა ლექსიკურ დეფინაციებს უფრო ზუსტს ხდის. ამიტომ, ის მხოლოდ ლექსიკური კონუსის ნაწილობრივი სქემით (esquema parcial del cono léxico) კმაყოფილდება (იხ. გვ. . . .)

სქემაზე ნახვენებია განსაზღვრული სიტყვის, გვარობრივი ცნებისა და დიფერენცირებული ნიშნის სამმაგი ურთიერთკავშირი. წარმოიქმნება თავისებური “მსაზღვრელი სამკუთხედები” (triangulo definitorio); დეფინაციის დროს საზღვრული სიტყვა შეეფარდება გვარობრივ ცნებას და შემდეგ მითითებულია დიფერენციალური ნიშანი, რომელიც აფიქსირებს საზღვრული სიტყვის განსხვავებას გვარობრივი ცნებისაგან. მაგალითად:



ამ სქემით “სკამი” “ზურგიანი საჯდომია”. მსგავსი განსაზღვრების იდეა არ არის ახალი. კლასიკურ ლოგიკაში ცნობილი იყო ე.წ. მაკლასიფიცირებელი დეფინაცია. ისიც ასევე გამოდიოდა უახლოესი გვარისა და სახეობის განსხვავებიდან.

თუმცა, ახალი ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ურთიერთდაკავშირებული “მსაზღვრელი სამკუთხედები” შეადგენენ “ლექსიკურ კონუს”, რომლის წვერო მომდინარეობს ცნებიდან – “ყველა არსებული”, “ყოფა” (ente, ser . . .). საილუსტრაციოდ მოვიყვანო ფრაგმენტს “ლექსიკური კონუსის” ნაწილობრივი სქემიდან: გვ. 57 ente – არსებული, ser – ყოფა, ყოფიერება, cosa - ნივთი, objeto - საგანი, lo que – ის, რაც.

ხ. კასარესისაგან განსხვავებით, რომელიც სინოპტიკურ სქემას აგებდა ანტროპოცენტრულ საფუძველზე, მ. მოლინერმა სიტყვებით გადმოცემული ცნება აიყვანა გლობალურ აბსტრაქციამდე – “ყველა არსებული” და განიხილა იგი, როგორც მატერიალური. მასთან ცენტრალური “მსაზღვრელი სამკუთხედი” ასე გამოიყურება: გვ.55.

განხილულ ლექსიკონს თავისი ნაკლოვანებებიც აქვს, მაგრამ სწორედ მოლინერისა და კასარესის შრომები მეტყველებენ ესპანეთში ლექსიკონის განვითარების მაღალ დონეზე. ენის გარეშე ლექსიკის სეგმენტაციის ცნების შესწავლის ინტერესი შედგომში უფრო გაიზრდება, რაც დაკავშირებულია თეორიის სრულყოფისა და

ლექსიკონების შედგენის პრაქტიკაში ასალი სახეობების გამოჩენითა და ლექსიკოგრაფიაში ელექტრონული-გამოთვლითი ტექნიკის შემოღებით.

თავი II. ესპანური ლექსიკის ფორმირებისა და გამდიდრების წყაროები

აღნიშნულ თავში განვიხილავთ არა საკუთრივ ესპანური ენის სიტყვაწარმოებას, არამედ იმ წვლილს, რომელიც სხვა უცხო ენებმა შეიტანა მისი სიტყვიერი შემადგენლობის ჩამოყალიბებაში.

ესპანური ენის ლექსიკა ძირითადად შედგება ლათინური წარმოშობის სიტყვებისაგან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ესპანური ენა წარმოიშვა ხალხური ლათინურიდან, რომელმაც შეითვისა ლათინური ენის სასაუბრო და დიალექტების განსხვავებული ელემენტები, რომელთაც გააჩნიათ თავისი რეგიონალური ვარიანტები.

ხალხური ლათინური წარმოდგენდა ლათინური ენის თავისებურ სახეცვლილებას, წარმოდგარს თვითონ რომაული საზოგადოების ისტორიიდან, მისი სოციალური და კულტურული განვითარებისა და ტერიტორიული ექსპანსიიდან. რასაკვირველია, ხანგრძლივი დროის ევოლუციის განმავლობაში ევლგარული ლათინურიდან იმ ფორმადე, რომელსაც დღეს უწოდებენ ლიტერატურულ ენას, ესპანურმა ენამ და კერძოდ, მისმა ლექსიკურმა შედგენილობამ, განიცადა მრავალრიცხოვანი ფონეტიკური, გრამატიკული, გრაფიკული, ფუნქციონალურ-სტილისტური და სხვა ცვლილებები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ესპანური ლექსიკური სიმდიდრე ყალიბდებოდა არა მხოლოდ ლათინურ საფუძველზე, არამედ სხვა წყაროების ხარჯზეც.

ენები გამუდმებით შედიან კონტაქტში ერთმანეთთან და ურთიერთს ამდიდრებენ. ხალხის ისტორია და ცხოვრების გეოგრაფიული გარემო, ეკონომიური წყობა და საზოგადოებრივი სტრუქტურები, კულტურა და პოლიტიკა, ხალხის ფსიქოლოგია და მათი სოციალური განვითარების დონე – ყველაფერი ეს ზეგავლენას ახდენს ნასესხები ლექსიკის ხასიათზე, მათ წყაროებსა და პერიპეტიებზე. თვით ხალხურ ლათინურში თითოეულ სიტყვაზე მოდიოდა თორმეტი არაბული და ათი გერმანული წარმოშობის სიტყვა.

ესპანეთის ისტორია მდიდარია ენობრივი კონტაქტებით. პირენეის ნახევარკუნძულზე დამკვიდრებას ცდილობდა მრავალი ტომი და ხალხი. ძირძველ მოსახლეობას იბერები და ბასკები წარმოდგენდნენ. როგორც მეცნიერები თვლიან, იბერები აფრიკიდან არიან მოსულები, ხოლო ბასკების შესახებ თითქმის არ არსებობს სარწმუნო წყაროები, თუმცა არსებობს მრავალი ლეგენდა. ძველი წელთაღრიცხვით XI-X საუკუნეებში ნახევარკუნძულზე გამოჩნდნენ ფინიკიელები. მათ ხმელათაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე დააფუძნეს რამდენიმე კოლონია, მათი საყრდენი პუნქტი გახდა ახალი კართაგენი (ახლანდელი კართაგენი).

ძვ. წ. VII საუკუნეში დაიწყო სამხრეთი ტერიტორიის კოლონიზაცია ბერძნების მიერ, რომლებიც მალე ჩაებნენ კართაგენთან ხანგრძლივ ბრძოლაში. ძვ. წ-ით VI საუკუნეში ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილი კელტებმა დაიკავეს. კართაგენის მარცხმა პირველ პუნიკურ ომში აიძულა კართაგენელები გაეფართოვებინათ თავისი მიწები იბერიაში, ხოლო მეორე პუნიკურ ომში დამარცხების შემდეგ, რომაელებმა თანდათანობით დაიპყრეს პირენეის ნახევარკუნძული და გადააქციეს იგი თავის კოლონიად.

ექვს ასწლეულზე მეტხანს (ძვ.წ. II საუკუნიდან ძვ. წ. V საუკუნის ჩათვლით) გაგრძელდა რომაელთა ბატონობა. მათ ნახევარკუნძულზე დანერგეს თავისი ენა, კულტურა და ცივილიზაცია, მაგრამ თითქმის 200 წელი დასჭირდათ, რომ გაეტეხათ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა. 409 წელს პირენეის ნახევარკუნძულზე გერმანელი ბარბაროსების ტომები - ვანდალები, ალანები და სევეები – შეიჭრნენ. თუმცა, მკვიდრ მოსახლეობასთან კონტაქტები მათ I საუკუნიდან ჰქონდათ დამყარებული. რომაელები იძულებულები გახდნენ ეცნოთ ისინი მოკავშირეებად და დაეთმოთ მათთვის თავისი მიწების ნაწილი. თუმცა, გერმანელთა იქ ყოფნა დიდხანს არ გაგრძელდებულა. 429 წელს ვანდალები გადავიდნენ აფრიკაში და იმავე წელს ვესტგოტებმა დაიკავეს ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ტერიტორია. V საუკუნის მეორე ნახევარში ვესტგოთთა სამეფოს ეკუთვნოდა არა მარტო თითქმის მთელი ნახევარკუნძულის, არამედ გალისიის დიდი ნაწილიც. 447 წელს იბერიული რომანია გადავიდა ვესტგუთების სამეფოს ძალაუფლების ქვეშ.

711 წელს ნახევარკუნძულზე არაბები შეიჭრნენ. ვესტგოთურმა სახელმწიფომ ვერ შეძლო მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. უკვე 713 წელს გამოცხადდა დამასკოს ხალიფას ძალაუფლება. 718 წლისათვის არაბებს დაპყრობილი ჰქონდათ თითქმის მთელი იბერიის ნახევარკუნძული. მხოლოდ ამჟამინდელი ასტურიის ტერიტორია დარჩა დაუპყრობელი. დაიწყო თითქმის არაბების რვასაუკუნოვანი ბატონობა. მხოლოდ 1492 წელს, ესპანელებმა ნახევარკუნძულიდან არაბების განდევნით დაასრულეს რეკონკისტა.

ეს მოკლე ისტორიული ცნობა მეტყველებს მრავალრიცხოვან ენობრივ კონტაქტებზე, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ზეგავლენას ახდენდა ესპანურ ენის ჩამოყალიბებაზე. უფრო ახლო წარსულში ესპანური ენა განსაზღვრული მდგომარეობის გამო და სხვადასხვა ხარისხის ინტენსიურობით მუდმივ კონტაქტში იყო ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ გერმანულ და სხვა ენებთან.

შემდგომში გამოყენებული იქნება ტერმინები “ესპანიზმი, გალიციზმი, ელინიზმი, ანგლიციზმი” და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მოცემულ განაკვეთში ამ ტერმინების ქვეშ

იგულისხმება სიტყვები, რომლებიც ნასესხებია შესაბამისი ენობრივი წყაროდან, ასიმილირებულია ესპანურში და მოსაუბრეთა მასის მიერ აღიქმება როგორც ესპანური სიტყვები და არა როგორც სხვა ენის ელემენტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ტერმინები მიუთითებენ მხოლოდ სიტყვის წარმომადლობის ფუძეზე და არ გააჩნიათ სხვა კონტრაციები.

ამგვარად, თავისი წარმომავლობით ესპანურ ენის ლექსიკური ფონდი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ჯგუფად.

§ 7. ესპანიზმები და კულტიზმები

ესპანიზმები (*hispanismos*) - ლათინურიდან დამკვიდრებული ელემენტებია, რომლებიც საფუძვლად დაედო ესპანური ენის წარმოქმნას. ესპანიზმები ესპანური ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ეს ძირითადად ძირძველი ესპანური სიტყვებია, რომელთაც გაიარეს განვითარების გზა ვულგარული ლათინურიდან დღევანდელობამდე. მაგრამ, მკვლევარები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ ლათინური წარმომავლობის სიტყვებით. ისინი გამოყოფენ მეორე თავისებურ ლექსიკურ ლათინურ პლასტს (ფენას): კულტიზმებს ანუ ლათინიზმებს (*cultismos* o *latinismos*) ანუ იმ სიტყვებს, რომლებიც ნასესხებია ლიტერატურული ლათინურიდან ესპანური ენის განვითარების უფრო გვიანდელ პერიოდში და ჩვეულებრივ წიგნიერი გზით.

რასაკვირველია, ლიტერატურული ლათინური ენიდან სესხება ხდებოდა ვულგარულ ლათინურშიც და საკუთრივ ესპანურ ენაშიც (განვითარების დასაწყისში). ნასესხები სიტყვები მეტყველებაში მნიშვნელოვან ფონეტიკურ და მორფოლოგიურ დამუშავებს განიცდიდნენ. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში საუბარია იმ ნასესხებ სიტყვებზე, რომლებიც წარმოიშვა მაშინ, როცა ლათინური ენა უკვე მკვდარი იყო. ასეთი სიტყვები მხოლოდ ძალიან ნიმინალურ და აუცილებელ ფონეტიკო-მორფოლოგიურ ადაპტაციას გადაიდნენ.

კულტიზმები ვლინდებოდა XII-XIV საუკუნეებშიც (*vocación, voluntad, monumento, ocasión, teatro, tribu, tirano, septentrión* და სხვ.), მაგრამ მათზე მოდა განსაკუთრებით გაიზარდა აღორძინების ეპოქაში, XV-XVII საუკუნეებში. მოვიყვანთ იმ პერიოდის რამდენიმე ლათინიზმის მაგალითს: *disolver, describir, estilo, idiota, amabilidad, continuidad, insolencia, consilo, hórrido, aura* და სხვ.

კულტიზმების გამოვლენა ხდებოდა XVIII-XIX საუკუნეებშიც: *candente, digno, concepto, columna, refulgente, linfa, estro, inerte* სხვ.

XX საუკუნეში ესპანურ ენას დაემატა ლათინიზმები: *cristalizar, normalizaión, cristalizar, posesionar, obstuccionalista, confucionismo* და სხვ.

ლათინურიდან გვიანა ნასესხებმა სიტყვები წარმოშვეს ე.წ. ეტიმოლოგიური დუბლეტები ანუ ორი (ზოგჯერ მეტიც) ესპანური სიტყვა, რომელიც მომდინარეობს ერთი ლათინური წყაროდან. ასეთი დუბლეტები (ესპანიზმი-ლათინიზმი) თავის რაღაც მნიშვნელობებით შეიძლება იყვნენ სინონიმები (მაგალითად: *graso-craso-ცხიმიანი; llano-plano-სწორი, ბრტყელი; isla-insula-კუნძული; alma-anima-სული; código-codice-კოდექსი*) ან გააჩნდეთ განსხვავებული მნიშვნელობები (მაგ: *obra – შრომა, საქმე – opera-ოპერა; cerco – გალავანი, რგოლი – circo-ცირკი; hundir - ჩაძირვა ჩაყვინთა - fundir - შედუღება, ჩამოსხმა; copla - სტროფი, კუპლეტი - copula კავშირი, შეერთება* და სხვ.)

§ 8. იბერიზმები

იბერიზმები (*iberismos*) მომდინარეობენ იბერიული სუბსტრატიდან, რომელიც არაერთგავროვანია. მას მიეკუთვნება იბერიული ტომების ჩვენთვის უცნობი ენები და ბასკური ენა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. იბერიზმებს შორის არის სიტყვები, რომლებიც უკავშირდება რომანულის წინა პერიოდს. პრერომანული ფუძის გამოყოფა დიდი სირთულეს წარმოადგენს. ჩვეულებრივ ასეთ იბერიზმებს მიაკუთვნებენ სიტყვების განსაზღვრულ რიცხვს, როგორებიცაა: *artiga, barraca, perro, pestaña* და ტოპონიმების საკმაოდ დიდი რიცხვს. იბერიზმებს შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო გვიანდელ პერდიოდში ნასესხები სიტყვები (მათ ზოგჯერ ბასკიზმებსაც უწოდებენ), რომელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა შუა საუკუნეებში: *pizarra, chaparro, cencerro, zamarra*.

§ 9. კელტიზმები

კელტური სუბსტრატის განსაზღვრაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ძალიან ცოტაა ცნობები ესპანურ ლათინურზე კელტური ენის გავლენის შესახებ. შესაძლოა, რომ კელტიზმების (*celtismos*) ნაწილი ლათინურში შესულია გალისიური კონტაქტებით. როგორც ვარაუდობენ, იბერო-ბასკური და იბერო-ლათინურის კელტურთან უშუალო კონტაქტების შედეგად ესპანურ ენაში შემორჩენილია მცენარეთა და ხეების დასახელებები: *abedul, álamo, aliso, beleño, berro*; ცხოველთა სახელები: *garza, puerco, toro*; სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული სახელები: *amelga, colmena, gancho, huero*; სხვა მნიშვნელობის სიტყვები: *baranda, vasca, cantiga, tarugo, estancar, tranzar* და სხვ.

ვარაუდობენ, რომ კელტიზმების დიდი რაოდენობა არ არის დაკავშირებული პრერომანულ პერიოდთან და რომ ისინი ესპანურ ენაში შესულია ლათინურიდან, რომელსაც ისინი ნასესხები ჰქონდა კელტურიდან. მათ შორის აღნიშნავენ: *camisa, cerveza, legua, salmón*.

§ 10. ელინიზმები

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რომაელები განიცდიდნენ ბერძნული კულტურის გავლენას. მრავალი ბერძნული სიტყვა ლათინური ენის მიერ ნასესხებია წიგნიერი წყაროებიდან. ეს პირველ რიგში ეხება ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სახელებს. ბერძნებსა და რომაელებს შორის უშუალო კონტაქტის შედეგად ლათინურში წარმოიქმნა ადრეული ელინიზმები (*helinismos*). ისინი აღნიშნავენ შრომის იარაღებს, ყოფის საგნებს, ცხოველთა სახელებს და სხვ: *idea, matemáticas, filosofía, música, poesía, fantasía, escena, escuela, tragedia, comedia, lepra, podagra, cólera, catarro, dieta, anatomía, crónica, glosa, planeta; anfora, cuerda, ancla, cedra, orégano, bodega, cámara, cesta, cuchara, linterna, sábana, piedra, torre, cáñamo, olivo, espárrago, pasta, concha, perdiz, castor, etc; cristiano, crisma, paraíso, profeta, apóstolo, patriarca, obispo, himno, iglesia, limosna* და სხვ.

ამ სახელებიდან უმეტესობა ესპანურ ენაში შევიდა ლათინურიდან. ვარაუდობენ, რომ იბერიელი მოსახლეობის ბერძნებთან უშუალო კონტაქტის შედეგად შემორჩა შემდეგი სიტყვები: *tío, cendal, galera, calma, tapiz* და სხვ.

XIII საუკუნის დასაწყისიდან ესპანურში ელინიზმებმა არაბული ენიდანაც დაიწიეს შესვლა. მათ შორისაა კვების პროდუქტების, მცენარეების, მედიკამენტების სახელები: *acelga, altramuz, jibia, alfofisto, adelfa, avenuz, marlota, aniz* და ა.შ.

ელინიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი ესპანურ ენაში განმტკიცდა XV საუკუნეში, რასაც ხელი შეუწყო სანტილანის, ხუან დე მენას, პერეს დე გუსმანის და სხვა მწერალთა და მეცნიერთა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ, რომლებიც თავის ნაწარმოებებში ეყრდნობოდნენ ბერძენი ავტორების ლათინურ თარგმანებს. იმ ეპოქის ელინიზმებიდან შემორჩენილია მცენარეების, ეგზოტიკური ცხოველების სახელები, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ტერმინები, მითოლოგიური სახელები და სხვ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამ მეტად მრავალფეროვანი ლექსიკური პლასტიდან: *acacia, Jacinto, narciso; áspid, bisonte, delfín, tigre, agonía, arteria, cólico, diarrea, manía; cilindro, cubo, ártico, boreal, caos, eclipse, polo, zodíaco, zona, academia, alfabeto, asterisco, biblioteca, diptongo, diéresis, sinalefa, solecismo; monopolio, arpía, sátiro, sirena* და სხვ.

XVI საუკუნეში ელინიზმების ნაკადი შეწყდა. XVII საუკუნეშიც მათი რაოდენობა შეზღუდული იყო. თუმცა, ჰუმანიტარული ხასიათის ტერმინები მაინც აქტიურად

აგრძელებდნენ გამოჩენას. ამ პერიოდს მიეკუთვნება ისეთი სიტყვები, როგორცაა: cacofonía, crítico, dialecto, episodio, idilio, léxico, patético, sinónimo, análisis, análogo, apología, axioma, categoría, empírico, entusiasmo, ético სხვ.

XVIII-XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელია ბერძნულ საფუძველზე მრავალი ტერმინის წარმოქმნა: botánica, aorta, autopsia, bronquio, coriza, dicotomía, estático, hepático, miope, hipérbole, simetría, hidráulico, და სხვ (XVIII ს), afonía, anemia, anestesia, clínico, diagnóstico, marasmo, asteroide, esquema, trípico, arquetipo, autarquía, autógrafo, biografía, colofón, panorama და სხვ.

§ 11. გერმანიზმები

ესპანური ლექსიკის გამდიდრება გერმანული ენებიდანაც ხდებოდა:

1. ადრეულ პერიოდში ლათინურიდან ან უშუალოდ პირდაპირი კონტაქტებით, როცა გერმანული ტომები შეიჭრნენ იბერიის ნახევარკუნძულზე.

სწორედ ამ დროიდან მომდინარეობენ გერმანიზმები (*germanismos*), დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობასთან (ხენა-თესვა): *guerra, bando, estrio, yelmo, guardia, espía, robar, ganar, guiar, guarnecer, tregua, galarón* და სხვ; ყოფასთან, ზნე-ჩვეულებებთან და საზოგადოებრივ მოწყობასთან: *jabón, albergue, falda, jaca, ropa, aspa, guisar, agasajar, rico, fresco* და სხვ.

გერმანელებმა ლათინურიდან აიღეს სავაჭრო, აგროკულტურული, ინდუსტრიული, საყოფაცხოვრებო, საკანონმდებლო და სხვა ტერმინები, მაგრამ რომაელებსაც გადასცეს თავიანთი ტერმინები. რომს ჩრდილოეთიდან შემოჰქონდა საპონი, რომლის წარმოებაც არ იცოდა. ამიტომ გერმანული *saipo* შევიდა ლათინურ ლექსიკაში, საიდანაც გადავიდა რომანულ ენებში (*sapone* > *xabón, jabón*). გერმანიიდან ასევე შემოჰქონდათ ტყავები და საწერი კალმები. აქედან წამოვიდა სიტყვა *thahsu*, ლათინურად *taxo* (ესპ. *tejón*). Burgos მოდის გერმანული *byrgs*-დან.

ეს ორი ქვეყანა მუდმივ კონტაქტში იყო ერთმანეთთან როგორც საომარ, ასევე მშვიდობიან პერიოდში. რომაელებმა გერმანელებისგან აითვისეს სამხედრო ლექსიკა ლეგიონებში თანაცხოვრების დროს. ლათინური *bellum* იყო მიღებული გერმ. *werra*-დან (ესპანურში გვაქვს *guerra*). მსგავსი გავრცელება ჰპოვა *wardón-ma (guardar), raubon*-მა (*robar*) და *warnjan*-მა (*guarnir, guarnecer*). გერმანელი მეზრძოლი მუზარადს უწოდებდა *helm*-ს (ესპანურად *yelmo*); მის საყვარელ იარაღებს შორის ფი-გურირებდა *el dardo*-შუბი (germano. *dard*). ცხენოსნობა იყო მისი გატაცება. აქედან გაჩნდა რომანულ ენებში *spaura* ან *sporo*

(*espuela, espolón*) და *falw*, რომელიც მოდის ლათინური *falvus*-დან და რომელიც შემდეგ გახდა *falvarius*, ბოლოს კი - *overo* (ოქროსფერი ცხოველი)

გემანულ სამოსს მიეკუთვნებოდა *hōsa (calzón corto); falda (falda)* და *cofea (cofia)*. სოფლის მეურნეობაში იხმარებოდა ზმნა *waitthanjan (apacentar, cultivar la tierra, ganar)*; *Sal* ეწოდება ფართო სივრეს, სადაც იღებენ სტუმრებს (*sala*-სასტუმრო ოთახი). გერმანელები ერკვეოდნენ მუსიკაში და ჰქონდათ საგმირო სიმღერები. *Harpa (farpa, aroa)* არის ერთ-ერთი საკრავის სახელწოდება.

2. გალისიური წყაროებიდან შემოვიდნენ ისეთი გერმანული ნასესხები სიტყვები, როგორცაა: *adobar, blandir, cota, bruñir, dardo, estandarte, esgrimir, heraldo, guante, arpa, danzar, esquiar, babor, esquivar* და სხვ.

3. გერმანულის ასიმილირება ესპანურთან ხდებოდა შედარებით ახლო წარსულშიც, XIX–XX საუკუნეებში გერმანულიდან შემოვიდა: *sable, obús, blindar, blenda, cinc, níquel* და სხვა, ხოლო უფრო ადრე: *bigote, brindis, trincar, chambergo* და სხვ.

მაშასადამე, ამ პერიოდის დროს ადგილობრივ მცხოვრებთა ენაში გერმანიკულ ტომთა ენიდან შევიდა ძირითადად სამხედრო საქმესთან დაკავშირებული დიდი რაოდენობის ტერმინები: *werra* > ესპ. *guerra* (ომი), *wardon* > ესპ. *guardar* (დაცვა, დარაჯობა), *helm* > ესპ. *yelmo*, ‘მუზარადი, ჩაფხუტი’, *treuwa* > ესპ. *tregua* ‘დროებითი ზავი’, *marka* > ესპ. *marca* ‘საზღვარი’ და სხვ.

ასევე შევიდა ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტყვები, რომელთაც, ძირითადად, შეინარჩუნეს თავიანთი ფორმები: *brasa* – ცეცხლი, სიცხე, *bank* – (ესპ. *banco*) – მერხი, სკამი, *want* – (ესპ. *guante*) - ხელთათმანი, *urgoli* – (ესპ. *orgullo*) – სიამაყე, *harpa* – ესპ. *harpa, arpa* – ‘არფა, ქნარი’ და სხვ.

გერმანიკული ენებიდან შევიდა მრავალი ზედსართავი სახელი: *riki* – ესპ. *rico* – მდიდარი, *frisk* – ესპ. *fresco* – ახალი, ნორჩი, *blank* – ესპ. *blanco* – თეთრი, *gris* – ესპ. *gris* – ნაცრისფერი და სხვ.

გერმანიკული ენებიდან შემოსულია დიდი რაოდენობა საკუთარი სახელებისა: *Alvaro (all + wars* – ყველასათვის ცნობილი), *Fridenandus > Fernando (frithu +nanth* – მშვიდობისათვის მზადყოფი) და სხვ. ამ ორი ტომის არსებობამ დიდი კვალი დატოვა ტოპონიმიკაში: *puerto de alano (ueska), bandalie (ueska)* და *campdevanol*. ვანდალები დაფუძნდნენ ძველ ხულია ტრადუქტასთან (დღევანდელი ტარიფა). ცნობილია, რომ ამ ადგილმა მიიღო

ახალი სახელი *wandalu*, ახალდაფუძნებული ხალხის სახელის მიხედვით. ბერძენი მეზღვაურების ერთ კი - მას ერქვა *andalusiu*, არაბული ფუძიდან - *andalus*. *W*-ს დაკარგვას ხსნიან ცრუ იდენტიფიკაციით ბერბერულში არსებულ ნათესაობით ბრუნვასთან, ყოველ შემთხვევაში *wandalus*-ის წარმოშობა არაბული *andalus*-დან ეჭვგარეშეა. ვანდალია კარგად ახსოვდათ XVI-XVII საუკუნის ესპანელებსაც. სევილიელმა გუტიერე დე ცეტიანამ მეტსახელად მიიღო ვანდალიო.

§ 12. არაბიზმები

არაბეთის მრავალწლიანმა ბატონობამ განაპირობა ესპანური ლექსიკის გამდიდრება არაბული წყაროებით. მათ მნიშვნელოვან ნაწილს არაბიზმები (*arabismos*) შეადგენდნენ, რომელთა შორისაა სამხედრო და ადმინისტრაციული ტერმინები და დასახელებები:

სავაჭრო დასახელებები: *almacén*, *almoneda*, *arroba*, *quintal*, *quilate*, *aduana*, *fanega*, *tarifa*, *arancel*, *alcabalas* და სხვ.

სამრეწველო: *alfombra*, *albornoz*, *alcanflor*, *talco*, *almohada*, *alcuza*, *tarima zafra*, *alhaja*, *abalorio*, *albayalde*, *alfarero* და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო: *acequia*, *aljibem* *talega*, *albufera*, *zanja*, *noria*, *alberca*, *az'ucar*, *albaricoque*, *alfalfa*, *azafrán*, *berenjena*, *sandía*, *alubua*, *algarroba*, *aceituna* და სხვ.

არაბიზმებმა შეაღწიეს მოქმედების თითქმის ყველა სფეროში. ამასთან მათი უმრავლესობა შესულია თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკონში.

არაბული ელემენტი, ლათინურის შემდეგ, იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ესპანურ ენაში. არაბიზმების რაოდენობა ესპანურში აღწევს 4 000-ზე მეტს. არაბები ქრისტიანული სამეფოების წინააღმდეგ ყოველწლიურად აწყობდნენ სამხედრო ექსპედიციებს და აოხრებდნენ სამეფოებს. სწორედ ამ პერიოდში დამკვიდრა ომის თემატიკასთან დაკავშირებული არაბიზმები: *aceifa* (სამხედრო ექსპედიცია), *alfanje* (ხმალი), *adarga* (ფარი), *aljaba* (ადგილი, სადაც მვისრეეები ისრებს ინახავდნენ), *alcazaba* (მესაზღვრე), *alférece* (მხედარი) და სხვ.

არაბები იყვნენ მარჯვე მიწათმოქმედები. მათ გააუმჯობესეს რომაული სარწყავი სისტემა და შემოიტანეს ენაში ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი არაბიზმი: **acequia** (არხი), **alberca** (რეზერვუარი), **azud** (სარწყავი სისტემა), **noria** (წყლის წისქვილი) და ა.შ.

ესპანეთის სოფლებში დაიწვეს მანამდე უცნობი პრო-დუქტების მოყვანა: **caña** (შაქრის ღერწამი), **algodón** (ბამბა) და სხვ. არაბული წარმოშობისაა ხეების შემდეგი დასახელებებიც: **almez** (ნუშის ხე), **alarce** (ფოთლოვანი ტყე) და სხვ.

აღსანიშნავია, ვაჭრობასთან დაკავშირებული არაბული წარმოშობის ლექსიკა: **almacén** (მაღაზია), **zoco** (ბაზარი), **alhóndiga** (სავაჭრო სახლი), **recua** (ქარავანი), **almotacén** (ხელსაწყო, რომლითაც ამოწმებდნენ ასაწონ საშუალებებს), **fanega** (ფანეგა) და სხვ.

აღ-ანდალუსიაში სახლები განლაგებული იყო ქალაქის გარეუბანში ან მიმოფანტული იყო პატარა მინ-დვრებზე. მათ საცხოვრებელს მიეკუთვნებოდა **zaguán** (წინკარი), **azotea** (სახურავი), **alcoba** (სადინებელი), **alhanía** (კარადა). სახლის ავეჯი წარმოდგენილი იყო შემდეგი ნივთებით: **almohadas** (ბალიშები), **alfombras** (ხალიჩები), **jofainas** (ჭურჭელი).

ესპანელებმა არაბებისაგან გადაიღეს იურიდიული და სტრუქტურული წყობა თავისი შესაბამისი ტერმინოლოგიით: **al-calde** (მერი), **alguacil** (სასამართლო ჩინოვნიკი), **albacea** (ანდერძის აღმსრულებელი) და სხვ.

დიდი მათემატიკური პროგრესიც არაბების დამ-სახურებაა. ამ მხრივ, აღსანიშნავია სიტყვები: **cifra** (ციფრი), **algebra** (ალგებრა) და სხვ.

ცნობილი იყო არაბული მედიცინა. ამ პერიოდში ევროპულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში შემოვიდა **nuxā** (ზურგის ტენი), რომელმაც, ლათინურისა და არაბულის გავლენით, განიცადა ცვლილება და ესპანურში მივიღეთ **nuca** (კე-ფა). არაბულიდან არის კალკირებული **bazo** (ელენთა); ფარ-მაციაში შემორჩენილია სიტყვები **jarabe** (სიროფი), **alquemes** (ლიქიორი) და ბევრი სხვა სამედიცინო მცენარის სახელი.

აღფონსო X ასტრონომიაში დაამკვიდრა არაბული ტერმინოლოგია: **cenit** (ზენიტი), **nadir** (მზის ჩასვლა), **auge** (მწვერვალი), **acimut** (აზიმუტი) და ა.შ. აგრეთვე, ვარსკვლავების სახელები.

არაბიზმებში ვხვდებით ზედსართავ სახელებსა და რამდენიმე ფერის დასახელებს: **horro** (თავისუფალი), **mezquino** (უნამუსო), **haladí** (უნმიშენელი), **baldío** (უშვილო), **gandul** (ზარმაცი), **vistoso** (ნათელი), **azul** (ლურჯი), **añil** (მუქი ლურჯი), **carmesí** (აღისფერი).

რაც შეეხება ზმნებს, არსებითი და ზედსართავი სა-ხელებიდან ნაწარმოები ზმნების გარდა, ესპანურში მრავლადაა არაბულიდან პირპადირ ,უცვლელი ფორმით შემოსულებიც: **halagar** (პირფერობა), **acicalar** (დასუფთავება) და სხვ.

არაბულმა ენამ ესპანურში დატოვა ხმაურის აღმ-ნიშვნელი და გრძნობების, სურვილების, ღირსებების გამომხატველი სიტყვები: **alboroto** (აურზაური), **alborozo** (ხმაურიანი გართობა), **albuélbola** (მხიარულება) და სხვ.

ლექსიკის სფეროში არაბები წარმატებული შუამავლები იყვნენ. მათ სხვადასხვა ენიდან შემოსული სიტყვების დიდი რაოდენობა შეუთავსეს საკუთარ ფონეტიკას, ისევე როგორც ესპანურმა არაბიზმები შეითვისა. მაგ., სანსკრიტული წარმოშობისაა **ajedrez** (ჭადრაკი) და **alcanfor** (კამფორა), ხოლო სიტყვები: **jazmín** (ჟასმინი), **naranja** (ფორთოხალი) , **escarlata** (აღისფერი) მოდის ირანულიდან. ელინიზმებია: **óryza > arroz** (ბრინჯი), **ámbix > alambique** (გამოსახდელი ქვაბი), **sikelos > acelga** (ჭარხალი). არაბულში ხშირია ლათინური სიტყვებიც: **castrum > alcázar** (ციხე-სიმაგრე).

მნიშვნელოვანია არაბულის გავლენა ტოპონიმიაზე, რაც შეიმჩნევა არა მარტო სამხრეთში, არამედ ქვეყნის ჩრდილოეთშიც: **Algabre (al-gabre =el poniente=დასავლეთი), La Mancha (manġa =altiplanicie=მესეტა), Alcalá (a-qalat= el castillo= ციხე-სიმაგრე), Medina (madinat =ciudad= ქალაქი), Rápita (rabita=მონასტერი სამხედრო საზღვრის დასაცავად), Guadalajara (rio de las piedras), Gibraltar (gabal=monte, monte de Tarik).** არის ისეთი ტოპონიმები, რომელთა მეორე ნაწილი საკუთარი სახელისგან შედგება: **Medinaceli (ciudad de Sélim), Calataud (castillo de Ayub, Benicásim (hijos de Cásim)** და სხვ.

§ 13. გალიციზმები

X საუკუნიდან მოყოლებული, ყოველ ეპოქაში ხდებოდა ესპანური ენის გამდიდრება ფრანგული და პროვანსალური ენებიდან ნასესხები სიტყვებით, რომელიც ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ხან ძლიერდებოდა და ხან სუსტდებოდა.

ბუნებრივია, გალიციზმების (*galicismos*) უმრავლესობა თვითონ მომდინარეობდა ლათინურიდან. გალიციური წყაროები თითქოს და შეამავლის როლს ასრულებენ ესპანურ და ლათინურ ენებს შორის.

X-XIV საუკუნეებში გამოჩნდნენ შემდეგი გალიციზმები: *homenaje, mensaje, deleite, vergel, pitanza, malla, dama, monje, dean, vianda, vinagre, ruiseñor, doncel, doncella, linaje, hostal, salvaje* და სხვ.

XV საუკუნეში დაფიქსირდა: *galán, corcel, gala, brida, cable, corchete, pabellón, amarrar, baluarte* და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ა. ნებრიხას “ესპანურ-ლათინურ ლექსიკონში” (1495 წ.) უკვე ჩართული იყო იმ დროისათვის ესპანურ ენაში დანერგილი გალიციზმები: *paje, jardín, jaula, cofre, trincar, manjar, sargento, fraile, reproche* და სხვ.

XVI-XVII საუკუნეებში ესპანურში იგივე გზით შემოვიდა: *bufete, menaje, manteo, servilleta, ujier, damisela, trinchera, batallón, batería, carabina, convoy, barricada, brecha, estribor, babor, coronel, piquete, billete banquete* და სხვ.

ესპანურში ფრანგული სიტყვების უმეტესი ნაწილი XVIII საუკუნეში შემოვიდა, ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში და ნაპოლეონის ომების დროს: *comandar, arribar, detalle, favorito, chaqueta, galante, interesante, intriga, modista, rango, resorte, coqueta, polisón, pantalón, corsé, brigadier, retreta, bayoneta, fusil, cucarda, pillaje, comandar, corbeta, queipar, petimetre, boga, bisutería, batista, tul, ratín, cacerola, campotaa, galleta, frambuesa, basalto, colza, marmota* და სხვ.

XIX-XX საუკუნეებში ფრანგულიდან შემოვიდა ახალი ნასესხები სიტყვები: *quepis, chal, canotíe, levita, chaqueta, tisú, piqué, tufetán, satén, `pana, franela, crocante, champán, champiñón, bebé, biberón; nicotina; complot, patriota, burocracia, comité; quiosco, reportaje, turista, cabina, aviación, garaje, ruleta, camión, vitrina, maquillaje, maquillarse* და სხვ.

§ 14. იტალიანიზმები

ესპანურში იტალიურმა ენამ განაპირობა განსაზღვრული სიტყვების წარმოქმნა, რომელიც მიეკუთვნება სხვადასხვა სფეროს – კულტურის, პოლიტიკის, მრეწველობის, ვაჭრობის, სამხედრო საქმეს, ყოფის და სხვ. ამ სიტყვების უმრავლესობა ლათინური წარმოშობისაა. მკვლევარები თვლიან, რომ პირველი იტალიანიზმები (*italianismos*) XIV-XV

საუკუნეებში წარმოიქმნა და დაკავშირებული იყო ნაოსნობასთან: corsario, avería, bonanza, piloto, mesana, artimón, brújula, cataldo, mereta, golfo და სხვ.

იგივე პერიოდს მიეკუთვნება: lonja, mercancía, novela, madrigal, belleza, soneto, filigrana, atacar ტიპის იტალიანიზმები.

XVI-XVIII საუკუნეებში იტალიურიდან შემოვიდა ლექსიკური ერთეულების შედარებით დიდი რიცხვი: infantería, escolta, centinela, escopeta, banderola, trinquete, bronce, pécora, folleto, macarrónivo, gacta, terceto, bemol, mosaico, capricho, cavatina, dúo, tenor, soprano, maestro, arlequín, bufón, medalla, diseño, cornisa, fachada, pintoresco, carroza, grotesco, perfumar, cortejar, charlar, festejar, cultivar და სხვ.

XVIII საუკუნეში შემოვიდა: adagio, allegro, oratorio, filarmónica, casino, cicerone, maqueta, anchoa, mandolina, acuarela, cámara, premura და სხვ.

XIX საუკუნეში შემოვიდა ესპანურში: terracota, aria, partitura, libreto, batuta, polichinela, persiana და სხვ.

§ 15. ანგლიციზმები

ამჟამად ესპანური ენა ისევე როგორც სხვა ენები განაგრძობს თავისი ლექსიკური მარაგის შევსებას უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვებით. ახლანდელ პერიოდში განსაკუთრებით შეიმჩნევა ინგლისური ენის ზეგავლენა. აღნიშნულ სახელმძღვანელოებაში ინგლისურიდან სასესხები სიტყვები ცალკე განიხლება სპეციალურ განაკვეთში – ნეოლოგიზმები. ახლა კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ანგლიციზმები (*anglicismos*) ესპანურში გამოჩნდა XVIII საუკუნიდან. მათი ასიმილაცია ნელა მიმდინარეობდა. XVIII საუკუნეს აკუთვნებენ ისეთი სიტყვების წარმოქმნას, როგორცაა: dandy, club, vagón, yate, túnel, tranvía, mitin, líder, reportero, turista, tenis, festival და სხვ.

§ 16. ნეოლოგიზმები

ესპანურ ენაში ნეოლოგიზმების შემოჭრა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან იგი ენის სტაბილურობასა და ხარისხზე მოქმედებს. მუდმივი ცვლილებები და ინოვაციები, რომლებიც ენაში ჩნდება და ენის ლექსიკას ამდიდრებს, რა თქმა უნდა, იმ სამყაროს დამსახურებაა, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, მეცნიერული და ტექნიკური მიღწევებიც გარკვეულ როლს თამაშობს ამ პროცესში.

ყოველდღიური ახალი რეალობების გათვალისწინებით, ენას მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს: იყოს ყოველი მოვლენის საქმის კურსში, ჩართოს ახალი ლექსიკური ელემენტი სისტემაში, რაც აპირობებებს ახალი ტერმინის შექმნას (=ფორმალური ნეოლოგიზმი) ან ახალი უცხო ფორმის ადაპტაციის მეშვეობით (=ნასესხები სიტყვა) მოცემული ცნების მნიშვნელობის იმ ფორმაზე მიკუთვნებას, რომელიც უკვე არსებობს ენაში (სემანტიკური ნეოლოგიზმი).

ეს მოვლენა არანაირად არ ვნებს და არც ემუქრება ენის განვითარებას, არც აღარბებს მას, პირიქით, ამდიდრებს, თუ, რა თქმა უნდა, ენის მომხმარებელი ფროთხილად იყენებს ამ ნეოლოგიზმებს.

თანამედროვე სამყარო ხელს უწყობს იმ ახალი ტერმინების შემოსვლას და დამკვიდრებას ენაში, რომელიც ახალ ცნებებს პასუხობს; ეს ცნებები შეიძლება იყოს როგორც მატერიალური (გამოგონებები, მანქანები, საგნები), ასევე ინტელექტუალური (პოლიტიკური გამონათქვამები, ეკონომიკური, სოციო-ეკონომიკური, და ა. შ.) ხასიათისა. ლექსიკის გამდიდრებას ყველაზე მეტად ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, რადგან სწორედ ეს განვითარება ახალ და საჭირო სიტყვებს მოითხოვს ახალი რეალობის აღსანიშნად.

როგორც ცნობილია, ნეოლოგია წარმოადგენს პროცესს, რომელიც ხელს უწყობს ახალი ფორმების წარმოქმნას ენაში.

საქმე იმაშია, რომ ყველა, ვინც საუბრობს ერთსა და იმავე ენაზე, არის ენის ევოლუციის მომსწრე ამ ევოლუციის პროცესში, რა თქმა უნდა, ჩვენც ვმონაწილეობთ. ენების მუდღეობი ევოლუცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთო ცნობიერებასთან. ნეოლოგიის პირველ პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ენები მოდიფიცირდებიან დროთა განმავლობაში, ადაპტირდებიან სიტუაციისა და ახალი აუცილებლობების შესაბამისად. ნეოლოგიის მეორე პრინციპია ენების თვითდაცვა, რაც გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ შენარჩუნებულ იქნეს სხვადასხვა თაობას შორის გაგება, რაც ხელს უშლის იმას, რომ ენამ განიცადოს ძალიან სწრაფი ან პირიქით, ძალიან ნელი მოდიფიცირება.

ნეოლოგიის მესამე პრინციპია, ენის მიერ საჭირო სიტყვის შეთვისება.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ნეოლოგია წარმოადგენს ენის არსებობის ძირითად მანიფესტაციას. თანამედროვე კულტურულ ენაში ნეოლოგიზმების შემოსვლა ბუნებრივი პროცესია. ენა, თუკი მას არ გააჩნია ნეოლოგიზმების არცერთი ტიპი, – მკვდარია. ყოველი ცოცხალი ენა ქმნის ახალ სიტყვებს იმისათვის, რომ ახალი რეალობის აღსანიშნავად იპოვოს ნასესხებ სიტყვათა შემცველი საშუალება.

ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური ურთიერთობები განსაზღვრავენ ნებისმიერი ენის ნეოლოგიზმებით გამდიდრებას. რა თქმა უნდა, სხვა ენების გავლენაც დიდ როლს თამაშობს ამ პროცესში. თანამედროვე ესპანურ ენაში ჭარბად შემოიჭრა ნასესხები სიტყვები, განსაკუთრებით კი ინგლისურიდან, რომლებმაც მყარი ადგილი დაიმკვიდრეს ესპანურ ლექსიკაში. ეს პროცესი გამოწვეულია ტექნიკური და მეცნიერული პროგრესითაც.

არსებობს განსხვავება ნასესხებ და უცხო სიტყვებს შორის, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ნასესხები სიტყვა თავისუფლად შედის ესპანურ ლექსიკაში. ანგლიციზმების შემოჭრა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე ძლიერად იგრძნობა: *squash, sport, holding, stand, zapping, windsurfing, waterpolo* და სხვ.

ასევე არსებობს სემანტიკური კატეგორიები, რომლებიც შედარებით უფრო ძნელი ამოსაცნობია: *ascendencia, canal* (სატელევიზიო არხი); *firma* (საწარმო) და სხვ.

ნეოლოგიზმებმა, როგორც ჩანს, კარგად დაიმკვიდრა ადგილი ესპანურ ენაში და უფრო ხშირადაც იხმარებიან, ვიდრე ენაში ტრადიციულად უკვე არსებული სიტყვები მაშინ, როცა სიტყვები მეეტინგ, ბაბყ-ფოლტ, ტრაველლინგ, თითქოსდა ესპანიზირებული გახდა და გადაიქცა *mitín, futbolín, travelín* (სამივე მათგანი გვხვდება [DRAE]-ში). თანამედროვე ესპანურში შეინიშნება ასევე ანალოგიური ფორმები, როგორიცაა: *marketing [DRAE92], standing, camping, ranking* და სხვა, რომლებიც ხშირად იხმარება მიუხედავად იმისა, რომ ენაში უკვე არსებობს იმავე მნიშვნელობის მქონე სხვა ლექსიკური ერთეული. ამ სიტყვათა ინტეგრაციის თავიდან ასაცილებლად სამეფო აკადემიამ მიიჩნია, რომ ენაში უნდა შევიდეს მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც ორთოგრაფიულადაც და გამოთქმითაც ესპანურ სიტყვებს მიესადაგებიან.

ზოგიერთი ახალი სიტყვა, რომელიც შევიდა [DRAE92] ლექსიკონში, შემდეგია: *chándal, cabaré, córner, penalti, esnob, eslogan, test, récord*.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები ფართოდ შეიჭრა ესპანურ ენაში და მიეკუთვნებიან სპეციალური ლექსიკის სფეროს: სპორტს, მეცნიერებასა თუ ეკონომიკას, ხალხი მათ უხვად იყენებს ყოველდღიურ მეტყველებაშიც.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მკვიდრდება ინგლისურიდან ნასესხებ სიტყვათა ინგლისური მანერით გამოყენების ტენდენცია, მაგალითად: *cuarto de estar, fin de semana*, ასევე სხვა ნასესხები სიტყვები, რომლებიც უკვე ნათარგმნ ვარიანტებს წარმოადგენენ: *cowboy-vaquero; western-película de oeste*.

ნეოლოგიზმებით ლექსიკის გამდიდრება და ნასესხები სიტყვის დამკვიდრების ტენდენცია ესპანურ ენაში გარკვეულ ფენომენს წარმოადგენს. მაგალითად, ფეხბურთში სიტყვა *gol*-ისაგან წარმოიშვა სიტყვები *golear, goleada, golazo; chequeo- chequear; knock out – noqueo* და *noquear* და სხვ.

სხვა ენებიდან ესპანურ ენაში უცხო სიტყვების შემოჭრას ყველა ეპოქაში ჰქონდა ადგილი, რამაც გამოიწვია ასეთი სიტყვების რიცხვის ზრდა და რაც ფილოლოგების ხშირ მუშაობას ითხოვდა. ესპანურ ენაში, სიტყვების 41% სხვა ენებიდან შემოსულია, თუმცა ამ სიტყვებიდან იხმარება მხოლოდ 10%.

როდესაც გარკვეული ენა უკვე ჩამოყალიბებული და დახვეწილია, სწორედ მაშინ ხდება უცხო სიტყვების შემოჭრა მასში იმ ენებიდან, რომლებიც ასევე ჩამოყალიბებული და დახვეწილი არიან. სიტყვები, რომლებიც უშუალოდ არის აღებული (=ნასესხები) სხვა ენებიდან, წარმოადგენენ “*palabras-citas*” ანუ ე. წ. ციტირებულ სიტყვებს, როგორცაა, მაგალითად, სიტყვა: *masacre, graffiti, goal-average, ombudsman, saudade* და მრავალი სხვ.

მაშინ, როცა წარმოიქმნება ლინგვისტური ნასესხობანი, მან შესაძლოა განიცადოს ლინგვისტური მოდიფიკაცია როგორც ფორმაში, რათა გრაფიკულად და ფონეტიკურად იქნას ადაპტირებული (მაგალითად: *tráiler* ნაწარმოებია ინგლისური სიტყვიდან *triller*), ასევე გავრცელების მხრივ (როდესაც საუბარია პურის მაღაზიაზე “*boutique del pan*”, ესპანურ ენაში იყენებენ სიტყვას *boutique* განსხვავებული მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვას ფრანგულ ენაში გააჩნია, რომლიდანაც ის არის ნასესხები). სიტყვის ადაპტაცია შესაძლოა, ასევე ატარებდეს მორფოლოგიურ ხასიათს, მაგალითად: *escrachas* – ცხენის მოხსნა რბოლიდან, შემოსულია ესპანურ ენაში ინგლისური ენიდან (*to scratch*), ასეთი სიტყვებს ჰიბრიდებს უწოდებს ალვარ ესკერა (*Alvar Esquerra M. 1993, p.17*). ესპანურ ენაში სხვა ენებიდან შემოსული ნასესხები სიტყვები ან გამოთქმები ხშირად განიცდიან შეკვეცას, როგორც, მაგალითად, სიტყვა *basket - basketball*-ის ნაცვლად ან *wáter - water-closet*-ის ნაცვლად.

ძირითადში სიტყვა ინარჩუნებს იმ ფორმას, რომელიც მას ძირეულ (საწყის) ენაში გააჩნდა, მაგალითად, როგორცაა ინგლისური ენიდან შემოსული *-ing*-ზე დაბოლოებული სიტყვები: *trading, marketing, surfing, holding, fixing, parking, pressing, jogging, bodybuilding, modeling, ranking, standing* და სხვ. ნასესხები სიტყვების კატეგორიას ჰიბრიდებს უწოდებენ და ისინი იმ სიტყვებს წარმოადგენენ, რომლებიც ნაწარმოებნი არიან იმ შემოსული ფორმებიდან, სადაც ლექსემა ეკუთვნის მეორე ენას, საიდანაც აღებულია ნასესხები სიტყვა და გრამატიკული მორფემა და რომლებმაც განიცადეს მორფოლოგიური ადაპტაცია. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: *croissantería, jeansería, windsurfista, winsurfero, escanear, zappear*. როგორც ვხედავთ, ეს ნასესხები

სიტყვები აღებულია ინგლისური ენიდან და გარკვეული სუფიქსების (-*eria*, -*ero*, -*ear*, -*ista*) მიერთების გზით ისინი ესპანურ ლექსიკაში იმკვიდრებენ ადგილს.

განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნებიან გამოგონილი სიტყვები. ეს სიტყვები არ წარმოადგენენ ლინგვისტურ ნასესხობებს, თუმცა მათ უტოლდებიან და მათში ირევიან, რადგან გამოგონილი სიტყვა შესაძლოა იყოს სხვა ენიდან ნასესხებიც. სიტყვის გამოგონება გამოწვეულია მეტწილად მეტი გამოხატულებისა და ემოციის გადმოსაცემად. ასე, მაგალითად, სიტყვა “*gas*” XVII საუკუნეში ქიმიკოსმა და ექიმმა ჟან ბატისტა ვან ჰელმონტმა გამოიგონა, სიტყვა “*suripanta*”, როგორც ჩანს, მადრიდული თეატრალური გუნდის საპატივცემულოდ იქნა გამოგონილი.

ლინგვისტური ნასესხობები დღესაც გვხვდება და ყველა ენისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამ ტერმინებიდან ზოგიერთმა დაიმკვიდრა ადგილი ესპანურ ენაში, ზოგი მათგანი კი დროთა განმავლობაში გაქრა.

ნასესხები სიტყვების ზოგიერთი ფორმა წარმოადგენს უცხოური სიტყვების კალკებს. ნასესხობები ანუ ბარბარიზმები, როგორც მათ აღვარ ესკერა უწოდებს, შემოიჭრნენ ესპანურ ენაში როგორც ნეოლოგიური წარმონაქმნები, თუმცა ეს არ არის თანამედროვეობა ან გარდამავალი მოდა. უკვე XIX საუკუნეში ესპანური ენის აკადემია ადანაშაულებდა ჟურნალისტებს ენის დაბინძურებაში და ბარბარიზმების შემოტანაში. დღესდღეობითაც ჩანს, რომ სიტუაცია სულაც არ შეცვლილა, თუმცა მარტო ჟურნალისტების ბრალი როდია ამ ბარბარიზმების შემოჭრა ენაში. ზოგჯერ ისინი ნაჩქარევად და უყურადღებოდ ითარგმნება (*Alvar Esquerre M. 1993, p.21*). ასე გამოიყენება, მაგალითად, სიტყვა *remover extraer*-ის ნაცვლად (ინგლისურში *to remove*), *sofisticado* გამოიყენება "დახვეწილის" მნიშვნელობით.

ნეოლოგიზმებს, რომლებიც არსებობს უცხოური დამწერლობის სახით ენაში ბარბარიზმები ეწოდებათ, მაგალითად: *camping*, *marketing*, *leitmotiv* და სხვ.

§ 17. ლუსიზმები

პირენეის ნახევარკუნძულის მრავალეროვან მოსახლეობას შორის მუდმივმა კონტაქტებმა და კასტილიის, პორტუგალიისა და გალისიის პოეტების მხატვრული სიტყვის თავისებურებამ შუა საუკუნეებში ესპანურ ლექსიკას თავისი დადი დაასვა და ესპანურ ენაში დატოვა ლუსიზმების (*lucismos*) რაღაც გარკვეული ნაწილი – ეს არის

პორტუგალიური და გალისიური ენებიდან ნასესხები სიტყვები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იბერიელმა ტრუბადურებმა გალისიურ-პორტუგალიურ საფუძველზე შეიმუშავეს ლირიკული პოეტური ენა, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულის ხალხების ისტორიაში ერთ-ერთი პირველი პოეტური ენაა. ამ ენაზე XII-XIV და XV საუკუნეებშიც კასტილიელი პოეტების ქმნიდნენ თავის ნაწარმოებებს. მეორეს მხრივ, პორტუგალიელი პოეტების უმრავლესობა XVI-XVII საუკუნეებში წერდა კასტილიურზე. პორტუგალიური და გალისიური სასაუბრო ენიდან და ლიტერატურული წყაროებიდან ესპანურ ენაში განმტკიცდა: morriña, macho, chubasco, chopo, achantarse, vigía, carabela, chumacera, baliza, arisco, payo, menino, mermelada, almeja, mejillón, ostra და სხვ.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ სიტყვების უმრავლესობა ლათინური წარმოშობისაა.

პორტუგალიური ენის საშუალებით ესპანურში შემოვიდა ზოგიერთი სიტყვა აზიატური წყაროებიდან, კერძოდ: copra, catre, bambú, cacatúa, cato, mandarín, carambola, palanquín (ინდოეთი, მალაიზია); charol (ჩინეთი); biombo, bonza (იაპონია) და სხვ.

§ 7. კატალანიზმები

XV საუკუნის შემდგომ, ესპანური ენის გამდიდრებაში თავისი წვლილი შეიტანეს რომანული წარმომავლობის კატალანიზმებმა (*catalanismos*). ითვლება, რომ მათგან მომდინარეობენ ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: faena, pechina, palangre, frazada, trasto, sede, nao, seo, paella, zozobra, lampuga, balance, clavel, añoranza, añorar, falla, bochín, remolcar, trajinar, trastear და სხვ.

§18. ინდიხენიზმები

ესპანელების მიერ ამერიკის აღმოჩენამ (1492 წელს) განაპირობა ესპანური ენის მუდმივი და ხანგრძლივი კონტაქტები მრავალრიცხოვან ინდიურ ენებთან, რამაც საბოლოო ჯამში ესპანური ლექსიკა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ინდიხენიზმებით (*indigenismos*) – ინდიური ენებიდან ნასესხები სიტყვებით. ახალი ფლორა და ფაუნა, უცხო საგნები და საკვები, უცნობი სარწმუნოება და ჩვეულებები ესპანელებისაგან მოითხოვდა ახალ ნომინაციებს. კოლუმბი თავის ჩანაწერებში გამოთქვამდა წუხილს იმის გამო, რომ მან არ იცოდა როგორც მოქცეულიყო, რა ეწოდებინა ურიცხვი რაოდენობის უჩვეული ფრინველების, თევზების, მწერების, მცენარეების, ნაყოფებისათვის, რომლებიც პირველად

იხილეს კონტინენტის აღმომჩენებმა. თავდაპირველად, ევროპულის მსგავსს ობიექტებს ისინი აძლევდნენ ესპანურ სახელებს, მაგრამ მოკლე დროში შეერწყნენ ევზოტიკური ფლორისა და ფაუნის, ყოფის საგნების ადგილობრივ დასახელებებს.

ამერიკის კონტინენტი დასახლებული იყო ინდიელი ხალხებითა და ტომებით, რომლებიც ლაპარაკობდნენ მრავალ ენასა და კილოზე. სახრეთ და ცენტრალურ ამერიკაში 170-მდე ენა და 2000-მდე დაქუცმაცებული ენა და დიალექტია. ინდიური ენების ნაკლებად შესწავლამ განაპირობა სიძნელეები მათ გენეტიკურ კლასიფიკაციაში. ამიტომ, ენათმეცნიერებაში არსებობს რამდენიმე განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო კლასიფიკაციები.

აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში მოყვანილია მხოლოდ ის ენობრივი ოჯახები, საიდანაც ინდიენიზმების უმრავლესობაა შემოსული.

არავაკული ენები - (ანტილიის კუნძულების ნაწილი, თანამედროვე კუბის ტერიტორია, ჰაიტი, სანტა-დომინგო, კოსტა-რიკა). ამ ენობრივი წრიდან ნასესხები იყო სიტყვების დიდი რაოდენობა, რომელიც ამჟამად შესულია არა მარტო ესპანურ ენის ლათინო-ამერიკულ ვარიანტებში, არამედ მთელ ესპანურ ლექსიკაში: canoa, sabana, arcabuca, hamaca, batata, macanudo, barbacoa, cacique, maíz, tabaco, tuna, enagua და სხვ.

ესპანური ენის ლათინო-ამერიკული ვარიანტები შემორჩენილია შემდეგ სიტყვებში: nigua, guanajo, guamo, manigua, caney, yuca, maní, mamey, maguey და სხვ.

კარიბული ენები - (ანტილიის კუნძულების სამხრეთი ნაწილი, ვენესუელის და გვიანის ტერიტორიები). ესპანელების ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, კარიბულმა ტომებმა დაიკავეს ანტილიის ზოგიერთი კუნძული, ამიტომ კარიბული წარმოშობის სიტყვებში ზოგჯერ ძნელია სრული დამაჯერებლობით იმის მტკიცება ის კარიბული წარმოშობისაა თუ არავაკულის. ვარაუდობენ, რომ კარიბული ენებიდან ზოგად ესპანურ ფონდში შემოსული: loro, guayaba, butaca, papaya, caribe, huracán, mico, piragua, caimán და სხვ.

ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში გამოყენებულია: catauro, múcura, totuma, guaricha mapurito, guacharaca, jibe, cocuyo და სხვ.

აცტეკური ენები - (ამჟამინდელი მექსიკის ტერიტორია). პირველ რიგში, საუბარია ნუატლის ენაზე (მას ზოგჯერ აცტეკურსაც უწოდებენ). ზოგადესპანურ აცტეკიზმებს შორის აღსანიშნავია: galpón, jacal, jícara, petaca, tiza, petate, chocolate, chicle, quetzal, zopilote, ocelote, tomate, cacao, cacahuete, nopal, aguacate და სხვ.

ლათინურ-ამერიკულ ვარიანტებში შემორჩენილია:

ჩიბჩას ენები - (გავრცელებულია ახლანდელი ნიკარაგუას, როსტა-რიკას, კოლუმბიის, პანამის, ეკვადორის და სხვა ტერიტორიებზე). ენების ამ ჯგუფს

პრაქტიკულად არავითარ წვლილი არ შეუტანია ესპანური ენის ერთაშორის ლექსიკურ ფონდში. ჩიბჩას ინდიხენიზმები მხოლოდ ესპანური ენის ლათინური ამერიკის ზოგიერთ ვარიანტებშია შესული. ამ ნასესხებ სიტყვებს მიეკუთვნება: chicha (ალკოჰოლური სასმელი), chaquira (მძივი), muluta (თოჯინა), chuena (ტალახი, ლავი), moque (ფისი), cuan (თოკი), cereba, cucula, chusque (მცენარეთა სახელები) და ა.შ.

კეჩუმარანული ენები - (ახლანდელი პერუსა და ბოლივიის ტერიტორიები, ეკვადორის, ჩილეს, არგენტინის ანდების ზოგიერთი ზონა). საუბარია ძირითადად კეჩუას და აიმარას ენებზე. კეჩუა ინკების იმპერიის ენა იყო და კოლუმბამდელ პერიოდში სამხრეთ ამერიკის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე წარმოადგენდა სხვადასხვა ტომებს შორის ურთიერთობის საშუალებას. ამჟამად, კეჩუაზე ლაპარაკობს 13 მილიონზე მეტი ადამიანი. მათგან დაახლოებით 5 მილიონი ბილინგვია. აიმარას ენა უფრო ძირძველია. ინკების ბატონობამდე ის გავრცელებული იყო ვრცელ ტერიტორიაზე. ამ ენაზე ამჟამად ნახევარი მილიონი ინდიელი ლაპარაკობს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ვარაუდობენ, ათასწლეულები) აიმარასა და კეჩუას ინდიელები ისტორიით, კულტურითა და ენით მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები, რამაც განაპირობა ამ ორი ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური მსგავსება და საერთო სიტყვების დიდი რაოდენობა. ამიტომ, ზოგიერთმა ლინგვისტმა ეს ენები გააერთიანა ერთ საერთო ჯგუფ – კეჩუმარაში.

კეჩუმარას წვლილი ესპანურ ლექსიკაში, ძირითადად კი ლათინური ამერიკის ანდების ქვეყნების ენებში მეტად დიდია. ფართოდაა გავრცელებული ცხოველთა სახელები: llama, vicuña, guanaco, cóndor, alpaca, puma, taruga, vizcacha და სხვ.

მცენარეების (papa, yuyo, coca, totora, palto და ა.შ.), ლანდშაფტის და სახნავ-სათესი მიწების (pampa, puna, chacra და ა.შ.), ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა ნივთების სახელები (chiripa, ojota, cusma, vincha, chipa, guaco და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტების (quena, fotuto). აგრეთვე, ისეთი სიტყვები, როგორცაა: carpa (კარავი, ტენტი, ცირკის კარავი), soroche (სიმაღლის, მთის დაავადება), mote (მოსარშული სიმინდი), guacho (ობოლი), guagua (ძუძუმწოვარა ბავშვი), paya ან palla (იმპროვიზირებული სიმღერა), payador ან pallador (პოეტი-იმპროვიზატორი და საკუთარი ნაწარმოებების შემსრულებელი), payar ან pallar (გიტარის აკომპანიმენტის ქვეშ პოეტური იმპროვიზაციის შესრულება), chimba (ნაპირის მეორე მხარე, ფონი), chimbar (ფონს გასვლა) და ა.შ.

ტუპი-გუარანის ენები - (ბრაზილიისა და პარაგვაის ნაწილი, ბოლოვიისა და არგენტინის ნაწილი). ეს არის დიდი, ორმოცდაათამდე ინდიური ენისაგან შედგენილი ოჯახი, რომელზედაც ამჟამად ლაპარაკობს სამი მილიონი ადამიანი. გუარანი და მისი მონათესავი ტუპი, რომლებმაც დასაბამი მისცეს ამ ენობრივი ოჯახის სახელს, სხვადასხვა

ტომებს შორის და მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსულ ევროპელებს შორის ურთიერთობის საშუალება იყო. ტუპი-გუარანიდან ესპანურსა და პორტუგალიურში შევიდა ლექსიკური ერთეულების დიდი რაოდენობა. ესპანურში ტუპი-გუარანიდან მომდინარეობს შემდეგი სიტყვები: ცხოველების, ფრინველების, თევზების სახელები:

მცენარეების სახელები:

არაუკანული ენები – (ახლანდელი ჩილეს ტერიტორია, არგენტინული პატაგონიის ნაწილები). ამჟამად, არაუკანულ ენაზე (სხვაგვარად: მაპუჩე) ლაპარაკობს დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი. ამ ენას არ მოუხდენია არსებითი გავლენა ზოგად ესპანურ ლექსიკაზე.

ესპანური ენის ჩილეს ვარიანტში და პატაგონიის დიალექტში არაუკანისებები გვხვდება მცენარეების და ნაყოფების აღმნიშვნელ სიტყვებში: lima, quila, litre, panque, chaura, palque, boldo და სხვ.

აგრეთვე, შრომის იაღარის სახელებში: echona (ნამგალი), chope (ხის ნიჩაბი), laque (ლასოს სახეობა); ცხოველებისა და ფრინველების სახელებში: coipo, laucha, pudú, chilihueque, concón, chucao და სხვ.

რასაკვირველია, ესპანური ლექსიკა ლათინური ამერიკის ქვეყნებში გამდიდრებულია სხვა ინდიური ენებითაც. მაგრამ, ჩვენს ამოცანას არ შეადგენდა ესპანური და ინდიური ენების ურთიერთმოქმედების დეტალური აღწერა. მთავარი იყო მიგვეთითებინა ესპანური ენის გამდიდრების ძირითად წყაროებზე და ინდიენისებების ზოგიერთ სემანტიკურ ველზე.

თავი III ესპანური ლექსიკის ტერიტორიული დიფერენციაცია

ნაციონალური ვარიანტები და დიალექტები

ენის ტერიტორიული დიფერენციაციის პრობლემები, მისი გავრცელების არეალში, ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ განსხვავებებზეა დაფუძნებული. ეს გახლავთ დიალექტოლოგიის კვლევის საგანი. აღნიშნული დისციპლინა შეისწავლის ადგილობრივ ტერიტორიულ ენობრივ განსხვავებებს. დიალექტი ეწოდება და ემსახურება ადამიანთა ურთიერთობებს, რომლებიც გაერთიანებული ერთ საერთო სოციოარეალში. ამგვარად, დიალექტები არიან არა მხოლოდ ტერიტორიული არამედ სოციალურიც. დიალექტები ურთიერთდაკავშირებულია კონკრეტული ენის ჩარჩოებში და გასაგებია ენის მატარებლისთვის, რომელიც იცავს მეტყველების ნორმებს და დიალექტის თავისებურებებს. დიალექტებისა და მათი ტერიტორიული საზღვრების განსაზღვრა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. დიალექტოლოგები ფიქრობენ, რომ იმისათვის რათა აღწერონ ზუსტი ლოკალიზაცია, აუცილებელია ანგარიში გაეწიოს არა მხოლოდ იზოგლოსს (ესე იგი ლინგვისტურ რუქაზე ხაზსს, რომელიც აჩვენებს ამა თუ იმ ფონეტიკურ, გრამატიკულ ან ლექსიკური მოვლენის გავრცელებას, რომელიც სოციალური გამოკითხვების მეთოდითაა განსაზღვრული), არამედ ეთნოგრაფიულ ფაქტორს, ეთნიკურ თვითშეგნებას და მატერიალურ, სულიერი კულტურის ელემენტებს. დიალექტი მსხვილი ენობრივი ერთობაა. ენის ყველაზე პატარა ტერიტორიულ განსხვავებად მიღებულია კილოკავი, რომელიც ხშირად უახლოესი სოფლების მცხოვრებთა შორისაა გავრცელებული. ენობრივ არეალურ ერთეულად კილოკავების ჯგუფი და მათი გამაერთიანებელი კილოა მიჩნეული. ტერიტორიული გავრცელების მხრივ ესპანური ენა, ინგლისური ენის შემდეგ მეორე ადგილზეა. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის უზარმაზარ ტერიტორიაზე განთავსებულია 19 ქვეყანა, სადაც, ისე როგორც ესპანეთში და ეკვატორიანულ გვინეაში (აფრიკა), ესპანური ენა ოფიციალურ ენადაა გამოცხადებული. ესპანურენოვანი არეალის გავრცელებას, ესპანური ენის კონტაქტები აბორიგენების ენებთან, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, მიგრაციულ, პოლიტიკურ, ნაციონალურ და სხვა თავისებურებებს არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ ესპანური ენის დიფერენციაციაზე, რომელიც დამოკიდებული იყო მისი გავრცელების ზონებზე. ესპანური ენის არაერთგვაროვნება, არ შემოიფარგლება მისი დიალექტების და კილოკავების დაყოფით, მასში კიდევ უფრო მაღალი დონის განსხვავება იკვეთება, ე. წ. ეროვნული ვარიანტები. ყველა მათთაგანი რეალიზდება ესპანურენოვან სახელმწიფოში. ასევე იგულისხმება, რომ ამერიკის ესპანური ენა სახესხვაობაა (ვარიანტი) სტრუქტურულად ერთიანი ესპანური ენისა, მისი

თავისებურებათა და ახალი საერთო სახალხო ნორმების, დიალექტის და კილოკავთა ერთობლიობაში.

როგორც ვხედავთ, ენის არსებობის ფორმის ჩვეულებრივი დაყოფა, რომელიც ესპანურ ენას მიესადაგება, მოითხოვს დამატებით დაზუსტებას. ნაციონალური ვარიანტების ქვეშ იგულისხმება “ეროვნული მეტყველების ისეთი ფორმები, რომლებიც არ ამჟღავნებენ მასთან დაცილებას, მაგრამ ამასთან ერთად იძენენ ავტონომიას და ასევე დაცულია და გაცნობიერებულია თითოეული ნაციონალური საზოგადოების საზღვრებში“. ამ განსაზღვრებაში მთავარი ისაა, რომ ენის ნაციონალური ვარიანტი, ისე როგორც ნებისმიერი ნაციონალური ენა ემსახურება ერს. დიალექტს ასეთი ყოვლისმომცველი ფუნქცია არ გააჩნია, ის ემსახურება „ნაციონალური საზოგადოების ნაწილს, ამასთან ერთად საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში. შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ესპანური ენის არსებობის გლობალურ ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო ესპანურის ფორმა და შემდეგ მოდის ნაციონალური ფორმები ან ვარიანტები: მექსიკის, კუბის, არგენტინის, პირენეის და სხვა. დაბოლოს, ყველა ამ ვარიანტს თავისი დიალექტი და კილოკავი აქვს. ამასთან ერთად ლათინურ ამერიკაში ერთგვაროვან დიალექტურ ზონებს შეუძლიათ სხვადასხვა ნაციონალური ტერიტორიები მოიცვან, ანუ ერთი ასეთი ტერიტორიული დიალექტი შეიძლება იყოს ორ ან მრავალ მოსაზღვრე ქვეყნებში. ვფიქრობთ, რომ ასევე არსებობს ესპანური ენის ზოგადენობრივი და ლიტერატურული ნორმები, როგორც ეროვნული, ზოგადენობრივი და ლიტერატურული. თუმცა შესასწავლი ობიექტის ამ ნაწილის, რაც შეეხება ესპანისტიკაში, სირთულის გამო კვლევები არასაკმარისადაა ჩატარებული. დაბოლოს, მოცემულ სახელმძღვანელოში არ შეგვიძლია კატეგორიული მსჯელობის შემოთავაზება. ესპანური ენის ლექსიკური და სხვა თავისებურებების აღნიშვნისთვის, რომელიც დამახასიათებელია ლათინური ამერიკისთვის, გამოყენებულია ტერმინი „ლათინოამერიკანიზმი“ ან „ესპანოამერიკანიზმი“, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არც ისე იშვიათად ფიგურირებს ტერმინი „ამერიკანიზმი“, რომელიც ერთი შეხედვით მოსახერხებელია, მაგრამ ნაკლებად ზუსტია. ამერიკანიზმის ქვეშ შესაძლებელია ვიგულისხმოთ ინგლისური ენის ამერიკული და კანადური ვარიანტებიც. ტერმინი ლათინოამერიკანიზმი გვაძლევს საშუალებას ამ აღრევას ავცდეთ. ამასთანავე ამერიკანიზმი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა, “ამერიკანიზმად“ განიხილავენ ადგილობრივი ამერიკული ენების ნებისმიერ სიტყვას, მხედველობაში გვაქვს სამივე ამერიკის ინდიელების ენები, ნასესხები სიტყვები ევროპული ენებიდან და ასევე ამერიკული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან აფრიკული წარმოშობის სიტყვებისაგან და ასევე ესპანურად მოლაპარაკე ამერიკელებისთვის დამახასიათებელი

სიტყვები და სხვა. ესპანოამერიკანიზმად შეიძლება დავასახელოთ „ამერიკის ესპანური ენის ყოველი ელემენტი, რომელსაც მოცემულ ეპოქაში შესატყვისი ან არაშესატყვისი ნიშნები გააჩნია ესპანურ ენასთან მიმართებაში. ეს განსაზღვრება, ლათინოამერიკის ესპანური ენის, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, ლექსიკურ და სინტაქსურ თავისებურებებზე ვრცელდება. ესპანური ენის ვარიანტებს ზოგიერთ ქვეყნებში ორენოვანი პრობლემა ართულებს, როდესაც ნაციონალურ სახელმწიფო ტერიტორიაზე ორი ძირითადი ენა თანაარსებობს. პერუში, ოფიციალურ ენად ესპანური და კეჩუა ითვლება, პუერტორიკოში- ესპანური და ინგლისური ენები, ეკვატორიალურ გვინეაში-ესპანური და ფანგი, ბოლივიაში კი ლაპარაკობენ ესპანურ, აიმარულ და კეჩუას ენებზე, პარაგვაიში-ესპანურსა და გვარანიზე.

ამ სახელმძღვანელოში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ესპანური ენის ლექსიკური ფონდი დავეოთ პანისპანიზმებად (panispanismos), ლათინოამერიკანიზმებად ან ესპანოამერიკანიზმებად (latinoamericanismos o hispanoamericanismos) რეგიონალიზმებად (regionalismos), ვარიანტიზმებად (variantismos), დიალექტიზმებად (dialectismos) და ლოკალიზმებად (localismos). ნაციონალური ვარიანტები ფორმირდება ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნიკურ, სოციოკულტურულ და პოლიტიკური ფაქტორების ქვეშ, ეს ექსტრალიზაციის ფაქტორებია. ისინი ხელსუწყობენ ენობრივი სტრუქტურის განვითარებას და ეხმარებიან მისი განმასხვავებელი ენობრივი თვისების წარმოშობას. კონკრეტული რეგიონის ენის სპეციფიკაზე მოქმედებს ენობრივი სიტუაცია, კონტაქტში მყოფი ენების ურთიერთკავშირი და განსაკუთრებით შიდა ენობრივი ფაქტორები. ნებისმიერი ვარიანტის საფუძველს, ზოგადესპანური ენის სისტემა შეადგენს, რომელიც (ანუ ენის სისტემა) დაკავშირებულია რეგიონალურ და ნაციონალურ-მარკირებული ერთეულებით, რომლებიც წარმოადგენენ ნაციონალური ვარიანტის განმასხვავებელ, მნიშვნელოვან და შემადგენელ ნაწილს. ეს მარკირებულ ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკურ თვისებურებები ნაციონალური ვარიანტის სისტემაში ვითარდებიან და შეუძლიათ თავისებური და ახალი ვარიანტები წარმოშვან. ესპანური ენის ყოველი ვარიანტის ლექსიკური კორპუსი, ზოგადესპანური სიტყვებისა და მყარი გამოთქმების (panhispanismos) მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც ნებისმიერ ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ერის მეტწილ სიტყვიერ მარაგს, სიტყვებსა და გამოთქმებს შეადგენს, რაც დამახასიათებელია ამა თუ იმ ნაციონალური და განსაზღვრული გეოგრაფიული რეგიონისთვის.

ლათინოამერიკული ნაციონალური ვარიანტების თავისებურებანი სამი გზით იქმნება: ლექსიკონებში ინდიენიზმების ჩართვით (ანუ ინდიელთა ენების გამოთქმები და სიტყვები) მაგ. soroché (კეჩუურ suruchi-დან), რაც მთის დაავადებას ნიშნავს (ანდების ქვეყნებში), pudú (არაუკანული pudú) – მთის შველის ერთ-ერთი სახეობა (ჩილე), jacal (აცტეკური xacalli), ქოხის სახეობა მექსიკაში, chuspa (კეჩუას chchuspa) – ჩანთა, ტომარა (ზოგიერთ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში), guagua (კეჩუას ენაზე wawa) – ჩვილი ბავშვი (ჩილესა და სხვა ქვეყნებში).

კუბაში ასეთივე როლს თამაშობს აფრიკანიზმები, ანუ ნასესხობანი აფრიკული კილოსაგან. მაგ: congó-ძველებური ცეკვა; mandiga -ბოროტი სული; bilongo-ჯადოქრობა, ñame – ხის სახეობა.

ესპანური ენის სიტყვების ახლებური გააზრება-კუბურ ვარიანტში timbar - დაგდება, მოცელება, მიიღო მნიშვნელობა - ლერწმის ჭრა. Bodega-ღვინის საწყობი-პატარა მაღაზია (კუბა),vega-ველი-თამბაქოს პლანტაცია (კუბა), pava- ინდაური-კოლუმბიაში იღებს მნიშვნელობას-მოხერხებული (ემშაკი), piña-გირჩა-ანანასი, ხოლო მექსიკაში მიიღო მნიშვნელობა - იარაღის მაღაზია. არგენტინაში და ურუგვაიში ისეთი სიტყვები, როგორცაა tropa-ბრბო, cebar-გასუქება, fletar-დაქირავება, შეიძინეს დამატებითი მნიშვნელობა-ჯოგი, ფარა, დაუპატიუებლად მისვლა.

ახალი სიტყვების შექმნა ესპანური ენის სიტყვაწარმოების მოდელით-საკუთრივ ესპანური ენის ძირის (ფუძის) და აფიქსების, ან ინდიელთა ასევე აფრიკული წარმოშობის სიტყვები ესპანური აფიქსებით.

ავიღოთ მაგალითად კუბური ვარიანტი, ესპანური ფორმანტებიდან წარმოიშვნენ ისეთი სიტყვები როგორცაა: bachero-თხრილი, მიიღო მნიშვნელობა- „გზის მუშა“. rezagador (ზმნა rezagar - გადადება), ლათინურ ამერიკაში მიიღო მნიშვნელობა “თამბაქოს ფოთლის დახარისხება”, alfabetizador (alfabetizar ზმნიდან- განათლების მიცემა) / მოხალისე მასწავლებელი გაუნათლებლობასთან ბრძოლის პერიოდში, funcionalidad (functional ზმნიდან “ფუნქციური”) / ფუნქციურობა, პრაქტიკულობა და სხვ.

ყველაზე მეტი განსხვავება ნაციონალური ლექსიკის ვარიანტებში, დიალექტის დონეზე შეიმჩნევა, ყველაზე ნაკლები კი, ლიტერატურულ - დამწერლობით დონეზე.

ბოლო პერიოდში ესპანისტიკაში წამოიწია აზრი, იმის შესახებ, რომ არ უნდა ვილაპარაკოთ პარაგვაის და ბოლივიის ნაციონალურ ვარიანტებზე. ამტკიცებენ, რომ იქ გაბატონებულია ტერიტორიული ვარიანტები, რადგან დასახელებულ ქვეყნებში, მცხოვრებთა ნახევარი მხოლოდ ინდიელთა ენაზე ლაპარაკობს ან არიან ბილინგვები და ესპანური ენა მათთვის არ არის მშობლიური. თუმცა ასეთი მოსაზრება სადავოა. მოსახლეობის პროცენტული შესატყვისობის დამოუკიდებლად, ესპანური ენა ინახავს ნაციონალური ვარიანტის სტატუსს მათთვის ვინც მას მიიჩნევს მშობლიურად. ესპანურ ენაში შენარჩუნებულია (შემონახულია) ნაციონალური ვარიანტის ყველა ნიშანთვისება: ეს არის ოფიციალური - სახელმწიფო ენა, რომელიც ესპანურენოვან მოსახლეობაში საზოგადოებრივ ყოფით კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებს და ფლობს (გააჩნია) საკუთარი ნორმატიული ენობრივი განსხვავება სხვა ესპანური ენის, ანუ ლათინოამერიკული ვარიანტებისგან. ხოლო რაც შეეხება ინდიელთა ენებს, ისინი მრავალენოვან სახელმწიფოებში ემსახურებიან თავიანთ ნაციონალურ საზოგადოებას და ყოველთვის კონტაქტში არიან ესპანურ ენასთან. მაგალითად: კეჩუა, პერუში და ბოლივიაში სადაც ის ასევე გაავრცელებულია და ფლობს ზემოდწამოთვლილ ყველა ნაციონალური ვარიანტების ნიშანს, შეუძლია ჰქონდეს ორი ნაციონალური ვარიანტი, პერუელი და ბოლივიური.

პანესპანიზმი და ლათინოამერიკანიზმი

პანესპანიზმს ფუნდამენტური და ძლიერი ლექსიკის პლასტი ეკუთვნის, რომელიც ესპანური ენის ყველა ვარიანტების ფუძეს შეადგენს. ამ სიტყვების გარეშე, როგორცაა pan, sol, ir, hombre, mujer, rojo, blanco, bien, de, que, este და სხვ., არ არსებობს არცერთი ნაციონალური ვარიანტი. ეს ესპანური ენის ლექსიკური სისტემის ის ნაწილია, რომელიც ინახავს როგორც ერთიან მთლიან ენას, ასევე ყველა ესპანურენოვანთა ურთიერთობების სტაბილურ საშუალებას, მიუხედავად ყველა ნაციონალური ენობრივი ვარიანტების განსხვავებებისა.

ლათინოამერიკანიზმებს ან ესპანოამერიკანიზმებს მიეკუთვნება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ესპანური ენის ყველა ლათინოამერიკულ ვარიანტებში ან მათ დიდ უმრავლესობაში შედის. მაგ. Camote, balay (დაწნული კალათა), baleo (სროლა), cimarrón - გარეული, ტყის, capotera –საკიდი, ñame – უზარმაზარი, თათი, cacachuelo - კაკაოს პლანტაციის მფლობელი, jalar(se) ‘ ღოთობა, ბეგრის სმა, canillera – პანიკა, შიში, პავერო – ხუმარა, დამცინავი და სხვ.

რეგიონალიზმები

ლათინოამერიკული რეგიონალიზმები, ისეთ ლექსიკურ ერთეულებს ეწოდება, რომელიც გავრცელებულია ორ, სამ ან ოთხ ესპანური ენის ნაციონალური ვარიანტების ტერიტორიაზე. Camalote -წყალმცენარეთა სახეობები, შროშანას მაგვარი, იხმარება არგენტინაში, ურუგვაიში, პარაგვაიში და თითქმის რიო-დე-ლა-პლატას ტერიტორიაზე ბოლივიის გარდა. Cangrina-განგრენა, jalón-საქმრო, (jalar)- არშიყობა - დამახასიათებელია ცენტრალური ამერიკის ზოგიერთი ენებისათვის. კოლუმბიის, პანამის და ვენესუელას ენების ვარიანტებში შედის, მაგალითად არსებითი სახელი canillera-დადლილობის მნიშვნელოთ; გვატემალაში და ჰონდურასში გამოიყენება სიტყვა cantaleta-მისამღერი, choco-, jaquima- გვატემალაში და სალვადორში. ზმნა mochar- შემცირება- დამახასიათებელია ურუგვაისა და არგენტინისათვის, ასევე cimarronear-მატეს დალევა შაქრის გარეშე და cimarrón-მატე შაქრის გარეშე. Fifiriche-რაქიტინი, დაფიქსირებულია კოსტა-რიკაში და მექსიკაში; patulequear-კოჭლობა კი, ვენესუელაში, პერუსა და კუბაში. არგენტინასა და ბოლივიაში payo -ქერა, ქერათმიანს ნიშნავს; არგენტინაში, ურუგვაიში, და ჩილეში გავრცელებულია ზმნა pavear -თავაზიანად მოქცევის მნიშვნელობით; პანამასა და ეკვადორში იგივე ზმნა იღებს მნიშვნელობას გაკვეთილების გაცდენა, ხოლო პერუსა და ჩილეში -მასხრად აგდება, დაცინვას. არსებითი სახელი pavo ანტილიის ქვეყნებში ნიშნავს -სასტიკს, მკაცრს. პანამასა და ჩილეში მიიღო მნიშვნელობა- უსაქმური; როპლატას ზონაში pava- ჩაიდანია, მატეს დასაყენებლად, პანამასა და ეკვადორში კი -სიგარის ნამწვია. Pavada-უმნიშვნელო, უბრალო რამ - არგენტინაში, ურუგვაიში და პარაგვაიში გამოიყენება.

ვარიანტიზმები

ვარიანტიზმებად ის ლექსიკური ერთეულები მიიჩნევა, რომლებიც დამახასიათებელია ესპანური ენის ერთი ნაციონალური ვარიანტისთვის. ასეთი სიტყვები, რომლებიც არც თუ ისე ცოტაა ენის ყველა ვარიანტში, შეიძლება სხვა უფრო კონკრეტული ტერმინების დახმარებით განვსაზღვროთ, რომლებიც ამა თუ იმ ნაციონალურ ვარიანტს მიეკუთვნებიან. ლათინოამერიკულ ვარიანტთა შორის არსებობს მექსიკანიზმები (mexicanismos), **კუბინიზმი** (cubismos), არგენტინიზმები (argentinismos), პერუანიზმები (peruanismos), ვენესუელიზმები (venezolanismos) და სხვ.

ესპანური ენის პირინეულ ვარიანტში, პირინეული ვარიანტიზმი არსებობს, მას შეიძლება პირინეიზმი (pirinaiquismos) ვუწოდოთ. მაგალითად შეიძლება მოვივანოთ შემდეგი ვარიანტები:

კუბა-camelia (ყაყაჩო), cao – ყვავის მსგავსი ჩიტი, cantúa - საკონდიტრო ნაწარმის ერთ-ერთი სახეობა, brete – არეულობა, ჩახლართული და სხვ.

მექსიკა – papacha – ბანანის ხე, papachar - მოფერება, boruquiento – მხიარული, ხმაურიანი, cantaletar – ხუმრობა, დაცინვა, oancho – ბზიკების ხროვა, უამრავი ნივთი, pando – მთვრალი, pandorgo – სულელი და სხვ.

ჩილე – camarico (საყვარელი ადგილი, სასიყვარულო ურთიერთობა), panizo (საბადო, სიუხვე, ხელსაყრელი საქმე), botar (სამსახურიდან დათხოვნა, დაგდება), bototos (ცისფერი ბოტები) და სხვ.

კოლუმბია – panelero (პირფერი), panelar (სასიამოვნო სიტყვების თქმა) , cantalera (ბურდღუნი), canónigo (გალიდიანება), pantanero (ჭაობი), pandorga (უხერხულობა, დეღვა), jampa (კარაბანი) და სხვ.

დიალექტიზმი

ესპანური ენის ვარიანტებში, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის მეტყველებაში აღინიშნება განსხვავებები. სახალხო ენის განშრეგებანი მრავალასპექტიანი და მრავალნაირია. განსხვავებაა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლის, ახალგაზრდა და უფროსი თაობის, განათლებულისა და ნაკლებ განათლებული ადამიანების, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა მეტყველებაში. გასაგებია, რომ ჩვენ ეხლა გვაინტერესებს მეტყველების დიფერენციაცია, დაკავშირებული ენის სივრცობრივ ერთიანობაში.

ლიტერატურული ენის ფონზე, რომელიც დამუშავებულ ნორმალიზებულ ენას წარმოადგენს, ნაციონალური ენის მაგალითად მიიჩნევა და ინერგება სკოლის ლიტერატურის და მასობრივი ინფორმაციის მეშვეობით, განსაკუთრებით მკვეთრად გამოიყოფა დიალექტები, რომლებიც მხოლოდ ზეპირმეტყველებაში არსებობენ. **(დასაწყობია და გასასწორებელია.გ.ჩ.)** გვ.76. დიალექტები ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებში აისახება და გამოიყენება დამახასიათებელი მეტყველებისათვის ლიტერატურაში.

ესპანურ ენაში მრავალი დიალექტია, თუმცა პატარა ტერიტორიაზე შეიძლება ისინი კილოკავებად დაიყოს, რომლებიც ერთმანეთისგან ფონეტიკური, გრამატიკული და

ლექსიკური მახასიათებლებით (განსაკუთრებულობით) განსხვავდებიან. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიალექტები ერთ მთლიან ესპანურ ენაში და მის ნაციონალურ ვარიანტებში შედიან და ამას დაწვრილებით შეისწავლის სპეციალური სამეცნიერო დისციპლინა დიალექტოლოგია. ამ საგანს? აქვს თავისი მეთოდები, კვლევის ხერხები, რომლებიც ძნელად ექვემდებარება მასალის კლასიფიკაციას.

მოცემულ სახელმძღვანელოში გვინტერესებს მხოლოდ რამდენიმე ფაქტი, რომელიც ეხება დიალექტის ლექსიკურ თავისებურებას. სიტყვები და ფრაზოლოგიზმები, რაც დამახასიათებელია ადგილობრივი დიალექტებისთვის იწოდებიან ლექსიკურ დიალექტიზმებად (DIALECTALISMOS LEXICOS), მათ გააჩნიათ თავიანთი ნაირსახეობა. უპირველესად ლექსიკური დიალექტიზმები გამოიყოფა, რომლებიც ლიტერატურული ენის სინონიმებია. მეორე გახლავთ ვერეფოდებული ეთნოგრაფიული დიალექტიზმი (DIALECTALISMOS ETNOGRAFICOS), რომელიც ისეთი სპეციალური საგნების, მოვლენების დასახელებაა, რაც მათი დიალექტის გავრცელების ზონისთვისაა დამახასიათებელი. და მესამე, კიდევ ერთ ლექსიკური დიალექტიზმის სახესხვაობად იათვლება - სემანტიკური დიალექტიზმი (DIALECTALISMOS SEMANTICOS), იგი საყოველთაოდ სახმარ სიტყვებს წარმოადგენს. ესპანური ენის დიალექტური დაყოფა, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, საკმაოდ რთულია. თავის დროზე, ცნობილი დიალექტოლოგი ენრიკო ურენია, ლათინოამერიკული ზონის ხუთ დიალექტს, რიოპლასტურს, ჩილის, ანდურს, მექსიკურს და კარიბიულს გამოყოფდა. ამავდროულად პირველი მათგანი ქვედიალექტურ რაიონებად იყოფოდა. 60-იან წლებში ლინგვისტმა ხ. რონმა ურენიას კლასიფიკაცია გააკრიტიკა და შემოგვთავაზა გამოგვეყო სამი დიალექტიკური ზონა. ეუხენიო ოსერიო უფრო ფრთხილობს და მიიჩნევს, რომ იდეალური იქნებოდა ჩაგვეტარებინა დიალექტიკური გამოკვლევები მთელ ლათინოამერიკულ კონტინენტზე, რათა გამოგვემუდგინებინა იბეროამერიკული თავისებურებანი, მსხვილი დიალექტიკური ზონები და მხოლოდ ამის შემდეგ გადავსულიყავით რეგიონალურ დიალექტიკურ ძიებებზე.

დიალექტები და კილოკავები ესპანურ ენის პირინეულ ვარიანტში უფრო ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული. საერთოდ მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ესპანურში ხუთი ესპანურენოვანი დიალექტია: ანდალუსიური (ANDALUZ), არაგონული (ARAGONES), ასტურიულ-ლეონური (ASTURLEÓN ან ASTUR-LEONES, ASTURIANO-LEONES), მურსიული (MURCIANO) და ესტრემადურული (EXTREMENO).

ანდალუსიური დიალექტის გავრცელება, უმეტეს წილად ემთხვევა მის ისტორიულ საზღვრებს. მასში დაფიქსირებულია დიალექტიკური თავისებურებების დიდი რაოდენობა. ქვემოთ ვისაუბრებთ არა ზოგადესპანურ სიტყვებზე, რომლებსაც ენისმატარებელი გამოთქვამენ თავისებურად, როგორებიცაა მაგ: CUELPO (= CUERPO), CO (=CODO), PICALDIA (=PICARDIA), OBIPO (=OBISPO), LO PERRO (= LOS PERROS) ან recibiré – recibire, perdré – perderé, abrtío – abierto, cubrió – cubierto, escribíó – escrito და სხვ. და ყველა ეს დიალექტი ფონეტიკური და მორფოლოგიური ხასიათისაა, არამედ ლექსიკურ დიალექტიზმებზე. თავად ანდალუსიური ლექსიკა, მრავალ სიტყვასა და გამოთმას ითვლის. მათ შორისაა სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ესპანურ ლიტერატურაში არქაიზმებად ითვლება ან საერთოდ არ იხმარება, ხოლო ანდალუსიურ დიალექტში კი მათ ხშირად იყენებენ, მაგ. CERTENIDAD-CERTNIDAD (ზუსტი, საიმედო, დაჯერებულობა). ანდალუსიურ დიალექტში მთელი პლასტია არაბული წარმოშობის სიტყვებისა: CAUCHI (წყლის რეზერვუარი). ასევე გვხვდება ბოშური წარმოშობის სიტყვები და ჟარგონები: PIRA (ქურდი, მოხეტიალე), DUCAS (ტანჯვა).

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, არაგონული დიალექტიდანაა შემოსული მურსიულის მეშვეობით: bardo (ჭუჭყი, თიხა). და ბოლოს, ანდალუსიურ კილოკავში ბევრია ადგილობრივი წარმოშობის დიალექტიზმები: balabobicas (მექალთანე, არამდგრადი). tabaquear (მოწვევა), lastimanzas (ჩივილი), antepare (ბაბუა) და სხვ.

ალონსო სამორა ვინსენტე წერს, რომ მრავალი ანდალუსიური დიალექტის წარმონაქმნი გვხვდება ზოგადესპანურ სიტყვებში, მაგალითად მოყავს ანდალუსიური არსებითი სახელის სინონიმები: BOTIJO- თიხის დოქი; ALCARRAZA; CACHUCHO; CALICHE PIPO-; სულ ოცზე მეტი ერთეულია.

ლექსიკური დიალექტიზმის წყაროები, ესპანეთის სხვა კილოკავებისა, ტიპოლოგიურად ერთნაირია. ეს გვაძლევს ნებას შემოვიფარგლოთ რამდენიმე მაგალითით, რომელიც ამჟღავნებს დიალექტიკური ლექსიკის მრავალფეროვნებას.

არაგონული კილოკავები გავრცელებულია ნ/კ-ის აღმოსავლეთში და მათი წარმოდგენა შეიძლება შემდეგი მაგალითებით; esfollinar-მიღების გაწმენდა, chintar – ჭამა, carrazo – ყურძნის მტევანი, ostillo (სულელი, ბრიყვი), eret (მიწის ნაკვეთი) და სხვ.

ასტურიულ-ლეონური ლექსიკური დიალექტების მაგალითებად, რომლებიც გავრცელებულია ზოგიერთ თანამედროვე პროვინციებში, სოფელსა თუ რაიონში-ასტურია,

სამორა სალამანკა, და აგრეთვე კასერესსა და ბადახოსში, შეიძლება განვიხილოთ შემდეგი სიტყვები: atopar (პონა, შეხვედრა), esmondar (დაბანა), esguardar (დაკაწრა), esfoyar (ფოთლების მოგლეჯა), pernillar (ხელახლა შევსება), percaído (მცოდნე, გამოცდილი), (la) figar (ცეცხლი, კოცონი).

მურსიულ კილოკავებს (ალიკანტეს პროვინციის რაიონები, გრანადა, ალმერია, ხენი) მიეკუთვნება ისეთი ლექსიკური დიალექტები როგორებიცაა: minchar (ჭამა, კვება, სადილობა), alifafe (გადასაფარებელი), empella (ცხიმი, კარაქი), soca (ღერო), ყაყო (ბაბუა), გემეცარ (ქვითინი) ცჰურრელ (ბავშვი, ჩვილი).

და ბოლოს ესტრემადურის დიალექტიზმებს შორის (დიალექტი დამახასიათებელია კასერესის და ბადახოსის გარკვეული პროვინციებისთვის), შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მაგალითები: esmorecer (გაყინვა), ცონცალეცერ (ავად გახდომა), fechadura (საკეტი), piña (სიმინდის ტარო), zorondo (გვიანი, დაგვიანებული).

კანარიის კუნძულების ესპანურ ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიუხედავად ისეთი გამოჩენილი დიალექტოლოგებისა, როგორებიც არიან მანუელ ალვარო, დიეგო კატალანი, ალვარეს დელგადო და ა. შ. შრომებისა, ის არასაკმარისადაა შესწავლილი. ამდენად აზრი მისი სტატუსის შესახებ წინააღმდეგობრივია. ბევრ ლინგვისტს, ესპანური ენა კანარებზე დიალექტად მიაჩნია. აღონსო სამორა ვინსენტე თვლის, რომ ეს არის განსაკუთრებული „ტრანზიტული დიალექტი“ (DIALECTO DE TRANSITO), რომელიც სოციალური და გეოგრაფიული პირობების გავლენით ჩამოყალიბდა, რადგან კანარიის კუნძულები გარდამავალი პუნქტი იყო ესპანეთის, პორტუგალიასა და ამერიკას შორის, სხვადასხვა პირინეის ტერიტორიაზე დასახლებული წარმომადგენლებსა და მოსახლეობისთვის მოსასვენებელ პუნქტს წარმოადგენდა. კანარიის მოსახლეობას პორტუგალიის, გალისიის ენებთან ჰქონდათ ურთიერთობა, აგრეთვე ანდალუსიის, ლეონის და ლათინოამერიკის დიალექტებთანაც. დიეგო კატალანი კანარიულს ლათინოამერიკულ დიალექტან აახლოვებს. და ბოლოს, მიიჩნევენ, რომ კანარიის ესპანური, ესპანური ენის კანარიის ტერიტორიული ვარიანტია. რომ არ გავყვეთ თეორიულ მსჯელობას, განვიხილოთ ესპანური ენა კანარებზე, როგორც დიალექტი და აღვნიშნოთ მისი ზოგიერთი თავისებურებები. უპირველესად უნდა ითქვას, რომ კანარიის ლექსიკაში ძალიან ცოტა სიტყვებია შემორჩენილი კუნძულის ადგილობრივი მოსახლეობის გუანჩების ენიდან. ფიქრობენ, რომ სუბსტრაქტული წყაროდან გამომდინარეობს ისეთი სიტყვები როგორიცაა: gofio (მოსრაკული მარცვლის ფქვილი), gánigo (თიხის ქოთანი), baifo (ციკანი), mago

(გლეხი, უხეში სოფლის ფესხაცმელი), perinquén (ხვლიკის ნაირსახეობა), tabaiba (ბუჩქის ნაირსახეობა).

მეორე მხრივ კანარულ დიალექტში დამკვიდრდა პორტუგალურ - გალისიური მეტყველებიდან შემოცული მრავალი ლექსიკური ერთეული: millo (ციმინდი), ფერრუჯე (ჯანგი), ტარამელა (საკეტი), გილბარბერა (ეკლიანი ბუჩქი).

მესამე-კანარულ ესპანურში გვხვდება ლათინოამერიკული წარმოშობის სიტყვები: cucuyo (ციცინათელა), alegador (მოლაყბე), manchango (ხუმარა), cachetada (სილა შილის გაწნა), guagua (ავტობუსი), atorrarse (ხეტიალი, უსაქმურობა).

ბოლოს საინტერესოა აღინიშნოს, რომ კუნძულზე მცხოვრებთა ენაში ზოგიერთი პირინეული არქაიზმია შემორჩენილი: aguciar (წაქეზება), asmado (შეშინებული), besos (ტუჩები), gago (ყრუმუნჯი) და სხვ.

უკვე ვახსენეთ, რომ დიალექტი წარმოადგენს სოფლის კილოკავების მთლიანობას. ყოველ მათგანს თავისი სპეციფიკური გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები გააჩნია, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც დიალექტიკური ლოკალიზმები. ხ.კასარესი აანალიზებს რა გეოგრაფიულ პარტიკულარიზმს, შემოაქვს ტერმინი ლოკალიზმი და იგი ესმის როგორც ტერიტორიული და სოციალური ჯგუფის თავისებურება. ხ. კასარესი წერს, “ეს ტერმინი გამოიყენება სიტყვებთან, გავრცელებულს ისე როგორც საეკლესიო სამწყსოში, ასევე ტერიტორიებზე, რომლებიც მოიცავს ფართო რაიონებს, პროვინციებს და სახელმწიფოებს.” გ. ვ. სტეპანოვი, ამ ტერმინს ლიგვისტური ფაქტის აღსანიშნავად იყენებს, რომელიც ნებისმიერ სოციალურ დონეს ეკუთვნის და ასევე, ტერიტორიულ შეზღუდვას ესპანურენოვან ქვეყნებში (ესპანეთის ჩათვლით). ნებისმიერი სოციალური დონის გეოგრაფიულ ორიგინალურ ენობრივ მოვლენას, შეიძლება მივცეთ კლასიფიკაცია, როგორც შესაფერისი დონის ლოკალიზმი ან ლოკალიზმი ყველა დონისთვის.

არაგონულ ენაში ლოკალიზმებად ითვლება: cantalazo - (ქვის სროლა), tochaza - (ჯოხით დარტყმა)-ლანუსის რაიონი; tafalaz -(ყბედი), morgalaz (მძიმე საკვები, დაპრესილი მასა, მძიმე საჭმელი)-ენოს რაიონი; mojete- (სოუსის სახეობა), charreta- (თიხის დოქი ორი სახელურით) პანტიკოსის რაიონი; arbiello- (ძეხვის სახეობა) ხაკის რაიონი; vertubillo- (ჯაჭვი)- ტორლის რაიონი.

არქაიზმები

ყოველ მოცემულ მომენტში, ენა სტაბილურ სისტემას წარმოადგენს. ენა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალება, კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებს. ამავდროულად, მოცემულ მომენტში, იგი ევოლუციურ არადესტაბილიზირებულ განვითარებასა და ცვლილებებშია. ენა, ისე როგორც საზოგადოება, დროში არსებობს. სამყაროს შეცნობის ეტაპები და ცვლილებები, საზოგადოების და საკუთრივ ადამიანის განვითარება და მისი შემეცნებისა და აზროვნების უნარი, არ შეიძლება მასზე არ აისახოს. დიას, თვით ენის მატერიალური, ხმოვანი და ასოებრი ფორმები, ასევე იცვლება დროთა განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ენაში არსებობს რაღაც ნაწილი სიტყვებისა, სიტყვათშეთანხმებებისა და გრამატიკული ფორმებისა, რომლებიც სიახლით ან სიძველით ხასიათდება.

სიტყვებს და სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც კომუნიკაციის სფეროში აღიქმებიან მოძველებულად, არქაიზმები ეწოდება. არქაიზმები არაერთგვაროვნებია. სიტყვასა და მის მიერ დასახელებულ საგანს შორის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვეყნოთ ორი სახის მოძველებული სიტყვები.

1. იზოლირებული არქაიზმები - მათ ჩვეულებრივ ისტორიზმებს (historismos) უწოდებენ. ისინი აღნიშნავენ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც ისტორიული განვითარების პროცესში გაჰქრნენ საზოგადოების ცხოვრებიდან. შეინარჩუნეს ნომინაციური ფუნქცია, მაგრამ დაკარგეს ნომინაციის ობიექტები. არქაიზმებმა შინაარსი კი, ენის მატარებელთა ძირითადი მასის მიერ წიგნისმიერ მეტყველებაშია შემოსაზღვრული. ისინი ძირითადად შორეული და ახლო წარსულის აღწერის, ისტორიული რომანების, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო შრომებში გვხვდება. აი, მაგალითად, ჯერ კიდევ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკიპაჟთა დასახელებების ნუსხა: faeton, birlocho, lando, berlina, tartana, carretela, jardinera, galera. ამას დავამატოთ diligencia (დილიჯანი), pesetero (დაქირავებული ეკიპაჟი, მაშინდელი ტაქსი). ასევე საკმარისია, თანამედროვე მკითხველმა გადაშალოს პირველი თავი „დონ კისოტესი“ და მაშინვე შეხვდება ისეთ ისტორიზმებს როგორებიცაა: hidalgo (), adarga (ოვალური ტყავის ფარი).

ისტორიზმებს პრაქტიკულად, სემანტიკური სისტემური კავშირი აკლიათ. თანამედროვე ენაში არ გააჩნიათ სინონიმები.

2. სტილისტური არქაიზმები-ესენია მოძველებული სიტყვები ან სიტყვათა მნიშვნელობები, რომლებსაც თანამედროვე რეალობაში არსებულ ობიექტებსა და ცნებებს უწოდებენ. მათ მიერ გამოხატული მნიშვნელობები, შესაძლებელია გადმოცემული იყოს სხვა საყოველთაოდ ხმარებული სიტყვებითაც. ასე რომ, დასახელებული არქაიზმები, შესატყვის სინონიმთა რიგებს, განსაკუთრებულ ლექსიკური ერთეულების საფუძველზე კრავენ. რომელნიც ენის მატარებელთა მიერ ათვისებულია არათანამედროვედ და მოძველებულად. ამაში გამოიხატება მათი სტილისტიკური ელფერი, სადაც ძირითადი სტილისტიკური ფუნქციაა და არა ნომინაციური. ლაპარაკია შემდეგი ტიპის სიტყვებზე: aeroplano (აეროპლანი), aceto (ძმარი), cabeza (წიგნის თავი), bastimento (შენობა).

სტილისტურ არქაიზმებს, წიგნისმიერი სიტყვებიც უნდა მივაკთუენოდ. თითქოსდა სიძველის მტკვრით დაფერილი prez (დიდება, ღირსება), Corsel(საომარი ცხენი) და მსგავსი სიტყვები, რომლებიც XIX საუკუნის ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, სტილისტურად არიან ნიშანდებულნი. (წიგნში, მოყვანილია რუსული მაგალიათები).

არქაიზმების სემანტიკისა და ფორმების ურთიერთშეპირისპირებას, სამი სახის არქაიზებულ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებთან მივყავართ.

არქაიზმი სიტყვების (ჩვეულებრივ მათ ლექსიკურ არქაიზმებს უწოდებენ), ფორმაც და მნიშვნელობაც მოძველებულია. ყველა არქაიზმი - სიტყვები ისტორიზმებს მიეკუთვნებიან, თუმცა ყველა ისტორიზმი არ ითვლება ლექსიკურ არქაიზმად.

არქაიზმი მნიშვნელობა (ლექსიკოსემანტიკური არქაიზმები), ფორმით თანამედროვეა, მხოლოდ ამ ფორმათაგან ერთ-ერთი მოძველებულია. სხვანაირად, რომ ვთქვათ, საყოველთაოდ ხმარებული პოლისემანტიკური სიტყვების არქაიზებული მნიშვნელობაა. ლექსიკოსემანტიკურ არქაიზმებს შორის, შეიძლება იყოს ისტორიზმები tranvia (კონკა), diligencia (დილიჯანი), disciplina (როზგი), bala (ბირთვი, ტყვია), ასევე სტილისტური არქაიზმები - hotel (ცალკე მდგომი სახლის მნიშვნელობით), caber (გესმოდეს, იცოდე), calido (ეშმაკი).

არქაიზმი ფორმებისთვის (ლექსიკოსემანტიკური არქაიზმები), არქაული ფორმებია დამახასიათებელი, თუმცა, ასევე თანამედროვე მნიშვნელობასაც ინარჩუნებენ, მაგალითად: Fermoso-hermoso, fecho-hecho,ahirmar-afirmar, bue-buey,matrimonio-matrimonio,, agora- ahora, და სხვ. ზემოთ მოყვანილი ნიმუშები, ლექსიკური ერთეულების თავისებური ვარიანტებია.

არქაიზმი და თანამედროვე სიტყვა, მატერიალური გარსით, თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. ამ ჯგუფში სხვადასხვა ფუძიანი სიტყვებიც შედის, როგორებიცაა: Fenestar(Ventana), Guisa (voluntad, antojo), Guisamento (aderezo, disposicion de una cosa), maguer (a pesar), luene (lejos). მაგალითებიდან ჩანს, რომ არქაიზმები სხვადასხვა მიზეზით წარმოიქმნება, ისინი მაშინ ჩნდებიან, როცა ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები, ნივთები, მოვლენები და ა.შ. ხმარებიდან გამოდიან. აქედან გამომდინარე, ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ანუ ყოფითი ცხოვრების ცვლილებები, სუფთა ენობრივ ცვლილებასა და გადანაცვლებასთან არის შეპირობებული. ასე წარმოიშვება არქაიზმი, თუმცა სიტყვების მნიშვნელობისა და არქიზაციის მიზეზი, შეიძლება ენობრივი ფაქტორიც იყოს, მაგალითად, მნიშვნელობით მცვავეს სინონიმთა ურთიერთდაპირისპირება, სიტყვა acuesto- cicabo- დროთა განმავლობაში არქაიზმთა რიგეში გადაინაცვლა, მაშინ როცა, declive და cuesta თანამედროვე ენაში აქტიურ ლექსიკურ ერთეულებათ დარჩნენ. კონკურენცია acordanza- შეთანხმება, insula-კუნძული, სიტყვებისა - acuerdo, isla, comer, mendigar-ის სასარგებლოდ გადაწყდა.

მორფოლოგიურ და ფონეტიკურ პროცესებს გარკვეულწილად ლექსიკური ერთეულების არქაიზაციისკენ მივყავართ. მაგ: borrible, aborrio, calvecer, alimpiar, segurar, atristar, brigoso, ეს სიტყვები ,მორფოლოგიურად სხვაგვარად გაფორმებულმა ლექსიკურმა ერთეულებმა შეცვალეს, მაგ: aborresible, aborresimiento და, შესაბამისად არქაიზმთა რიგებში გადაინაცვლეს. ენის ფონეტიკურმა ევოლუციამ აღნიშნული ფორმები ასევე არქაიზმებად აქცია, მაგალითად, fermoso, agora.

გარკვეულ შემთხვევებში წარმოქმნილი ომონიმია, სტილისტური შეფერილობა და სხვა ენობრივი ფაქტორები ამცირებენ ამ სიტყვების გამოყენებას და ხელსუწყობენ მათ ხმარებიდან ამორებას.

ენაში მოძველებული სიტყვების არსებობა უდავოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ესპანური ენის ტერიტორიულ დიფერენციაციას, ბევრი არქაიზმი შედარებით მისაღებია. ესპანური ენის ერთ ან რამდენიმე ტერიტორიულ ვარიანტებში შეიძლება სიტყვა არქაიზმად მოგვევლინოს, ხოლო იგივე სიტყვა სხვა ტერიტორიულ ვარიანტებში არ მიეკუთვნებოდეს რქაიზმთა რიგებს. დიდი ხანია ლათინოამერიკულ ვარიანტებში აქტიურად გამოყენება სიტყვები, გამოთქმები და გრამატიკული ფორმები, რომლებიც პირინეულ ვარიანტებში არქაულად მიაჩნიათ (ამის საფუძველზე, ესპანოამერიკული ვარიანტების არქაულობის შესახებ, ხშირად მცდარი დასკვნებია გაკეთებული). მაგალითად, პირინეული არაქაიზმები: mercar-ვაჭრობა, can-ძაღლი, largo-გულუხვი, carcaj-პირინეულში istorizmi-„ისრების

ჩასადები ბუდე „და ლათინოამერიკულ ვარიანტში „იარაღის ჩასადები ბუდე“ - ლათინური ამერიკის უმეტეს ქვეყნებში, არქაული ელფერი არ აქვთ. კოლუმბიაში და ჩილეში ისეთი სიტყვები გამოიყენება, როგორცაა - escurana-სიბნელე, უკუნეთი,(გვ.84-85) რომლებიც ესპანეთში და ზოგიერთ ლათინოამერიკულ სახელმწიფოში მოძველებულად მიიჩნევა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ დიალექტებთან მიმართებაში, მაგ, რიგი არქაული სიტყვებისა, ლიტერატურული ნორმების თვალსაზრისით, სრულიად თანამედროვეა ურუგვაის სასოფლო-სამეურნეო დიალექტურ მეტყველებაში. მაგ, mesmo-mismo, bolsico-bolsillo. არქაიზმთა აღქმისათვის, საჭიროა სამი ათვლის წერტილი- დრო, სივრცე და სოციუმი. არქაიზმად ჩაითვლება, ის ლექსიკური ერთეული, რომელიც ყოფით მეტყველებაში მოძველებულია. ამავდროულად, დროის ერთიადიმავე მონაკვეთში, სხვადასხვა ტერიტორიულ ვარიანტებში, ერთიადიგივე სიტყვა შეიძლება მოგვევლინოს არქაიზმად ან საყოველთაოდ ხმარებულ ლექსიკურ ერთეულად. სიტყვები, არქაიზმებად აღიქმებიან ნაციონალურ ან ზოგადესპანური ლიტერატურის ნორმის ფონზე, რომელიც ერთია ყველა ესპანურენოვანი ქვეყნისათვის. ლექსიკური ერთეულების არქაული შეფერილობა ყველგან შენარჩუნებულია. “ეჭვგარეშეა, რომ „დონ კისოტეს“ რაინდის მეტყველებაში არქაიზმები, როგორებიცაა ცა, guisa, fazer. ლათინოამერიკელისათვის მოძველებული ფორმებია, იქნება ის კუბელი, მექსიკელი თუ დომინიკის მცხოვრები. ხოლო, სიტყვები lanza -შუბი, escudo-ფარი, გვ85. ერთნაირად აღიქმება როგორც ესპანეთში, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნებში“.

როგორც ვთქვით, ლექსიკური ერთეულები არქაულად აღიქმებიან, ზოგადესპანურ ან ნაციონალური ვარიანტების ლიტერატურულ ნორმათა ფონზე.

სრულიად ნათელია, რომ არქაიზმები ენის ლექსიკურ სიმდიდრეს წარმოადგენენ.მათი სტილისტური ფუნქციები ფართოა. მწერლები, არქაიზმების მეშვეობით გადმოგვცემენ წარსული ეპოქის კოლორიტს, ყოფას, ტრადიციას ,ზნეჩეულებებს, ქმნიან პერსონაჟთა მეტყველებით დახასიათებას. ოსტატურად ურთავენ რა თანამედროვე მსტერულ ლიტერატურულ ენაში არქაიზმებს, აღწევენ საჭირო ირონიულ, კომიკურ, და სატირულ ეფექტს. და ბოლოს, საზეიმო სიტყვის მაღალი „სტილი“, ხანდახან არქაიზმების გამოყენებასაც მოთხოვს.

თავი IV. ესპანური ლექსიკის შიდაენობრივი სემანტიკური ურთიერთდამოკიდებულება

§ 32. სინონიმია

თითოეული ენის ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში არის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ერთი და იგივე ენისგარეშე რეალურ ობიექტებსა და მოვლენებს, მაგრამ განსხვავდებიან აზრობრივი, შეფასებითი, ემოციონალუ-ფუნქციონალური ან რაიმე სხვა ელფერით. ეს სინონიმებია (sinónimos). ისინი მონაწილეობენ მდიდარი და მრავალფეროვანი ენის ლექსიკის შექმნაში, რომელის მეშვეობითაც ადამიანი გამოხატავს თავის აზრებსა და გრძნობებს, აფასებს და ახასიათებს სინამდვილის ფაქტებს და აძლს მათ ხატოვან, მხატვრულ ფორმას; ისინი ხელს უწყობენ ენისა და მეტყველების სტილის ფორმირებასა და ფუნქციონირებას და ლიტერატურული ჟანრის ენობრივ თავისებურებას.

ენაში სინონიმების ერთობლიობას სინონიმიკას (sinónimos, conjunto de sinónimos) უწოდებენ. ტერმინი სინონიმია (sinonimia) ლექსიკასთან მიმართებაში აღნიშნავს განსხვავებული, თავისი ლექსიკური მნიშვნელობით მსგავსი, სიტყვების ლექსიკო-სემანტიკურ დამოკიდებულებას მეტყველებაში და კონტექსტში სიტყვებს შორის აზრობრივი მსგავსების დადგენის პროცესს, სიტყვების ოკაზიონალური სინონიმური სიახლოვის ჩართვით.

სინონიმები მეტყველების ერთი ნაწილის სიტყვები ან მათი ეკვივალენტი ფრაზეოლოგიზმებია, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა ერთი და იგივე ცნებას გამოხატავენ, მაგრამ განსხვავდებიან აზრობრივი, სტილისტური ან სტილური ელფერით.

სხვა ტერმინოლოგიის გამოყენებით, შეიძლება ვთქვათ, რომ სინონიმები განსხვავდებიან კონოტაციებით, ანუ იმ თანმხლები სემანტიკური, ექსპრესიულ-ემოციონალური და ფუნქციონალური კონპონენტებით, რომლებიც ავსებენ სიტყვის ან ფრაზეოლოგიზმების ძირითად შინაარსს. აღსანიშნავია, რომ საუბარია კონტექსტის გარეთ, სიტყვისათვის დამახასიათებელ შიდა კონოტაციებზე და არა იმ მრავალფეროვან კონოტაციებზე, რომლებიც კონტექსტითაა ფორმირებული. მაგალითად, სიტყვები: cama, lecho, tálamo, litera, camastro, catre, yacija და სხვა გამოხატავენ ერთი და იგივე ცნებას – ავეჯის საგანი, რომელიც დამოიყენება ძილისათვის ანუ საწოლი, მაგრამ თითოეული მათგანი ასახელებს საწოლის სხვადასხვა სახეობას ან თავის ლექსიკურ მნიშვნელობაში შეიცავს რაიმე დამატებით აზრობრივ ან შეფასებით ელემენტს. ასევე ცნება გარდაცვალება აჯგუფებს სინონიმების მთელ სერიას: morir, expirar, finar, irse al otro barrio, pasar a mejor vida.

ჩამოთვლილი სინონიმებიდან თითოეულის ლექსიკურ მნიშვნელობას გააჩნია თავისებურებანი, თავისი შინაარსობრივი სპეციფიკა, მაგრამ ყველა იმ მნიშვნელობების სემანტიკურ ბირთვს ცნება “სიკვდილი, სიცოცხლის შეწყვეტა” წარმოადგენს.

ძნელი გასაგები არ არის, რომ სინონიმები ცალკე არ არსებობენ. ორი ან მეტი სინონიმი წარქმნიან ე.წ. სინონიმურ რიგს (სერიას, ჯგუფს), რომელშიც, როგორც წესი, ერთი სიტყვა წარმოადგენს დონინანტს. ასეთი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ჩვეულებრივ თითქმის ამოიწურება გამოხატული ცნებით, ის მოკლებულია ემოციონალურ-ექსპრესიულ შინაარსს და სტილისტური თვალსაზრისით წარმოადგენს ლიტერატურულ-ნორმატიულს. მაგალითად, სინონიმურ ჯგუფში *adorno*(მორთულობა), *atavío*, *decorado*, *decoración*, *ornato*, *ornamento* დომინანტის მოთხოვნას პასუხობს სიტყვა *adorno*, ხოლო რიგში *robar* (მოპარვა), *quitar*, *limpiar*, *saquear*, ასეთი სიტყვაა - *robar*.

მაგრამ საერთო-სახალხო ენის ყველა ცნების სიტყვები შედიან შესაბამის სინონიმურ რიგებში? საჭიროა თუ არა მათში დიალექტიზმების ჩართვა? მივაკუთვნოთ თუ არა არაგონული *bata* (უგუნური) *tonto* დომინანტიან სინონიმებს ან ლეონური *perinchar llenar*-ის ჯგუფს? ან როგორ მოვიქცეთ მრავალფეროვანი ჟარგონების შემთხვევაში, როგორცაა მაგ: ქურდული, რომელშიც ცნება “მოპარვა” შეიძლება გადმოცემული იყოს ლექსიკოლოგების მიერ რეგისტრირებული ოთხ ათეულზე მეტი ზმნით: *antuiar*, *lañar*, გვ.119.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არქაული ტიპის სიტყვები – *atristar* (დაღონება, დამწუხრება), *arronquecer* (ხროტინი), *buldevia* (შეურაცხყოფა), *armento* (ნახირი), *arrememorar* (გახსენება), მივაკუთვნოთ თუ არა ისინი თანამედროვე ენის სინონიმებს?

განსაკუთრებული პრობლემა წარმოიქმნა ესპანური ენის ნაციონალური ვარიანტების ლექსიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით არგენტინაში, კუბაში, მექსიკაში, ნიკარაგუაში, თვითონ ესპანეთში და აშ. ესპანურ სიტყვებთან (მაგ: *bolacear* – ცრუობა, მოტყუება, *pava* – ჩაიდან, *colectivo* - ავტობუსი ან *friega* –სისულელე).

არგენტინაში არის საკუთარი არგენტინული სინონიმები, ხოლო მეზობელ ურუგვაიში – საკუთარი. როგორც ვიცით, ესპანურზე საუბრობენ ორ ათეულზე მეტ დამოუკიდებელ ქვეყანაში და თითოეულში ესპანური ენა წარმოადგენს ოფიციალურ ენას, რომელიც ემსახურება ერს. ამასთან ერთად მისი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ის ფაქტიურად ასრულებს ერთა შორის ურთიერთობის ენის ფუნქციას. მას თითქოსდა გააჩნია არსებობის სამი ძირითადი ფორმა:

1. ეროვნული (ვარიანტული), რომელშიც რეალიზდება ენობრივი ფონდის კონკრეტული ნაციონალური ვარიანტი, ყველა მისი ენობრივი თავისებურებებით; 2. ზოგადესპანური, ანუ საერთაშორისო (ვარიანტაშორისი), რომელიც უზრუნველყოფს

ურთიერთობებს ნებისმიერ ტერიტორიაზე მცხოვრებ ესპანურ ენაზე მოსაუბრეთა შორის და ინარჩუნებს ესპანური ენის ერთობას, როგორც ურთიერთობის საშუალებას ყველა რეგიონში; 3. გლობალური, რომელიც წარმოადგენს ესპანური ენის ყველა ნაციონალური და ტერიტორიული ვარიანტებისა და მთელი მათი სახესხვაობების ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შერწყმას.

სინონიმური რიგის სიდიდე ენის ჭრილთან მის მკაცრ დამოკიდებულებაში განიხილება. თუ სინონიმური რიგები გამოიყოფა ენის არსებობის თანამედროვე ზოგადესპანური ფორმის დონეზე, მაშინ ლოგიკური იქნება სინონიმურ რიგებში ჩაერთოს ვარიანტული, დიალექტური და ქარგონული სინონიმები, მათში არ შევა მხოლოდ ხმარებიდან ამოღებული არქაიზმები. მაგრამ ასეთი რიგების ფორმირება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამასთან პრაქტიკულად მიუღებელი იქნება ესპანურ ენაზე მრავალი მოსაუბრისათვის, რომელიც წარმოადგენს ესპანური ენის მატარებლებს მის კონკრეტულ ნაციონალური ვარიანტში. ამიტომ სინონიმური რიგის სიდიდეზე უფრო მიზანშეწონილია ვისაუბროთ ესპანური ენის ამა თუ იმ ნაციონალური ვარიანტის ფარგლებში, რომელშიც ეგზოტიზმის უფლებით შეიძლება მოხვდეს სხვა ნაციონალური ვარიანტების ესა თუ ის სინონიმი. მაგრამ, ამ დონეზეც ლექსიკოგრაფებს ჩვეულებრივ ლექსიკონებში არ შეაქვთ დიალექტური, ვიწროპროფესიონალური და მარგინალური ქარგონული სიტყვები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ესპანური სინონიმური საშუალებების ის ფორნდი, რომელიც შეადგენს ე.წ. ზოგადენობრივ ფორმას. ის ლიტერატურულ ნორმაზე ფართოა. ზოგადენობრივ ნორმაში შედის არა მარტო ლიტერატურული ენის სიტყვები, არამედ უფრო დიდი მოცულობის ლექსიკური სფეროს მეტ-ნაკლებად გამოყენებული სიტყვებიც. ლექსიკურ დონეზე ზოგადენობრივი ნორმის გარეთ რჩება მასისთვის გაუგებარი დიალექტიზმები, სპეციფიური პროფესიონალიზმები, ვიწრო სფეროს ფარგლებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები, ახალგაზრდული და ზოგიერთი სხვა სოციალური ქარგონები, “საიდუმლო” ენის ლექსიკა, ხმარებიდან ამოღებული არქაიზმები და სხვადასხვა ოკაზიონალიზმები.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ თუ სიტყვა წარმოადგენს სინონიმური რიგის ელემენტს, მისი ინდივიდუალური ლექსიკო-სემანტიკური მდგომარეობა ამავე რიგის სხვა დანარჩენი წევრებისათვის მნიშვნელოვანია (ყოველ შემთხვევაში, ახლო მდგომარეობისათვის). ეს იმას ნიშნავს, რომ ენის ისტორიული განვითარებისათვის სინონიმური რიგის დომინანტი შეიძლება შეიცვალოს და ესპანური ენის ნაციონალურ ვარიანტებში ერთი და იგივე რიგის დომინანტებს სხვადასხვა სახის მნიშვნელობა მიენიჭოთ. სიტყვის შემდეგ

წვილებში პირველი წევრს წარმოადგენს ამერიკანიზმი: *jalar –tirar, montar –subir, agarrar – cogear, tomar – cogear, exigir – pedir, botar – echar.*

სხვადასხვა მიზეზების გამო ზოგადესპანური სტანდარტის ამერიკულ ვარიანტებში სინონიმის დომინანტებმა (საყრდენი სინონიმები) გადაინაცვლეს პერიფერიაზე და ადგილი დაუთმეს უფრო აქტიურ სიტყვებს. ამერიკანიზაცია წარმოიქმნა შესაბამისად არა მარტო პერიფერიულ სიტყვებში, რომლებიც ამერიკული ვარიანტებისათვისაა დასაყრდენი (მაგ: *agarrar*, რომელმაც არგენტინულსა და ურუგვაულში გამოდევნა *coger, montar*-მა ვენესუელურში გამოდევნა *subir* და სხვ.), არამედ ის შეეხო შესაბამის კორელანტებსაც, რომლებიც დომინანტური სიტყვებიდან პერიფერიულებად გადაიქცნენ.

ენაში სინონიმების გაჩენა თითქოს ადამიანთა შორის ურთიერთობას და მათ მიერ სინამდვილის შექმენების მოთხოვნილობებშია დაპროგრამებული. ენაში დაფიქსირებულია ადამიანის შეგნებული, რაციონალური და ემოციონალური მოქმედება. აზროვნება ვლინდება მოვლენების მკაფიო დეტალიზაციაში, მათი თვისებებისა და თავისებურებების დაზუსტებაში, აზროვნება იჭერს ნიუანსებს ქცევაში, ცხოვრების ნირში, ცოცხალი არსებების გარეგნობაში, ადამიანის განცდებში და ა.შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ენაშიც აისახება, მათ შორის სინონიმებშიც.

აბსტრაქტული ცნება, რომელიც ფორმირებულია არსებითი სახელების, საგნებისა და მოვლენების მეტად ზოგადი თვისებების საფუძველზე უკავშირდება შეფასებით, ემოციონალურ, ექსპრესიულ ხასიათს. ლექსიკური მნიშვნელობის ცნების ბირთვი თითქოს “იფარება” დამატებითი ელფერით, აძლიერებს თავის მნიშვნელობას და დეტალიზებული ნიშან-თვისებების ხარჯზე ხდება უფრო კონკრეტული. მაგალითად, *mujer* (ცოლი) ყველაზე ნეიტრალური სიტყვაა “გათხოვილი ქალის” ცნების გამოსახატავად. ეს არ არის დატვირთული დამატებითი კონოტაციებით. მისი სინონიმის *esposa* (მეუღლე)-ს ლექსიკური მნიშვნელობა გამოხატავს იგივე ცნებას, მაგრამ რაღაც ოფიციალურობისა და სერიოზულობის ელფერით. სიტყვა *la cónyuge*-ს ოფიციალურ-იურიდიული მარკირება აქვს, ხოლო სინონიმს *cotilla*-ს ხუმრობის ემოციონალური ელფერი, ფრაზეოლოგიზმ *media naranja*-ს ირონიური და ა.შ. სხვა ტიპის ელფერი აქვს სიტყვა *lluvia* (წვიმა)-ს სინონიმებს, რომლებიც დიფერენცირებულია წვიმის ხანგრძლივობისა და ინტენსიურობის მიხედვით: *llovizna* – მცირე წვიმა, ჟინკვლა; *chipichipi* – ესეც მცირე წვიმაა, მაგრამ თვითონ სიტყვა ლათინო ამერიკულ სასაუბრო ენას ეკუთვნის; *matapolvo* – მცირე, ხანმოკლე წვიმა; *mollizna* – მცირე, ნელი წვიმა; *chaparrón* – კოკისპირული, მაგრამ ხანმოკლე წვიმა; *chaparrado* – მნიშვნელობით ემთხვევა *chaparrón*-ს, მაგრამ თვითონ სიტყვა იშვიათად გამოიყენება; *aguacero* – თავსხმა, მაგრამ ხანმოკლე; *aguarrada*-ს გააჩნია იგივე მნიშვნელობა,

მაგრამ უფრო ხშირად გამოიყენება პალენსიაში; deluvio – უძლიერესი წვიმა, რომელზეც ამბობენ, რომ არის ნამდვილი წარღვნა და ა.შ.

რადგან სიტყვა პოლისემანტიკურია, სინონიმური კავშირების დადგენა ხდება სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობათაგან. ამგვარად, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული შეიძლება შევიდეს სხვადასხვა სინონიმურ რიგში. ზედსართავი სახელი libre “თავისუფლების უფლების მქონე” მნიშვნელობით სინონიმია independiente, emancipado-სი; “გათავისუფლებული, რაღაცისაგან თავდაღწეულის” მნიშვნელობით აღმოჩნდება ერთ რიგში rescatado, librado, liberado, franco-სთან; “თავაშეებული, თავაწყვეტილი, თვითნება”-ს მნიშვნელობით სინონიმია desenfrenado, licencioso, atrevido; მნიშვნელობით “დაუკავებელი (რაღაცით)” იქნება ერთ ჯგუფში desembarazado, suelto, desocupado-სთან. Precioso მნიშვნელობით “წინებული, არაჩვეულებრივი” მიეკუთვნება excelente, primoroso, estimable; მნიშვნელობით “ძვირფასი, უძვირფასესი” კი – hermoso, bello, encantador-ს. არსებითი სახელი regla, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობას გადმოსცემს, მიეკუთვნება ისეთ სინონიმურ რიგს, როგორცაა: pauta, modelo, patrón, norma, razón, medida. გვ. 122.

საინტერესოა არსებობს თუ არა ენაში აბსოლუტური სინონიმები, ანუ ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ქვეყნობით განსხვავდებიან, ხოლო სხვა მხრივ – სემანტიკურად, სტილისტიკურად, გრამატიკულად მსგავსნი არიან. ასეთი სიტყვები, შესაძლოა გვხდება, მაგრამ ისინი გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, რადგან თავად ენობრივი სისტემა ისწრაფის იქითკენ, რომ სინონიმები არსებობდნენ, როგორც თვისებებით, ხასიათით, ელფერით განსხვავებული სიტყვები. თუ ენაში ჩნდება აბსოლუტური სინონიმები, მაშინ შეიძლება სპონტანურად შეიქმნას იმის ტენდენცია, რომ მოხდეს მათი შემდგომი დიფერენციაცია. ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ მაგალითად, austral და meridional აბსოლუტური სინონიმებია. თუმცა, მათ გააჩნიათ საკუთარი სემანტიკური ელფერი: Meridional გამოხატავს ცნებას სამხრეთული, იგივე მნიშვნელობისაა austral, მაგრამ იმ გაგებით, რომ ეკუთვნის სამხრეთ ნახევარსფეროს. სწორედ ეს ზედსართავი შედის ტერმინოლოგიურ შეთანხმებაში hemisferio austral, polo austral, aurora austral, pez austral, რომლებშიც მისი შეცვლა meridional-ით არაკორექტული იქნებოდა.

სინონიმების კლასიფიკაცია. სინონიმები არაერთგვაროვანია. ჩვეულებრივ მათ ეყოფენ ორ ნაწილად: იდეოგრაფიული (ცნებითი, სემანტიკური) სინონიმები და სტილისტიკური. პირველი მათგანი ზოგჯერ იყოფა: 1. საკუთრივ ცნებითად (იდეოგრაფიულ), რომლებიც განსხვავდებიან აზობრივი ელფერით და 2. სტილურად, რომლებიც განსხვავდებიან თავისი ემოციონალურ-ექსპრესიული ნიშან-თვისებების საფუძველზე. ვ.ი. კოდუხოვთან არსებობს სხვა მსგავსი დაყოფები: 1. ცნებითი სინონიმები;

2. სტილური ანუ ფუნქციონალური, რომელთაც მიეკუთვნება პოეტიზმები, სასაუბრო სიტყვები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ბარბარიზმები; 3. ემოციონალურ-შეფასებითი. ა.ა. ბრაგინასთან გვხვდება ორი დაჯგუფება: სტილურ-ექსტენსიური და სტილისტიკურ-ინტენსიური და ა.შ.

მაგრამ ზემოთაღნიშნული დაყოფები გარკვეულ წილად ბუნდოვანია. იდეოგრაფიულ და სტილისტიკურ სინონიმებს შორის ზღვარის გავლება პრაქტიკულად შეუძლებელია. სინონიმების უმრავლესობა ემსახურება სტილისტიკურ და აზრობრივ (დამაზუსტებელი ელფერის) მიზნებს და ხშირად ორივე ფუნქციას ერთდროულად ასრულებს.

უფრო მიზანშეწონილია სინონიმების დაყოფა მეტყველებაში მათი ფუნქციის გათვალისწინების მიხედვით. პირველ რიგში აღნიშვნა იმ ორი ძირითადი ფუნქციისა, რომლებიც შეადგენენ სინონიმების ლექსიკო-სემანტიკურ სპეციალიზაციას. საუბარია დამაზუსტებელ და სტილისტიკურ ფუნქციებზე. მათგან პირველი დაკავშირებულია ამა თუ იმ ცნების იერთან (ელფერთან), ხოლო მეორე – ემოციონალურ-ექსპრესიულ ელფერთან. ამასთან, სინონიმის ორივე ფუნქციის რეალიზება მეტყველებაში შეიძლება ერთდროულად ხდებოდეს. სინონიმების დანარჩენი ფუნქციები, რომლებიც ამ ორი ძირითადის წარმოებულებს წარმოადგენენ, მათ შორის შემცველის ფუნქციაა, რომლის არსი იმაშია, რომ სინონიმების საშუალებით მოკლე კონტექსტში თავიდან აცილებულია გამეორებები.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ სინონიმებს შორის არსებული შინაარსობრივი და ინფორმაციული განსხვავებები:

1. სინონიმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აზრობრივი ელფერით, ცნების რაიმე ნიშნის დეტალიზაციით. მაგალითად, *enseñanza* აღნიშნავს სწავლებას მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით, ხოლო *instrucción* – სწავლებას ნებისმიერი მეთოდით; *Mentira* – წმინდა წყლის ტყუილი, *embuste* – წინასწარგანზრახული ტყუილი; *Pared* – ჩვეულებრივი კედელი, *tabique* – ტიხარის ტიპის კედელი, *muro* – კაპიტალური კედელი, *muralla* – ქალაქის ან ციხის გალავანი, *tapia* – ქვის კედელი. ამ უკანასკნელი რიგის სინონიმები მიუთითებენ ერთნაირი ტიპის ობიექტებზე, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მასალით, დანიშნულებით ან სიმკვრივით. ტრანსპორტის საშუალებების სპეციალიზაციისას განსხვავებას აფიქსირებენ სინონიმები: *coche* (მსუბუქი ავტომობილი) – *camión* (სატვირთო) – *taxi* (ტაქსი) – *autobús* (ავტობუსი). ამგვარად, სინონიმების მადიფერენცირებელი აზრობრივი ელფერები უადრესად მრავალფეროვანია.

2. სინონიმების მნიშვნელობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ხარისხით, ზომით ან ნიშან-თვისების გამოვლენის ინტენსივობით. ზედსართავი სახელები: *grande*,

enorme, grandioso, colosal, gigantesco მიუთითებენ რაიმეს განსხვავებულ ზომებზე. ნომინანტ grande-სთან შედარებით სხვა ზედსართავი სახელები თითქოსდა აძლიერებენ ზომის, მოცულობის, ხარისხის მაჩვენებელს, მიუთითებენ ზომის, მოცულობის, სიდიდის გაზრდის სხვადასხვა დონეზე. ხმის ან ხმაურის ძალის სიძლიერის ხასიათი მოცემულია სინონიმებში: alto, retumbante, ensordecedor, atronador, tronador. არსებითი სახელები: miedo, espanto, temor, pavor, terror აღნიშნავენ საშიშროების წინაშე სხვადასხვა ძალის სულიერი დეღვის, წუხილის, მღევლარების, შიშის გრძნობებს.

3. სინონიმები განსხვავდებიან სუბიექტური შეფასების ხასიათითა და ხარისხით, რომელიც გადმოსცემს მოსაუბრის დამოკიდებულებას აზრის ობიექტთან. ემოციონალურ-ექსპრესიული შეფასების სინონიმები ძალიან ხშირია ფამილიარულ, სასაუბრო და ყოფით მეტყველებაში. სინონიმურ რიგში: comer, zampar, jamar, tragar, devorar, engullir. ზმნების უმრავლესობაში გადმოცემულია კვების პროცესის ემოციონალურ-ექსპრესიული ხასიათი, ისინი განსხვავდებიან სტილისტიკური მარკირებითაც (კვება, ჭამა, ჩახეთქვა, შესანსვლა, ილუკმება, შთანთქმა და სხვ.) ადამიანის იერსახის ნეიტრალური, სახუმარო, ირონიული, უხეში, უგულვებელმყოფელი, ზემადალი ხასიათის მდიდარი გამაა გადმოცემული სინონიმებში: cara, rostro, haz, faz, fisionomía, jeta, jeme, palmito.

4. სინონიმები შეიძლება არ თანხვდებოდნენ ერთმანეთს თავისი სტილისტიკური ფარდობითობით. ისინი შეიძლება იყვნენ წიგნის, სალაპარაკო-ყოფითი, სასაუბრო, ოფიციალური, საქმიანი და ა.შ. სიტყვები. აგრეთვე, დიალექტიზმები და ჟარგონები, რომლებიც ენის საყოველთაო ნორმებს არ ეწინააღმდეგება. ზემოთ მოყვანილი კვების პროცესისა და იერსახის სინონიმები სტილისტურ მიმართებაში ყველა მარკირებული. მაგ: სიტყვა faz – წიგნიერი, სადღესასწაულო, პოეტურია; უგულვებელმყოფელი hocico და morro, ისევე როგორც ირონიული frontispicio ეკუთვნის სალაპარაკო-ყოფით მეტყველებას, ხოლო უხეში jeta - სასაუბროს (კილოზე). პროფესიულ სფეროსთან არის დაკავშირებული incisión (ჭრილი) და suberoso (კორპის, საცობისმაგვარი), რომლებიც წარმოადგენენ cortadura და corchoso-ს სინონიმებს. ჟარგონულ ელფერს იძენს არსებითი სახელი escandalo (სკანდალი) ისეთ სინონიმებში, როგორებიცაა: bululú, cantao, cacao, barrila. ესპანელებისათვის ცნობილია, რომ სიტყვა omnibus (autobús-ის სინონიმი) დამახასიათებელია ესპანური ენის ზოგიერთი ვარიანტისათვის, ხოლო მისი სინონიმი colectivo – რიო დე პლატისათვის. ასევე ცნობილია, რომ არაგონში მაგალითად, შეუძლიათ თქვან churdón framluesa-ს ნაცვლად, ხოლო პალენსიაში როგორც უკვე ითქვა, aguarrada ნაცვლად aguacero-სი.

5. დროებითი ფაქტორის ზემოქმედებით ზოგჯერ სიტყვების მნიშვნელობებში ჩნდება თავისებური სემანტიკური კონპონენტი. სინონიმებს შორის შეიძლება იყოს ნეოლოგიზმები

და ჯერ კიდევ მოქმედი არქაული სიტყვები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი სტილისტური ელფერი, რაც მათ სხვა სინონიმებისაგან განასხვავებს. სინონიმურ წყობაში: portero, guardameta, arquero გამოჩნდა ნეოლოგიზმი cancerbero (ცერბერიდან, მცველი). მეორე სემანტიკური ნეოლოგიზმი ariete (ტარანი) გახდა delantero centro-ს სინონიმი. უმთავრესად წიგნიერ მეტყველებაში და პირველ რიგში მხატვრულ ლიტერატურაში თავის ფუნქციას ასრულებენ სინონიმი-არქაიზმები: aglayo (გამოსატავს იგივე ცნებას, რასაც pasmo, asombro).

როგორია ესპანური სინონიმის ენობრივი წყაროები? ისინი მეტად მრავალფეროვანია. განვიხილოთ მათგან ძირითადები.

ესპანური სინონიმის ენობრივი წყაროები. ესპანური სინონიმების უმრავლესობა იქმნებოდა ენაში არსებული სიტყვაწარმოქმნელი მოდელებით. ასეთი სიტყვების ფუძეებად იღებდნენ ესპანურს, ლათინურს, ზოგჯერ უცხოენოვან სიტყვებსაც. მაგ: მნიშვნელობით ახლოსმდგომი სინონიმები: comenzar, empezar, iniciar, principiar ენაში წარმოიქმნენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წყაროებიდან. ე. კორომინასის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მონაცემებით, ზმნა comenzar –“დაწყება” მნიშვნელობით წარმოიქმნა XIII საუკუნეში ვულგარული ლათინური cominitiare-დან (ლათ. cum + initiare), ხოლო მისი სინონიმი empezar დაფიქსირებულია XI საუკუნის ძეგლებში და წარმოქმნილია ესპანურდან en + pieza. Principiar, რომელიც წარმოქმნილია ლათინური principium-იდან, პირველად რეგისტრირებულია XVI საუკუნის ძეგლში. და ბოლოს, ზმნა iniciar, რომელიც შესულია “Diccionario de autoridades”-ის (1734 წ.) მეოთხე ტომში, მომდინარეობს ლათინური initiare-დან.

თანდთან ყალიბდებოდა სინონიმური წყობა: combste, batalla, acción, refriega, escaramuza. ამასთან, არსებითი სახელი combate ლათინური წარმოშობისაა, batalla მომდინარეობს გალორომანული წყაროებიდან, acción – ლათინურიდან, refriega – საკუთრივ ესპანური წარმოშობისა, სიტყვა escaramuza წარმოიშვა იტალიური scaramuzza-დან, ხოლო pelea წარმოიშვა პორტუგალიურ-ესპანურ ნიადაგზე.

თავის დროზე უღმანი წერდა, რომ ინგლისურ ენაში სინონიმები წარმოიშვებიან, როგორც ორსართულიანი და სამსართულიანი წარმონაქმნები. პირველ შემთხვევაში ეს არის სინონიმების წყვილი წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირებული პრინციპით “ანგლო-საქსონური წარმომავლობა – ლათინური (ან რომელიმე სხვა) წარმომავლობა”. მაგალითად: learned.

მეორე შემთხვევაში საუბარია სამმაგ შკალაზე: ანგლო-საქსონური წარმომავლობა-ფრანგული-ლათინური ან ბერძნული. მაგალითად: end – finish – conclude.

მსგავსი პარალელები შეიძლება გავავლოთ ესპანურ ენაშიც იმ განსხვავებით, რომ ლათინურის “დასწრება” უსათუოდ გაცილებით მასიურია, ხოლო ეტიმოლოგიური შეპირისპირებები – უფრო მრავალფეროვანი.

პირველ რიგში, აუცილებელია აღინიშნოს ლათინური წარმოშობის ეტიმოლოგიური დუბლეტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ესპანური ენის სინონიმური ფონდის შექმნაში. ლათინურიდან დამკვიდრებულ სიტყვებს, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ესპანურ ენას უწოდებენ ესპანიზმებს, მათ შეიძლება დაუპირისპიროთ ლათინიზმები ანუ ის სიტყვები, რომლებიც უფრო გვიან ეტაპზე შევიდნენ ესპანურ ენის შემადგენლობაში. ასეთ შემთხვევებში ულმანის ინგლისური ენისათვის გამოყვანილი ორწევრიანი ფორმულა მეორდება ესპანურშიც. ამას ადასტურებენ შემდეგი მაგალითები: ესპ. atestiguar – ლათ. testificar (“დამოწმება“-ს მნიშვნელობით), ესპ. entero – ლათ. integro (მთელი, მთლიანი), ესპ. contar – ლათ. computar (თვლა), ესპ. hondo – ლათ. profundo (ღრმა), ესპ. isla – ლათ. insula (კუნძული), ესპ. hastio - ლათ. fastidio (ზიზღი), ესპ. lidiar – ლათ. litigar (დავა, სასამართლოში ჩივილი), ესპ. masear – ლათ. masticar (ღეჭვა), ესპ. obrero – ლათ. operario (მუშა) და სხვ.

ორწევრიანი მოდელი შეიძლება იყოს არა მარტო “ესპანური სიტყვა – ლათინური სიტყვა” ტიპის, არამედ “ესპანური – უცხოენოვანიც” და “ლათინური-უცხოენოვანიც”, ხოლო სამწევრიანი ფორმულა იძენს ორ ძირითად ვარიანტს: ლათ. combate (ჩხუბი) - ესპ. refriega- იტ. escaramuza; ლათ. deseo – ესპ. gana – იტ. capricho.

ამასთან, არიან მრავალწევრიანი სინონიმური რიგები, რომლებშიც ხდება კომბინაციების გამეორება და ვარირება.

სინონიმის მნიშვნელოვანმატერიალურ წყაროს მორფოლოგიური სიტყვაწარმოქმნები წარმოადგენენ. სინონიმები შეიძლება შეიქმნას საერთო ძირისა და სხვადასხვა აფიქსების საფუძველზე: liberar – librar – libertar – reavivir; avaro – avariento.

მეტად ხშირია სინონიმების წარმოქმნა სხვადასხვა ძირიდან (ფუძეებიდან), მაგრამ საერთო პრეფიქსებით ან აფიქსებით: aleccionar, amaestrar, adoctrinar, descortés, desatento, descontento, recolección, recaudación, recogimiento და სხვ.

სინონიმის მდიდარ წყაროს სიტყვის ისეთი თვისება წარმოადგენს, როგორცაა პოლისემანტურობა. ის წინასწარ განსაზღვრავს სიტყვაში უკვე არსებულის საფუძველზე ლექსიკური მნიშვნელობის წარმოქმნის შესაძლებლობას. ეს ხდება მაშინ, როცა სიტყვას იყენებენ გადატანითი მნიშვნელობით ან როცა ის ასრულებს მეტაფორის, მეტონიმის ან სინეკდოქეს ფუნქციებს. თანდათან გადატანითი მნიშვნელობის გამოყენების საფუძველზე გამომუშავდება წარმოებული ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება იყოს სხვა

სიტყვების სინონიმური. მაგ: მეტაფორული ტროპის საფუძველზე ზედსართავ სახელს verde (მწვანე) გამოუმუშავდა წარმოებული მნიშვნელობა “გამოუცდელი, მკვასე” და verde გახდა inexperto-სა და inmaduro-ს სინონიმური. Moler-ს (დაფქვა) გაუჩნდა ზმნების fatigar, cansar, fastidiar (დაღლა, დაქანცვა, მობეზრება) სინონიმური მნიშვნელობა, ხოლო molienda (ნაფქვაკვი, დაფქვილი) ნიშნავს აგრეთვე molestia-ს, incomodidad-ს (მოუსვენრობა, უხერხულობა); León (ლომი) გამოიყენება tenorio, divo-ს (ქალთა გულის მპყრობელი, იღბლიანი კაცი) მნიშვნელობაშიც. მსგავსი მაგალითები ბევრია. ამგვარი გზით, მეტონომიკური გადატანებისა და სინეკდოქების საფუძველზე, იქმნებოდა ლექსიკური მნიშვნელობები, რომლებიც ამდიდრებენ ენის სინონიმობას.

სოციალური ქარგონები და დიალექტები აგრეთვე წარმოადგენენ სინონიმური რიგების გამდიდრების წყაროს. ლეონური brizar დაემატა სინონიმებს acunar, cunear-ს (დარწვევა, დანანაევა); ანდალუზიიდან მოვიდა სიტყვა chungა და გახდა burla-ს (ხუმრობა, თამაში, გართობა) სინონიმი; ქარგონული წარმოშობისაა parne მნიშვნელობით dinero (ფული) და cantar (მღერის) confesar-ის (გამოტყევა, აღიარება) სინონიმით და ა.შ.

გარკვეულწილად ზოგიერთი თანამედროვე უცხო ენიდან ნასესხები სიტყვებიც ზრდიან სინონიმურ ჯგუფებს: boicot, turismo, volibol, sándwich, ზოგიერთი ისთი სიტყვების სინონიმი გახდაგახდა: embargo, viaje, coche, balovolea, bocadillo.

ამგვარად, პრაქტიკულად ყველა სიტყვაწარმომქმნელი საშუალება და წყარო მონაწილეობს ესპანური ენის სინონიმური სიმდიდრის შექმნაში.

§ 33 ომონიმია

ომონიმია (homonimia) ეწოდება მნიშვნელობით განსხვავებულ, მაგრამ ბგერით ერთნაირ სიტყვებს შორის კატეგორიალურ ლექსიკო-სემანტიკურ დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, ომონიმები (homónimos) წარმოადგენენ ორ ან ორზე მეტ სიტყვას, რომელნიც ერთნაირად წარმოითქმიან ე.ი. ბგერით ერთნაირნი არიან, მაგრამ მნიშვნელობებით და წარმომავლობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, vela (იალქანი, აფრა) – vela (სანთელი), real (რეალური) – real (სამეფო, მეფური), pujar (ბიძგება) – pujar (ფასების გადიდება, აწვევა), hondear (ზონდირება, სიდრმის გაზომვა) – ondear (ტალღებით გადაფარება, რწვევა, ლივლივი), bastar (საკმარისი) – vastar (ნგრევა, განადგურება) და სხვ. სინონიმებისაგან განსხვავებით, ონომიმების გაჩენა ენაში გარკვეულწილად შემთხვევითია. მაგრამ ამ შემთხვევითობაშიც ვლინდება გარკვეული ენობრივი კანონზომიერებანი, რომლებშიც დაკავშირებულია სიტყვაწარმოებასთან,

პოლისემიასთან, სიტყვების სტრუქტურულ ტიპებთან. ბგერით განსხვავებული სიტყვები წარმოიქმნება ენის განუწყვეტელი ევოლუციისა და ლექსიკის, გრამატიკის, ფონეტიკის ისტორიული განვითარების კანონების ზემოქმედების შედეგად. ამიტომ არის ასეთი მატერიალურად თანხვედრი, ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვრული, მაგრამ ამ შესაძლებლობის რეალიზება ენის უფლებებშია. ამა თუ იმ ენის მკვიდრი ენაში დანერგილი ონომიმების ფორმალურ და შინაარსობრივ თავისებურებებს იყენებს განსაზღვრული საკომუნიკაციო მიზნით იმ სტაბილური სამეტყველო ფუნქციების შესაბამისად, რომლითაც აღჭურვილია აღნიშნული სიტყვების ლექსიკო-სემანტიკური ჯგუფები.

ომონიმია არაერთგვაროვანი მოვლენაა, რადგან: 1. სიტყვის ბგერები და წერილობითი გამოსახულება შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს; 2. ერთნაირი ბგერის სიტყვები შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს; 3. ბგერითი თანხვედრა შეიძლება ეხებოდეს დაპირისპირებული სიტყვების მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ფორმას და არა მთელ სიტყვაფორმას. ომონიმების განსაზღვრისას სირთულეები იქმნება პოლისემიის ზეგავლენით, როცა ერთ ბგერით გარსში მოქცეულია ერთი და იგივე სიტყვის ორი ან მეტი მნიშვნელობა.

ამასთან დაკავშირებით ენათმეცნიერებაში ლექსიკური ომონიმის მოვლენები დიფერენცირებულია. ჩვეულებრივ გამოყოფენ ომონიმების რამდენიმე სახეობას: საკუთრივ ომონიმები (უმჯობესია: აბსოლუტური ომონიმები), ომოგრაფები, ომოფონები და ომოფორმები. არსებობს სხვაგვარი დაყოფაც: სრული და ნაწილობრივი ომონიმები (რომელსაც მიეკუთვნება ბოლო სამი სახეობა).

აბსოლუტური ომონიმები განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვის წყვილებია, რომლებიც მიეკუთვნებიან მეტყველების ერთი და იგივე ნაწილს და თანხვედრიან ერთმანეთს ბგერითი და წერილობითი გამოხატულების ყველა თავის ფორმაში. მაგალითად:

- banda (ორდენის ბაფთა, აშურმა) – banda (ბანდა, სასულე ორკესტრი);
- asolar (დაშრობა, ნათესების განადგურება) – asolar (გაჩანაგება, ნგრევა);
- adagio (ანდაზა, სენტენცია) – adagio (ადაჟიო);
- celar (დაცვა, დაკვირვება) – celar (შენახვა, დამალვა);
- dama (დამა, მანდილოსანი) – dama (ფურ-ირემი);
- delfín (დელფინი) – delfín (ტახტის მემკვიდრე);
- golfo (ყურე) – golfo (ავარა, უპატრონო, მიუსაფარი);
- era (კალო) – era (ერა);

raza (რასა, ტომი) – raza (ბზარი, ნახვრეტი);

hoz (ნამგალი) - hoz (ვიწრობი, ვიწრო ადგილი);

copia (ასლი) – copia (უხვი, სიუხვე);

ratear (მოპარვა, პროპორციულად გაყოფა) – ratear (მუცელზე ხოხვა);

atracar (მიდგომა, მიმაგრება) – atracar (ჭმევა გასკლომამდე);

haz (ძნა, სახე) – haz (ჯარების წყობა) და ა.შ.

ომოფონები (homófonos) ეწოდება მნიშვნელობით განსხვავებულ და ერთი და იგივე მეტყველების ნაწილს მიკუთვნებულ ბგერით მსგავსი და წერილობით განსხვავებული სიტყვების წყვილებს. აქედან გამომდინარე, ომოფონებში წარმოიქმნება ურთიერთწინააღმდეგობა სიტყვის მატერიალურ ფორმებს შორის: შესადარებელ ერთეულს მსგავსი წერითი და განსხვავებული ასოებრივი შედგენილობა აქვთ, რაც ჩვეულებრივ განპირობებულია მორფოლოგიური თავისებურებებით. მსგავსი ომონიმური ფორმები ესპანურში ბევრია. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი, რომელშიც ომოფონები წერილობით განსხვავდებიან:

B და V ასოებით, რომლებიც გამოსცემენ ერთნაირ ბგერებს: basto (უხეში) – vasto (ფართო, გაშლილი), barón (ბარონი) – varón (მამაკაცი), botar (ტეორცნა, გადაგდება) – votar (ხმის მიცემა), grabar (გრავირება, ფირზე ჩაწერა) – gravar (დატვირთვა, დამძიმება), abalar (გაგდება) – avalar (გარანტიის მიცემა, თავდებობის მიცემა), beneficio (მადლი, წყალობა, შემოსავალი) – veneficio (გათვალვა, წახდენა) და ა.შ.

G და J ასოებით, რომლებიც აღნიშნავენ მსგავს ბგერებს, როცა g დგას e და i-ს წინ: gira (გამგზავრება) – jira (ნაკუწი, ნაგლეჯი), gema (ძვირფასი ქვა) – jema (ნუერი, როკი), ginetá (ძუძუმწოვრის სახეობა) – jineta (ცხენოსნობა) და ა.შ.

ასო H-ს არსებობა ან უქონლობა. ასო H თანამედროვე ესპანურ ენაში პრაქტიკულად “ცარიელი” გახდა, რადგან არ აღნიშნავს ბგერას: hatajo (ნახირი) – atajo (კვანძი), herrar (დაჭედვა, ნალის დაკვრა, შემოჭედვა) – errar (შეცდომა, შეცდენა), huso (თითისტარი) – uso (გამოყენება), hamo (ანკესი, ნემსკავი) – amo (პატრონი, მეთაური), hojear (გადაფურცვლა) – ojeear (შეხედვა, ფრინველების მომწვედვა) და ა.შ.

ესპანური ენის ზოგიერთ ნაციონალურ ვარიანტებში, რომლებიც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული, ომოფონები წარმოიქმნება ერთი ბგერითი შესატყვისობის გამო:

LL და y ასოებთან: rayar (ხაზვა) – rallar (საფხეკელაზე ჭრა, მობეზრება), rallo (საფხეკელა, ჭოპოსანი (ჩარხის ნაწილი)) – rayo (სხივი, ელვა), valla (ღობე, გალავანი, შემოღობილი) – vaya – (დაცინვა), callada (სიჩუმე, სიწყნარე) – cayada (კვერთხი)

S და x ასოებთან (თანხმოვნების წინ): expirar (დამთავრება, დაცლა, გამოდინება) – espirar (ამოსუნთქვა, სუნთქვა), expiar (მონანიება, გამოსყიდვა, დანაშაულის გამოსწორება) – espiar (მიკვლევა, ჯაშუშობა);

Z და c ასოებთან (e და i-ის წინ) და s –თან, რომლებიც ლათინური ამერიკის თანამედროვე ენაში და ზოგიერთ ესპანურ დიალექტში წარმოიქმნება იდენტურად: cocer (ხარშვა) – coser (კერვა), abrazar (მოხვევნა, გადახვევნა) – abrasar (გამოწვა), cazar (ნადირობა) – casar (დაქორწინება, გათხოვება), cima (მწვერვალი, კენწერო) – sima (უფსკრული, ნაპრაღი), caza (ნადირობა) – casa (სახლი) და ა.შ.

ესპანურ სიტყვებს, რომლებიც მსგავსნი არიან ასოთა შედგენილობით, მაგრამ აქვთ აქცენტოლოგიური წესებიდან გადახრილი სხვადასხვა მახვილი სიტყვაზე, გააჩნიათ ნიშანი *acento*. ამგვარად, სხვადასხვა მახვილის მქონე მსგავსასოებიანი ესპანურ სიტყვები მკაცრი კლასიფიკაციური მიდგომის შემთხვევაში, აღარ მიეკუთვნებიან ომონიმებს, რადგან მათ გააჩნიათ სხვადასხვა გამოთქმა და სხვადასხვა წერილობითი გამოხატულება (ერთ სიტყვას გააჩნია აცენტო, მეორეს – არა). აზრთაგანმასხვავებელი, ურთიერთდაპირისპირებული მახვილები მსგავსს სიტყვებს უცვლიან არა მარტო აქცენტოლოგიურ ქდერადობას, არამედ გარკვეულწილად სახეს უცვლიან ზოგიერთი ფონემის გამოთქმას იმის გათვალისწინებით, თუ რა ადგილი უკავია მას მახვილიან მარცვალთან მიმართებაში. ამიტომ წყვილები: *baja* (დაკლება) – *bajá* (ფაშა), *baya* (კენკრა) – *baya* (ხის სახეობა), *sabana* (სავანა) – *sábana* (ზეწარი), *arteria* (არტერია) – *artería* (ეშმაკობა, ცბიერება, მზაკვრობა), *valido* (პატივცემული) – *válido* (კანონიერი), *revolver* (გადაბრუნება) – *revólver* (რევოლვერ) და სხვ. – არ განიხილება, როგორც ომონიმები.

ესპანურ ენაში ფართოდაა გავრცელებული ომოფორმები (*homóformas*), ანუ განსხვავებული სიტყვები, რომელთა ზოგიერთი ფორმა ბგერითაც და წერილობითაც თანხვედრა ერთმანეთს. ომოფორმებად შეიძლება იქცნენ მეტყველების განსხვავებულ ნაწილებს მიკუთვნებული ლექსიკური ერთეულები. მაგ: ზედსართავი სახელი *anular*-ის (წრიული) მხ. რიცხვის ფორმა თანხვედრა ზმნა *anular*-ის (გაუქმება) ინფინიტივს, *haz*-ის (*hacer*-იდან) ბრძანებითი ფორმა ომონიმურია არს. სახელების - *haz*-ის (ძნა), *haz* (სახე), *haz* (ჯარების წყობა)-ის მხ. რიცხვისა, ხოლო *vino*-ს (*venir*-იდან) მხ. რიცხვის III პირის ფორმა იგივეა, რაც არსებითი სახელი *vino*-სი და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომოფორმები

აერთიანებენ ორი სიტყვის ერთ ან მეტ ფორმას და არა ყველა სიტყვაფორმას, როგორც ეს ხდება აბსოლუტურ ომონიმებში ან ომოფონებში.

ომოფორმების მეორე განმასხვავებელი ნიშანი მათი გრამატიკული და გრაფიკული არაერთგვაროვნებაა. ომოფორმული წყვილები შეილება იყვნენ მეტყველების განსხვავებული ნაწილების გრამატიკული ფორმები და ბგერითი მსგავსებებისას, განსხვავდებოდნენ წერილობით. ალბათ, უფრო მართებული იქნება, წერილობით მსგავსს ომოფორმებს, აუცილებლობის შემთხვევაში, ვუწოდოთ ომოგრაფული ომოფორმები: llama (III პირი, მხ.რიცხვი, llamar) – llama (ლამა, ფურ-ირემი), hecho (hacer-ის მიმღეობა) – hecho (ფაქტი), ხოლო წერილობით განსხვავებულებს ომოფონების ომოფორმები: hablando (hablar-ის გერუნდივი) – ablando (I პირი, მხ. რიცხვი, ablandar), vaya (ir-ის ფორმა subjuntivo-ში) – baya (კენკრა), hecho (ფაქტი) – echo (echar, I პირი, მხ. რიცხვი).

და ბოლოს, ზოგიერთ ომოფორმებში შეინიშნება კიდევ ერთი თავისებურება: სემანტიკური სიახლოვე გრამატიკული კატეგორიალურობის განსხვავებისას. ასეთი წყვილები აუცილებლად წარმოადგენენ მეტყველების განსხვავებულ ნაწილებს. მაგალითად, grito (მე ვყვირი) და grito (ყვირილი). მსგავსი ფორმების სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობები, მიუხედავად მათი სემანტიკური სიახლოვისა, განსხვავებულია, რადგან მათში ასახულია სინამდვილის სხვადასხვა მონაკვეთები და განსხვავებული შინაარსობრივი კატეგორიები. სიტყვაში, ლექსიკური ყოველთვის დაკავშირებულია მის კატეგორიალურ არსთან.

ომოფორმებს შორის გამოიყოფა ომონიმურის თანაფარდი განსაზღვრული მორფოლოგიური სახეობები. შევეცდებით, მათგან ძირითადის ჩამოთვლას, იმის გათვალისწინებით, რომ “ზმნის ფორმა + არსებითი სახელის ფორმა” – ტიპის ომოფორმებში მხედველობაში არ მიიღება არსებითი სახელის წინ გამოყენებული არტიკლი, რომელიც დაპირისპირებულია ლექსიკო-ენობრივ ფორმაში, მაგრამ არა მეტყველებაში:

1. ზმნა I პირის მხ. რიცხვში მამრობითი სქესის არსებითი სახელი

(presente de indicativo)

Estudio (მე ვსწავლობ)	estudio (სწავლება)
Desarrollo (მე ვანვითარებ)	desarrollo (განვითარება)
Robo (მე ვიპარავ)	robo (ქურდობა)
Comienzo (მე ვიწყებ)	comienzo (დასაწყისი)
Desayuno (მე ვსაუზმობ)	desayuno (საუზმე)

2. ზმნის III პირი, მრ. რიცხვი მდებარეობითი სქესის არსებითი სახელი
(Presente de indicativo)

Caza (ის ნადირობს)	caza (ნადირობა)
Habla (ის ლაპარაკობს)	habla (მეტყველება)
Honra (ის პატივსცემს)	honra (პატიოსნება)
Cena (ის ვახშობს)	cena (ვახშობა)

3. ზმნის I და III პირი, მს. რიცხვი არსებითი სახელი
(presente de subjuntivo) ჩვეულებრივ მამრობით სქესის

Alcance (მე მივაღწევდი, ის მიაღწევდა)	alcance (მიღწევა)
Toque (მე შევეხებოდი, ის შეეხებოდა)	toque (შეხება)
Coste (მე ველირებოდი, ის ელირებოდა)	coste (ღირებულება)
Roce (მე მივეკარებოდი, ის მიეკარებოდა)	roce (ხახუნი)

4. მიმღეობა, მს. რიცხვი მამრობითი სქესის არსებითი სახელი

ამ შემთხვევაში მხოლოდობით და მრავლობითი რიცხვის ფორმები თანხვედრიან ერთმანეთს.

Hecho(s) (გაკეთებული,-ები)	hecho (s) (ფატი, ფაქტები)
Dicho (ნათქვამი)	dicho (მეტყველება, თქმულება)
Escrito (დაწერილი)	escrito (დოკუმენტი, ქაღალდი)
Enunciado (გამოცხადებული)	enunciado (უწყება, ცნობება)

5. ზმნის დროის ერთ-ერთი ფორმა არსებითი სახელი (ძირითადად მამრ. სქესის, იშვიათად მდებარეობითი სქესის)

Recibí (მივიღე, I პირი, pretérito indefinido)	recibi (ქვითარი)
Pagaré (გადავიხდი, I პირი, futuro imperfecto)	pagare (ხელწერილი)

ომონიმური შეიძლება იყოს მიმღეობისა და ზედსართავი სახელის ფორმები. ამ შემთხვევაში სქესისა და რიცხვის ყველა ფორმა ერთმანეთს ემთხვევა.

6. მიმღეობა ზედსართავი სახელი

Aprovechado,a,os,as (გამოყენებული,-ები)	aprovechado (მოხერხებული, მარჯვე,-ები)
Cortado (მოჭრილი)	cortado (თანაზომიერი, ლაპიდარული)
Picado (დაკეპილი, დაპობილი)	picado (მრისხანე, ბრაზიანი)
Parado (დატოვებული, დარჩენილი)	parado (ზარმაცი, დონდლო, უმუშევარი)

ომონიმის შემთხვევაში არსებითი და ზედსართავი სახელების ყველა ფორმა ერთმანეთს ემთხვევა (განსაკუთრებით, თუ ორივე არსებითი სახელი ბოლოვდება თანხმოვანზე) ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

7. არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი
Coral (მარჯანი)	coral (გუნდური)
General (გენერალი)	general (საერთო)
Capital (კაპიტალი)	capital (მთავარი)
Vaco (ხარი)	vaco (ვაკანტური)

ცალკე უნდა აღინიშნოს, თავისებური კონვერსიული ომოფორმები, რომლებიც წარმოიშვა უაფიქსო სიტყვაწარმოქმნისას, ანუ მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლისას. მაგალითად:

8. ინფინიტივი	მამრობითი სქესის არსებითი სახელი
Querer (სურვილი, წადილი)	querer (სიყვარული)
Vestir (ჩაცმა)	vestir (ტანსაცმელი, ჩაცმის მანერა)
Ser (ყოფნა, არსებობა)	ser (ყოფიერება, არსებობა, არსება)

ომოფორმებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე განსხვავებული მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელები, რომლებიც განსხვავდებიან გრამატიკული სქესით (და მხოლოდ არტიკლებთან გამოყენებისას), ზოგიერთი ნაცვალსახელი და ზედსართავი სახელი. საუბარია შემდეგი ტიპის სიტყვებზე:

9. მამრობითი სქესის არს. სახელი	მდედრობითი სქესის არს. სახელი
(el) pez (თევზი)	(la) pez (ფისი)
(el) colera (ქოლერა)	(la) colera (რისხვა)
(el) cura (მღვდელი)	(la) cura (მკურნალობა)
(el) frente (ფრონტი)	(la) frente (შუბლი)
(el) moral (თუთის ხე)	(la) moral (მორალი)

რასაკვირველია, ენაში გვხვდება ომოფორმების სხვა სახეებიც, რომლებიც არ წამოქმნიან მეტ-ნაკლები რეგულარობით განმეორებულ მორფოლოგიურ პარალელებს. ენაში დასაშვებია სრულიად მოულოდნელი დამთხვევები სიტყვის ფორმასა და ქლერადობაში. ყურადღებას გაგამახვილებთ ერთ ძალიან თავისებულ ომოფორმულ ტიპზე, რომელსაც ლექსიკო-სემანტიკურიც შეიძლება ვუწოდოთ. იგი წარმოიქმნება, როცა გარკვეული შინაგანი ფორმის მქონე რთული სიტყვა წარმოადგენს თანაბარი ქლერადობის სიტყვაშეთანხმებას, რომელიც შედგება სიტყვის ფუძის მსგავსი კონპონენტებისაგან. ესპანურ ენაში ასეთი სიტყვა ბევრია. ჩვეულებრივ ისინი წარმოიქმნება პროლექტული მოდელით “III პირი, მხ. რიცხვის ზმნა presente de indicativo-ში + არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში”, ხოლო მთელი სიტყვა, როგორც წესი, ასახელებს მოქმედ პირს ან ინსტრუმენტს, შრომის იარაღს. საუბარია ისეთი ტიპის სახელებზე, როგორიცაა: *limpiadientes* (კბილის ჯაგრისი), *limpiabotas* (ჩექმების მწმენდელი), *espantapájaros* (საფრთხობელა) და ა.შ. ადგილი შესამჩნევია, რომ ყოველი ამ სიტყვათაგანი ომონიმურია თავისუფალ სიტყვაშეთანხმებასთან: *limpia diantes* - ის იხეხავს კბილებს, *limpia botas* - ის წმენდს ჩექმებს, *espanta pájaros* - ის აფრთხობს ჩიტებს. ენაში გვხვდება უფრო რთული ლექსიკო-სემანტიკური ომოფორმებც. მაგალითად, *correvidile* (ჭორიკანა) ქლერადობით მსგავსია შეთანხმებისა *corre, ve y dile* - გაიქეცი, ნახე და უთხარი მას ან *hazmerreír* (მასხარა), რომელიც შეესაბამება *hazme reír*-ს (მაიძულე გავიცინო) და სხვ. ამავე სახისაა ომონიმური წყვილები, წარმოქმნილი ზმნიზედის (ან რომელი სხვა მეტყველების ნაწილის) მყარი კონსტრუქციებითა და ცალკეული სიტყვებით: *a plomo* (შვეულად, ვერტიკალურად) – *aplomo* (თავდაჭრილობა, სიმტკიცე), *a hito* (მყარად, მტკიცედ) – *ahito* (მოყირჭებული, *a bordo* (ბორტზე) – *abordo* (აბორდაჟი) და ა.შ.

ომონიმების წარმოშობის წყაროები. განხილული მასალა საფუძვლეს გააძლევს გამოვეყნოთ არანაკლებ ოთხი ძირითადი წყარო. მათგან პირველი დაკავშირებულია იმ ფონეტიკურ ცვლილებებთან, რომელიც ნებისმიერ ენაში გვხვდება, მათი ისტორიული განვითარების პროცესში.

ფონეტიკური პერიპეტიების შედეგად ზოგიერთი ესპანური სიტყვა (რომლებიც წარმოქმნილია განსვავებული ლათინური ერთეულებიდან) გახდა ომონიმი. მაგ: ზმნა *celar* (თვალყურის დევნება, გუშავობა) წარმოიქმნა *celare*-დან, ხოლო მისი ომონიმი *celar* (ჭრალითონზე, ხეზე ან ძვალზე) – *caelare*-დან; არსებითი სახელი *puñal* (ხანჯალი) მომდინარეობს *pugnare*-დან, ხოლო *puñal* (შტანდარტი) – *pugna*-დან და ა.შ.

XVI საუკუნეში ესპანეთის ტერიტორიის დიდ ნაწილში დაიკარგა ურთიერთდაპირისპირება კბილბაგისმიერ ფრიკატიულ [v]-სა და ბილაბიალურ სონანტ [β]-ს

შორის, შესაბამისად, v და b ასოებმა დაიწვეს ერთი ფონემის ბილაბიალური სონანტი β-ს ორი ელფერით, ხშულით და ნაპრალოვანით, გადმოცემა. გამოთქმის მსგავსმა გათანაბრებამ წარმოქმნა მრავალი ისეთი ომოფონები, როგორიცაა: basto – vasto, grabar – gravar და ა.შ.

IX-X საუკუნეებში ესპანურ ენაში ფარინგალური სპირანტის [h] დაკარგვამ განაპირობა huso-uso, hatajo-atajo და ა.შ. ომოფონების წარმოქმნა.

ესპანური ენის ლათინოამერიკულ ვარიანტებში ენისწინა აპიკალური [θ]-ს ჩამოშორებამ და მისმა შეცვლამ ენისწინა კაკუმინალური [s]-თი, წარმოქმნა ისეთი ომოფონები, როგორიცაა: caza-casa, abrazar- abrasar და ა.შ.

ომონიმების წარმოქმნის მეორე წყარო ესპანურ ენის მორფოლოგიური და სიტყვაწარმომქმნელი კანონზომიერებების განვითარებაში მდგომარეობს. მაგ: ნაზმნარი სახელების წარმოქმნის წესებმა გამოიწვია ომონიმური ფორმების ისეთი დიდი ჯგუფების წარმოშობა, როგორიცაა: apoyo (მე მხარს ვუჭერ) – apoyo (მხარდაჭერა), descanso (მე ვისვენებ) – descanso (დასვენება). მსგავსი ომონიმია წარმოიქმნა სახელზმნის ფორმებსა და შესაბამის არსებით სახელებს შორის: baraja (ბანქოს დასტა) – baraja (ის ურევს ბანქოს), reuda (ბორბალი)- rueda (ის ატრიალებს) და ა.შ. ზედსართავი სახელების –ar სუფიქსისა და ინფინიტივის –ar დაბოლოების ომონიმამ განაპირობა შემდეგი ტიპის ომოფორმების წარმოქმნა: tallar (გამოქანდაკება, გამოკვეთა) და tallar (გაჩეხისათვის, გაკაფვისათვის ვარგისი), titular (ტიტულით მიმართვა) და titular (ტიტულოვანი) და ა.შ.

პრინციპში ორივე შემთავლიანი წყარო უპირველესად დაკავშირებულია ენის ფონეტიკურ მხარესთან. სხვაგვარია ომონიმების წარმოქმნის მე-3 ფორმა, რომელიც მიეკუთვნება პოლისემიის დაყოფის სემანტიკურ პროცესებს.

ენის ისტორიული განვითარების პროცესში ერთი და იგივე სიტყვის მნიშვნელობამ შეიძლება დაკარგოს სემანტიკური ურთიერთკავშირი და წარმოქმნას ორი ომონიმური სიტყვა, რომლებიც მიუხედავად განსხვავებული მნიშვნელობისა და ზოგჯერ განსხვავებული გრამატიკული ხასიათისა, ინარჩუნებს ერთიან ბგერით ფორმას. მაგალითად, ომონიმები: raza (რასა, ტომი) და raza (ბზარი, ნაპრალი), რომლებიც მომდინარეობენ ერთიან radia ეტიმონიდან (ლათ. radius-იდან); ომონიმი colonia (კოლონია, დასახლება) და colonia (ვიწრო აბრეშუმის ღენტი) ლათ. colonia-დან აგრეთვე წარმოიქმნენ პოლისემიის დაყოფის შედეგად. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ომონიმები tocar (ხელით შეხება, მიკარება) და tocar (თმის დავარცხნა, გასწორება) წარსულში ერთ სიტყვას წარმოადგენდნენ, რომლის ძირიც toc ონომატოპოეტური წარმოშობისაა.

ომონიმის წარმოქმნას განაპირობებს სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის არქაიზაცია, რომელიც წარმოადგენს მეტაფორულ ფუძეს ამავეს სიტყვის მეორე მნიშვნელობისათვის. მაგალითად, თანამედროვე ენაში ზმნების *cohechar* (მტვრის დაყენება ხვნა-თესვის წინ) და *cohechar* (მოსყიდვა, ქრთამის მიცემა) არსი ომონიმია. შეიძლება ისინი ამჟამად არ იქნებოდნენ, რომ არ მოძველებულიყო *cohechar*-ის შუალედური მნიშვნელობა “იძულება, დაძალაობა”, რომელმაც წარმოქმნა “მოსყიდვა”. საერთოდ, პოლისემიისა და ომონიმის გამიჯვნა ზოგჯერ დიდი სირთულეს წარმოადგენს.

ომონიმების წარმოქმნის მეოთხე ძირითად წყაროს უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვები წარმოადგენს. სხვა ენებიდან ნასესხებმა სიტყვებმა ფონეტიკური ადაპტაციის შედეგად წარმოქმნეს ომონიმური წყვილები: *banda* (ლენტი, კორომინასის მიხედვით – ძველი ფრანგული *bande*-დან) და *banda* (ბრბო, გუნდი, ბანდა – გოთური *bandwo*-დან), *borde* (კიდე, ნაწიბური – ფრანგული *bord*-იდან) და *borde* (ველური საძირე, ტყეურა – კატალანური *bord*-იდან, მომდინარეობს გვიანლათინური *burdus*-იდან), *rato* (მომენტი, წამი, შესაძლოა ლათინური *raptus*-იდან) და *rato* (თაგვი, ძველი გერმანული *ratta*-დან) და ა.შ.

§ 34 პარონიმია

ტერმინი პარონიმი (*paronimo*) გვხვდება XIX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ლექსიკონებში, თუმცა ჯერ კიდევ არისტოტელე პარონიმს უწოდებდა ნებისმიერ წარმოებულ სიტყვას. მხოლოდ ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო პარონიმის (*paronimia*), როგორც ლექსიკოლოგიური პრობლემის შესწავლა. ლინგვისტურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში პარონიმს ხშირად უწოდებენ სიტყვას, რომელიც ახლოსმდგომია მეორე სიტყვასთან (ბერძ. *para* და *onyma*) თავისი გარეგანი ფორმით; ასეთებია მაგალითად, იტ. *traduttore, traditore*”. თუმცა ეს განსაზღვრება ძალიან ზოგადია და არ შეიძლება ჩაითვალოს ზუსტად, რადგან ამ განსაზღვრებას მიესადაგება ნებისმიერი ფონეტიკურად (ორთოგრაფიულად) მსგავსი სიტყვები: *astronomía – gastronomía, llano – grano, mesa – pesa, trabajar – rebajar*. და საერთოდ, ნებისმიერი სიტყვის წყვილები, რომლებიც გაერთიანებულია რითმით, შეიძლება სეესაბამებოდეს ზემოთაღნიშნულ დეფინიციას. პარონიმების არსის გამოსარკვევად მხოლოდ ფორმალური მიდგომა არ არის საკმარისი.

პარონიმები ისეთი სიტყვებია, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული მსგავსება წარმოშობაში, ფორმა ან ურერადობაში, მაგალითად: *ingente – indigente, recavar – recabar*.

ფონეტიკური მსგავსება ეფუძნება ხმოვანი ფორნემებისა და თანხმოვნების აღრევას:

o-u: *acosar – acusar*;

e-i: *cardenal – cardinal, crear – criar*;

t-d: tenso-denso;

a-ua: gradación – graduación;

t-tr: atacar-atracar.

პარონიმის ფენომენი უხვად გვხვდება ზმნებში, რაც სუფიქსური წყვილის **-ar, -ear** დამსახურებაა: saltar – saltar, sacar – saquear, pasar – pasear.

ტრადიციულად პარონიმები იყოფა ომონიმებზე (homónimos), ომოფონებსა (homófonos) და ომოგრაფებზე (homógrafos).

ომონიმები არის სიტყვები, რომელთაც ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორია გააჩნიათ, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი არიან, მაგალითად: vela (de luz) – vela (del barco); tocar (hacer sonar un instrumento musical) y tocar (aderezar el cabello).

ომონიმის ფენომენი გავლენას ახდენს ლექსიკის სხვადასხვა ჯგუფზე, მაგალითად: el bacilo და vacilo (ზმნის vacilar I პირის ფორმა).

ფონეტიკური დამთხვევით არის გამოწვეული ომოფონური სიტყვები:

x-s: expiar – espiar, expirar – espirar;

y -ll: rayar – rallar;

b-v: cabo – cavo, grabar – gravar;

c-s: cauce – cause, meses – meces.

სიტყვები, რომელთაც განსხვავებული სტრუქტურა გააჩნიათ, დამწერლობა კი ერთნაირი ომოგრაფები (homógrafos (ბერძ. homos – მსგავსი, grafo – დამწერლობა)) ეწოდებათ, მაგალითად: calle (Mi casa está en la calle nueva) და calle (ზმნიდან callar); la llama (სანთლის ალი), llama (აზნიდან llamar).

პარონიმების საფუძვლიან შესწავლაში პრიორიტეტი რუს ლინგვისტებს ეკუთვნით. ისინი პარონიმას განიხილავენ, როგორც შუალედურ ლექსიკურ კატეგორიას, სინონიმასა და ომონიმას სორის. თუკი ომონიმები ბგერით ერთნაირი და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, ხოლო სინონიმები – ბგერით განსხვავებული, და მნიშვნელობის მსგავსი, მაშინ პარონიმებს უკავიათ მათო შორის შუალედური მდგომარეობა. მათ მიდრეკილება აქვთ ომონიმისაკენ და სინონიმისაკენ ერთდროულად. თუმცა ეს სწრაფვა სრულად არ რეალიზდება. ის ატარებს ტენდენციურ სახეს. პარონიმები არ თანხვდებიან ერთმანეთს უღერადობითა და წერილობით, ისევე, როგორც ომონიმები, ხოლო შინაარსობრივად ზოგჯერ შეიძლება მიაღწიონ სინონიმურობის დონესაც კი. პარონიმები ჩვეულებრივ წარმოადგენენ შემდეგ წყვილებს: barbar (წვერის ზრდა) – barbear (გაპარსვა წვერის, უღვაშის), alocución (მოკლე სიტყვა, მიმართვა) – elocución (მანერა, გამოთქმის საშუალება, მეტყველების, საუბრის სტილი), agravar (მდგომარეობის, სიტუაციის

გამწვავება; დანაშაულის დამძიმება, გაძლიერება) – agraviar (წყენინება, შეურაცხყოფის მიყენება, რაღაცის გამწვავება), afcción (აღელვება, , განცდა), afectación (აფექტაცია, არაბუნებრიობა), პეტროლ ფერო (ნავთობმატარებელი) – პეტროლერო (ნავთობის, ნავთობისგან მიღებული), circunvalar (გარშემორტყმა, გარემოცვა) – circunvolar (შემოფრენა, ფრენით შემოსვლა).

მაგრამ პარონიმებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფუნქციონალური თვისება: სასაუბრო მეტყველებაში მათი ერთმანეთში შერევის შესაძლებლობა. ეს შეიძლება წარმოიქმნას მოსაუბრის გაუნათლებლობით ან განზრახ, კალამბურის მიზნით. პარონიმების შერევას მიყვავართ ლიტერატურული ნორმების დარღვევამდე. არასაკმარისად განათლებულ ესპანელს შეუძლია თქვას apertura de la exposición (გამოფენის გახსნა) -ის ნაცვლად – abertura de de la exposición (გამოფენის გაკეთა), რადგან პარონიმები apertura და abertura მიახლოებულია ერთმანეთთან არა მარტო თავისი ურერადობით, არამედ თავის ერთ-ერთი მნიშვნელობითაც (abertura del testamento - ანდერძის გახსნა). პარონიმული შეცდომა იქნება აგრეთვე uzular la tela-ს გამოყენება azular la tela-ს მაგივრად (azular – გაცისფრება, გაღურჯება, azular – გალილავება). ასეთი სიტყვებს **იზონიმები** ეწოდებათ. **იზონიმები** არის სიტყვები, რომელთაც საერთო ფუძე გააჩნიათ, თუმცა მათ სტრუქტურამ ფონეტიკური ცვლილებები განიცადა: delgado – delicado, abertura – apertura, legal – leal, integro – entero, ancora – ancla, opera – obra.

ამგვარად, ანალიზს ექვემდებარება არა მარტო თვითონ თანაუდერადობის ფაქტი, არამედ ”შერევის მოვლენაც, როგორც პარონიმული წყვილების ობიექტური ნიშან-თვისება... პარონიმია, როგორც განსაკუთრებული ენობრივი მოვლენა თავის დასაბუთებას ნახულობს არა სიტყვაფორმების ნაწილობრივი დამთხვევის თვითონ ფაქტში, არამედ იმაში, რომ ეს დამთხვევა ენის მატარებლის მიერ აღიქმება, როგორც სიტყვაფორმების სემანტიკური სიახლოვის მტკიცებულება”. პარონიმული შეცდომები გამოწვეულია ორი ასოციაციური რიგის-ბგერითის და შინაარსობრივის გადაჯვარედინებით. ამიტომ პარონიმული დეფინიციები უნდა გამოსახავდეს ფორმალურ (ფონეტიკურ და მორფოლოგიურ) კრიტერიუმებს და შინაარსობრივ (სემანტიკურ) ნიშან-თვისებებს.

ამგვარად, პარონიმები – მეტყველების ერთი და იგივე ნაწილს მიკუთვნებული სიტყვათა წყვილებია, რომლებიც მსგავსია ურერადობითა და მორფემული შემადგენლობით და მიახლოებულია ლექსიკო-სემანტიკურად.

პარონიმების უმრავლესობაში შეინიშნება ეტიმოლოგიური ერთიანობა ანუ ნათესაობა სიტყვაწარმოებაში. ესპანური პარონიმების გამოკველვა დაკავშირებულია ლექსიკური ერიმოლოგიური დუპლეტების პრობლემასთან. ცნობილია, რომ დუპლეტების

წარმოქმნა განპირობებულია ლექსიკური ნასესხები სიტყვების ისტორიასთან. ესპანურ ენაში სიტყვა-დუპლეტების მდიდარი წყაროა ლათინური ენა. სიტყვების სესხება ხდებოდა ესპანური ენის ფორმირების სხვადასხვა ისტორიული განვითარების პერიოდში, რამაც განაპირობა ჟერადობით მსგავსი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა, რომლებიც მომდინარეობენ ერთი სიტყვა-წყაროდან. უფრო დაწვრილებით ცნობები დუპლეტების შესახებ, რომლებიც ავსებენ სინონიმურ რიგებს გადმოცემულია §32 –ში. მოცემულ განაკვეთში კი აუცილებელია აღინიშნოს ის ზოგიერთი პარონიმები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეტიმოლოგიურ დუპლეტებს, ააჩნიათ მსგავსი ნიშნელობები და განსხვავდებიან სტილისტური მარკირებითა და ექსპრესიული ელფერით. მაგალითად: *llaga* (წყლული, იარა) – *plaga* (ავადმყოფობა, უბედურება, ჭირი), *llagar* (დაჭრა, ჭრილობის გამოწვევა) – *plagar* (დაავადების შეერა, დასენიანება, პარაზიტებით გავსება), *rotura* (გაწყვეტა, გაგლეჯა) – *ruptura* (გაწყვეტა (დამოკიდებულების); უთანხმოება, გარდატეხა), *vagar* (უსაქმეობა, უსაქმოდ ხეტიალი) – *vacar* (დროებით სამუშაოს შეწყვეტა, საქმეს, სამუშაოს მოწყვეტა), *llano* (ბრტყელი, სწორი), *plano* (ბრტყელი, სიბრტყითი) და სხვ. არსებითად ეს თანაჟღერი სინონიმებია. სწორედ ეს ბგერითი მსგავსება იძლევა სასუალებას გამოვეყნოთ ისინი სინონიმური პარონიმების განსაკუთრებულ ჯგუფში.

გვხვდება ისეთი პარონიმი – დუპლეტებიც, სადაც აზრობრივი სიახლოე შეიძლება იყოს მიმართებითი (შედარებითი). ისინი შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ სემანტიკურ ველს. პარონიმების აზრობრივი დასპირისპირება ზოგჯერ აღინიშნება მათი შედარების გზით, რომელიც ერთ პარონიმში ხსნის გადატანით მნიშვნელობას, რომელიმე ტროპს მაგალითად, *graso* (ქონიანი, ცხიმოვანი) – *craso* (ქონიანი, მსუქანი), *leal* (სწორი, პატიოსანი) – ლეგალ (კანონიერი), *forma* (ფორმა), *horma* (კალაპოტის, ქუდების), *delgadez* (სიგამხდრე, სიკონსტავე), *delicadez* (სისუსტე, წესიერება). სემანტიკური სიახლოვე შეიმცნევა ისეთ წყვილებსიც, როგორცაა *cimiento* (ფუნდამენტი; ფუძე) – *cemento* (ცემენტი), *cerco* (წრე; რკალი) – *circo* (ცირკი), *desolar* (გაჩანაგებამ, გაცარიელება) და სხვ.

ი. ნ. კუზნეცოცა, რომელიც იკვლევდა პარონიმის მოვლენას ფრანგულ ენაში, გვტავაზობს პარონიმებს ვუწოდოთ სინონიმები, თუ რომელიმე მნიშვნელობებიდან მსგავსია და კონტაქტურები, როცა მათი მნიშვნელობები ამჟღავნებენ რაიმე სემანტიკურ კავშირს. ამასთან კონტაქტებს შორის ის გამოჰყოფს პარონიმების რამდენიმე სახეობას. მაგალითად: მეტაფორულს, ე. ი. ცნებითი მსგავსებით სიახლოვე (მაგალითად, ესპანურში *masticar* – *mascar* ან *legal* – *leal*) ან მეტონიმურს, შეპირისპირებულებს დამოკიდებულების განსხვავებული ტიპებით (*cimiento* – *cemento*).

შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ პარონიმია კონკრეტული ენის ლექსიკის ფორმირებულ სისტემურ დანაყოფად? ო. ვ. ვიშნიაკოვა და ი. ნ. კუზნეცოვა ამ საკითხზე დადებითად პასუხობენ. თუმცა, სხვა მოსაზრებებიც არსებობს. მაგალით დ, ლ. მინაევა და ვ. ფელენევი მიიჩნევენ, რომ პარონიმია უნდა განიხილებოდეს, როგორც მეტყველების (საუბრის) მოველნა და მიაკუთვნებენ მას ე. წ. “პარონიმულ ატრაქციას”. მხატვრული ნაწარმოების ტექსტებზე დაყრდნობით ისინი გამოყოფენ “პარონიმული ატრაქციის” სამ ტიპს, რომლებიც ემსახურებიან განსაზღვრულ მიზნებს:

1. გაუნათლებელი, ადამიანების მეტყველების დახასიათება;
2. მითითება ამ პერსონაჟების მეტყველებაზე, რომლებიც მოქმედებენ კულტურის დონით უფრო მაღალ სოციალურ წრეში და ავტორის სიტყვებით თამაში.

პარონიმები წამოაგენე ესპანური ენის ლექსიკის ნაკლებად შესწავლილ ჯგუფს. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომში მათი პრაქტიკული და თეორიული აღწერილობა და შესწავლა უფრო ფართო და ღრმა ხასიათს შეიძენს.

§ 35. ანტონიმია

ენაში დამკვიდრებულ ლექსიკო-სემანტიკურ დამოკიდებულას საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს შორის განსაზღვრავენ ტერმინით ანტონიმია (antonimia). ასეთი დამოკიდებულებები წარმოიქმნება ანტონიმებს შორის (antónimos). ანტონიმები ერთი გრამატიკული კატეგორიის წვილებია, რომლებიც გამოხატავენ ერთმანეთთან ურთიერთთანაფარდობაში მყოფ ცნებას, ურთიერთსაპირისპიროს თავისი ხარისხობრივი, დროებითი, სივრცობრივი ან რაოდენობითი ნიშნებით. მაგალითად, blanco (თეთრი) – negro (შავი), ancho (ფართო) – estrecho (ვიწრო), grande (დიდი) - pequeño (პატარა), poco (ცოტა) – mucho (ბევრი), bien (კარგად) – mal (ცუდად), riqueza (სიმდიდრე) – pobreza (სიღარიბე), amistad (მეგობრობა) – enemistad (მტრობა), subir (ასვლა) – bajar (ჩამოსვლა), aparecer (გამოჩენა) – desaparecer (დამალვა) და ა.შ.

მაგრამ სიტყვა პოლისემანტიკურია და ამიტომ მის განსხვავებულ მნიშვნელობებს შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული ანტონიმები. ზედსართავი სახელი dulce (ტკბილი) ანტონიმურია amargo-სი (მწარე), მაგრამ dulce-ს გააჩნია სხვა მნიშვნელობაც “უმარილო, მტკნარი”, რომელსაც შეესაბამება ანტონიმები salado და salobre (მარილიანი). სიტყვების blanco-სა (თეთრი) და negro-ს (შავი) ძირითადი მნიშვნელობები ანტონიმურია, მაგრამ blanco-

ს, როგორც “თეთრი” ღია ფერის, სასმელებთან მიმართებაში, ანტონიმი აღმოჩნდება *tinto* ე.ი. გაჩნდა სხვა ანტონიმური წყვილი: *vino blanco – vino tinto*.

მაგრამ არის მრავალი სიტყვა, რომლებიც საერთოდ არ წარმოქმნიან ანტონიმურ წყვილებს, რადგან მათ ლექსიკურ მნიშვნელობაში ან საერთოდ არ არის გამოხატული ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება, ან თუკი არის - ის არ გაიაზრება რაიმესთან დაპირისპირებაში, ურთიერთწინააღმდეგობაში: *casa, árbol, fútbol, verde, toser, nadar* და ა.შ.

ლოგიკოსებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება ცნებისა და ნიშან-თვისებების დამოკიდებულებას, რომლებიც ერთმანეთს ურთიერთუარყოფენ. ასეთ ცნებით კორელაციებს შეუთანხმებლობის დამოკიდებულებას უწოდებენ. შეუთანხმებლობის ცნებები ორი სახისაა: წინააღმდეგობრივი და დაპირისპირებული.

წინააღმდეგობრივი ცნებები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმილის სახით: “*A* და *he A*”: *justicia* (სამართლიანობა) – *injusticia* (უსამართლობა), *cómodo* (მოხერხებული) – *incómodo* (მოუხერხებელი), *culpable* (დამნაშავე) – *inculpable* (უანაშაულო). სხვაგვარად რომ ვთქვათ, “*he A*”-ს ნიშნები შეადგენენ “*A*”-ს ნიშნების უარყოფას. ვთქვათ, რომ ორი უკიდურები აზრობრივი პოლუსია. მათ შორის არ არსებობს რაიმე “ბუფერული” შეაღდური ცნება. ლოგიკაში ასეთ შემთხვევაში მოქმედებს მესამის გამორიცხვის კანონი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რაღაცის მტკიცებასა ან უარყოფას შორის არ არსებობს რაიმე მესამე.

დაპირისპირებული ცნებები გამოიხატება ფორმულით: “*A + he A + B*” (*blanco*, თეთრი –*negro*, შავი), სადაც *B* აღნიშნავს დამოუკიდებელ სემანტიკურ შინაარსს. დაპირისპირებული კორელაციის დროს ერთი ცნების ნიშნების უარყოფა შეადგენს მეორე ცნების მნიშვნელობის მხოლოდ ნაწილს, რომელსაც გააჩნია თავისი სპეციფიური ნიშან-თვისებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაპირისპირებული შეუთანხმებლობის ცნებები ურთიერთგამორიცხავენ ერთმანეთს ზოგიერთი გამოხატული ნიშნით და ამასთან, ინარჩუნებენ დამოუკიდებელ, შეუთანხმებლობაში შეუსვლელ ცნებით კომპონენტებს. მაგალითად, *blanco* (თეთრი) და *negro*(შავი)-ს შედარებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ *negro* არა მარტო უარყოფს ცნება *blanco*-ს, არამედ გააჩნია თავისი საკუთარი ნიშან-თვისებებიც: არსებულ ფერებს შორის ყველაზე მუქი, ჭვარტლის და ნახშირის ფერი. წყვილებში: *justicia – injusticia* ან *cómodo - incómodo* ორივე კომპონენტს გააჩნია ერთნაირი ლოგიკური თვისებები. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეორე კომპონენტები გამოხატავენ მათ ნეგატიურად, უარყოფის ნიშნით. შემთხვევითი არ არის, რომ ესპანურ ლექსიკოგრაფიულ სახელმძღვანელოებში სიტყვის დეფინაციები, რომლებიც გამოხატავენ უარყოფით წინააღმდეგობრივ ცნებას, ხშირად განისაზღვრება მისი ანტონიმური

ლექსიკური ერთეულით და უარყოფით. მაგალითად, მარია მოლინერის ლექსიკონში მსგავსი დეფინაციების უმრავლესობა შემდეგნაირად იწყება: *incómodo – no cómodo, indirecto – no directo*.

ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს შორის განსაზღვრული დამოკიდებულების გამო, მათი ნიშან-თვისებების ნაწილში შეიძლება გაიაზრებოდეს შუალედური ცნებებიც: *blanco* (თეთრი) – *gris* (ნაცრისფერი) – *negro* (შავი); *bueno* (კეთილი) – *benévolo* (კეთილმოსურნე) – *bondadoso* (გულშემატკივარი, გულისხმიერი) – *irritado* (გულფიცხი, გაღიზიანებული) – *airado* (გაბრაზებული) – *malo* (ბოროტი, ავი).

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ შეუთანხმებლობითი ცნებები ყოველთვის დაქვედვებარებულები არიან. მათში აუცილებლად უნდა არსებობს რაღაც საერთო, რაც მათი შედარების საშუალებას იძლევა და თუ ასეთი საერთო რამ არ არსებობს, მაშინ არც მათი შედარებისათვის არსებობს საფუძველი: *bueno – malo* (კეთილი-ბოროტი) გამოხატავენ ადამიანის ზეობრივ სახეს, *amistad-enemistad* (მეგობრობა – მტრობა) ასახელებენ ადამიანთა შორის დამოკიდებულების (ურთიერთობის) ხასიათს, *popularidad – impopularidad* (პოპულარობა-არაპოპულარობა) გამოხატავენ საზოგადოებრივ სიმპატიებს ან ასეთის არარსებობას.

მაგრამ, დაქვემდებარებულები შეიძლება იყვნენ ისეთი ცნებითი წყვილებით, როგორცაა: *hombre* (მამაკაცი) – *mujer* (ქალი), *aulto* (მოზრდილი) – *niño* (ბავშვი), *invierno* (ზამთარი) – *verano* (ზაფხული) და სხვ. ლოგიკოსების აზრით, ეს წყვილები არ წარმოადგენენ შეუთანხმებლობით ცნებებს, რადგან ერთი მათგანი არ უარყოფს მეორეს.

სიტყვათა მნიშვნელობის სემანტიკური ბირთვები, როგორ აღვივალდაც შეადგენენ ცნებებს, ისე ლოგიკაში გამოყოფილმა მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების ტიპებმა ჰპოვეს თავისი გამოხატულება ესპანური ანტონიმების მატერიალურ ფორმაში, ზეგავლენა მოახდინეს მათ ლექსიკო-გრამატიკულ დიფერენციაციაზე. ანტონიმური წყვილები, რომლებიც გამოხატავენ წინააღმდეგობრივ ცნებებს, შედგებიან ერთფუძიანი სიტყვებისაგან, განსხვავებულები მხოლოდ იმით არიან, რომ ნეგატიურ საწინააღმდეგო წევრს გააჩნია უარყოფითი მნიშვნელობის წინსართი: *comodidad- incomodidad, legalidad - ilegalidad, popularidad - impopularidad, seguro - inseguro, regular – irregular*.

წინააღმდეგობა წარმოქმნილია ერთი ფარდობითი ცნების მეორეთი უარყოფის საფუძველზე. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს წინააღმდეგობა დაფიქსირებულია თვითონ სიტყვაში (და არა სინტაქსურად), რადგან მისი ლექსიკური მნიშვნელობის ნაწილს წარმოადგენს წინსართში მატერიალიზებული მეორე ცნების ნიშან-თვისებების უარყოფა.

აღნიშნული სახის ანტონიმურ წყვილებს ძირითადად წარმოქმნიან ზედსართავი და ზოგიერთი არსებითი სახელი. წინსართების ნაკრები შეზღუდულია: i-, in-, im-, ir-. იშვიათად გვხვდება წყვილები, რომლებშიც უარყოფითი ცნება ჩადებულია des- (dis) წინსართიან სიტყვებში: conforme - disconforme, conformidad - disconformidad.

ასეთ შემთხვევაში ანტონიმურია რამდენიმე ზმნაც: confiar (ნდობა) - desconfiar (უნდობლობა), conocer (ცოდნა) - desconocer (უცოდინარობა), gustar (მოწონება) - disgustar (არ მოწონება). თუმცა, ანტონიმური წყვილების უმრავლესობა, რომლებშიც შედის des- წინსართიანი უარყოფელი სიტყვა, არ მიეკუთვნება განხილულ ჯგუფს.

ზემოთაღნიშნულ ანტონიმურ წყვილებს შეიძლება ვუწოდოთ აბსოლუტური ან სრული (antonimos absolutos).

ანტონიმების გაცილებით მრავალრიცხოვან სახეობას შეადგენენ წყვილები, რომლებიც გამოხატავენ საპირისპირო შეუთანხმელობის ცნებით დამოკიდებულებებს. მათი უმრავლესობა წარმოქმნილია სხვადასხვა ფუძიანი სიტყვებისაგან. ამ ტიპის ანტონიმების გამოყოფა ხშირად გარკვეულ სიძნელეთანაა დაკავშირებული, რადგან მსაგავსი ანტონიმური წყვილების წარმოქმნის კრიტერიუმები სემანტიკის სფეროშია და როგორც წესი, არ არის განმტკიცებული მორფოლოგიური მახვენებლით. საუბარია შემდეგი ტიპის ანტონიმებზე: verdad - mentira, lejanía - proximidad, vida - muerte, sabiduría - tontería, amor - odio, viejo - joven, limpio - sucio.

ამავე ჯგუფში შედიან ერთფუძიანი ანტონიმები. ერთი კორელატი მეორისაგან პრეფიქსით განსხვავდება. ჩვეულებრივ, ეს პრეფიქსებია: contra-, anti-, sin-, des-, dis-, de. მაგალითად, natural - contranatural, revolución - contrarrevolucion, fascista-antifascista, formar - deformar.

აღნიშნულ სახეობას მიეკუთვნებიან აგრეთვე ისეთი რთული სიტყვების ანტონიმური წყვილები, რომელთა პირველ ჯგუფს შეადგენენ პოლარული მნიშვნელობის გამომხატველი ზმნიზედები: bien და mal. მეორე ფუძეები მსგავსია. მაგ: bienpensado - malpensado, bienvivir-malvivir.

ამავე ლოგიკურ-სემანტიკურ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ მეტად თავისებური ანტონიმები, რომელთა ერთი და იგივე მატერიალურ ფორმაში გამოხატულია ორი საწინააღმდეგო ცნება. ეს მოვლენა დამახასიათებელია ერთი პოლისემანტიკური სიტყვისათვის, რომლის ორი ლექსიკური მნიშვნელობაც ანტონიმურია: alquilar un piso ნიშნავს ბინის ქირით გაცემას და ბინის არენდით აღებას. იგივე ხდება ზმნა arrendar-შიც (გაცემა ქირით, აღება არენდით). მაგრამ, ესპანური ენის სისტემაში ასეთი შემთხვევები

ძალიან იშვიათია. მსგავსს “სიტყვისშიგნითა” სახის ანტონიმის ზოგჯერ ენანტიოსემიასაც უწოდებენ.

ყველა ზემოთგანხილულ ანტონიმს შეიძლება ვუწოდოთ მიმართებითი, ნაწილობრივი ანუ არასრული (antonimos relativos o parciales).

ამგვარად, ლოგიკურ-სემანტიკურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით გამოიყოფა ორი სახის ანტონიმები: აბსოლუტური (სრული) და მიმართებითი (არასრული). პირველი მათგანის მნიშვნელობაში ასახულია წინააღმდეგობრივი ცნებები, ხოლო მეორეში – დაპირისპირებული. ამასთან ანტონიმებში გამოვლენილია სამი ძირითადი სტრუქტურულ-გრამატიკული ტიპი: ერთფუძიანი, სხვადასხვაფუძიანი და “სიტყვისშიგნითა”. უნდა აღვნიშნოთ, რომ აბსოლუტური ანტონიმები ყოველთვის ერთფუძიანია, ხოლო მიმართებითი – სამივე მორფოლოგიური ტიპის. მაგრამ, აღნიშნული კლასიფიკაცია ძალიან ზოგადია. დაყოფა შეიძლება გაგრძელდეს ლოგიკური, სემანტიკური, გრამატიკული, ტიპოლოგიური, თემატური და სხვა საფუძვლებით. მაგალითად, ლ.ა. ნავიკოვმა თავის ერთ-ერთ კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო დაპირისპირებული ტიპები და გამოყო სამი ძირითადი და ერთი წარმოებული ანტონიმების კლასი (რომელიც სავესებით მისაღებია ესპანურისთვისაც):

ანტონიმი – კვალიტატივები და კოორდინატივები. მათგან პირველები გამოხატავენ ხარისხობრივ წინააღმდეგობას: joven-viejo, alegre-triste, claro-oscuro, húmedo - seco, duro-suave, bien-mal. მეორენი კი, მოვიკოვის აზრით, შედგებიან ე.წ. კოორდინაციული სიტყვებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ სემანტიკურად მჭიდროდ დაკავშირებული ერთი გვარის შიგნით დაპირისპირებულ სახეობრივ ცნებებს. მაგალითად, norte (ჩრდილოებით) – sur (სამხრეთი), este (აღმოსავლეთი) – oeste (დასავლეთი), verano (ზაფხული) – invierno (ზამთარი), primavera (გაზაფხული) – otoño (შემოდგომა), hoy (დღეს) – ayer (გუშინ), primavera (წარსული) – presente (აწმყო) და ა.შ.

როგორც უკვე ითქვა, ლოგიკები მსგავს სიტყვიერ წყვილებში უარყოფენ შეუთანხმებლობის დამოკიდებულებას. თუმცა, ზოგიერთი ლინგვისტი ამ აზრს არ იზიარებს. ლევიკოსკაია წერდა, რომ “აუცილებელია განვასხვავოთ ანტონიმები უმნიშვნელოდ (მაგრამ არა აბსოლურუტად) დაპირისპირებული კორელატიური სიტყვებისაგან: sommer - ზაფხული და winter - ზამთარი, süden - სამხრეთი და norden - ჩრდილოეთი თავისი ბუნებით არ წარმოადგენენ ანტონიმებს, მაგრამ ერთმანეთთან დაპირისპირებული კორელაციური სიტყვებია, რომლებსაც შეუძლიათ ზოგჯერ ფუნქციონირება, როგორც ანტონიმებს”

ამ კლასში შედიან ხარისხობრივი ზედსართავი და მათთან მიმართებაში მყოფი არსებითი სახელები და ზმნიზედები. განხილული ანტონიმების კლასში არ შედიან ზმნები.

ანტონიმი - კონკრაქტივები, მიუთითებენ საწინააღმდეგოდ მიმართულ მოქმედებებსა და ნიშან-თვისებებზე: subir-bajar, encender-apagar, entrar-salir. ამ კლასს მიეკუთვნება ზოგიერთი არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნიზედა: pregunta- respuesta, ataque-contraataque, arriba-abajo.

ანტონიმი – კომპლემენტატები. კომპლემენტარობის არსი მდგომარეობს მაში, რომ ორი საწინააღმდეგო მნიშვნელობა, თითოეული მისთვის დამახასიათებელი დადებითი შინაასით, ავსებს ერთმანეთს ამა თუ იმ მდგომარეობის, თვისობრიობის, დამოკიდებულების სრული ზღვარის გამოსატყობად. მათ შორის არაფერია საშუალო, ამიტომ ერთის უარყოფა ნიშნავს მეორის მტკიცებას. ამ ჯგუფში შედიან შემდეგი ტიპის სიტყვები: vida - muerte, paz - guerra, verdad - mentira, sano - enfermo, real - irreal, fértil - infértil.

ანტონიმი – კონვერსივები. აღნიშნავენ სხვადასხვა მიმართულების მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებენ ერთმანეთთან დაპირისპირებულ სიტუაციაში მყოფი მონაწილეები. ისინი წარმოიქმნიან კონვერსიული თვისებების მქონე, წინამდებარე სამი კლასის სიტყვების განსაკუთრებული გამოყენების ხარჯზე. საუბარია პირველ რიგში ისეთი ტიპის ზმნებზე, როგორცაა: vender (გაყიდვა) – comprar (ყიდვა), ganar (მოგება) - perder (წაგება), importar (იმპორტირება) – exportar (ექსპორტირება) და ა.შ. ასეთი ზმნების ანტონიმური დამოკიდებულებები ვლინდება შემდეგი ტიპის ფრაზებში: el cliente compra el abrigo – el vendedor le vende el abrigo. Verder - comprar, perder - ganar და სხვა მსგავს ზმნებში გამოსატყობია განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობები, მაგრამ ზმნებით დასახელებული მოქმედებები გაერთიანებულია ერთი ოპერაციით (სპორტული, სავაჭრო), რომელიც აღწერილია მისი ორივე მონაწილის (დაპირისპირებულები ბუნებრივი მდგომარეობის გამო) თვალთახედვიდან. ერთი ოპერაციის ფარგლებში ორი მოქმედების დაპირისპირება საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ ანტონიმურ კონვერსიაზე. მას მიეკუთვნება სემანტიკურად განსაზღვრული ზმნების ჯგუფი და მასთან აზრობრივად დაკავშირებული არსებითი სახელები.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ანტონიმური სიტყვების ურთიერთმოქმედება თავის სინონიმებთან. ანტონიმებთან სინონიმურმა ლექსიკურმა ერთეულებმა შეიძლება შეადგინონ თავისი პოლარული წყვილები. ამგვარად იქმნება თავისებური ანტონიმური ველი ანუ პარადიგმა.

Inteligente (ჭკვიანი) – tonto (სულელი, გონებაშეზღუდული) - bobo (სულელი)

Sensato (გონებადამჯდარი) – mentecato (უგუნური, განუსჯელი, ლუღელი)

Razonable (გონიერი) – zote (გონეზაშეზღუდული, ჩლუნგი)

ან

Blanco (თეთრი) – negro (შავი)

Claro (ნათელი) – oscuro (ბნელი)

ეს ასე ვთქვათ, ძირითადი, პირველადი ანტონიმებია. სხვა შემთხვევაში ერთი სინონიმური რიგის თითოეული სინონიმი ისწრაფვის კონკრეტულ ანტონიმთან, რომელი შედის პოლარულ სინონიმურ რიგში. მაგალითად,

Leal (ერთგული, წესიერი) – desleal (ვერაგი, უწესო)

Fiel (ერთგული) – infiel (ორგული)

Honesto (წესიერი) – deshonesto (უწესო)

Seguro (საიმედო) – inseguro (არასაიმედო)

და ბოლოს, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მეტყველებაში და განსაკურებით მხატვრულში ანტონიმური კორელაციით დაუკავშირებელი სიტყვებიც კი, შეიძლება გახდნენ ოკაზონალური (კონტექსტუალური) ანტონიმები. კონსტანტური და ოკაზონალური ანტონიმების ყველა სახე მეტყველებაში გამოიყენება, როგორც მკაფიო გამოსატვის საშუალება. ისინი წარმოადგენენ ჯერ კიდევ ანტიკური რიტორიკოსებისათვის ცნობილი ორი სტილისტური ხერხის – ანტითეზისა და **ოქსუმორონის** – საფუძველს. მაგალითებისათვის, მოვიყვანოთ ლოპე დე ვეგას ერთ-ერთ სონეტს, რომელშიც გამოყენებულია ანტითეზა:

Desmayarse, atreverse, estar furioso,

áspero, tierno, liberal, esquivo,

alentado, mortal, difunto, vivo,

leal, traidor, cobarde y animoso;

no hallar fuera del bien centro y reposo,

mostrarse alegre, triste, humilde, altivo,

enojado, valiente, fugitivo,

satisfecho, ofendido, receloso;

huir el rostro al claro desengaño,

beber veneno por licor suave,

olvidar el provecho, amar el daño;

creer que un cielo en un infierno cabe,

dar la vida y el alma a un desengaño,

esto es amor, quien lo probó lo sabe.

სონეტის მხატვრული ჩანაფიქრი დაპირისპირებულ ანტონიმურ ცნებებზეა აგებული. ლოპე დე ვეგა პირველ რიგში იყენებდა ენაში დამკვიდრებულ ანტონიმებს: desmayarse (აქ: სიმამაცის დაკარგვა, გაუბედაობა) - atreverse (გაბედვა), aspero (უხეში) – tierno (ნაზი), difunto (მკვდარი) – vivo (ცოცხალი), leal (ერთგული) – traidor (ვერაგი), cobarde (მხდალი) – animoso (მამაცი), alegre (მხიარული) – triste (დამწუხრებული), და ა.შ. აგრეთვე იყენებს ოკაზიონალურ ანტონიმურ წყვილებსაც: liberal (გულდია, გულგახსნილი) – esquivo (გულდახშული, მიუკარებელი), veneno (შხამი) – licor suave (მსუბუქი სასმელი), satisfecho (კმაყოფილი) – ofendido (უკმაყოფილო, შეურაცყოფილი).

თავი VII. ესპანური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები

§ 36. ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოგადი დახასიათება

სიტყვების საშუალებით მეტყველებაში წარმოიქმნება სიტყვაშეთანხმებები (შესიტყვებები) და წინადადებები. აზრის გამოხატვისას, ვალაგებთ სიტყვებს ჩვენი ნება-სურვილით. თუმცა, ვითვალისწინებთ კონკრეტული ენის გრამატიკულ წესებს, გამონათქვამის პირობებს და საკუთარი მეტყველების ჩვევებს. ყურადსაღებია აღვნიშნოთ, სიტყვაშეთანხმებება და წინადადებების წარმოქმნა და ორგანიზება ხდება მეტყველების პროცესში. ამაშია მათი ძირეული განსხვავება იმ სიტყვებისაგან, როლებიც წარმოქმნილია რა ენობრივი ერთეულებით, გამოთქმისას კვლავ იწარმოება. ნებისმიერ ენას გააჩნია მდიდარი, მაგრამ მაინც შეზღუდული სიტყვების მარაგი, ხოლო თავისუფლად ორგანიზებული სიტყვაშეთანხმებების რაოდენობა პრაქტიკულად უსასრულოა. თუმცა, თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ენაში ადვილად შევამჩნევთ სიტყვაშეთანხმებების საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯგუფს, რომლებიც გახდნენ თავისებური მყარი ფორმულები და ენის მკვიდრთა მიერ თითქმის უცვლელად გამოიყენებიან წინასწარ მოცემული ფორმით. ასეთი შესიტყვებები (სიტყვაშეთანხმებები) მეტყველების პროცესში კი არ წარმოიქმნება, არამედ გამოიყენება მზა სახით, როგორც ბლოკები მშენებლობაში. მაგ: ესპანურ ენაში ასეთი ლექსიკური ერთეულებია: luna de miel (თაფლობის თვე), cabeza de turco (განტყვევის ვაცი), niño gótico (პეწენიკი, პიჟონი, ქარაფშუტა), alhaja con dientes (მუქთამჭამელი, მუქთახორა), caballo de vapor (ცხენის ძალა), tomar las de Villadiego (მოკურცხვლა, მოუსვა მთელი ძალით), dar calabazas (ცივი უარით გასტუმრება, საქმროსათვის უარის თქმა), irse al pardo (ფერის დაკარგვა, გაუფერულება, გახუნება), cometer figuras (ორატორობა, მწერმეტყველება), poner en libertad (გათავისუფლება, თავისუფლებზე გაშვება), dar susto (დაშინება, შიშის მოგვრა), de pelo en pecho (გულადი, მამაცი, ძლიერი, უშიშარი), de tres pepinos (ჩვეულებრივი, საშუალო, რიგითი), sin par (შეუდარებელი, უბადლო, სწორუპოვარი), en un abrir y cerrar de ojos (თვალის დახამხამებაში), a puerta cerrada (დახურულ კარს მიღმა, საიდუმლოდ, მარულად, ფარულად), a pie juntillas (შეუპოვრად, უდრეკად, დაჯერებულად), este cura (თქვენი მონამორჩილი, ანუ “მე”), cada quisque (ყოველნაირი, ყოველგვარი), por Dios (თუ ღმერთი გწამს, ღმერთო ჩემო), a pesar de (მიუხედავად იმისა, რომ), a causa de (გულისათვის, მიზეზით, იქიდან, გამო) და ა.შ.

აღნიშნული გამონათქვამები, სიტყვებთან ერთად შეადგენს ყოველი ენის მკვიდრთა აქტიურ და პასიურ ლექსიკურ მარაგს.

ენათმეცნიერებაში განასხვავებენ ორი ტიპის სიტყვაშეთანხმებას. მეტყველებაში ორგანიზებულს უწოდებენ თავისუფალს ანუ ცვალებადს. მათში შემავალი სიტყვები ინარჩუნებენ თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას, რომელთა ერთიანობაც სიტყვაშეთანხმების ძირითად აზრს წარმოადგენს. სიტყვაშეთანხმების მეორე ტიპია - ფრაზეოლოგიური ანუ მყარი. ისინი დამკვიდრებულია ენაში და მეტყველების დროს იწარმოება. მათი კომპონენტის ჩვეულებრივი მნიშვნელობები არ თანხვდება მთელი კონსტრუქციის მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ენაში არსებობს მთელი რიგი მზა წინადადებებისა, რომლებიც აფორიზმულად გამოხატავენ რაიმე ცხოვრებისეულ მსჯელობას. ასეთი ფრაზების ციტირებას ენის მატარებლები (ენის მკვიდრები) ახდენენ საჭირო შემთხვევაში. საუბარია ანდაზებზე, აფორიზმებზე, გამონათქვამებზე:

Del dicho al hecho hay gran trecho - ნათქვამიდან გაკეთებამდე დიდი მანძილია;

Más vale tarde que nunca - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს;

Más vale un toma que dos te daré - ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ჯობია;

Amor con amor se paga - სიკეთეს სიკეთით პასუხობენ;

Todo es bien lo que acaba bien - კარგია ის, რაც კარგად მთავრდება;

La paciencia es la llave de todas las puertas-შრომა და მოთმინება ყველაფერ გადახარშავს;

No hay rosas sin espinas - ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია;

Los dichosos no cuentan las horas - ბედნიერები დროს არ უყურებენ;

Allá van los pies donde el corazón está - ფეხებს იქ მივყავართ, სადაც გულია და ა.შ.

ეს აფორიზმებიც ესპანური ენის მყარი შესიტყვებებია. ყველა ეს სტაბილური შესიტყვება და მათში გატარებული აზრი ყველა ენის მკვიდრისათვის კარგადაა ცნობილი. ესპანელმა იცის, რომ tomar las de Villadiego ნიშნავს “მოკურცხვლას, მოუსვა მთელი ძალით”, რომ luna de miel არის “თაფლობის თვე”, ხოლო ანდაზას más vale un toma que dos te daré ამბობს მაშინ, რომ უნდა გამოხატოს, რომ ურჩევნია მცირე მოცემულ მონეტში, ვიდრე უფრო დიდი მომავალში.

ფრაზეოლოგია ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შესწავლის მყარ სიტყვაშეთანხმებებს, მათ წარმოშობა-განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში. მის ამოცანას შეადგენს სიტყვაშეთანხმებების ფორმების, მათი მნიშვნელობებისა და გრამატიკული ფუნქციის ანალიზი, მათი სინონიმური კავშირებისა და ვარიანტების განსაზღვრა, სტილისტური და ემოციონალურ-ექსპრესიული დახასიათება, გარდაქმნის მეთოდები მეტყველებაში, ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შედგების პრინციპების შემუშავება და ა.შ. ფრაზეოლოგია ჩამოყალიბდა ლექსიკოლოგიის ფარგლებში და დიდი

ხანი არ არის, რაც ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ლექსიკოლოგიას არ სჭირდება სიტყვის ეკვივალენტური მყარი შესიტყვეების ზოგადი ანალიზი. ბუნებრივია, აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში განხილული იქნება სწორედ ასეთი მყარი კონსტრუქციები და არა ანდაზური ტიპის გამონათქვამები.

ფრაზეოლოგიზმების ძირითად ლექსიკო-სემანტიკურ და გრამატიკულ ნიშნებს შორის საჭიროა გამოვყოთ:

I. პირველ რიგში, ფრაზეოლოგიზმების ლექსიკალიზურობა, ანუ ისინი სიტყვების მსგავსად, ჩართულია ენის ლექსიკურ შედგენილობაში არსებითი სახელების, ზედსართავეების, ზმნებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ეკვივალენტურად;

II. მათი კვლავ წარმოქმნა მეტყველებაში მზა ლექსიკური ერთეულების სახით;

III. მათი სიმყარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფრაზეოლოგიზმებს გააჩნიათ მუდმივი სიტყვიერი შემადგენლობა და რომ მათ კომპონენტებში ვლინდება განსაზღვრულ მორფოლოგიურ ფორმაში განმტკიცებისა და დამყარებული სინტაქსური რიგითობის შენარჩუნების გამოკვეთილი ტენდენცია.

მყარი გრამატიკული კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტებს შორის შინაგანი სინტაქსური კავშირები ნეიტრალიზებულია. ამიტომ, მეტყველებაში ფრაზეოლოგიური ერთეული მთლიანობაში, სიტყვის მსგავსად ასრულებს ერთ სინტაქსურ ფუნქციას.

IV. სემანტიკურ მთლიანობა, რომელიც იმაში ვლინდება, რომ თითოეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში განმტკიცებულია განსაზღვრული განზოგადებული მთლიანი მნიშვნელობა. სწორედ ის რეალიზდება მეტყველებაში და არა ფრაზეოლოგიზმების შემადგენელი სიტყვების აზრი. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება მარტივი სიტყვების სინონიმები იყოს. მაგ: tomar el olivo = huir, largarse, გვ.152

ფრაზეოლოგიზმების აზრი შეიძლება გამოვლინდეს სიტყვაშეთანხმებების საშუალებითაც. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ფრაზეოლოგიზმების ერთეულის სემანტიკური შინაარსი ფარდობაშია არა მსჯელობასთან, არამედ სიტყვაშეთანხმებით გამოხატულ ცნებასთან. მას ასაბუთებს შემდეგი მაგალითები: luna de miel = primera época del matrimonio = თაფლობის თვე, გვ 152.

აქილევის ქუსლი – el talón de Aquiles

ოქროს მადანი - გვ 152;

ქვაკუთხედი - გვ 152;

ნემსის ძებნა თივის ზვინში - გვ 152;

ნიანგის ცრემლები და სხვ.

უფრო მართებული იქნებოდა მყარი გრამატიკული მნიშვნელობისათვის კომპონენტების მთლიანად ახლებური გააზრებით, გვეწოდებინა კონსტანტო-ფრაზული ანუ ფრაზეოლოგიური. ენის მკვიდრები (ენის მატარებლები) მათ ისევე გაიაზრებენ, როგორც მარტივი სიტყვის მნიშვნელობებს.

V – ფრაზეოლოგიური ერთეულების იდიომატურობა, რომლის არსიც მჭიდრო კავშირშია სემანტიკური მთლიანობის ნიშან-თვისებასთან და იმაში ვლინდება, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის ომონიმური თავისუფალი სიტყვაშეთანხმების ძირითად ნომინატურ მნიშვნელობათა რაოდენობა არ უდრის მათ მნიშვნელობას. იდიომატურ ნიშან-თვისებაში გამოხატულია სფეციფიურობა და ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ ენის განუმეორებელი თავისებური ფრაზეოლოგიური სიმდიდრე. იდიომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების ხარისხი მეტად განსხვავებულია. ფრაზეოლოგიზმის ტიპის მიხედვით, ის შეიძლება იყოს ძალიან მაღალი ან მნიშვნელოვნად შესუსტებული. იდიომატურობის ხარისხი გავლენას ახდენს ფრაზეოლოგიზმის სემანტიკურ მთლიანობასა და მის კვლავ წარმოებაზე.

VI – ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელი შინაგანი ფორმის სიტყვიერი გამოხატვა. ეს ნიშან-თვისება ურთიერთკავშირშია წინამდებარესთან. ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოქმნილია თავისუფალი სიტყვაშეთანხმებებიდან და სტრუქტურულად მათ თანხვდებიან, ამიტომ მათი შინაგანი ფორმა წარმოადგენს ლექსიკო-სემანტიკურ შინაარსს, რომელიც ფრაზეოლოგიური ერთეულის ქდერადობის კონსტანტო-ფრაზულ მნიშვნელობასთან კავშირის სიმბოლოა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შინაგანი ფორმა – ეს არის ფრაზეოლოგიური ერთეულის მოტივირებული მნიშვნელობა, რომელიც მიიღება აზრთა წარმომქმნელი თავისუფალი სიტყვაშეთანხმების შედარების საფუძველზე. თანამედროვე ენაში მყარი კონსტრუქციის შინაგანი ფორმა შეიძლება იყოს არამოტივირებული, როგორც მაგალითად შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: გვ. 153. (გამოუსადეგარ ნივთზე), entrar por uvas (რაღაცაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება) a pie juntillas (მტკიცედ, შეუპოვრად), dar quince y raya (ქამარში ჩატანება), echar las vacas (ცილის წამება, მოჭორვა), abate Pirricas (ქარაფშუტა, პიჟონი) და სხვ. ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმის იდენტური თავისუფალი შეთანხმება ან აზრს არის მოკლებული ან კიდევ არ გააჩნია ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობასთან შედარებისას დადგენილი რეალური გამოხატულებითი ასოციაცია. სხვა ფრაზეოლოგიურ მყარ კონსტრუქციებში შინაგანი ფორმა მოტივირებულია. ასეთ ფრაზეოლოგიზმთან მიმართებაში, თავისუფალი შეთანხმება აღიქმება როგორც აზრობრივი, მეტაფორული, ფრაზეოლოგიზმის მოტივირებულად გამოხატული მნიშვნელობა. რასაკვირველია, თუ არ

არის ცნობილი ფრაზეოლოგიზმის ერთეულის საყოველთაოდ მიღებული აზრი, მაშინ მისი შინაგანი ფორმა უმეტესად მხოლოდ შედარებითა და უზუსტო. ფრაზეოლოგიური კონსტრუქციის (გვ. 153) *hacer tragar la píldora* - შინაგანი ფორმა აღიქმება როგორც “მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება, ვიდაცისათვის დახმარების გაწევა”, მაგრამ ფრაზეოლოგიზმს გააჩნია საპირისპირო მნიშვნელობა: “ვიდაცას გაუკეთო, უთხრა რაღაც არასასიამოვნო”.

ამგვარად, თანამედროვე ენაში ყველა შინაგან ფორმას არ გააჩნია განმარტებითი უნარი. თუმცა, ფრაზეოლოგიზმის წარმოქმნის პერიოდში ის მოტივირებდა მის მნიშვნელობას. მაგრამ, დროთა განმავლობაში ეს მოტივაცია სხვადასხვა მიზეზების გამო (ერთ-ერთი კომპონენტის ამოვარდნა, სემანტიკის შეცვლა, კონსტრუქციის შემადგენელი სიტყვების არქაიზაცია, გრამატიკული ცვლილებები) შეიძლება დაკარგულიყო.

თუმცა, არის ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შინაგანი ფორმა ეყრდნობა მხოლოდ ერთ ახლადგააზრებულ კომპონენტს, რადგან ფრაზეოლოგიზმის დანარჩენი მნიშვნელობები (თუმცა, დაქვემდებარებული კონსტრუქციის მთელ სემანტიკაზე) გამოიყენება თავის ჩვეულებრივ მნიშვნელობებში. მაგალითად, გამოთქმაში: *poner en libertad, coger miedo, dar de bofetadas, miedo cervical* მეტაფორიზებულია მხოლოდ *poner, coger, dar* და *cervical* კომპონენტები, მსგავსი ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები იმყოფებიან თავისუფალი სიტყვაშეთანხმების ზღვარზე, მაგრამ ჩვეულებრივ არ გადადიან მას. ასეთი ფრაზეოლოგიზმებიდან აზრის გამოტანა შემადგენელი სიტყვების მიხედვით, სირთულეს არ წარმოადგენს.

VII – ფრაზეოლოგიზმების ლექსიკოლოგიური მარკირება, რომელიც იმაში ვლინდება, რომ მათ გააჩნიათ ემოციონალურ-ექსპრესიული, შეფასებითი და სტილისტური ელფერი, მიეკუთვნებიან წიგნიერ, სასაუბრო, ჟარგონულ და დიალექტურ ლექსიკას და წარმოადგენენ ნეოლოგიზმს ან მოძველებულ კონსტრუქციას. მსგავსი მარკირება შეიძლება წინააღმდეგობაში შევიდეს ფრაზეოლოგიზმის წარმომქმნელი სიტყვების მარკირებასთან. მაგალითად, გამოთქმა *poner en berlina* (სასაცდლო მდგომარეობაში ჩაყენება) გამოიყენებულია თანამედროვე სალიტერატურო ენაში. თუმცა, მასში შესულია მოძველებული სიტყვა *berlina* (ეკიპაჟის სახეობა). სასაუბრო ფრაზეოლოგიზმი *de pelo en pecho* (მამაცი, გულადი), სასაუბრო დიალექტი *ponerse morado* (ბევრის ჭამა, სანსვლა) ან ჟარგონული გამოთქმა *pegarle al costo* (ნარკოტიკების მიღება) განსხვავებულია თავისი სტილისტური ფარდობითობით. თუმცა, ყველა ისინი წარმოქმნილია ჩვეულებრივი ლიტერატურული სიტყვებიდან.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები თავისი ხასიათით ამჟღავნებენ მნიშვნელოვან მსგავსებას სიტყვებთან: ისინი კვლავ იწარმოებიან საუბარში, გააჩნიათ მთელი კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობა, გრამატიკულად შეესაბამებიან ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს, გააჩნიათ შინაგანი ფორმა, სიტყვების მსგავსად მეტყველებაში ასრულებენ წინადადების წევრის ფუნქციას, აღენიშნებათ სტილისტური მარკირება და შედიან სიტყვიერ სინონიმურ რიგებში. მაგრამ, ამასთან ერთად ფრაზეოლოგიზმები რჩებიან თავისებურ, ენის ლექსიკური შედგენილობას სპეციფიურ ერთეულებად, რომლებიც განსხვავდებიან სიტყვებისაგან. მთავარია ის, რომ ნებისმიერი სიტყვა, მარტივი თუ რთული, ყოველთვის წარმოადგენს სრულად გაფორმებულ ენობრივ ერთეულს. სიტყვის კომპონენტების გრამატიკულად ფორმდება ერთჯერად, ხოლო ნებისმიერი ფრაზეოლოგიური ერთეული, სიტყვაშეთანხმების მსგავსად, გრამატიკულად ცალკე გაფორმებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის შედგება არა ნაკლებ ორი სიტყვისაგან და ყოველ სიტყვას გააჩნია თავისი გრამატიკული გაფორმება, თავისი მახვილი და კვლავ რჩება სიტყვად. სიტყვის გამოყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულში – ეს მხოლოდ მისი სპეციფიური გამოყენებაა. ფრაზეოლოგიური ერთეულების ცალკე გაფორმება ქმნის განსაკუთრებულ (სიტყვისაგან განსხვავებულ) შესაძლებლობებს მისი ემოციონალურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენებისათვის.

§ 37. ფრაზეოლოგიური ერთეულების სისტემური კავშირები

განხილულ სიტყვათა მყარ შეთანხმებებში განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულებაა როგორც ერთმანეთს შორის, ისე ენის სხვა ლექსიკურ ერთეულებთანაც.

პოლისემია – ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა მონოსემანტიკურია (ერთმნიშვნელოვანია). თუმცა, მყარი შეთანხმებების განსაზღვრული რიცხვი (დაახლოებით 17-20%) ენის განვითარების პროცესში გადაიქცა მრავალმნიშვნელოვან ერთეულად. პოლისემანტიკურ ფრაზეოლოგიზმებს არ ახასიათებთ მნიშვნელობების დიდი რაოდენობა, როგორც ეს გვხვდება ზოგიერთ სიტყვაში. ფრაზეოლოგიური პოლისემია უფრო შეზღუდულია. ჩვეულებრივ, მრავალმნიშვნელოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

გამოიყოფა ორი ან სამი მნიშვნელობა. ამაზე დიდი რაოდენობა იშვითად ფიქსირდება. პოლისემანტიკური ფრაზეოლოგიზმების მაგალითებია:

1) mala fe – ა) ორპირობა, უპატიოსნება, უწესობა; ბ) ვერაგობა, უტიფრობა, მზაკვრობა, მუხანათობა;

2) (Un) boca sucia – ა) ენაბილწი; ბ) უხამსი, უგვანი;

3) Caballo de batalla – ა) მთავარი კოზირი, საუკეთესო ნომერი; ბ) მუდმივი თემა, საყვარელი რამ; გ) აკვიატებული აზრი, მანია;

4) Calma chicha – ა) მკვდარი შტილი; ბ) უსიცოცხლობა, მოღუნებულობა, სიზარმაცე, სიზანტე; გ) პაპანაქება, დახუთულობა; დ) სახიფათო სიჩუმე, მცდარი სიწყნარე;

5) De gran romana – ა) მძიმე, ძალიან მძიმე; ბ) მსუქანი, გათქვირებული, ზორბობა;

6) De medio peli – ა) კაცუნა, დაბალი კაცი; ბ) მეტიწარა, ყვაფი ფარშევანგის ფრთებით; გ) უმნიშვნელო, უბრალო, წვრილმანი რამ; დ) საშუალობა, უფერულობა, ცუდი ხარისხის; ე) მეტიხი (პუერტო რიკო);

7) Hacer fantochadas – ა) ტრაბახი, კეხნა, ბაქიაობა; ბ) პრანჭვა, გრეხა, მანჭვა, მასხარაობა;

8) Entrar en calor – ა) დათბობა; ბ) გემოს გაგება, მონდომება, მოსურვება;

9) Venir con faramallas – ა) გაბრიყვება, თავგზის აბნევა, თვალის ახვევა, სიტყვის ბანზე აგდება; ბ) ბაქიაობა, ცრუობა, სისულელის ჩმახვა, როშვა; გ) ტრაბახი (მექსიკა, ჩილე);

10) A boca llena – პირდაპირ, მიუხევე-მოუხეველად, მიდებ-მოდების გარეშე; ბ) გულუხეობა, ხელგაშლილობა (დაპირებებზე, თხოვნაზე და ა.შ.);

11) Entre dos aguas – ა) წყლის ქვეშ; ბ) ფრთხილად, წინდახედულობა, გაფაციცებული ყურადღება, განსაკუთრებული სიფრთხილე; გ) გაუბედავად, ყოყმანით, ჭოჭმანით; დ) საფრთხე, საშიშროება, ხიფათი, ორცეცხლშუა და სხვ.

ფრაზეოლოგიური ერთეულების მრავალმნიშვნელობა დამოკიდებულია არა მარტო ფრაზეოლოგიზმების გამოყენების კონტექსტუალურ და სიტუაციურ პირობებზე, არამედ გრამატიკულ განპირობებებზე, მართვაზე, შეთანხმებებზე, სინტაქსურ ფუნქციაზე, დასახელებული ობიექტის სულიერება-უსულობაზე და ა.შ. მაგალითად, თუ tener en el alma-ს სულიერ პირდაპირ დამატებასთან გამოვიყენებთ (a alguna persona) მისი მნიშვნელობა იქნება “ვინმეზე გულშემატკივრობა, თანაგრძნობა”, ხოლო უსულოსთან – “ვისიმე სინდისზე”: გვ.155 გარდამავლობისას (ქუან ლეს ჰა განადო ლა პალმა ა ტოდოს)

ზმნურ ფრაზეოლოგიზმს *ganar la palma* გარდაუვალობის შემთხვევაში “პირველი მიხვიდე დათქმულ ადგილას” მნიშვნელობა გააჩნია, ხოლო ირიბი გარდამავლობისას (*Juan les ha ganado la palma a todos*) ნიშნავს: “ვინმეზე ზეგავლენას, ვინმეს დასწრებას, უკან ჩამოტოვებას”. *Hacerse carne* უსულო საგნის მოქმედებისას ამჟღავნებს თავის ძირითად მნიშვნელობას - “ცხოვრებაში დანერგვა, განხორციელება”, ხოლო სულიერ საგანთან მოქმედებისას – გადატანით მნიშვნელობას: “ტანჯვა, წამება, თავის წვალება, წამება” და სხვ.

სინონიმია. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება სინონიმურად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები. ეს ხდება მაშინ, როცა ერთი და იგივე მეტყველების ნაწილს მიკუთვნებული ფრაზეოლოგიზმები, მათი კონსტანტო-ფრაზული ან ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობები გამოსატყვევებელი ერთნაირ ცნებას და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაგანი ფორმითა და მნიშვნელობის ელფერით ან სტილისტურად. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმების შინაგანი ფორმის ლექსიკო-სემანტიკური მნიშვნელობა უნდა იყოს განსხვავებული. თუ ის თანხვდება ან თითქმის ერთნაირია, მაშინ შედარებული ფრაზეოლოგიზმები უნდა განვიხილოთ არა როგორც სინონიმები, არამედ როგორც ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმის ვარიანტები.

თავისი გრამატიკული შემადგენლობით ფრაზეოლოგიური სინონიმები შეიძლება იყოს:

ა) **თანაბარი სტრუქტურის,** როცა მათი მოდელი (ნიმუში) ერთნაირია: *Besar la correa-doblar la cerviz* (დანებდე, შეეგუო, დაემორჩილო ძალას), *tomar el olivo - perder el hat* (გაქცევა, მოკურცხვლა), *cabeza de tarro - alma de cántaro* (ტუტუცი, რეგვენი, ხეპრე, ბოტე, სულელი, ყყეჩი), *burro de carga - cabeza de turco* (განტყვევის ვაცი), *de cabo a rabo - de pe a pa* (თავიდან ბოლომდე, მთლიანად) და სხვ.

ბ) **მსგავსი სტრუქტურის,** როცა მათი მოდელები განსხვავდებიან არტიკლის, ნაცვალსახელის ქონა-არქონით, გრამატიკული რიცხვით და ა.შ.: *ganar las palmas - cosechar laureles* (ჯილდოს მინიჭება), *pasar el Rubicón - quemar sus naves* (გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა), *apretar los talones - tomar viñas - dar esquinazo* (გაქცევა, მოკურცხვლა, მოქუსვლა, მოუსვა მთელი ძალით) და ა.შ.

გ) **განსხვავებული სტრუქტურის,** როცა მათი მოდელები არ თანხვდება: *cruzar la cara - dar de bofetadas* (სახეში გარტყმა, სილის გაწნა), *a banderas desplegadas - con el corazón en la mano - a la luz del día - a las claras* (ღიად, ღია გულით, დაუმალავად), *a la chita callando - por debajo de la cuerda - a escondidas* (მალულად, ფარულად, ნამალავად, ჩუმად) და ა.შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმები ენაში არ შეადგენენ განცალკევებულ სინონიმურ რიგებს. ისინი ამა თუ იმ სინონიმური რიგის ნაწილია, რომელიც შედგება, როგორც მარტივი სიტყვებისაგან, ისე ფრაზეოლოგიზმებისაგან, რომლებიც არსებითად ზრდიან სინონიმური რიგების ემოციონალურ-ექსპრესიულ და შეფასებით შესაძლებლობებს. მაგალითად, ცნება “ჭამა, კვება”-ში დაჯგუფებულია შემდეგი სინონიმები: **გვ.156**

ომონიმია. ფრაზეოლოგიზმებში აღინიშნება (თუმცა, შედარებით იშვიათად) ომონიმური კავშირების შემთხვევები. საუბარია არათავისუფალი სიტყვაშეთანხმებების ომონიმიასა და მის ფრაზეოლოგიურ ორეულზე. ფრაზეოლოგიზმის თანაჟღერადობა მასთან გენეტიკურად დაკავშირებულ თავისუფალ სიტყვაშეთანხმებასთან შეუადური დონის მოვლენაა. ფრაზეოლოგიზმი - ლექსიკურ ერთეულია, ხოლო სიტყვაშეთანხმება – სინტაქსური. და თუ მაინც ჩავთვლით მათ ომონიმებად, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ენობრივი თანაჟღერადობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დაკავშირებული ლექსიკო-სემანტიკური ომონიმია.

აღნიშნულ შემთხვევაში განიხილება ორი ან მეტი მყარი შეთანხმების თანაჟღერადობა. ფრაზეოლოგიური ომონიმია წარმოიქმნება ძირითადად სამი მიზეზით:

ა) **პოლისემიის დაშლით**, როცა ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იძენს შინაარსობრივ და ფორმალურ დამოუკიდებლობას. მსგავსი მოვლენა აღინიშნებოდა echar la bendición-ის მყარ შეთანხმებაში. თანამედროვე ენაში არის ორი ომონიმური ფრაზეოლოგიზმი, რომელთაც გააჩნიათ ეს ფორმა. ერთ-ერთი მათგანი ნიშნავს “ნების დართვას ქორწინებაზე”, მეორე – “ხელის დაბანას, რაიმე საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმას”. მეორე ომონიმს გააჩნია კიდევ ერთი მნიშვნელობა: “ვიღაცასთან ურთიერთობის გაწყვეტა, შეწყვეტა”

პოლისემიის დაშლამ წარმოქმნა ორი ომონიმური ფრაზეოლოგიზმი: quitar el hipo – “დაშინება, თავზარის დაცემა, შერწუნება” და quitar el hipo – “გაოცება, გაოგნება სიამოვნებისაგან”.

ბ) **როცა პოლისემანტიკური სიტყვა** წარმოქმნის აბსოლუტურად მსგავსი ტიპის ფრაზეოლოგიზმებს, განსხვავებული მნიშვნელობით. მაგალითად, tener mosca-ში (იყო გაფიცხებული) კომპონენტი mosca დაკავშირებულია “უკმაყოფილო, წყენა, ჯავრი” მნიშვნელობასთან, ხოლო tener mosca-ში (გააჩნია სახსრები, გააჩნია დიდი ფული) იგივე სიტყვას გააჩნია “ფულის” მნიშვნელობა.

გ) **როცა ერთი და იგივე თავისუფალი** სიტყვაშეთანხმების საფუძველზე განსხვავებულ დროსა და განსხვავებულ პირობებში წარმოიქმნება დამოუკიდებელი

ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია. მსგავსი მოვლენა შეინიშნებოდა ომონიმებში *hacer humo* (ერთ ადგილზე ცხოვრება, ერთ ადგილზე შეჩვევა) და *hacer humo* (ცუდად მიღება, გაგდება, გაძევება). *Apretar los talones* ესპანეთში ნიშნავს “გაქცევას”, ხოლო ლათინურ ამერიკაში ომონიმურ ფრაზეოლოგიზმს გააჩნია “ენერგიულად მოქმედების” მნიშვნელობა.

ანტონიმია. მყარ სიტყვაშეთანხმებებს შორის აღინიშნება აგრეთვე ანტონიმური წყვილები. თუმცა, მათი რიცხვი მეტად მცირეა. ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი კონსტრუქციები: *pájaro gorgo* (დიდი კაცი) ≠ *don nadie* (კაცუნა), *poner sobre las nubes* (ხოტბის შესხმა) ≠ *echar pestes* (უკანასკნელი სიტყვებით ღანძღვა), *sol poniente* (ჩასვლა) ≠ *sol naciente* (ამოსვლა), *con el corazón en la mano* (ღიად, აშკარად) ≠ *a cencerros tapados* (მაღულად, ფარულად), *corazón de oro* (რბილი, გულისხმიერი, გულითადი) ≠ *corazón de chacal* (უგულო, გულქვა ადამიანი) და სხვ.

ესპანურ ენაში არის თავისებური ფრაზეოლოგიური ანტონიმების განსაზღვრული რიცხვი, რომელთა შემადგენლობაში შედიან ზედსართავები: *bueno* ≠ *malo* და ზმნიზედები: *bien* ≠ *mal*. მაგალითად: *buen arte* (მარჯვე, მოხერხებული, მარიფათიანი) ≠ *mal arte* (მოუხერხებელი, უგერგილო), *hacer buena harina* (კარგად მოქცევა, რაიმე კარგის გაკეთება) ≠ *hacer mala harina* (ცუდად მოქცევა), *poner bien la pluma* (აზრის კარგად გადმოცემა, ფლობდე კარგად კალამს) ≠ *poner mal la pluma* (აზრის ცუდად გადმოცემა, კალამს ფლობდე ცუდად), *tener buena / mala sombra* (იყო იღბლიანი/უიღბლო ან მიმზიდველი/არამიმზიდველი), *de buen / mal temple* (კმაყოფილი/უკმაყოფილო ან მხიარული/ბრაზიანი), *bien/mal hablado* (კორექტული/არაკორექტული საუბარში) და ა.შ.

ასეთი კონსტრუქციების სტრუქტურა რჩება ერთმნიშვნელოვანი, იცვლება მხოლოდ აზრის მეტაფორიზებული ობიექტის ხარისხობრივი შეფასება: ერთ შემთხვევაში ის დადებითია, მეორეში – უარყოფითი). ასეთი ანტონიმური წყვილები შეიძლება მიგვეკუთვნებინა ფრაზეოლოგიური ვარიანტებისათვის, მათი მნიშვნელობები რომ არ წარმოადგენდნენ ურთიერთსაწინააღმდეგოსა და ურთერთგამომრიცხავებს. ზოგჯერ მსგავს წყვილებში ზედსართავები ნეიტრალიზდებიან და ორივე კონსტრუქცია გამოხატავს ერთი და იგივეს: *ser buena/mala pecora* (იყო გაქნილი გაიძვერა). რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მყარი შეთანხმებები უკვე აღარ წარმოადგენენ ანტონიმურ წყვილს და მიეკუთვნებიან ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს. *Bueno≠malo* კომპონენტებით გარეგნულად მსგავს კონსტრუქციებს შეიძლება სრულიად არ გააჩნდეთ სემანტიკური კავშირი ერთმანეთს შორის. მაგალითად: *tener buen aire* ნიშნავს “მოხდენილ, გრაციოზულ მიხვრა-მოხვრას”, ხოლო *tener mal aire* – “ცუდ, საშინელ ხასიათზე ყოფნას”.

ზოგიერთ სიტყვებს გააჩნიათ მრავალ მყარ სიტყვაშეთანხმებაში კომპონენტის სახით განმტკიცების უნარი. პოლიფრაზეულოგობა დამახასიათებელია კონკრეტული ლექსიკო-სემანტიკური ჯგუფის გარკვეული სიტყვებისათვის, რომლებიც აღნიშნავენ (ასახელებენ) სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების სახელებს, მოქმედებებს, მოვლენებს და ხარისხს. მაგალითად, სიტყვებისათვის, რომლებიც ასახელებენ ადამიანის ტანის ნაწილებს (cabeza, brazo, mano, cuello, boca, espalda, pelo და ა.შ.), ბუნებრივ მოვლენებს (agua, aire, fuego და ა.შ.), გადაადგილების, მოძრაობის, მქონებლობის და სხვა ზმნებისათვის (ir(se), andar, correo, entrar, hablar, decir, tener, coger, dar, poner, hacer, dejar და ა.შ.), ზედსართავებისათვის, რომლებიც ასახელებენ საგნებისა და მოვლენების ძირითად თვისებებს (bueno, malo, blanco, negro, grande და ა.შ.), ზმნიხედებისათვის (bien, mal და სხვ.), რიცხვითი სახელებისათვის (dos, cuatro და ა.შ.)

§ 38. ფრაზეოლოგიური ერთეულების ვარიაციები

ფრაზეოლოგიზმების ნიშან-თვისებების აღწერისას აღინიშნებოდა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელია ლექსიკური შედგენილობის მუდმივობა და კომპონენტებში განსაზღვრული გრამატიკული ფორმების განმტკიცება. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისებიც არსებობენ. მაგალითად, კონსტრუქციები: echar el toro და soltar el toro – ერთი და იგივე აზრს გამოვსატავენ (საყვედურის თქმა, გაკიცხვა). სემანტიკურად ერთნაირი მნიშვნელობისაა გამონათქვამები: dar la pelleja, dejar la pelleja, entregar la pelleja, perder la pelleja, soltar la pelleja (სიკვდილი, აღსასრული). ჩამოვთვალოთ მსგავსი ერთმანეთთან მიმართებაში მყოფი ფრაზეოლოგიზმები სინონიმებად, თუ მათი კავშირები განვსაზღვროთ როგორც განსაკუთრებული ენობრივი მოვლენა? რუსი მკვლევარები მსგავს ფაქტებს განიხილავენ როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების ვარიაციების გამოვლენას და არა როგორც სინონიმურობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი თვლიან, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შეუძლიათ არსებობა არ ერთ, არამედ ორ და მეტ ვარიანტში. ფრაზეოლოგიზმების ვარიაციების პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული გაიგივების ცნებასთან და საბოლოოდ არ არის გადაჭრილი. ფრაზეოლოგიაში დიდ სიძნელეს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ვარიანტებისა და ფრაზეოლოგიური სინონიმების, სემანტიკური ვარიანტებისა და პოლისემიის გამოიჯენა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში, ფრაზეოლოგიური ერთეულების ვარიანტებში იგულისხმება ისეთი მყარი სიტყვაშეთანხმებები, რომლებიც თანხედებიან ერთმანეთს

სტრუქტურით, შინაგანი ფორმით, კონსტანტო-ფრაზული მნიშვნელობით და განსხვავებიან რაიმე ლექსიკური კომპონენტებით ან გრამატიკული ფორმით.

ამ განსხვავებებიდან გამომდინარე ფრაზეოლოგიური ვარიანტები ერთმანეთისაგან განსხვავებიან ზოგიერთი ფორმალური ნიშნით და ინარჩუნებენ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის იგივეობას. რასაკვირველია, ფრაზეოლოგიზმების შესადარებელი ვარიანტების კომპონენტებისა და გრამატიკული მაჩვენებლების განსხვავებას შეიძლება თან ახლდეს უმნიშვნელო ნიუანსები, მაგრამ აღნიშნულ სახელმძღვანელოში მათ არ განვიხილავთ. საწყისი (მთავარი, ძირითადი) და წარმოებული (მეორადი) ვარიანტების გამორკვევის საკითხი კი უნდა გადაწყდეს ან დიაქრონიულად და საწყისად ჩაითვალოს ფრაზეოლოგიზმის ის ვარიანტი, რომელიც ენაში ადრე გაჩნდა ან სინქრონიულად, მაშინ ძირითადია ის, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში.

ფრაზეოლოგიური ვარიაციები არაერთგვაროვანია, არსებობს ფრაზეოლოგიური ვარიანტების რამდენიმე სახე:

1. ფრაზეოლოგიური ვარიანტები ლექსიკური ვარიაციებით, რომლებშიც იცვლება ფრაზეოლოგიზმში შემავალი ერთი-ერთი სიტყვა. ცვლადი კომპონენტი შედარებით მკაცრად არის ფიქსირებული ენობრივი ტრადიციით ე.ი. ისინი ფრაზეოლოგიურ ვარიანტებში ამჟღავნებენ სიმყარეს და იმყოფებიან განსაზღვრულ სემანტიკურ კავშირში ერთმანეთთან.

1. უწინარეს ყოვლისა, თავის თავისუფალ გამოყენებაში ეს კომპონენტები უმეტესწილად სინონიმებია. მაგალითად: *costar/valer un ojo de la cara* (ღირდეს რაღაც ძალიან ძვირი), *tomar/coger las de Villadiego* (გაქცევა, მოკურცხვლა), *mirar/ver con anteojos de aumento* (გაზვიადება, განჭკვრეტა), *llevar/ traer a las ancas* (ვინმეს რჩენა, კმაყოფაზე ყოლა), *castillo de cartas /de naipes* (არამტკიცე შენობა, ხუხულა), *ave tonta/zonza* (დოყლაპია, პირდაღებული), *salir por el arbolón/albañil* (თავის შერცხვენა, თავის მოჭრა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა) და ა.შ.

2. ისინი შეიძლება მნიშვნელობით ახლოს იყვნენ ერთ ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფში შემავალ სიტყვებთან: *atar/juntar/unis los cabos* (შეპირისპირება, ყველა გარემოების აწონვა, გამორკვევა), *dar/poner el pecho* (მიუშვირო მკერდი, ხიფათის პირისპირ წასვლა), *echar/soltar tacos* (ლანძღვა, წყევლა), *beber los vientos/aires* (მგზნებარე სურვილი) და ა.შ.

3. შესადარებელი კომპონენტები შეიძლება არ იყვნენ მიმართებაში სემანტიკურ ნიშან-თვისებებთან. მაგრამ, ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიური ვარიანტების შინაგანმა ფორმამ არ უნდა განიცადოს არსებითი ცვლილებები, ძირითადი მეტაფორული შინაარსი

შენარჩუნებულია შემდეგ ვარიანტებში: sentir/sufrir en carne propia (გამოსცადო, შეიგრძნო საკუთარ თავზე, ტყავზე), armar/levantar un caramillo (წამოიწყო კინკლაობა, ინტრიგა), hacer/tomar las once (წახემსება, წასაუზმება, ერთი ჭიქა სასმელის გადაკვრა), aguantar/pasar carros y carretas (ტანჯვა, წვალება, წუხილი), dar/dictar catedra (ლექსიცი წაკითხვა, ჭკუის სწავლება) coger agua en cesto/en harnero (ფუჭი შრომა, საცრით წყლის ამოღება), a duras/graves/malas penas (დიდი ძალისხმევით, ძლივ-ძლივობით) და ა.შ.

4. შესაძლოა ფრაზეოლოგიურ ერთეულების აღნიშნული ტიპის ვარიანტების სხვადასხვა კომბინაციები: conducir/llevar/traer en andas (ხოტბის შესხმა, ცაში აყვანა), dar/entregar/dejar/perder/soltar la pelleja, delover/volver/rechazar la pelota (სამაგიეროს გადახდა), arrojar/echar/poner a los pies de los caballos (სიძულვილი, დამცირება, შეურაცყოფის მიყენება) და ა.შ.

ლექსიკური ვარიაციები განსაკუთრებით გავრცელებულია ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში. აქტიურად ვარიანტებენ მდგომარეობის, გადაადგილების, საუბრის ნომინატური მნიშვნელობების ზმნები.

რასაკვირველია, ამა თუ იმ ვარიანტის გამოყენება განსხვავდება სიხშირითა და სიტუაციური ამომრჩევლობით. ვარიანტების გამოყენებაში მკვლევარები გამოყოფენ სამ ტენდენციას: 1. ვარიანტების კომპონენტები თავისუფლად ცვლიან ერთმანეთს და ენაში წარმოადგენენ თანაბრად გამოყენებულებს; 2. ვარიანტების განსხვავებული გამოყენების სიხშირე; 3. ვარიანტების ამორჩევითობა მეტყველებაში.

ლექსიკური ვარიაციების ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს შორის უნდა გამოვყოთ განსაკუთრებული ჯგუფი. მასში შედიან ის ვარიანტები, რომლებიც განპირობებულია ესპანური ენის სპეციფიკით, რომელშიც შერწყმულია ნაციონალური ეროვნული ვარიანტები. თავად ესპანურ ენის ვარიაციები მოქმედებენ თითოეული ესპანურენოვანი რეგიონის ფრაზეოლოგიის ფორმირებაზე. ამიტომ, მაგალითად, მექსიკაში, არგენტინაში ან ნებისმიერ ესპანურენოვან ქვეყანაში შეიძლება აღმოჩნდეს ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ახდენენ ესპანეთის ან სხვა რომელიმე ზონის მყარი სიტყვაშეთანხმების ვარიანტებს. ასეთი ფრაზეოლოგიური ვარიანტები შეიძლება განისაზღვროს როგორც ნაციონალური. ნაციონალური ვარიანტები ყველაფერში თანხედება ჩვეულებრივ ვარიანტს, გარდა ერთისა: ნაციონალური ფრაზეოლოგიური ვარიანტები გამოიყოფა არა ყველასათვის ზოგადი ესპანურენოვანი ფრაზეოლოგიური ფონდიდან, არამედ ესპანური ენის განსხვავებული ნაციონალური ვარიანტების დონეზე. ჩვეულებრივ, ნაციონალური ფრაზეოლოგიზმის ვარიანტები წარმოიქმნება პირენეის ნახევარკუნძულის ფრაზეოლოგიზმების საფუძველზე. ლათინოამერიკულ კონსტრუქციაში კომპონენტებიდან

ერთ-ერთი (ზოგჯერ მეტიც) წარმოადგენს ლექსიკურ ამერიკანიზმს, რომელიც ხშირად ინდიური წარმომავლობისაა. განვიხილოთ ვარიანტები “ზმნა + არსებითი სახელი” მყარი კონსტრუქციის მაგალითზე. მსგავს ვარიანტებში პირენის ფრაზეოლოგიზმებს ძირითადად კომპონენტებს შეესაბამებოან ამერიკანიზმები ან ინდიენიზმები:

Dar calabazas (ესპანეთი) = dar ayotes (გვატემალა) = გარიგების უარყოფა, საქმროს უარყოფა;

Matar el gusano (ესპანეთი) = matar el pirgüín (ჩილე) = უზმოზე სპირტიანი სასმელის დაღვევა, პატარა ჭიქით სასმელის გადაკვრა.

აღნიშნულ მაგალითებში პირენეული და ლათინოამერიკული ძირითადი კომპონენტები წარმოადგენენ სინონიმებს: სიტყვა ayote აცტეკური წარმოშობისაა და აღნიშნავს “გოგრას”, ხოლო pirgüín ნასესხებია არაუკანულიდან და ასახელებს კოლხატური ჭიების ერთ-ერთი სახეობას.

განხილული ფრაზეოლოგიური ვარიანტების შესაბამისი კომპონენტები ხშირად არ წარმოადგენენ სინონიმებს და მიეკუთვნებიან ერთ ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფს ან დაკავშირებულია ერთმანეთთან მეტაფორულად. უკანასკნელ შემთხვევაში ლათინოამერიკული რეალიები მიმსგავსებულია პირენეულ არსებით სახელებთან, დასახელებული ობიექტების გარეგნულ, ფუნქციონალურ, ასოციაციურ ნიშან-თვისებებთან. ზემოთქმულის დასამტკიცებლად მოვიყვანო შემდეგ მაგალითებს: (კაპიტალის შექენა, გამდიდრება), (გაფუჭება, საქმის წახდენა), (გახვრეტილ შაურადაც არ ღირს), (შეუძლებლის მოთხოვნა) და ა.შ. **გვ. 162.**

აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ სიტყვაშეთანხმებებში შემავალი ამერიკანიზმები თავის ნომინატურ მნიშვნელობაში ასახელებენ: arepa – სიმინდის კვერის ნაირსახეობა, tomal-ნამცხვარი ან სიმინდის კვერი, cacahuete – მიწის თხილი, cacao – კაკაოს ნაყოფი, coco –ქოქოსი, güasima – ტუის ხის ერთ-ერთი სახეობა.

2. ფრაზეოლოგიური ვარიანტები ლექსიკო-გრამატიკული ვარირებით, რომლებიც განსხვავდებიან კომპონენტების რაოდენობით. რიგ შემთხვევებში ასეთი ვარიანტები წარმოადგენენ ფრაზეოლოგიზმების ორ ფორმას: სრულს და რედუცირებულს (შემოკლებულს). მაგალითად, bailar el agua delante – bailar el en agua (გულის მოგება, პირფერობა, ლაქუცი), estar bailando en Belén - estar en Belén (ღრუბლებში ყოფნა), vivir en Belén con los pastores – vivir en Belén (არაამქვეყნიური), tener el riñon bien cubierto – tener el riñon (მდიდარი, შეძლებული), tener venas de loco – tener venas (ახირებული, ხუშტურიანი, უცნაური), echar venablos por la boca – echar venablos (გინება, ლანძღვა, ძალიან გაბრაზებული), en vivas carnes – en carnes (დედიშობილა, შიშველი), cazador de conejos en el plato – cazador en el plato

(ვაი-მონადირე). ამ ვარიანტებში განსხვავებული სისრულით არის გამოხატული მათი მეტაფორული შინაგანი ფორმა, მაგრამ ეს არ ცვლის თვით შინაგან ფორმას, თუნდაც იმიტომ, რომ ორივე ფრაზეოლოგიური ვარიანტი დაფიქსირებულია ენის მატარებელთა შეგრძნებაში.

ლექსიკო-გრამატიკული ფრაზეოლოგიური ვარიანტები აგრეთვე წარმოიქმნებიან მიმართებითი ზედსართავი სახელისა და მასთან სინონიმური შეთანხმებით “de + არსებითი სახელი ვარირებით”: ave rapaz (rapiega) - ave de rapiña (მძარცველი, გაიძვერა, გაქნილი, მოხერხებული, კვაჭი), bañarse en agua rosada – bañarse en aguas de rosa (სიამოვნების მწვერვალზე ყოფნა, მეშვიდე ცაზე ყოფნა), lobo marino – lobo de mar (გამობრძმედილი მეზღვაური, გამოცდილი მეზღვაური) და სხვ.

3. ფრაზეოლოგიური ვარიანტები გრამატიკული ვარირებით, რომლებშიც იცვლება კომპონენტის მორფოლოგიური ან სინტაქსური ფორმა და/ან ვარირებას განიცდიან არტიკლები, წინდებულები, ნაცვალსახელები. ასეთი ვარიანტებისათვის ხშირად დამახასიათებელია სრულად ურთიერთშეცვლა ერთ-ერთი მათგანის, ამორჩევიტობა ხშირად დამოკიდებულია მოსაუბრის ინდივიდუალურ ჩვევებსა და მიდრეკილებაზე. უმეტესად დამახასიათებელია შემდეგი სახის გრამატიკული ვარიაციები:

ა) ერთ-ერთი არტიკლის ამოვარდნა: tomar las viñas – tomar viñas (გაქცევა, მოკურცხვლა), tener las velas – tender velas (მომენტით სარგებლობა, შემთხვევის გამოყენება), a una vuelta de cabeza – a vuelta de cabeza (ერთ წამში, მომენტალურად) და ა.შ.

ბ) განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების ცვლა: pintar el venado – pintar un venado (გაკვეთილების გაცდენა, გაპარვა გაკვეთილებიდან, მექსიკაში), dar la campanada – dar una campanada (წამროშვა, თქვა ან გააკეთო სისულელე), tomar el rizo – tomar un rizo (მანევრირება, 180 გრადუსით შემობრუნება) და ა.შ.

გ) არტიკლის შეცვლა ნაცვალსახელით: abrir el pecho - abrir su pecho (გულის გადაშლა, გულის გახსნა), tener sano el pecho – tener sano su pecho (სუფთა სინდისი) და ა.შ.

დ) კომპონენტების რიცხვის ფორმის შეცვლა: dar en la vena – dar en las venas (ზუსტი ხერხის პოვნა), traer sobre ojo –traer sobre ojos (ეჭვი, გუმანი, გეჭიროს თვალი ვინმეზე), traer en su mano – traer en sus manos (ვინმეზე ზეგავლენა, გყავდეს ვინმე დაქვემდებარებაში) და ა.შ.

ე) აფიქსალური ვარირება: ser el ojo derecho – ser el ojito derecho (გამორჩეულად საყვარელი), en volandas –en volandillas (ერთ წამში, სწრაფად), con boca chica – con boca chiquita (უხალისოდ, არაწრფელი, არაგულწრფელი) და ა.შ.

ვ) წინდებულების ურთიერთგაცვლა: poner tierra en medio – poner tierra por medio (გაქცევა, გაპარვა), echar a/por/en tierra (ჩაშლა, ჩაფუშვა გეგმების) და ა.შ.

ზ) უარყოფითი ნაწილაკი no-ს ფაკულტატიური გამოყენება: no importar una higa – importar una higa (რაიმეს მნიშვნელობის უგულებელყოფა): (no) le importa una higa este asunto; no darse un bledo – darse un bledo (იყო გულგრილი რაიმეს მიმართ): (no) se le da un bledo por (de) este lienzo) და ა.შ.

თ) კომპონენტების ინვერსია : todo a lo ancho – a todo lo ancho (მთელი სიგრძე-სიგანით), de vez en cuando – de cuando en vez (იშვიათად, დროდადრო, ზოგჯერ), a duras penas – a penas duras (გაჭირვებით, ძლივსძლივობით) და ა.შ.

რასაკვირველია, შესაძლებელია გრამატიკული ვარიაციების სხვა სახეებიც და რაც მთავარია, მრავალფეროვანი შერეული ვარიაციები. მაგალითად, echar a la cara – echar en la cara – echar en cara (საყვედური, დადანაშაულება). გვ. 163-164.

- გამორჩენა სხვის უბედურებაზე, დავარდნილის ცემა
- უღრეკობა, შეუპოვრობა, მტკიცედ, დარწმუნებით
- უსიამოვნო ისტორიაში გახვევა, საჩოთირო საქმე

განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ვარიანტებს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ცვლადი ფორმით. ეს ობლიგატორული და არაამორჩევითი ვარიანტებია. ვარიაციები ნაკარნახევია შეთანხმების აუცილებლობით: ნაცვალსახელები უნდა შეეთანხმებოდეს იმ პირის გრამატიკულ ფორმას, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. მაგალითად: a mis (tus, sus) anchas (თავისუფლად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, თავის სიამოვნებისათვის): გვ. 164

- ვინმეს მოთმინებიდან გამოყვანა (გვ.164)
- მიაღწიო შენსას, თავისის გატანა (გვ.164)

§ 39 ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია

ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის სემანტიკური და გრამატიკული ხასიათით არაერთგვაროვანია, რაც აძნელებს ფრაზეოლოგიის დაყოფას ტიპებად და სახეობებად და წარმოქმნილის ფრაზეოლოგიური შეთახმებების რამდენიმე კლასიფიკაციას.

XIX საუკუნეში და უფრო ადრეულ პერიოდშიც ფილოლოგების ყურადღებას იპყრობდა მეტყველების მყარი კონსტრუქციები. ისინი აფიქსირებდნენ მათ ლექსიკონებში და განმარტავდნენ მათ მნიშვნელობების, მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მოხდა ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრის თეორიული გააზრება. პირველი ცდები ამ წამოწყებაში ფრანგ მეცნიერს შარლ ბალის ეკუთვნის, რომელმაც დაასაბუთა ფრაზეოლოგიზმების სპეციალური ანალიზის აუცილებლობა, შემოგეთავაზა მათი სპეციფიკის განმარტება და ფრანგული ფრაზეოლოგიის კლასიფიკაცია. შარლ

ბალისათვის მყარ კონსტრუქციაში ძირითადია - მათი ლექსიკური ერთეულების სემანტიკური შერწყმის ხარისხი და სიტყვის სრულად გამოხატული გაგების ეკვივალენტურობა. ის მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ფრაზეოლოგიზმების არსს შიდასემანტიკური თავისებურებები შეადგენენ. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით მან ფრანგული ენის მყარი შეთანხმებები დაყო 2 ნაწილად: **ფრაზეოლოგიური სერიები (seris phraseologiques)** და **ფრაზეოლოგიური ერთიანობა (unites phraseologiques)**.

შ. ბალის ფრაზეოლოგიურმა გამოკვლევებმა დასავლეთ ევროპულ ენათმეცნიერებაში ვერ ჰპოვა განვითარება. ამ სფეროში მოღვაწეობა საბჭოთა ლინგვისტიკმა განაგრძეს, რომლებმაც 50-70 წლებში მსოფლიო ხალხების სხვადასხვა ენებში ფართოდ და ღრმად შეისწავლეს მყარი სიტყვაშეთანხმებები. რუსული ფრაზეოლოგიზმების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ვინაგრადოვს, რომელიც თავის სწავლებაში გამომდინარეობდა იქიდან, რომ ფრაზეოლოგიზმები - ეს მეტყველებაში კვლავწარმოებული სიტყვის მყარი შეთანხმებებია. ამასთან, მისი სიმყარე წარმოიქმნება ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების შემადგენელი ლექსიკური ერთეულების სემანტიკურად ახლებური გააზრების შედეგად. თავის კლასიფიკაციაში ის გამოყოფს მყარი შეთანხმებების სამ ძირითად ჯგუფს: **ფრაზეოლოგიური შეთანხმებები, ფრაზეოლოგიური მთლიანობა და ფრაზეოლოგიური შერწყმა.**

ვინაგრადოვის მიერ შემოთავაზებულმა კლასიფიკაციამ გარდა დადებითი შეფასებისა, მიიღო ბევრი კრიტიკული შენიშვნაც. მის მიერ წამოყენებული ფრაზეოლოგიზმების დაყოფის კრიტერიუმები არ არის ამომწურავი და უნივერსალური, ხოლო შეთანხმებების ზოგიერთი ტიპების განსაზღვრებასთან მიდგომა სუბიექტურია და არასაკმარისად მოტივირებული. ვინაგრადოვის კლასიფიკაცია ატარებს ზოგად ხასიათს და აგებულია მხოლოდ ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების სემანტიკურ შერწყმის ხარისხის გათვალისწინებით. მის კლასიფიკაციაში არ არის გათვალისწინებული განსხვავებული ფრაზეოლოგიზმების გრამატიკულ-სემანტიკური თავისებურებები.

თუმცა, ეს შენიშვნები არ ამცირებენ აკადემიკოს ვინაგრადოვის ფუნდამენტალურ წვლილს სამამული ფრაზეოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებაში. სწორედ მისი შრომების გამოქვეყნებას მოჰყვა მრავალი დისერტაცია, შრომა, პუბლიკაცია და წიგნი მიძღვნილი მსოფლიოს სხვადასხვა ენების ფრაზეოლოგიური სიმდიდრისადმი. ფრაზეოლოგიური ერთეულების თითქმის ყველა დაყოფას საფუძვლად დაედო ვინაგრადოვის კლასიფიკაცია.

ეპსანური ფრაზეოლოგიის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია ცნობილი ლექსიკოგრაფის, ლიტ. კრიტიკოსის და დიპლომატის ხულიო კასარესის სახელთან. თავის

წიგნში “თანამედროვე ლექსიკოგრაფიის შესავალი” ის სიტყვაშეთანხმებების ჰყოფს სამ ძირითად ტიპად: გვ. 166

ტერმინით Locución (გამოთქმა) კასარესი აღნიშნავს “ორი ან მეტი სიტყვის მყარ შეთანხმებას, რომელიც ფუნქციონირებს როგორც განსაზღვრული მეტყველების ნაწილი, რომლის ერთიან აზრს არ წარმოადგენს შემადგენელი კომპონენტების ჩვეულებრივი მნიშვნელობების ჯამი”. კასარესის ეს განსაზღვრება შეესაბამება ვინაგრადოსის “ფრაზეოლოგიურ ერთეულებს”

Frases proverbiales (პროვერბიალური შეთანხმებები ანუ ანდაზური ფრაზები)-ს უკავიათ ვრცელი ზონა “მერყევი ზღუდეებით”, რომელიც დევს გამოთქმებსა და ანდაზების სფეროს შორის. გვ.166. No se ganó Zamora en una hora, se armó la de San Quintín. კასარესი წერის, რომ se armó-ს მაგივრად რომ ყოფილიყო se ha armado ან se armará ან se está armando la de San Quintín, მაშინ ეს უკვე იქნებოდა ზმნური გამოთქმა და არა ანდაზური ფრაზა.

ჩვეულებრივი გამოთქმებისაგან განსხვავებით, frase proverbial ყოველთვის წარმოადგენს დამოუკიდებელ წინადადებას, რომელიც “ოდესღაც ითქვა ან დაიწერა და მოყვანილ ვითარებაში ენაში მისი გამოყენება წარმოადგენს თავისებურ ციტირებას ან შესხენებას. ისინი გარკვეული ხარისხით მსგავსნი არიან იმათთან, რომლებმაც განაპირებოს მოცემული შეთანხმებების არსებობა”. პროვერბიალური შეთანხმების გამომხატველობითი ძალა არა შემადგენელ სახეებშია, არამედ პარალელიზმში, რომელსაც განსაზღვრული სიტყვები ადგენენ წარსულიდან აწმყო დროში. კასარესის მიხედვით, ანდაზური შეთანხმება სათავეს იღებს წარსულის ერთ-ერთი რეალური ან მოგონილი ამბიდან. ისტორიულად frases proverbiales ამოღებულია რაღაც ტექსტიდან, რომელიც დაკავშირებულია წარსულში მომხდარ მოვლენასთან, ამბავთან, ლეგენდასთან ან რომელიმე პიროვნების მიერ ჩადენილ დიად საქმეებთან და სხვ.

პროვერბიალური შეთანხმებებისაგან განსხვავებით, refrán (ანდაზა) არის სრული და დამოუკიდებელი გამონათქვამი, რომელიც პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობისაა და ჩვეულებრივ დამრიგებლური და აღფეროიული ფორმით გამოსატავს აზრს, გამოცდილების შედეგს და დარიგებას მსჯელობის სახით, რომელშიც შეთანხმებულია არანაკლენ ორი ცნება (გაგება).

ასეთია ზოგადად ხულიო კასარესის მიერ შემოთავაზებული ესპანური ენის მყარი სიტყვაშეთანხმებების დაყოფის ძირითადი სახეები. ავტორი დაწვრილებით აანალიზებს თითოეულ ტიპს, მაგრამ აღნიშნულ სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს locuciones ანუ ფრაზეოლოგიური ერთეულები. კასარესი მათ ყოფს კლასებად, სახეობებად და ქვესახეობებად. დაყოფისას ის ეყრდნობა ფრაზეოლოგიების

ფუნქციონალურ გრამატიკულ ნიშან-თვისებებს, ამიტომ ერთი და იგივე სახეობაში გაერთიანებულია ერთი გრამატიკული ფუნქციის მქონე, შიდასემანტიკური ხასიათის მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ის გამოდის გამოთქმების მხოლოდ “გარეგნული ფორმიდან”, გამომდინარე იმ როლიდან, რომელსაც ისინი არსულებენ წინადადებაში და პირველ რიგში ითვალისწინებენ ფრაზეოლოგიზმების მეტყველების რომელიმე ნაწილთან ეკვივალენტურობას. ამაზე მეტყველებს თვით სახეობების სახელებიც: ნომინატური (სახელობითი), ზმნური, ადექტივური, ნაცვალსახელიანი და ა.შ.

სრულიად აშკარაა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დაედოს სხვა ნიშან-თვისებები: შიდასემანტიკური, შიდაგრამატიკული (სტრუქტურული), ფუნქციონალური, სტილისტური, ეტიმოლოგიური და სხვ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში განვიხილავთ მხოლოდ ორ კლასიფიკაციას.

I. **სემანტიკური კლასიფიკაცია** - მას საფუძვლად უდევს გვ. ვინაგრადოვის კლასიფიკაციური სქემა და ეყრდნობა ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტების სემანტიკური შერწმისა და მისი მნიშვნელობის მოტივაციის ხარისხებს.

1. ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური შეთანხმებები (გვ.167) – ადვილი შესამჩნევია არსებითი განსხვავება შემდეგი ორი ტიპის ფრაზეოლოგიზმებს შორის. მაგალითად, ერთის მხრივ: traer del cabestro (ძალით თრევა, ქამანდით), perder la cabeza (თავდაჭერილობის, თავშეკაავების დაკარგვა), pelar la pava (თავაზიანად მოქცევა, ლოლიაობა), mosca muerta (ჩუმჩუმელა, თვალთმაქცი, ფარისეველი), media naranja (მორე ნახევარი), de medio pelo (საშუალობა, უფერული) და მეორეს მხრივ: dar miedo (დაშინება, შიშის მოვგრა), hacer burla (გამასხარევება, გაქილიკება, დაცინვა), tener razón (მართალი, უდანაშაულო), poner en duda (ეჭვის ქვეშ დაყენება), desencadenar la guerra (ომის გაჩარება), dar de bofetadas (სილის გაწნა), talento (უზარმაზარი (პირდ. თარგმნა: “მხეცური”) ტალანტი), situación delicada (უხერხული, დელიკატური სიტუაცია), hambre canina (მგლის მადა, პირდაპირი თარგმანი: ძაღლური შიმშილი) და სხვ.

პირველი ტიპის კონსტრუქციები სრულიად ახლებურად არის გააზრებული. მათი შემადგენელი სიტყვები კარგავენ თავის დამოუკიდებლობას, “იხსნებიან” (განზავდებიან) მთლიან მნიშვნელობაში და კვლავ იწარმებიან, როგორც მყარი ენობრივი ერთეულის ნაწილი. სხვაგვარადაა საქმე მეორე ტიპის გამოთქმებში. მათზე არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოქმნილია თავისუფალი სიტყვაშეთანხმების სრული ახლებური გააზრებით, მათში მხოლოდ dar, hacer, tener, poner, desencadenar, bestial, delicado da canino –ს ძირითადი მნიშვნელობები იცვლიან სახეს, ხოლო სიტყვები – miedo, burla, razón, duda, guerra, bofetadas, talento, situación და hambre გამოყენებულია თავისი ჩვეულებრივი ძირითადი მნიშვნელობით.

მსგავსი სიტყვაშეთანხმებების წარმოქმნისას ახლად გაიაზრება მხოლოდ მისი ერთი კომპონენტი, რომელსა თავისი კონრეტული ნიშან-თვისებები გადააქვს აბსტრაქტულ საგნებზე. ამ გადატანის საფუძველზე ერთიანობაში (მთლიანობაში) მოდის კონსტრუქციის ლექსიკური ერთეულები. ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური შეთანხმებებების მთლიანობა და მნიშვნელობა წარმოიქმნება და ყალიბდება ნიშან-თვისებებისა და მოვლენების კავშირით, რომელიც ადრე შეუთავსებლად იყო მიჩნეული. ამიტომ სიტყვები, რომლებიც ასახელებენ მოვლენებს, გამოიყენება თავისუფალ მნიშვნელობებში, ხოლო სიტყვები, რომლებიც აღნიშავენ მოქმედების ან ხარისხის ნიშან-თვისებას, იხრებიან თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან და შეთანხმებამ დაიწყო კვლავ წარმოება მყარ ფორმაში. თუმცა, ასეთ გამოთქვებში მიუხედავად მათი მთლიანობისა, მხოლოდ ერთი სიტყვა რჩება არათავისუფალი, დამოკიდებული სიტყვებზე, რომლებიც მასთან ერთად წარმოქმნიან ფრაზეოლოგიზმებს. ამ მნიშვნელობას უწოდებენ ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულს. იგი ვლინდება მხოლოდ განსაზღვრულ სიტყვებში და გამოსატყვევ სინამდვილეს მხოლოდ მათ შემადგენლობაში.

მაგალითად, ზმნა *desencadenar* ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობა “დაწყებას” ახორციელებს პრაქტიკულად მხოლოდ ერთ ფრაზეოლოგიზმში: *desencadenar la guerra*, რაც ნიშნავს ომის გაჩაღებას, ხოლო მეორე მნიშვნელობას “რაიმე გრძნობის გამოწვევა” – რამდენიმე შეთანხმებაში: *desencadenar ira, pasiones, odio* და ზოგიერთ სხვებში.

ზედსართავი სახელი *canino* “ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი” გამოიყენება მხოლოდ შემდეგ ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციაში: *hambre canina*, ხოლო ზედსართავი სახელი “თხოულობს დიდი წინდახედულობას, ტაქტს” მნიშვნელობით ფიქსირებულია რამდენიმე ისეთ ფრაზეოლოგიურ შეთანხმებაში, როგორცაა: *asunto delicado, cuestión delicada* და *situación delicada*. ზმნა *poner* კონსტრუქციაში *poner + en +* არსებითი სახელი ახორციელებს რამდენიმე ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მხოლოდ ორ მათგანს:

ა) ჩააყენო ვინმე რაიმე მდგომარეობაში, ჩვეულებრივ უარყოფითში: *poner en peligro, aprieto, tortura, apuro, ridículo* და ა.შ.

ბ) მოიყვანო ვინმე (რამე) მოქმედების მდგომარეობაში: *poner en movimiento, marcha, actividad, fuga, juego, funciones, obra* და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სიტყვების ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა მუდამდგება რამდენიმე ფრაზეოლოგიზმში. რამდენიმე ასეთი კონსტრუქცია ჯგუფდება ერთი მნიშვნელობის გარშემო და წარმოქმნის ფრაზეოლოგიურ სერიას. მაგალითად, ზმნა *dar* მნიშვნელობით “მიაყენო დარტყმა ვინმეს, რამეს” მოდელში *dar + de +* დარტყმის

დასახელება (იშვითად დარტყმის იარაღი) წარმოქმნის საკმაოდ ფართო ფრაზეოლოგიურ სერიას: dar de golpes და ა.შ. გვ. 169

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას გააჩნია უნარი განსაზღვრული სიტყვების თავისუფალ სიტყვაშეთანხმებებთან ერთად წარმოქმნას ერთიანი (მთლიანი) ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეული. მაგალითად, ამ ტიპის ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში ზმნა თითქოს “ფანტავს” თავის კონკრეტულ-საგნობრივ შინაარს და მთელ შეთანხმებას აძლევს ზმნის ნიშან-თვისებებს, ხდის “ზმნურად”, ამასთან ინარჩუნებს თავის გრამატიკულ ფორმას, ხოლო არსებითი სახელი “ადაბლებს, ამცირებს” თავის გრამატიკულ ნიშან-თვისებებს და ინარჩუნებს თავის სემანტიკას, რომელიც ახლა უკვე ხდება მთელი ფრაზეოლოგიზმის ძირითადი შინაარსი. ასეთი “გავლენის სფეროების” განაწილება გამოიხატება ფრაზეოლოგიზმების და ზმნების სინონიმიაში: dar susto – asustar და ა.შ.

ამგვარად, ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური სიტყვაშეთანხმებები - ეს არის მეტყველების მყარი კონსტრუქციები, რომლებშიც წარმოებს ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობების რეალიზაცია. ამგვარია ამ ლექსიკური ერთეულების მეტად ზოგადი განსაზღვრება.

ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური შეთანხმებები წარმოდგენენ მეტად მრავალრიცხოვან, რთულ და ესპანისტიკაში ნაკლებად შესწავლილ მყარ კონსტრუქციებს.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური შეთანხმებები, მიუხედავად მათი მეტაფორული წარმოშობისა და სტილისტური ელფერისა, თითქმის მთლიანად მოკლებულია გამოხატულებით მნიშვნელობას.

2. ფრაზეოლოგიური მთლიანობა, ერთიანობა (unidades fraseológicas). ანალიტიკურ-ფრაზეოლოგიური სიტყვაშეთანხმებების ფონზე სხვა დანარჩენი ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოგვიდგება როგორ სემანტიკურად უფრო შერწყმული. ფრაზეოლოგიური მთლიანობა წარმოიქმნება თავისუფალი სიტყვაშეთანხმებების სრულად, ახლებურად გააზრებით. მათში შეთავსებულია ორი კომუნაციური ფუნქია: აზრობრივი ობიექტის ნომინაცია და მისი დახასიათება. ამასთან, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძირითადს. მიტომ, ფრაზეოლოგიური მთლიანობა წარმოადგენს ნეიტრალური სიტყვების სტილისტური ელფერის სინონიმებს. ფრაზეოლოგიური მთლიანობის განმასხვავებელ თავისებურებას მისი შინაგანი ფორმის შენარჩუნება და ქმედითობა წარმოადგენს. ამ ერთეულებისათვის დამახასიათებელია მათი მნიშვნელობის შეპირისპირებისას თავისუფალ შეთანხმებასთან (მის აზრთან), ადამიანთა შეგერძნებაში წარმოიქმნება გამოხატული ასოციაცია, რომელიც გარკვეულწილად განმარტავს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას.

მაგალითად, tonel sin fondo (უამრავი, ურიცხვი, უძირო კასრი), bolsa rota (უყაირათი, მფლანგველი, ბედოვლათი), terreno abonado (ნაყოფიერი ნიადაგი, ხელსაყრელი წრე), hacer harina (ცემა, გალახვა, დაბეგვა), cerrar las filas (შემჭიდროვება, დარაზმვა), estar frito (ხათალაბაში ჩავარდნა, გაბმა), medito en harina (გატაცებული), hecho un pollo (სველი, დასველებული), duro de cabeza (ჯიუტი, შუბლმაგარი), de quita y pon (ასახსნელი, მოსახდელი, დასაშლელი, მოსადგმელი), de rompe y raja (მარჯვე, მკვირცხლი, დარდიმანდი, უღარდელი, თავზეხელადებული), como abeja en flor (ლაღად, თავისუფლად, როგორც თევზი წყალში), a sangre caliente (ცხელ გულზე), de parlas (ჩინებულად, შესანიშნავად), donde el diablo perdió su poncho (შორს, ცხრა მთას იქით – ლათინური ამერიკა) და ა.შ.

თითოეულ ამ ფრაზეოლოგიზმს გააჩნია ტრადიციით განმტკიცებული კონსტანტო-ფრაზეული მნიშვნელობა და მასთან შესაბამისი და მისი წარმომშობი თავისუფალი სიტყვაშეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ფრაზეოლოგიური მთლიანობის შინაგან ფორმას. მეტაფორული გამოყენების დროს მითითებული თავისუფალი შეთანხმებები ერთი მატერიალურ ფორმაში “მაღავენ” ორ შესაძლო შინაარს – პირდაპირს და გადატანითს (მეტაფორულს). დროთა განმავლობაში მოხდა თითქოსდა “ ” ერთი ფორმისა მეორესაგან, მსგავსად, მარტივ სიტყვებში პოლისემიის დაშლის საფუძველზე ომონიმების წარმოქმნისა. ოკაზიონალური გადატანითი გამოყენების სფეროდან შეთანხმება თანდათან გადავიდა ენის საშუალებათა მყარი ნომინატების სფეროში და კონსტრუქციაში განმტკიცდა ენის მთლიანობაში შეცნობითი განსაზღვრული მნიშვნელობა. ფრაზეოლოგიური მთლიანობისა და მისი “ორეულის” ომონიმის სპეფიციკა იმაში მდგმარეობს, რომ თავისუფალი სიტყვაშეთანხმებები (რომელიც წარმოადგენს ფრაზეოლოგიური მთლიანობის გენეტიკურ საფუძველს) რჩება მის შინაგან ფორმად და განაპირობებს მისი გამოხატულების აღქმას.

ამგვარად, ფრაზეოლოგიურ მთლიანობა – ეს არის მყარი სიტყვაშეთანხმება, წარმოქმნილი თავისუფალი ლექსიკური სიტყვაშეთანხმების სრული, ახალი გააზრებით, რომელსაც გააჩნია კონსტანტო-ფრაზეული მნიშვნელობა და შინაგანი ფორმა.

II. ფუნქციონალურ-გრამატიკული კლასიფიკაცია. ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტების შიდასემანტიკური და სტრუქტურული კავშირები განსაზღვრავენ მის გრამატიკულ ხასიათს და ფუნქციონალურ შესაბამისობას ამ თუ იმ მეტყველების ნაწილთან. გრამატიკულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხულიო კასარესმა ესპანურ მყარი სიტყვაშეთანხმებები სიტყვასთან მიმართებაში დაყო რამდენიმე სახეობად. პირველ რიგში ხ. კასარესმა გამოყო ფრაზეოლოგიზმები, რომელებიც ასრულებენ მეტყველების ნაწილის მნიშვნელოვან ფუნქციას იმ კონსტრუქციებიდან, რომელიც წარმოადგენილია

თანდებულებითა და კავშირებით. ასე წარმოიქმნა ფრაზეოლოგიური ერთეულების ორი ტიპი: მნიშვნელოვანი და მაკავშირებელი, დამხმარე (გვ.177).

მნიშვნელოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის ის გამოყოფს შვიდ სახეობას:

1. **სუბსტანტური ანუ სახელობითი**, რომლებიც აღნიშნავენ პირებს, საგნებს, მოვლენებსა და ეკვივალენტურებია არსებით სახელებთან: alma de cántaro (სულელი, რეგენი), fuerza pública (პოლიცია), gallina ciega (დასუჭობა), el perro del hortelano (ძალი თივაზე), moco de pavo (უბრალო, უმნიშვნელო რამ), caldo de gorra (ფარისეველი, ქვეშ-ქვეშა), calderas de Pedro Botero (ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთური ცეცხლი, ალი), el lecho de Procrustes (პროკრუსტოვოს სარცელი), manzana de discordia (განხეთქილების ვაშლი), las once mil vírgenes (ოსპი) და ა.შ.

სუბსტანტური ფრაზეოლოგიზმები თავისი სტრუქტურითა და ფუნქციებით არაერთგვაროვანია. მათ შორის მართებულია განვასხვავოთ: მახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები (Locuciones caracterizadoras) და ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones nominadoras). ეს არის შემდეგი ტიპის შეთანხმებები: გვ.177 cabo de vara (დესპოტი, თავნება), pájaro gordo (დიდი ვინმე), aguas calientes (აბდაუბდა, უბრალო რამ), puchero de grillos (დომხალი, არეულ-დარეულობა) და ა.შ. ეს ფრაზეოლოგიზმები არ ასახელებენ კონკრეტულ საგანს, პირს, ქცევას ან მოვლენას და გამოხატავენ ცნებას ნებისმიერ საგანზე, ცოცხარ არსებაზე ან სინამდვილის ფაქტზე, რომლებიც მოვიდნენ განსაზღვრულ მდგომარეობაში ან გააჩნიათ რაიმე სპეციფიური თვისება ე.ი. ისინი ასახელებენ მხოლოდ მდგომარეობას ან ხარისხს. ამიტომ, ასეთი ფრაზეოლოგიზმები ახასიათებენ ძალზე განსხვავებულ საგნებს, ცოცხალ არსებებს, მოვლენებს, მოქმედებებს და ა.შ. ასეთი ფრაზეოლოგიზმების ცოდნისას, ძნელი მისახვედრია, თუ რომელ აზრობრივ საგანთან არის ის თანაფარდობაში.

მახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოხატავენ აბსტრაქტულ ცნებებს და ექსტრალინგვისტურ მატერიალურ ობიექტებთან კონკრეტულ შესაბამისობას იძენენ მხოლოდ სასაუბრო მეტყველებაში. ისინი ასახელებენ ნივთებს, არსებებს, მოქმედებებს, რომლებიც გააჩნიათ თავისი სახელები, მათი დახასიათების მიზნით, ამასთან უფრო ხშირად ირონიულ ან უარყოფითი მხრიდან.

თუმცა, თანამედროვე ენაში არსებობს მრავალი სუნსტანტური მყარი კონსტრუქცია, რომლებიც არ ახასიათებენ აზრობრივ საგნებს. მათ წმინდა ნომინატური ფუნქცია აქვთ. ისინი ასახელებენ ყოფიერ ფაქტებს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემდეგი ტიპის შერქმეულ სუბსტანტურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: arco icis (ცისარტყელა), pájaro niño (პინგვინი), agua fuerte (ოფორტი), gallina ciega (დამაღობანა, კუკუმაღობანა), peje

rey (სკუმბრია), lengua de gato (საკონდიტრო ნაწარმოს სახეობა), visto bueno (ვიზა დოკუმენტზე), caballo de vapor (ცხენის ძალა), manzana da Adán (ადამის ვაშლი), patrón de oro (ოქროს სტანდარტი) და ა.შ. ამ ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობა წარმოადგენს ნივთების, მოვლენების, მოქმედებების ერთადერთ დასახელებას. ზოგჯერ ისინი გადმოგვცემენ ტერმინოლოგიური ცნებების ყოფით სახელებს ან თვითონ წარმოადგენენ ტერმინებს. როული ტერმინები შეიძლება აღნიშნავდნენ კონკრეტულ საგნებს და აბსტრაქტულ ცნებებს. მაგრამ ტერმინის აბსტრაქცია ძლიერ განსაზღვრულია, თავისებურად “დაკონკრეტებულია”. მაგ: caballo de vapor - სიმძლავრის სიდიდის ერთეულია და ყოველთვის უდრის 75კგმ/წმ-ს. ასეთ ფრაზეოლოგიზმებს ზოგჯერ უწოდებენ ტერმინოლოგიური მთლიანობას და მიაკუთვნებენ ფრაზეოლოგიური ერთეულების განსაკუთრებულ კლასს.

უნდა აღინიშნოს, რომ შერქმეული ფრაზეოლოგიური ერთეულების მეტაფორულმა წარმოშობამ და ხშირად ადვილად აღსაქმელმა გამოსახულებამ, თანბამედროვე ენაში არ მიაწიჭა მათ მახასიათებელი ფუნქცია. მათ შინაგან ფორმაში ჩადებული ექსპრესიულ-გამოსახულებითი “პოტენციები” ჩვეულებრივ სასაუბრო პირობებში არ გამოიყენება.

განხილულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის არის შეთანხმებები, რომელთა შინაგან ფორმას არ გააჩნია მეტაფორული შინაარსი. მაგალითად, buque escuela (სასწავლო გემი, გემი -სკოლა), piedra imán (ქვა – მაგნიტი, მაგნიტური ქვა), vagón restaurante (ვაგონ-რესტორანი), coche-correo (ვაგონი-ფოსტა, საფოსტო ვაგონი) და ა.შ. თავისი გრამატიკული და ფუნქციონალურ-სემანტიკური თავისებურებებით ისინი არაფრით განსხვავდებიან “გამოსახულებიანი” შერქმეული ფრაზეოლოგიზმებიდან: ისინი ენაში ასრულებენ ნომინატურ ფუნქციას.

შერქმეული ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირად წარმოიქმნებიან ორი არსებითი სახელის უწინდებულად თანაარსებობისას. ასეთი შეთანხმების მეორე კომპონენტს ფორმალურად უჭირავს დამატების პოზიცია: arco iris, casa cuna, peje palo (შებოლილი ვირთევზა), ciudad satellite (ქალაქი-თანამგზავრი) და ა.შ. გრამატიკულად შეთანხმებულია პირველ კომპონენტთან. საერთო გამფორმებლები, არტიკლები და მრ. რიცხვის მაჩვენებლები კონსტრუქციის მხოლოდ პირველ კომპონენტს მიეკუთვნებიან: გვ-179

შერქმეული სუბსტანტური ფრაზეოლოგიური ერთეულები ზოგჯერ შედიან მახასიათებელი სუბსტანტური ფრაზეოლოგიზმების ჯგუფში. მაგალითად, შეთანხმება – pájaro niño (პინგვინი) ახლად გაიაზრება “თვალთმაქცი, საეჭვო ადამიანში”, niño de pecho (ძუძუმწოვარა ბავშვი) აგრეთვე ნიშნავს “ლაწირაკს, ცინგლიანს”.

2. **ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები** (locuciones verbales), რომლებიც ასახელებენ მოქმედებებს და ეკვივალენტურებია ზმნებთან: guardar las vueltas (სიფრთხილე, სიფრთხილის ღონისძიების, წინასწარი ზომების მიღება), hacer las once (წახემსება), coger la vez (რიგის დაკავება), coger una mona (დათრობა), hacer burla (დაცინვა, გამასხარავება), poner en olvido (დავიწყება, მისცე დავიწყებას), irse al Pardo (გახუნება) და ა.შ. ეს ფრაზეოლოგიზმების ყველაზე მრავალრიცხოვანი ფუნქციონალურ-გრამატიკული სახეობაა. მათი პირველი კომპონენტი ყოველთვის ზმნაა, რომელიც გრამატიკურად აფორმებს სიტყვეშეთანხმებას, როგორც ენობრივ ერთეულს.

3. **ადექტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები** (locuciones adjetivales), რომლებიც ასახელებენ პირის ან საგნის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას და ასრულებენ ზედსართავი სახელების ფუნქციას: de pelo en pecho (მამაცი, ყოჩაღი, ძლიერი, ღონიერი), de chicha y habo (წერილმანი, უმნიშვნელო), de tres pepinos (საშუალო, ჩვეულებრივი, უფერული), duro de cabeza (ჯიუტი), de adorno (გამოუსადეგარი, გამოუყენებელი), en agraz (ნაადრევი, მოუმწიფებელი), de padre y muy señor mío (არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული), sin par (შეუდარებელი, უბადლო) და ა.შ.

4. **ნაცვალსახელიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები** (locuciones pronominales), რომლებიც მიუთითებენ საგანზე ან საგნის ნიშან-თვისებაზე საუბრის კონკრეტულ სიტუაციაში და ნაცვალსახელების ეკვივალენტურებია: cada quisque (ყოველი, თითოეული), este cura (ეკვივალენტურია I პირის მრ. რიცხვის პირის ნაცვალსახელის), uno que otro (რამდენიმე, ზოგიერთი, ზოგ-ზოგი), el que más y el que menos (ნებისმიერი, უკლებლივ ყველა) და ა.შ. ეს მყარი კონსტრუქციები მეტად მცირე, შესლულული ჯგუფია და როგორ წესი გამოსახულების გარეშე.

5. **ზმნიზედიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები** (locuciones adverbiales), რომლებიც ასახელებენ მოქმედებისა და მდგომარეობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ხასიათს და ეკვივალენტურებია ზმნიზედების: a pan y cebolla (ნახევრად მშიერი), a la birla birlona (დაუდევრად, უცერემონიოდ), a ojos cerrados (ბრმად, დაუფიქრებლად, თვალდახუჭულად, ალალ ბედზე), no decir tuz ni muz (სიტყვაშეუბრუნებლად, შეუსიტყვებლად), por fas o por nefas (ასე თუ ისე, რაც არ უნდა მოხდეს) და სხვ. ეს მყარი სიტყვაშეთანხმებების მეტად მრავალრიცხოვანი და განსხვავებულ სტრუქტურიანი სახეობაა.

6. **შორისდებულიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები** (locuciones interjectivas), რომლებიც შედგებიან ბგერების ან სიტყვებისაგან და გამოხატავენ ადამიანის გრძნობებსა (ემოციებსა) და ნება-სურვილს. ეს ფრაზეოლოგიზმების მეტად თავისებური სახეობაა. ზოგიერთი მათგანი სინტაქსურად წარმოადგენს პრედიკატულ ერთეულს. თუმცა,

სემანტიკური თვალსაზრისით მათი პრედიკატულობა ნეიტრალიზებულია. ასეთი კონსტრუქციები ფაქტიურად არ აღნიშნავენ მსჯელობას. ისინი არ წარმოადგენენ რაიმე კონკრეტული ცნებების ნომინატებს და გამოიყენებიან მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებში სხვადასხვა ემოციების გამოსახატავად. მათ მიეკუთვნება შემდეგი კონსტრუქციები: más vale! (აი, ასე! ასე უკეთესია!), Dios mío (ღმერთო ჩემო! ოჰ! აჰ! ვაი! უი!), ancha es castilla (რაც არის არის), al banco, tío roque (მიდი, მიაწეკი! მიდი! მიდი!), და ა.შ.

7. მიმდებარეობიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones participales), რომლებიც აღნიშნავენ ვინმესთან რაიმე მდგომარეობის ნიშან-თვისებას. მათი პირველი კომპონენტი ყოველთვის არის hecho. ეს მყარი კონსტრუქციების მცირერიცხოვანი ჯგუფია: hecho una sopa (გალუმპული, თავიდან ფეხებამდე სველი), hecho un brazo de mar (მორთულ-მოკაზმული, გამოპრანჭული) და ა.შ.

მაკავშირებელ (დამხმარე) ფრაზეოლოგიზმებში კასარესი გამოყოფს ორ სახეობას:

1. კავშირებიანი (locuciones conjuntivas): para que (რათა, რომ), a fin de que (რომ), a pesar de que (მიუხედავად იმისა, თუმცა), bien que (თუნცა), puesto que (იმიტომ რომ), después que (მას შემდეგ, რაც), sin embargo (მაგრამ), como quiera que (რადგან) და ა.შ.

2. თანდებულებიანი (locuciones prepositivas): cerca de (ახლოს), delante de (წინ), en medio de (შუა), después de (შემდეგ), a consecuencia (შედეგად), en vez de (მაგივრად), por medio de (საშუალებით) და სხვ.

§ 40 ფრაზეოლოგიური ერთეულების წყაროები

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მთელი სისრულითაა ასახული ენის ნაციონალური თავისებურებები. თანამედროვე ესპანური ენის მრავალი ფრაზეოლოგიზმი წარმოიქმნა ღრმა წარსულში. მათი უმეტესობა მჭიდრო კავშირშია ხალხის ისტორიასა და მის წარსულთან, ისტორიასთან, რადგან ძირითადი ფრაზეოლოგიზმების საფუძველს შეადგენენ ახლებურად გააზრებული თავისუფალი სიტყვაშეთანხმებები, რომელთა სემანტიკაში ასახულია განსაზღვრული საზოგადოებრივი ფაქტები. გამოვეყნოთ ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნის შემდეგ ძირითად წყაროებს:

1. ადამიანის პროფესიონალური მოღვაწეობა. ძნელია ყველა პროფესიონალური სფეროს ჩამოთვალა, საიდანაც სათავეს იღებენ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ საერთო სახალხო მეტყველების საუნჯეს. დავასახელებთ ამ წყაროებიდან მხოლოდ ზოგიერთს:

სანაოსნო ენიდან მომდინარეობენ შემდეგ ფრაზეოლოგიური ერთეულები: a palo seco (პომპის გარეშე, მოკრძალებულად), a todo trapo (მთელი ძალით, ჩქარა, მთელი

სისწრაფით). მათგან პირველი ოდესღაც ნიშნავდა, რომ ხომალდი ადელეგებულ ზღვაში შედიოდა “დაშვებული აფრებით”. მეორის შინაგანი ფორმა კი დღესაც ნათელია, რადგან trapo ნიშნავს “აფრას”.

გამონათქვამში *coger en el garlito* (სამხილით დაჭერა, მოტყუება, გაბრიყვება) და *caer en el garlito* (მახეში გაბმა, ბადეში გახვევა) წარმოიშვა მეთევზეების მეტყველებაში (*garlito* – ნიშნავს თევზების გოდორყურს, კოკოზას).

Batir el cobre (ენერგიულად აწარმოო საქმე)-ს მეცნიერები უკავშირებენ მესპილენძების შრომას.

შეთანხმებაში *a cencerros tapados* (მალულად, ფარულად) აისახა მესრეების ჩვეულება, რომლებიც პირუტყვის ზანზალაკებს კრავდნენ ბალახით ან ჩაღით, რომ დილით ადრე მოსახლეობას არ გაღვიძებოდა, ან მაშინ, როცა საფიხათო ადგილები ჰქონდათ გასაველელი.

ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული ენაში შემოსულია ტორეროს მეტყველებიდან: *cortarse la coleta* (თამაშიდან გასვლა), *saltarse a la torrera* (რაიმე ვალდებულებაზე უარის თქმა), *mandar al cuerno* (ეშმაკსაც წაუღიხარ), *estar en los cuernos del toro* (რთულ მდგომარეობაში ყოფნა, ხიფათში ჩავარდნა) და სხვ.

2. ზნე-ჩვეულებები და ხალხის ისტორია – ხალხის ცხოვრებისეულ წიაღში აღმოცენდა მრავალი მყარი კოსტრუქცია, რომლებშიც აისახა სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, ჩვევა, ტრადიცია და რწმენა. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი *armar(se) la gorda* (დავიდარაბის ატეხა, საქმის არეგ-დარევა) წარმოიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1868 წლის აჯანყებამდე, რომლის შედეგადაც დამყარდა პირველი ესპანური რესპუბლიკა, სიტყვა *la gorda* ყველა ესპანელს ეკერა პირზე. იმხანად ის ნიშნავდა “რევოლუციას”.

გამონათქვამი *echarle (tirarle) a uno el muerto* (გადაბრალება) წარმოიქმნა შუა საუკუნეებში, როცა არსებობდა კანონი, რომ თუ რომელიმე დასახლების ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა გვამი და მკვლელს ვერ იპოვნიდნენ, ადგილობრივი საკრებულო ვალდებული იყო ჯარიმა გადაეხადა. ამიტომ, როცა ასეთი უბედურება ხდებოდა, მაცხოვრებლები ცდილობდნენ გვამის გადატანას მეზობლების მიწებზე. შეთანხმება *salir con pie derecho* (რადაც საქმის წარმატებით დაწყება) კი სათავეს იღებს ხალხში გავრცელებული რწმენიდან, რომლის თანახმადაც, იღბალი (წარმატება) თანსდევს მას, ვინც ნებისმიერ საქმეს მარჯვენა ფეხით იწყებს.

ბევრი გამონათქვამია დაკავშირებული რელიგიური წესებთან და ჩვეულებებთან. *Tener mucha correa* (მომთმენი, ყველაფრის ამტანი, აიტანო დაცინვა და ლანძღვა), აქ

მინიშნებაა ქამარზე, რომელიც ავგუსტიანელებს განასხვავებდა სხვა დანარჩენი ბერებისაგან.

ფრაზაში pasar la noche en blanco (არ გეძინოს მთელი ღამე, თვალმოუხუჭავი) გამოსახულია რაინდების რიტუალი: ფიცის წინა დღეს, თეთრ ტუნიკაში გამოწყობლები თეთრად ათევდნენ ღამეს.

თამაშებთან და გასართობებთანაა დაკავშირებული შემდეგი ფრაზეოლოგიური შეთანხმებები: poner pies en pared (გაჯიუტება, გაჭირვებულობა), jugar al abejón (ვილაცას მოექცე აგდებულად), irse a chitos (გართობა, უღარდელი ცხოვრება).

3. ფოლკლორი და მითოლოგია – მყარი შეთანხმებების უმრავლესობა დაკავშირებულია ფოლკლორთან, ბიბლიურ და მითოლოგიურ წყაროებთან: el talón de Aquiles (აქილევსის ქუსლი), manzana de discordia (განხეთქილების ვაშლი), la caja de Pandora (პანდორას სკივრი) და ა.შ.

ბიბლიური წარმოშობისაა: (las) vacas gordas - ოქროს დღეები, სიუხვის ხანა; Las vacas flacas (შიმშილობა, მძიმე დღეები). ფოლკლორს მიეკუთვნება: estar en Babia (დრუბლებში ფრენა, რაღაცის ხელიდან გაშვება), vivir en Babia (არაამქვეყნიური), el huevo de Colón (კოლუმბის კვერცხი ანუ ძნელი ამოცანის მარტივი გადაწყვეტა) და სხვ.

4. ლიტერატურული ნაწარმოებები. აქედან სათავეს იღებს მრავალი ფრაზეოლოგიური შეთანხმება. მაგალითად, ponerle el cascabel al gato (ძნელი საქმის წარმოწყობა) მომდინარეობს ძველი იგავიდან, რომლის გაღვქსილი ვარიანტი მოცემულია ლოპე დე ვეგას პიესაში “La esclava y su galán” და რომელიც საფუძვლად დაედო სამანეგოს ცნობილ იგავს “El congreso de los ratones”. შეთანხმება oler el poste (გაფრთხილება, საფრთხის წინასწარ მიხვდომა) მომდინარეობს მოთხრობის “ლასარილიო ტორმელიდან” ერთ-ერთი ეპიზოდისგან. ბრმაზე გაბრაზებული გამყოლი აყენებს მას ბოძთან და ეუბნება, რომ უნდა გადაახტეს ნაკადულს. ფრაზეოლოგიზმი erudito a la violeta (დილეტანტი, ზერეფე ადამიანი) დაკავშირებულია 1772 წ. გამოცემულ მწერალ ხოსე კადალსო ვასკეს დე ანდრადეს წიგნის სათურიდან. ამ კონსტრუქციის ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას განმარტავს ქვესათაური: “. ყველა მეცნიერების სრული კურსი, დაყოფილი შვიდ გაკვეთილად შვიდი დღისათვის, ეძღვნება მათ ვისაც ცოდნა და ცოტა მეცადინეობა სურს”.

5. ენის თქმულებებისა და ანდაზების ფონდი – ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება წარმოიქმნას ანდაზური ტიპის სახეშეველილი (ძირითადად შემოკლებული) კონსტრუქციებიდან. ძველად ამბობდნენ cuando una zorra anda (გვ. 184). ესეა ეს ანდაზა მივიწყებულია, მაგრამ შემორჩენილია ფრაზეოლოგიზმი andar a (caza de) grillos (უმნიშვნელო,

წერილმანი საქმეების კეთება, ჩხირკედელობა). შეთანხმება el perro del hortelano (ძაღლი თივაზე) დაკავშირებულია ანდაზასთან: გვ 184.

Ir en el coche de San Francisco (ფეხით სიარული) მომდინარეობს ანდაზიდან ir en
. . გვ.184

ფრაზეოლოგიური ერთული hacer su agosto (გამდიდრება, სარგებლიანი საქმე) გამოეყო მყარ გამონათქვამს – hacer su agosto y su vendimia, რომელშიც საუბარია მარცვლეულისა და ყურძნის მოსავლის აღებაზე და მეტაფორულად ხელსაყრელ, სარგებლიან საქმეზე. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ანდაზა – agosto y vendimia no es cada día, y si cada año, unos con provecho y otros con daño.

შაჭირთა დამატება კდიევ მასალის და სავარჯიშოების

8. jercicos pag. 21-22